

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ვიოზგი ცოცანიძე

უზაუჩი დიადეჟტი



გამომცემლობა „მეცნიერება“
თბილისი — 1978

ნაშრომში აღწერილია ქართული ენის ერთ-ერთი აღმოსავლური დიალექტის — ფშაურის — ენობრივი თავისებურებანი. დიალექტის ანალიზი ეყრდნობა როგორც გამოქვეყნებულ წყაროებს, აგრეთვე საარქივო და ავტორის პირ მივლინებების დროს ადგილზე მოპოვებულ ტექსტობრივ მასალას.

ნაშრომს ერთგის ფშაური დიალექტის ვაერცელებას რეგონების მიხედვით დაჯგუფებული ტექსტები. დართული ლექსიკონი და საძიებელი, ვფიქრობთ, ხელს შეუწყობს წიგნით სათანადოდ სარგებლობას.

რედაქტორი ივ. ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე

შესავალი

ფშაური კილო აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტთა ე. წ. ფხოური ჯგუფის ერთი წევრია და ამ ჯგუფის სხვა წევრებთან შედარებით თავისებურ მდგომარეობაშია. როგორც მისი პირველ-მკვლევარი ა. შ ა ნ ი ძ ე აღნიშნავდა, „ფშაურს ცოტა მოშორებული ადგილი უჭირავს, რადგანაც დროთა განმავლობაში, ქართლ-კახეთის სიახლოვის გამო მას მეტი გავლენა დასტყობია ბარისა“¹. მეცნიერის ეს ექვს ათეულ წელზე მეტი ხნის წინ თქმული სრულიად შეეფერება ფშაურის დღევანდელ ვითარებას: ამ კილოზე მოლაპარაკე მოსახლეობის ბარისა თუ მთისწინეთის სხვადასხვა ადგილებში გაძლიერებული მიგრაციების წყალობით. იგი კიდეც უფრო დაუახლოვდა ბარელთა მეტყველებას და დაშორდა თავის თავდაპირველ მოძმე კილოებს—თუშურს, ხევსურულსა და მოხეურს. ასე რომ, მას თავისი ფონეტიკური, მორფოლოგიური თუ სინტაქსური თავისებურებებით უშაღედური მდგომარეობა უკავია აღმოსავლეთ საქართველოს ბარისა და მთის დიალექტებს შორის. მაგალითად, კონსონანტურ სისტემაში /ჟ/ ფონემის ქონა მას მთის დიალექტებთან აკავშირებს, ხოლო პირის პრეფიქსთა ინვენტარში [ჟ] სეგმენტი ბარის დიალექტებთან სიახლოვის მაჩვენებელია; ზმნის უღვლილების სისტემაში ხოლმეობითისა და ე. წ. თხოვნითი ბრძანებითის ნაკვთების ქონით იგი მთის დიალექტთა, განსაკუთრებით, თუშურ-ხევსურულის მოზიარება, ხოლო ნამყოს დროებში მესამე სუბიექტური პირის მრავლობითი რიცხვის -ენ სუფიქსით ბარის დიალექტებს უკავშირდება. ასეთივე ორმხრივი კავშირები შეიძლება დავადასტუროთ ფშაურის სინტაქსის, ლექსიკის, ფრაზეოლოგიისა თუ ენობრივი ანალიზის რაგინდარა უბანში. ბარის დიალექტებთან გაძლიერებულმა

¹ იხ. ა. შ ა ნ ი ძ ე, Отчет о летней командировке 1913 г. в Душетский и Тнанетский уезды Тифлисской губернии для изучения грузинских говоров, ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები, I, 1957, გვ. 8. მისივე, ქართული კილოები მთაში, იქვე, გვ. 11.

კონტაქტმა უხვად განავითარა ფშაურში ლექსიკურ, მორფოლოგიურ თუ ფონოლოგიურ ერთეულთა თავისუფლად მონაცვლე ვარიანტებს.

ტერიტორია, რომელზედაც გავრცელებულია დღეს ფშაური დიალექტი, საკმაოდ დიდია და თანაც „კუნძულების“ სახით გაფანტული აღმოსავლეთ საქართველოს მთასა და ბარში. საკუთრივ ფშავი არაგვის ხეობაშია, უინვალიდან ჩრდილოეთით და მიუყვება ფშავ-ხევსურეთის არაგვის ორსავე ნაპირს. „მის ორივე ნაპირზედ, უინვანიდან მოყოლებული, მთის კალთებიდან და წვერებიდან მოიყურებიან მიწური სახლები და საბძლები — ეს ფშაველების სადგურები არის“, — წერდა ვაჟა-ფშაველა 1886 წელს². ფშაველთა სოფლები აქ დღესაც საკმაოდ ბევრია, ოღონდ მოსახლეობა კი ძალზედ შემცირებულია. რაც დარჩენილა, იმათ საკმაოდ მოზრდილ ნაწილსაც დაუტოვებია თავიანთი პირვანდელი საცხოვრებლები მთის კალთებსა და წვერებზე და დაბლა დაუწევიათ არაგვის ნაპირებისაკენ. საავტომობილო გზის სიახლოვეს.

როგორც ვთქვით, არაგვის ფშავი იწყება უინვალთან, მისი მომიჯნავე სოფელი გულდრუხით, მიუყვება ფშავ-ხევსურეთის არაგვის ორწელამდის, ხევსურეთის მიჯნამდის, შემდეგ განშტოვდება მარჯვნივ და გრძელდება უკვე საკუთრივ ფშავის არაგვის ხეობაში მის სათავეებამდის ბორბალის მთის მისადგომებთან. აქ ბოლო სოფელი, რომელშიც სულ ორიოდ კომლია ცხოვრობს, არის ელიაგზა.

დიდი რაოდენობით ცხოვრობენ ფშაველები ივრის ზემო წელში, ერწოთიანეთის ტერიტორიაზე. ამ ადგილს ზოგჯერ ივრის ფშავესაც უწოდებენ³. გასული საუკუნის დასასრულსა და ჩვენი საუკუნის დასაწყისში ხშირად მთელი ერწო-თიანეთი ფშავად სახელდებოდა. „ფშაველები სცხოვრობენ ეგრეთვე ივრის ნაპირებზედ, მოყოლებული ბ-პორმიდამ ივრის სათავემდე (კუდებამდე) და შეადგენენ თიანეთის მაზრასა“ — წერდა ვაჟა-ფშაველა ზემოთ ნახსენებ წერილში. ნ. ხიზანიშვილი თვლიდა, რომ დაბა თიანეთი ფშავის შუაგულია⁴. ამ გარემოებას ჰქონდა ობიექტური გამართლება: ფშაური

² ვაჟა-ფშაველა, ტ. V, პუბლიცისტური და ეთნოგრაფიული წერილები, 1961, გვ. 7.

³ ვ. ბარდაველიძე, ივრის ფშაველებში (დღიური), ენმკის მოამბე, ტ. XI, 1941; ა. ლეკიაშვილი, ივრისხეური ფშაური, სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული, I, 1949.

⁴ ნ. ხიზანიშვილი (ურბნელი), ეთნოგრაფიული ნაწერები, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, II, 1940, გვ. 6.

ეთნიკური ელემენტის დიდმა ხვედრითმა წონამ ამ გეოგრაფიულ არეალში შექმნა იმის საფუძველი, რომ იგი მთლიანად ფშავისათვის მიეკუთვნებინათ. მართლაც, ერწო-თიანეთის მოსახლეობის ძალიან დიდი ნაწილი თავის პირველსამშობლოდ ფშავს ასახელებს, თუმცა სოფლების უმრავლესობაში მას ენობრივი ასიმილაცია განუტღვრა ადგილობრივ კახურ მოსახლეობასთან და წარმოქმნილა ნარევი ტიპის დიალექტური ერთეული „საკუთრივ თიანური“⁵.

თვით ფშავლები კომპაქტურად სახლობენ ივრის სათავეებთან, ამჟამინდელი არტანის სასოფლო საბჭოში შემავალ სოფლებში. ფშაური მეტყველებაც ყველაზე უკეთ ამ რეგიონშია შემონახული.

დღეს იმ სოფლების რიცხვი, სადაც ფშაური მოსახლეობა ცხოვრობს, ერთი ათეულით შემოიფარგლება, ამათგან ზოგში სულ რამდენიმე კომლია დარჩენილი. ესენია: ლორღა, ზ. არტანი, ქვ. არტანი, სახევი, ქუშქევი (ტუშქევი), თეთრალევი, ბოდაქევა, სხოვანი, კვერნაულა, ლიშო. ზოგი სოფელი, რომელშიც მოსახლეობა იყო ჭერ კიდევ ჩვენი საუკუნის 40-იან წლებში, ამჟამად დაცლილია და ნასოფლარებადაა ქცეული. ასეთებია: კორსავი, ბაფხისქევი, ყვარა, ხილიანა, ბაჩალი, ჯაშარი, საშუბი, სოფლიონი⁶. ამავე არეალში ასახელებენ რამდენიმე ნასოფლარს. სადაც, ადგილობრივთა ჩვენებით, უწინ ფშავლები ცხოვრობდნენ, ესენია ჯაბლევი, ჯატქეორცი, მგელათციხე, ყაფარი, თიქონი, ჯღანაურა. ზოგ მათგანში (ჯაბლევი, ჯატქეორცი) მოსახლეობა ჩანს გუსტავ რადეს 1878 წ. აღწერილობის მიხედვით⁷. ფშავლებით დასახლებული დანარჩენი სოფლები გაფანტულია ერწო-თიანეთის ველებზე და არაგვისა და ივრის წყალგამყოფზე უკვე არა ასე კომპაქტურად, რომელთაგან შეიძლება დავასახელოთ: ჩაბანო, ჯიჯეთი, ვერცველა, თეთრალევი, ნოჯიკეთი, კეობა, ნოჯა, ფიქვიანი, ჩეკურაანთგორი, მაგრანეთი, ორკევი და სხვანი. ფშაური მოსახლეობა საკმაო რაოდენობითაა ანშეტის რაიონში, ილტოსა (ვეძები, შახვეტილა, კართალა) და ჰანჯისის (საკობიანო, ყვარელწყალი, დედისფერული,

⁵ ივ. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ივ. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, 1961, გვ. 145.

⁶ შტრ. გ. ჩიტაია, თიანეთის ეთნოგრაფიული ექსპედიციის პირველი ანგარიში, ენმის მოამბე, XI, 1941, გვ. 59.

⁷ ვ. ჩიტაია, დასახ. ნაშრ., გვ. 58.

კუწახტა. ზემო ხალაწანი, ხევის ქალა) ხეობებში.

ორი ერთობ მოზრდილი ფშაური სოფელია თელავის რაიონში: სტორის ხეობაში — ლუჩური და ლოპოტის ხეობაში — ლაფანყური. ყვარლის რაიონშია გძელქალა, საიდანაც მოსახლეობის დიდი ნაწილი ლაფანყურში ჩამოსულა. ხევისურებთან ერთად ცხოვრობენ ფშავლები გომბორის სოფლებში და ახმეტის რაიონის ზოგ სხვა სოფელშიც. ექვსასამდე კომლი ფშაველი ცხოვრობს შირაქში, ქვემო ქედში. თითო-ოროლა ფშაველ მოსახლეს შეხვდება კაცი ზემო ქედსა და არხილოსკალოში.

საყოველთაოდ მიღებული აზრია, რომ ფშაველების თავდაპირველი საცხოვრისი იყო „ზემო ფშავი“ ან, როგორც ზოგჯერ იხსენიებენ, „ბუდე ფშავი“*, საკუთრივ ფშავის არაგვის ხეობა ორწყალს ზემოთ. ფშაველებით დასახლებულ დანარჩენ ადგილებში ფშაური მოსახლეობა გაჩენილია სხვადასხვა დროის მიგრაციების წყალობით — როგორც ჭგუფური გადასახლებების, აგრეთვე. ე. წ. „გაჟონვის“ გზით⁹. ამ აზრს, გარდა მოხრობელთა ჩვენებებისა, ადასტურებს რელიგიის მონაცემები: ფშაველთა 12 თემიდან 11-ის ოდინდელი ადგილსამყოფელი და მათი ხატ-სალოცაეები სწორედ საკუთრივ ფშავის არაგვის ხეობაშია. მე-12 თემს შეადგენენ ჩარგლელები, რომელნიც გოგოჭურთა თემის განაყოფებად ითვლებიან და თავის მამაპაპეულ სალოცავად ცაბაურთის ხატს ასახელებენ.

ამჟამად სხვადასხვა ხნოვანება აქვს ფშაურ მოსახლეობას, ერთი მხრივ. არაგვის ქვედა ფშავსა და ივრის ზემოწელში და, მეორე მხრივ, ფშაველებით დასახლებულ კახეთის სოფლებში. პირველი ორი რეგიონის მოსახლეობამ იცის, რომ მათი ძველი სამკვიდრებელი უკანა ფშავია, ოღონდ რა დროიდან ცხოვრობენ აქ, ამაზე ვერაღერს იტყვიან. რაც შეეხება დანარჩენი ადგილების ფშაველებს, ისინი ასახელებენ თავიანთ პირველ სამშობლოსაც და ახალ საცხოვრებელ ადგილას მათი გადმოსვლის დროსაც.

არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული დაზვერვები ფშავის არაგვის ხეობის ქვედა ნაწილში ავლენს მატერიალური კულტურის და არქიტექტურის ნაშთებს, რომლის პირდაპირ გაგრძელებას დღევან-

* ა. შანიძე, *Отчет*, გვ. 7; ვ. ბარდაველიძე, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები. 1974. გვ. 12.

⁹ ვ. ბარდაველიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 12.

დელი ფშავის ყოფაში ვერ დავადასტურებთ¹⁰. უამრავი ნასოფლარ-
ნამოსახლარები, სამაროვნებით მოფენილი ტყეები და მთაგორები
გვაფიქრებინებს, რომ ოდესღაც მჭიდროდ დასახლებული ეს ტერი-
ტორია რაღაც ისტორიულ პირობებში უნდა გაუკაცრიელებულიყო.
გაჩენილ თავისუფალ ადგილებში კი ჩამოუწევია იქვე მეზობლად,
უკიდურეს სივიწროვეში მცხოვრებ ფშავის მოსახლეობას. როდის
მოხდა ეს ჩამოსახლება, ძნელი სათქმელია; ალბათ არა უადრეს
XIV-XV ს-ებისა.

ივრის ხეობა, ერწო და თიანეთი, მე-17 საუკუნის დასაწყისისა-
თვის საკმაოდ მჭიდროდ ჩანს დასახლებული. მეჩვიდმეტე საუკუ-
ნის პირველ მეოთხედში სპარსელთა გამუდმებულმა შემოსევებმა
მოსახლეობა გააჩანაგა, მეურნეობა გაანადგურა. მტერმა უამრავი
ტყვე და საქონელი გაიყვანა. როგორც ჩანს, ფშაველთა გადმოსახ-
ლება ივრის სათავეებში ამ ხანის შემდეგი პერიოდის ამბავია. კონკ-
რეტული დროის დასახლება აქაც ჭირს. ალბათ, ქვედა ზღვარი მე-
17 — მე-18 საუკუნეებით უნდა შემოიფარგლოს.

რაც შეეხება კახეთის, გომბორისა და შირაქის ფშაველებს, ისი-
ნი მე-20 საუკუნის პირველ მეოთხედში არიან დამკვიდრებულნი.
მოსულნი არიან ფშავის სულ სხვადასხვა კუთხეებიდან. მთხო-
ბელთა ჩვენებით, მიწები, რომელზედაც ახლა ისინი სახლობენ (ში-
რაქის გარდა) „სახაზინო“ იყო. რევოლუციამდე ფშაველები მათ
იღებდნენ ზამთრობით პირუტყვის გასაკვებად, ე. წ. „ტორგის“
წესით. შემდეგ თანდათან ამ მიწების სახნავად გამოყენებაც დაიწ-
ყეს. აქვე აშენებდნენ მიწურ სახლებს და მოსახლეობის ნაწილი ზამ-
თარ-ზაფხულს რჩებოდა. რევოლუციის შემდეგ მიწები მთლიანად
მოქირავენთა ხელში გადავიდა და ასე გაჩნდა ფშაური სოფლები
შუაგულ კახეთში.

შირაქში ფშაველთა ჩასახლების ინიციატორად ხშირად ვ ა ჟ ა-
ფ შ ა ვ ე ლ ა ს ასახელებენ, ხოლო ჩასახლების დროდ კი მე-19 ს-ის
მეორე ნახევარს მიიჩნევენ ხოლმე. ამ ფაქტის მომსწრეთა მონათხ-
რობიდან (მთხოობელები: ალექსი ბაიაშვილი, გიორგი ფოცხვერაშ-
ვილი, იორამ ჩარბოლაშვილი, ყორანა მარტიაშვილი, ვანო ბაია-
შვილი და სხვ.) და თვით ვაჟას წერილებიდან ირკვევა, რომ არც
ერთი ამ ვარაუდთაგანი სინამდვილეს არ შეეფერება. შირაქში ფშა-
ველთა მუდმივად დასახლება სტიქიურად დაიწყო ჩვენი საუკუნის

¹⁰ შდრ. ივ. წიკლაური, გ. რჩეულიშვილი, არქეოლოგიური
და ეთნოგრაფიული დაზვერვები ფშავის არავეის ხეობაში, ეიწვალის ექსპედიცია
(პირველი სამეცნიერო სესიის მოკლე ანგარიშები), 1975, ვვ. 60.

დასაწყისში. ზოგნი ამ საქმის წამოწყებად და ინიციატორად ცნობილ მოლექსეს — გომეწრელ წ ი წ ო თ კ ა რ ა ტ ი ე ლ ს ასახელებენ.

შირაქში დასახლების მსურველნი დიდ წინააღმდეგობას წააწყდნენ მეცხვარე მთიელების, განსაკუთრებით, თუშების მხრიდან, რომელთაც საზამთრო საძოვრებად ეჭირათ ის ადგილები, სადაც ამჟამად სოფლები ზ ე მ ო ქ ე დ ი, ქ ვ ე მ ო ქ ე დ ი და ა რ ხ ი ლ ო ს კ ა ლ ო ა გაშენებული. ამ ატეხილ დავაში ვაჟა-ფშაველა ფშაველთა რწმუნებული იყო და აქტიურად უჭერდა მხარს, საერთოდ, მცირე და მწირ მიწებზე მოსახლე მთიელთა დასახლებას შირაქის უხვმოსავლიან ველებზე¹¹. დავა მოახალშენეთა სასარგებლოდ გადაწყდა და 1910-იანი წლებისთვის უკვე თითქმის ყველაფერი დამთავრებული იყო: ყველას, საქართველოს მთის ნებისმიერი კუთხიდან, შეეძლო შირაქში ჩასახლებულიყო, ვისაც კი ამის სურვილი ექნებოდა¹². შედეგად გაჩნდა სამი დიდი სოფელი: ზემო ქედი — ძირითადად მთიელები, არხილოსკალო—მთიელები და ხევსურები და ქვემო ქედი — ფშაველები.

როგორც ვხედავთ, ფშაველები ცხოვრობენ ტერიტორიულად საკმაოდ დაშორებულ ადგილებში. მოსალოდნელი იყო, რომ საქმე გვექნებოდა დიალექტის შესამჩნევ კილო-კაჟურ დიფერენციაციასთან, მაგრამ, ჩვენდა გასაოცრად, იგი აქ ძლიერ სუსტია. საუბარი შეიძლება მხოლოდ ცალკეულ ინდივიდებთან მეტყველების არქაული ტიპის მეტ-ნაკლებ დაცულობაზე მისი გავრცელების ნებისმიერ ადგილას. ასეთი ინდივიდები უფრო მეტნი გვხვდებიან მთაში და უფრო ნაკლებნი — ბარში. სწორედ ამ „არქაულად“ მეტყველ და „სტილიზებულად“ მეტყველ ინდივიდთა რაოდენობრივი თანაფარდობა ქმნის კილოკაჟურ განსხვავებას ფშაურის გავრცელების სხვადასხვა რეგიონებს შორის. ისე, ზოგადად კი, ფშაური არქაული მეტყველება სულ უფრო და უფრო ინტენსიურად უთმობს ადგილს ახალი ტიპის ფშაურს, რომელიც ძველისაგან ბარის კილოებთან მეტი სიახლოვით განსხვავდება. ამ გარემოებას თავისი გამართლება აქვს: ბოლო ასწლეულში უაღრესად გაძლიერდა ფშაველთა მიგრაციები არა მხოლოდ შთიდან ბარისაკენ, არამედ პირიქითაც და

¹¹ ვ ა ე -ფ შ ა ვ ე ლ ა, ქართველთა ახალშენი შირაქში, თხზულებათა სრული კრებული ხუთ ტომად, ტ. V, 1961, გვ. 389; იხ. აგრეთვე რ. თ ო ფ ჩ ი შ ე ი ლ ი, XX საუკუნის დასაწყისში ფშაველთა შირაქში ჩამოსახლების ისტორიულ-ეთნოგრაფიული ასპექტები, საისტორიო კრებული, V, 1976, გვ. 282 და შმდ.

¹² ვ ა ე -ფ შ ა ვ ე ლ ა, წერილი რედაქციის მიმართ, თხზ., ტ. V, გვ. 385.

ფშავის, ან ფშავლებით დასახლებული ერთი კუთხიდან მეორეში-
ამ გარემოებაზე — ფშავის კილოკაური დიფერენციაციის სიძნე-
ლზე და მის მიზეზებზე — მიუთითებდა აკ. შანიძე ჯერ კიდევ
1913 წელს (იხ. მისი „Отчет о летней командировке“..., გვ. 7—8).

რამდენადაც სუსტია ფშავის მეტყველების ტერიტორიული
დიფერენციაცია, იმდენად ძლიერ შესამჩნევია დიფერენციაცია ასა-
კობრივი. საკმაოდ მოდერნიზებული ფშავით მეტყველებს განსა-
კუთრებით კახეთისა და შირაქის ფშაველთა ის თაობა, რომელიც
დაიბადა და გაიზარდა ახალ საცხოვრებელ ადგილზე. ამათვე უბაძს
მხარს არაგვისა და ივრის ფშაველთა მათი თანატოლი თაობაც. მა-
გალითად, აღნიშნული თაობის მეტყველებაში თითქმის ნიველირე-
ბულია არქაული ხოლმეობითები. მათ ადგილს იკვრის „ხოლო მე“
ნაწილაკიანი აღწერითი და ნამყო უსრულის ნაკვთის ფორმები.

— ფშავთა კილომ ქართველი-საზოგადოებრიობის ყურადღება
ვაქა-ფშაველასა და მისი ძმების სამწერლო ასპარეზზე გამოსვლის-
თანავე მიიპყრო. მათს შემოქმედებაში ფშავური დიალექტური ფორ-
მების უხევა და პრინციპულმა ხმარებამ მკითხველთა თუ კრიტიკოს-
თა მკვეთრი (ძირითადად უარყოფითი) რეაქცია გამოიწვია. შეიძლე-
ბა გავიხსენოთ აქაკი წერეთლის დამოკიდებულება ამ საკითხის მი-
მართ¹³. მაგრამ ფშავური დიალექტის მეცნიერული შესწავლა აქაკი
შანიძემ დაიწყო. მან 1913 წელს დაბეჭდა მთის კილოების შესას-
წავლად საზაფხულო მივლინების ანგარიში, ხოლო 1915 წელს — ამ
კილოთა მოკლე მიმოხილვა. მანვე გამოიყენა მთის კილოთა და, მათ
შორის, ფშავის, მონაცემები თავის ცნობილ მონოგრაფიაში სუ-
ბიექტური მეორე და ობიექტური მესამე პირის პრეფიქსების შესა-
ხებ. მეცნიერმა დიდი ამაგი დასდო ფშავური ლექსიკის შესწავლას
ვაქას პოეზიის ტომებს დართული ლექსიკონებით.

ფშავური ხოლმეობითის ფორმები (ხევსურულთან და თუშურ-
თან ერთად) საფუძვლიანად განიხილა არნ. ჩიქობავამ და მათ მი-
მართ გააკეთა მნიშვნელოვანი დასკვნები¹⁴.

ფშავურ დიალექტს ადგილზე სწავლობდა ივანე გივინიშვილი.
ფშავურის ტექსტები და მოკლე მიმოხილვა ლექსიკონითურთ გამო-
ქვეყნდა „ქართული დიალექტოლოგის“ I ტომში 1961 წელს. 1951
წელს გაზეთ „სახალხო განათლებაში“ (№ 5) დაიბეჭდა წერილი „ახა-

¹³ იხ. აქაკი წერეთელი, ვაქა-ფშაველას, თხზ. სრ. კრებ., 15 ტომად.
ტ. 3, 1954, გვ. 349; მისივე, ბიბლიოგრაფიული შენიშვნები, ტ. 13, გვ. 434-437.

¹⁴ არნ. ჩიქობავა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-
კავკასიურ ენებში, 1948, ვკ. 80—90.

ლი ქართული სალიტერატურო ენა და ვაჟა-ფშაველა“. ავტორთა კოლექტივისაგან შედგენილ წიგნში „ვაჟა-ფშაველას ბახტრიონი“, რომელიც გამოსცა თბილისის უნივერსიტეტის ვაჟა-ფშაველას კაბინეტმა 1972 წელს, დაიბეჭდა მისივე „ბახტრიონის“ ენობრივი თავისებურებანი“. ფშაურის მასალას მიმართავს ავტორი წიგნში „გამოკვლევები ვეფხისტყაოსნის“ ენისა და ტექსტის კრიტიკის საკითხების შესახებ“ (1975 წ., გვ. 225 და შმდ.).

1941 წელს სტუდენტთა შრომების კრებულში გამოქვეყნდა ა. ლეკიაშვილის ნაშრომი „ივრისხეური ფშაური“.

ფშაურის მასალას ხევესურულის პარალელურად განიხილავს ალ. ჭინკარაული თავის ნაშრომში „ხევესურულის თავისებურებანი“. მანვე შეადგინა და გამოსცა „ვაჟა-ფშაველას მცირე ლექსიკონი“, რომელსაც წინასიტყვაობის სახით წინ უძღვის სოლიდური ენობრივი მიმოხილვა და რომელსაც დიდი წვლილი შეაქვს ფშაური დიალექტის ლექსიკის შესწავლაში. გამოცემას ელის ენათმეცნიერების ინსტიტუტის საწარმოო გეგმით ამავე ავტორის მიერ შედგენილი ფშაური ლექსიკონი.

ფშაური დიალექტის მასალა მოხმობილია თედო უთურგაიძის ნაშრომებში: „თუშური კილო“ (1960) და „ქართული ენის მთის კილოთა ზოგი თავისებურება“ (1966).

მნიშვნელოვანია, აგრეთვე, ფშაური ლექსიკის შესწავლის თვალსაზრისით ივ. ქეშიკაშვილის „თედო რაზიკაშვილისა და ბაჩანას თხზულებათა ლექსიკა“ (1969).

როგორც ვხედავთ, ფშაური დიალექტი მუდმივად იყო და რჩება მკვლევართა შეუწავლელი ყურადღების არეში. მიუხედავად ამისა, დღემდის არ გამოქვეყნებულა ფშაურის ფონეტიკურ-გრაფიკულ თავისებურებათა ცოტად თუ ბევრად სისტემატური დახასიათება. ეს ნაშრომი ამ ხარვეზის შევსებას ითვალისწინებს.

ჩვენ ფშაური დიალექტის შესწავლა დავიწყეთ 1971 წელს არაგვის ფშავში მივიღინებთ. მას შემდეგ თითქმის ყოველ წელიწადს მივემგზავრებოდით ტექსტობრივი მასალის მოსაპოვებლად. მოვიარეთ ფშავლებით დასახლებული თითქმის ყველა რეგიონი და მოვიპოვეთ მასალა მაგნიტოფონური ჩანაწერების სახით. ამ მასალის ნაწილს რეგიონების მიხედვით დიფერენცირებულად, ნიმუშების სახით ვურთავთ ამ ნაშრომს.

თვით ჩვენ მიერ ადგილზე მოპოვებული ტექსტობრივი მასალის გარდა, წყაროდ ვიყენებთ ენათმეცნიერების ინსტიტუტის არქივში დაცულ მასალებს. რომლებიც (ხელშეკრულების წესით) ჩაუწერია

გ. ხორნაულსა და გ. შეთეკაურს, ვაჟა-ფშაველას თხზულებებს, განსაკუთრებით მის პოეზიასა და ფოლკლორულ ეთნოგრაფიულ ნაწერებს¹⁵ და თ. რაზიკაშვილის მიერ შეკრებილ ფშაურ ლექსებს.

ქართული დიალექტოლოგიისათვის დღესაც აქტუალურ საკითხად რჩება პირველ რიგში დიალექტთა სინქრონული შესწავლა და მასალების შეკრება-ფიქსაცია¹⁶, რაც, თავის მხრივ, მიზნად ისახავს კიდევ უფრო შორსმომავალ პერსპექტივას: შექმნას მყარი საფუძველი ქართული ენის მთლიანობაში, ერთიანი კონტინუუმის სახით აღსაწერად. ცხადია, ამ აღწერაში სათანადო ადგილი უნდა ჰპოვოს ნაწილობრივ მსგავსი სისტემების (resp. დიალექტების) ნაწილობრივმა განსხვავებამ, რის რეალიზაციაც იქნება ქართული ენის ლინგვისტური ატლასი ან აღწერილობა დიასისტემების საშუალებით.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ფშაურს აღწერთ სალიტერატურო ქართულთან მიმართებაში და ყურადღებას ვამახვილებთ მხოლოდ მის თავისებურებებზე, ოღონდ ვცდილობთ, ესა თუ ის გამოვლენილი დიალექტური ფაქტი განვიხილოთ როგორც სისტემის ელემენტი, რათა თავი დავაღწიოთ ენობრივი მოვლენების მიმართ ატომისტურ დამოკიდებულებას. ვფიქრობთ, ამგვარი მიდგომა (ნაცადი და დამკვიდრებული ქართულ დიალექტოლოგიურ პრაქტიკაში) საკმარისია ნაწილობრივ მსგავსი სისტემების აღწერის დროს, როცა ერთ-ერთი, ეტალონად გამოყენებული, სისტემა სრულად აღწერილი და დადგენილია. ჩვენ ასეთ სისტემად სალიტერატურო ქართული მივიჩნით.

გამოვლენილი დიალექტური მოვლენების ინტერპრეტაციას ვიძლევიტ წმინდა სინქრონისტული თვალსაზრისით. ეს არ ნიშნავს იმას, რომ საერთოდ უარს ვამბობდეთ ენობრივი მოვლენების დიაქრონიულ ინტერპრეტაციაზე, მაგრამ თუ დიაქრონიული პროცედურებით დავადგინეთ რომელიმე ერთეულის წინარე ფორმა, ეს არ გვაძლევს იმის საფუძველს, რომ იგი გამოვაცხადოთ ამ ერთეულის ძირითად ფორმად და დღეს რეალურად დადასტურებული კი მის ვარიანტად. ნათქვამის საილუსტრაციოდ გამოდგება, მაგალითად, სალიტერატურო ქართულის „სახლიდან“ ტიპის ფორმების ინტერ-

¹⁵ ვაჟა-ფშაველას მასალა, როგორც სამართლიანად აღნიშნავს ივ. გიგოზიძე, დიალექტოლოგიური თვალსაზრისით უარესად ზუსტი და სანდოა: „ვაჟას მიერ ნახმარ ფშაურ ფორმებს დიალექტოლოგიური მიზნით ჩაწერილი ტექსტების მნიშვნელობა ენიჭება“ (იხ. მისი, „ბახტრიონის“ ენობრივი თავისებურებანი, ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონი“, 1972, გვ. 252).

¹⁶ ვ. თოფურია, ქართველურ ენათა დიალექტების შესწავლის მდგომარეობა და ამოცანები, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, III, 1963, გვ. 184.

პრეტაცია. მას მიიჩნევენ ხოლმე -გან თანდებულთან მოქმედებითი ბრუნვის ფორმად და ეს იმდენად დამკვიდრებული თვალსაზრისია, რომ სასკოლო სახელმძღვანელოებშიც კი ასეა შეტანილი¹⁷. ამის საფუძველი ის არისა, რომ ახალი სალიტერატურო ქართულის სულ ახლო წარსულ პერიოდში „სახლითგან“, „სახლიდგან“ ფორმები ენის რეალობა იყო. იმ პერიოდისათვის, რა თქმა უნდა, საქნე გეაქნე -გან თანდებულთან მოქმედებითი ბრუნვის ფორმასთან. დღევანდელ სალიტერატურო ენაში -გან-იან მოქმედებითს ვეღარ დავადასტურებთ, თუ სადმე შეგვხვდა, ის ნათქვამის არქაიზაციის მხატვრული ხერხი იქნება ალბათ. იგი მთლიანად შეიცვალა „სახლიდან“ ტიპის ფორმებით, სადაც სრულიად ნათლად გამოიყოფა თანდებულის ფუნქციის მქონე -დან ერთეული. ჩვენი თვალსაზრისით, აქ უნდა ვილაპარაკოთ უკვე -დან თანდებულზე, მიუხედავად მისი ესოდენ ნათელი ისტორიისა: სახლითგან—სახლიდგან—სახლიდან.

ასევე ფშაურში ზმნისწინის ორი პოზიციურად მონაცვლე შე- და შა- ვარიანტებიდან ჩვენ ძირითადად მიგვაჩნია შა-, თუმცა დიაქრონიული კვლევა აშკარას ხდის, რომ ისტორიულად ამოსავალი შე- ფორმა უნდა ყოფილიყო.

ფაქტებისადმი ამგვარმა დამოკიდებულებამ გამოიწვია ზოგი ერთეულის აქამდე არსებულისაგან განსხვავებული ინტერპრეტაცია, როგორცაა -ით ელემენტის მიჩნევა ომონიმურ ერთეულად: -ით მოქმედებითი ბრუნვის ნიშანი და -ით თანდებული: -ზეით, -შიით რთული თანდებულები, მესამე სუბიექტური პირის ნიშნის -ის ვარიანტი სტატიკურ ზმნათა აწმყოსა და გარდამავალ ზმნათა I თურმეობიანის ფორმებთან და სხვ.

დიალექტის აღწერისას სინქრონისტული პრინციპის გატარება, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს ცოცხალ სინამდვილეში მიმდინარე პროცესების ყურადღების გარეშე დატოვებას. რამდენადაც ცვლილება შინაგანად დამახასიათებელია თვით ენის არსებობისათვის, ენის ეკვლევარი ყოველთვის მიმდინარე ცვლილებების მოწმეა¹⁸. ეს ცვლილებები ენაში აისახება ფაკულტატიური ვარიანტებითა და იზოლანტიციონალური ელემენტებით. ფშაურის დღევანდელი მდგომარეობა ამ დებულებებს ადასტურებს ანალიზის ყველა — ფონოლოგიურ, მორფოლოგიურ, სინტაქსურ დონეზე.

¹⁷ შტრ. მაგ. ა. შ ა ნ ი ძ ე, ი. ი მ ნ ა ი შ ე ი ლ ი, ლ. კ ვ ა ქ ა ძ ე, ქართული ენის გრამატიკა, ნაწ. I. ფონეტიკა და მორფოლოგია, V—VI კლასების სახელმძღვანელო, 1975, გვ. 35.

¹⁸ Э. Косериу, Синхрония, диахрония и история (проблема языкового изменения), Новое в лингвистике, III, 1963, гв. 220.

I. ზონეტიკა – ზონოლოგია

1. ინტონაცია და მახვილი

§ 1. ფშაურის ერთ ძირითად თავისებურებათაგანს მისი პროსოდიული მხარე წარმოადგენს. ამ დიალექტს აქვს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ინტონაცია, რაც განასხვავებს მას არა მხოლოდ სალიტერატურო ქართულისაგან, არამედ ქართული ენის ნებისმიერი დიალექტისაგანაც—თუმცა მისი გამოკვეთილობა სხვადასხვა ინდივიდთან სხვადასხვაგვარია: ზოგის მეტყველებაში მეტად შეიმჩნევა; ზოგისაში — ნაკლებად, მაგრამ საბოლოოდ იგი ნიშანდობლივია ფშაურად მოლაპარაკე მთელი კოლექტივისათვის. ეს ფშაური ინტონაცია, ანუ, როგორც მას ხშირად უწოდებენ ფშაური „აქცენტი“¹, იმდენად მყარია ნიველირობადობის თვალსაზრისით, რომ იგი ნათლად ჩანს მაშინაც კი, როცა ფშაველი თავისი შეგნებით ლაპარაკობს არა ფშაურად, არამედ „ქართულად“, ე. ი. ლიტერატურული ენით. გაწაფული ყური ადვილად დაიჭერს მას ამ კუთხიდან გამოსული ინტელიგენტის მეტყველებაშიც. ამას გარდა, არ შეიძლება ყურადღება არ მიიქციოს ფშაური მეტყველების განსაკუთრებულმა მელოდოიურობამ, მისმა უაღრესად მოწესრიგებულმა რიტმმა.

ყველა ინტონაციურ საშუალებათა აღწერა ძნელი საქმეა და ამ ეტაპზე შეიძლება არც მოხერხდეს. ჩვენ შევეხებით ერთ ძირი-

¹ ე. წ. „აქცენტი“, როგორც ცნობილია, ახასიათებს ყველა ქართველურ ენასა და ქართული ენის ყველა დიალექტს. როდესაც ამბობენ, რომ ესა და ეს კაცი მეგრული, სვანური, ხევსურული, იმერული, კახური და ა. შ. აქცენტით ლაპარაკობსო, მხედველობაში აქვთ სწორედ ამ კუთხის წარმომადგენელთთვის დამახასიათებელი სპეციფიური ინტონაცია, რომელსაც ქმნის მეტყველების მელოდოიკა, ტემპი. სხვადასხვა პროსოდიულ ელემენტთა თუ საშუალებათა გამოყენება და სხვა.

თადს—მახვილს, რაც, ჩვენი აზრით, განმსაზღვრელიცაა ფშაური ინტონაციისათვის².

სმენითი შთაბეჭდილებით ფშაურის მახვილის ადგილი განსხვავებულია სპეციალურ ლიტერატურაში დღემდის გამოკვლეული ყველა დიალექტისა და სალიტერატურო ქართულის მახვილის ადგილისაგან (რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ფშაურის მახვილი საგანგებოდ არავის შეუსწავლია). მახვილი ადვილად აღიქმება როგორც ცალკე წარმოთქმულ მრავალმარცვლიან სიტყვაში (ორზე მეტმარცვლიანში), აგრეთვე გაბმულ მეტყველებაში, ფრაზებში. ამ უკანასკნელ შემთხვევაში მახვილი მოუდის არა ყველა სიტყვას, არამედ მხოლოდ ზოგ მათგანს. იქმნება ერთგვარი სამახვილო ცენტრები (შღრ. არნ. ჩიქობავა, მთიულური, გვ. 342). ეს სამახვილო

² მახვილის საკითხს ქართველურ ენებში, ქართულში თუ მის ცალკეულ დიალექტებში არაერთი მკვლევარი შეხება. მახვილს განიხილავდნენ სხვადასხვა მასალაზე სხვადასხვაგვარი მოცულობით. მახვილს მთიულურ დიალექტში ეხებოდა პროფ. არნ. ჩიქობავა ჟურნალში 1924 წელს. მისი აზრით, ხმოვანთა სიგრძითი შთაბეჭდილება მთიულურში, რომელიც იქმნება სიტყვაში ბოლოდან მეორე მარცვალზე, არის ტონური მახვილი, ტონის გარკვეული მოდულაცია (ბენედიქტე ჩიქობავა, გრძელი ხმოვნები მთიულურში, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, IV, 1924, გვ. 333 და შმდ.). იგივე ავტორი ეხება მახვილის საკითხს ძველ ქართულში, სადაც, მისი აზრით, მახვილი ფიქსირებული არ იყო რომელიმე მარცვალზე, არამედ იყო მოძრავი. მახვილი ინტენსიური იყო და მას შინაგანად უკავშირდებოდა ხმოვნის რედუქცია ფუძესა თუ აფიქსში. ახალ ქართულთან დაკავშირებით ავტორი ამბობს, რომ აქ „მახვილის საკითხი, პირველ ყოვლისა, არის რიტმული ჭეუფის, ფრაზის მახვილის საკითხი: მახვილის ამოცანა, უწინარეს ყოვლისა, ფრაზაში უნდა იქნეს დასმული და გადაჭრილი“ (ხაზი ავტორისაა—გ. ც.) (არნ. ჩიქობავა, მახვილის საკითხისათვის ძველ ქართულში, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. III, № 2, 3, 1942, გვ. 299); ქართულის მახვილზე მსჯელობს ნ. მარონაშვილი „Грамматика древнелитературного грузинского языка“, 1925. მისი აზრით, მახვილი ქართულ მრავალმარცვლიან სიტყვაში ზის ბოლოდან მეორე, ან მესამე მარცვალზე. იგი ამ მარცვლებზე თავისუფლად მონაცვლეობს. ასე რომ, ერთნაირად შეიძლება ქართველი და ქართველი, მარგალიტი და მარჯალიტი. ერთმარცვლიანი სიტყვები, მისი აზრით, მახვილს იღებს მხოლოდ ე. წ. „სამახვილო კომპლექსებში“ (ударные комплексы), რომლებშიც ისინი ერთიანდება მრავალმარცვლიან სიტყვებთან ენკლიტიკებად ან პროკლიტიკებად“ (დასახ. ნაშრ., გვ. 13—16); ქართულის მახვილზე საფუძვლიანი მსჯელობა აქვს წარმოდგენილი ს. გორგაძეს წიგნში „ქართული ლექსი“, 1930 წ. იგივე ავტორი მახვილის საკითხს შეხება ქვემოთ კიდევ 1912 წელს წიგნში „ქართული წყობილსიტყვაობა“. დღეს ჩვენი შეხედულება ქართულ მახვილზე საგრძნობლად შეცვლილი და შესწორებულია. — აღნიშნავს ავტორი. ერთმარცვლიანი სიტყვები მისი აზრითაც უმახვილოა. ორმარცვლიან სიტყვებში მახვილი ბოლოდან მეორე მარცვალზეა, სამმარცვლიანებში —

ცენტრი შეიძლება წინადადებაში იყოს ერთი ან რამდენიმე. შეიძლება იყოს ერთი სიტყვა ან სიტყვათა ჯგუფი, რომელიც უმეტეს შემთხვევაში შედგება სრულმნიშვნელოვანი სიტყვისა და მასთან პროკლიტიკურად ან ენკლიტიკურად დაკავშირებული დამხმარე სიტყვებისაგან. სიტყვათა ეს ჯგუფი ფონეტიკური რეალიზაციის თვალსაზრისით მთლიანია, მეტყველების ნაკადის ერთ მონაკვეთს წარმოადგენს. ასე რომ, ე. წ. „სამახვილო კომპლექსი“ (ნ. მარს), „სინტაქსური ჯგუფი“ (ს. გორგაძე) და „რიტმიკული ჯგუფი“ (ს. ჟღენტი) ფშაურის მიხედვითაც რეალურია. ყველა ეს ერთსა და იმავე ოდენობას გამოხატავს.

მახვილი ცალკე აღებულ სიტყვაშიც და ფრაზის „რიტმიკულ ჯგუფშიც“ თავიდან მეორე მარცვალზე მოდის. როგორც ვთქვით, სმენით იგი ცალკე სიტყვაში შეიმჩნევა მხოლოდ ორზე მეტმარცვ-

მესამე მარცვალზე. ოთხმარცვლიანებში ძირითადად მესამე მარცვალზეა, ოღონდ თუ ამ სიტყვებში თავიდან პირველი და მეორე მარცვლის ხმოვნები უშუალოდ მოსდევს ერთმანეთს, მახვილი ბოლოდან მეოთხე მარცვალზეა (საუბარი); კომპოზიტებში, რომლებიც ორ-ორ მარცვლიანი კომპონენტებისაგან შედგება, მახვილი შეიძლება იყოს ერთი — ბოლოდან მესამე მარცვალზე, ან ორი — მეორე და მეოთხე მარცვალზე. ხუთმარცვლიან სიტყვებში ორი მახვილი სავალდებულოა, ამბობს ავტორი, ერთი — მთავარი მახვილი — ბოლოდან მესამე მარცვალზე და მეორე — დამხმარე — ბოლოდან მეხუთე მარცვალზე. ნ. მარსის „სამახვილო კომპლექსს“ ის „სინტაქსურ ჯგუფს“ უწოდებს. „სინტაქსურ ჯგუფში“ შემაჯავლი სიტყვები კარგავენ თავის პირვანდელ მახვილს და, სამაგიეროდ, მთელი კომპლექსი ლებულობს ერთ ან ორ მახვილს იმის კვალობაზე, თუ რამდენმარცვლიანია მთელი კომპლექსი (დასახ. ნაშრ., გვ. 6). გ. ა ხ ვ ლ ე ი ა ნ ი ს აზრით, მთავარი სიტყვათმახვილი ქართულ მრავალმარცვლიან სიტყვაში შესაძლებელია მხოლოდ მესამე მარცვალზე ბოლოდან იგი სუსტი დინამიკურია, მაგრამ მასში ჩანს, აგრეთვე, ტონურობის ელემენტებიც. ქართული მახვილისა და აქცენტუაციის საკითხები ფართოდ იკვლია პროფ. ს. ჟღენტიმ. მან ამ საკითხს რამდენიმე ნაშრომი მიუძღვნა. ამთგან ძირითადია: 1) ქართული ენის რიტმიკულ-მელოდიკური სტრუქტურა, 1965 წელი, 2) ქართული სალიტერატურო ენის აქცენტუაციის ძირითადი საკითხები, 1953 წელი, დაბეჭდილია რჩეული შრომების კრებულში — ქართველურ ენათა ფონეტიკის საკითხები, 1965 წ., გვ. 69—102; 3) ქართული დილაქტების წარმოთქმის თავისებურებათა შესწავლის ზოგიერთი საკითხი, 1957 წ. დაბეჭდილია იქვე; ს. ჟღენტის მონაცემებით: 1) სალიტერატურო ქართულში ცალკე აღებულ მრავალმარცვლიან სიტყვაში თანაბარმახვილიანია ბოლოდან მესამე, მეოთხე, მეხუთე, მეექვსე მარცვლები. ისინი ერთი საერთო რიტმიკული მახვილით წარმოითქმის; 2) ქართული აქცენტუაციის არსებით მომენტს შეადგენს სიძლიერის ერთგვარობა და ტონის სიმაღლის მსუბუქი მოდულაცია; 3) ქართული სიტყვათმახვილი რიტმიკულ-დინამიკურია; 4) ქართულ ფრაზაში ცალკეული სიტყვა ფონეტიკურად არ გამოიყოფა; 5) მთის კოლოებში ადგილის მიხედვით ტონის მოდულაციაში განსხვავება არაა. ეს თავისებური

ლიანებში: ორმრში, ნაკშირი, ნაცარი, საკრდელი, გამრგორვილ, საკრდელი, მასწავლებელი, მოსამსახურე, ნაკრვლარები, დაკრვლე-ბული...

საილუსტრაციოდ მოყვანილ წინადადებებში „რიტმულ ჭგუფ-ებ“ გავხაზავთ:

არ ვიცი მეო. აი... ფულ მდვაო, მიმქონდა, სახლში უნდა მიმტანაო. დამილამდა, — დავდეგო და თქვენ კი გამცვარცეთო. წავალ გიჩვლებთო (მივლ. ცაბ.); ეს რა მწყავით თქვენ, რად მწყავით. განა იმით მოგენდით, იმით გესტუმრეთ, რო ესე მიყავითო. ემაში ფულ მდვა, ეს ნაცარ-ნაკშირ ჩაგიყრავთ და ი... ფულ რა უყავით (მივლ. ცაბ.) ვის გინდათ მკედარი ცოცხალზედავ (მივლ. ცაბ.) ლვილებს ვეძახით ისტები აქვ გაკეთებული თავ-ბრლოში (მივლ. გომეწ.); ხეს ავხყრით ნაქტრქალსა და... შევხყერავთ. იმაში ჩაეაწყდობთ... საგრტხელას ვეძახით: აი ემრდენი ხეა და... თვალმ აქვ ამრტყრილი და იმაში ვაბრუნებთ ი ტარსა (მივლ. გომეწ.).

როგორც ვხედავთ, გაბმულ მეტყველებაში „სამახვილო კომპ-ლექსად“ ანუ „რიტმულ ჭგუფად“ გამოიყოფა როგორც სიტყვები— (მიყავითო, საგრტხელას), ისე სიტყვათა ჭგუფები. მახვილიანი მარ-ცვალი, თუ მარცვლებს ბოლოდან დავითვლით, სხვადასხვა ადგილ-ზე აღმოგვაჩნდება: მეორეზე (ჩაგრყრავთ, ვის გინდათ), მესამეზე (ცოცხალზედავ, გიჩვლებთო, რა მწყავით...), მეოთხეზე (კი გამც-ვარცეთო, იმით გესტუმრეთ (იმით მოგენდით...)) და ასე შემდეგ. მარცვლების თავიდან დათვლის შემთხვევაში კი მახვილი მულამ მე-ორე მარცვალზე იქნება.

მაშასადამე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ფშაურში ცალკე აღე-ბულ სიტყვაშიც და ფრაზის „სამახვილო კომპლექსშიც“ მახვილი თავიდან მეორე მარცვალს მოუდის.

აქცენტაცია სიტყვებს ბოლოდან მეორე მარცვალზე მოუდის (დასკენა კეთდება მთიულურის, ხევსურულის და მოხეურის მონაცემების ნიადაგზე).

აქამდის განხილული ყველა ავტორისაგან განსხვავებული შედეგი აქვს მიღე-ბული იხაბლა თვედორაძეს. მისი აზრით, „ქართულში გვაქვს დინამიური სიტყვათ-მახვილი და ეს მახვილი სიტყვას პირველ მარცვალზე მოუდის (დასაწყისიდან). ეს დასკენა მიღებულია როგორც იზოლირებულად წარმოთქმული სიტყვების სმენითი და ოსცილოგრაფიული ანალიზის შედეგად, აგრეთვე გაბმული მეტყველებისა“ (ი. თ. ე. დ. ო. რ. ა. ქ., სიტყვათმახვილისათვის ქართულში, თბილისის უნივერსი-ტეტი გიორგი ახვლედიანს, 1969, გვ. 65).

² საილუსტრაციოდ მასალა მოგვყავს ჩვენ მიერ სხვადასხვა დროს ადგილზე ჩა-წერილი ტექსტებიდან. მასალა მაგნიტოფირზეა ჩაწერილი და ამდენად სმენითი შთაბეჭდილების კიდევ და კიდევ შემოწმების საშუალება არსებობს.

§ 2. ახლა საკითხი ისმის იმაზე, თუ რა საშუალებებით გადმოვიცემა მახვილი ფაქტორში — ტონის მოდულაციით, ხმოვნის ინტენსივობით თუ სიგრძით?

ჩვენი მასალა სავსეა პირობებშია ჩაწერილი, სადაც, ბუნებრივია, მთხრობელის მეტყველებას თან ახლდა უამრავი გარემოსეული ხმაური — ხალხის, ტრანსპორტის, ხეებისა და მდინარეების, ქარის, შინაურ თუ გარეულ ფრინველთა, ცხოველთა და სხვა მრავალი ხმიანობა. ამიტომ ჩვენი მაგნიტოფონური ჩანაწერების ოსცილოგრაფიული ანალიზით ძნელი შეიქნა ფაქტორის მახვილის ბუნების დადგენა. იმ მცირე მასალამ კი, რომლის გაანალიზებაც ჩვენ შევძელით, შექმნა შთაბეჭდილება, რომ ფაქტორი ინტონაციის ჩამოყალიბებაში მონაწილეობს სამივე ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორი. კერძოდ, აღმოჩნდა, რომ ცალკე ნახშიარი მრავალმარცვლიანი ან ფრაზაში პაუზით გამოყოფილი სიტყვის თავიდან მეორე მარცვლის ხმოვანი ამავე ერთეულის სხვა ხმოვნებთან შედარებით გრძელია. რაც შეეხება „სამახვილო კომპლექსის“ მახვილიან ხმოვნებს, აქ იქმნება ტონის სიმაღლის მწვერვალი და მათი ინტენსივობაც შედარებით მეტია. მაგალითად, ოსცილოგრაფიულად გაანალიზებულ მასალაში გვაქვს ასეთი ფრაზა: „ამ წამთარ რო დაიკოცნეს, ქალო, გომეწარს“. აქ სამი სამახვილო ერთეული გვაქვს (მახვილები გამოყოფილია სმენითი შთაბეჭდილებით). ოსცილოგრაფაზე აღმოჩნდა, რომ პირველი სამახვილო ერთეული ფონეტიკურად ასე რეალიზდება „ამწამთარო“, ე. ი. ჩაწერილია როგორც ერთი მთლიანი სიტყვა. გარდა ამისა, მეორე ა-ს ტონის სიმაღლე 310 ჰერცამდე აღის, როცა პირველი და მესამე ა-ების ტონის სიმაღლე 220 ჰც-ს არ სცილდება, ხოლო ბოლო ი-ს სიმაღლე 200 ჰც-იც არაა. გარდა ამისა, მეტია ამ ხმოვნის ინტენსივობაც. ჩვენ ოსცილოგრაფაზე ინტენსივობას ვზომავდით რხევათა ამპლიტუდის სიდიდით. მაშინ, როდესაც სხვა ხმოვნების ამპლიტუდა 62 სმ-ს არ სცილდება, ამ ხმოვნის შემთხვევაში 70 სმ-მდე აღის. სიგრძე ამ ერთეულის ხმოვნებისა ასეთია: I ა—80 მს; II ა (მახვილიანი)—70 მს; III ა—60მს; IV ო—90 მს.

მეორე სამახვილო ერთეულია — დაიკოცნეს. ამის მონაცემები ასეთია: I ა-ს ტონის სიმაღლე აღწევს 100 ჰც-მდე; II ი-სი — 400 ჰც-მდე; III ო-სი — 180 ჰც-მდე; IV ე-სი — 210 ჰც-მდე. ინტენსივობის მაქსიმუმი I ა-სი — 45 სმ-ია; II ი-სი — 53 სმ; III ო-სი — 33 სმ; ე-სი — 33; სიგრძე — I. ა-სი — 90 მს; II ი-სი — 85 მს-ი; III ო-სი — 50 მს; IV ე-სი — 50 მს.

მესამე სამახვილო ერთეულია გომეწარს. იგი ფრაზიდან პაუ-

ზითაა გამოყოფილი. მისი ოსცილოგრაფიული მონაცემები ასეთია: I ო-ს ტონის სიმაღლე აღწევს 190 ჰც-მდე; II ე-სი (მახვილიანი)—220 ჰც-მდე; III ა-სი 220 ჰც-მდე. ინტენსივობის მაქსიმუმი I ო-სი 47 სმ; II ე-სი—72 სმ; III ა-სი—37 სმ. სიგრძე: I ო-სი—60 მს; II ე-სი—130 მს; III ა-სი—75 მს.

მაშასადამე, ფშაურში მახვილის შთაბეჭდილებას ქმნის ფრაზაში სპაზვილო ერთეულის თავიდან მეორე მარცვალზე ტონის აწევა⁴ და თანმხლები ინტენსივობა, ხოლო პაუზებით გამოყოფილ ან ცალკე აღებულ სიტყვაში — ხმოვნის სიგრძე თანმხლები ინტენსივობით.

შეიძლება ს. ჟღენტის მიერ საერთოდ ქართული და ქართველური ენების მიმართ მიღებული დასკვნა, რომ „ამჟამად ქართულში მოქმედი მახვილი მუსიკალურ-დინამიკური ტიპის რიტმიკული მახვილიაო“⁵, ფშაურის მიმართაც გავიშეოროთ.

§ 3. საინტერესოა მახვილის განაწილება ფშაურ ლექსებშიც. აღმოჩნდა, რომ ფშაური მახვილი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ფშაური ლექსის რიტმის შექმნაში. ამიტომაც, რომ ერთი და იგივე ლექსი სხვა რიტმით იშმის, როცა მას ფშაველი მელექსე ამბობს და სხვა რიტმით, როცა მას რომელიმე სხვა კუთხის წარმომადგენელი, თუნდა მისივე მეზობელი ჰეესური, ამბობს. ფშაური ლექსის ძირითადი სახეა რვა მარცვლიანი დაბალი შაირი. სალექსო სტრიქონი იყოფა სამ- და ხუთმარცვლიან მონაკვეთებად, სალექსო სტრუქტურულ ერთეულებად, ანუ, როგორც მათ ქართულ ვერსიფიკაციულ ლიტერატურაში ეძახიან. მუხლებად. ეს სამ- და ხუთმარცვლიანი მუხლები წარმოადგენს სწორედ „სამახვილო ერთეულებს“ და მახვილი ყოველთვის მოუდის ამ ერთეულს თავიდან მეორე მარცვალზე. თუ მარცვლებს ბოლოდან დავითვლით, სამმარცვლიან მუხლში მახვილი მეორე მარცვალზე იქნება, ხოლო ხუთმარცვლიან სეგმენტში—მეოთხე მარცვალზე. ამიტომ ვამჯობინებთ, რომ მახვილის ადგილის განსაზღვრისას აქაც მარცვლები თავიდან დავითვალოთ.

⁴ ტონის აწევა თავიდან მეორე მარცვალზე ოსცილოგრაფიულად დადასტურებულია სალიტერატურო ქართულშიც (იხ. ი. თეგლორაძე, მითით. შრ. გვ. 66—67). მაგრამ აქ ის კვალიფიკირდება მახვილშემდგომ აწევად. სალიტერატურო ქართულში ტონის მოდულაცია საერთოდ მსუბუქია. ფშაურში კი იგი საკმაოდ ძლიერა და, როგორც ჩანს, მახვილად სწორედ ტონის ეს მკვეთრი აწევა აღიქმება.

⁵ ს. ჟღენტი, ქართული ენის რიტმიკულ-მელოდიკური სტრუქტურა, 25. 137.

ნიმუშები ასეთი იქნება:

ბარში სიცხეში / ყოფნასა
პაქრი ეჭობავ / მთისაო,
შაქლრმა / სალალოზედა
დეკანუხის / პირსაო,
გუნების / გამგარლებელი
წალმე ნიაფი / ქქრისაო.

(მივლ. გომეწ.)

არ გაქრამ / ვინ გიგონა
ჭიგრაულაის / ქმლისაო,
მოგდევდეს / ჭიგრაულაი
ქებს გეგონოს / ცისაო.

(მივლ. მუქო)

— რანდ გიციენ / ხეაზნსეა
უსაქლო / ტყავის ძველანი.
— ხეარამხეს / ტყავის პრას უშლის;
დ. ფერანაფი როგორც / ვერანნი.
შენ ცოლს რო აღარც / ტყავის სევა
აღარც კაბანი / მთელანი.

(მივლ. გომეწ.)

თავის პატრონიმც/ენაცელებ
თავის თვალუციოთელ / ცაცისა,
დავანია / მებრბელნი
ღამბალ ხაქოსა / მზიდვანა.

(მივლ. ვომეწ.)

§ 4. გარდა ზემოთ აღნიშნული მახვილისა, რომელიც ქმნის ფშა-ურის სპეციფიურ ინტონაციას, არის სრულიად სხვა ბუნებისა და სავაგვარი ფუნქციის მახვილიც. ესაა ფონოლოგიური ღირებულების მქონე დინამიკური (სიძლიერის) მახვილი. გვხვდება იგი მხოლოდ ზმნის აღწერით დორმებში. სახელობითი ბრუნვის ბოლო ი-ზე და შემდეგი ზმნის ა (არის)-ს ფუნქციას ასრულებს*:

მემრე სავაყო უფრო ეშმაკი (= ეშმაკია) (მივლ. თხილიანა).
აი ექ რო ქალაი (= აქ რომ ქალია) (მივლ. თხილიანა): წლისა კი ვერ

* სიტყვის ბოლო მარცვალზე ამგვარი დისტინქციური ძალის მქონე მახვილს ქონა შენეშულია ქართული ენის ზოგ სხვა დიალექტშიც. კერძოდ, ხევსურულში ინვილოურში (იხ. აღ. კ ი ნ ქ ა რ ა უ ლ ი, ხევსურულის თავისებურებანი, თბილისი, 1960, გვ. 190); თუშურში (თ. უ თ უ რ გ ა ი ძ ე, თუშური კილო, 1960, გვ. 24). ქართველური ენებიდან ფონოლოგიურად ღირებული მახვილი დაადასტურა ტ ო გ ო გ უ ლ ა ვ ა მ მეგრულში (იხ. მისი, მახვილის ადვილისათვის მეგრულში, თბილისის უნივერსიტეტი ვიორგი ახვლედიანს, 1969, გვ. 109).

არი, ბატარაი (=პატარაა) (მივლ. გომეწ.); აღარც ქალი, აღარც ვაჟი (=აღარც ქალია, აღარც ვაჟია) (მივლ. გომეწ.); იმას ხეთისო ექვივნა, იმ კაცს ჩემს პატარაობინდელდ (=ჩემი პატარაობინდელია) (მივლ. ლაფ.); სათავეშით წყარო უწყინარ (=უწყინარია) (მივლ. გომეწ.).

მესამე სუბიექტური პირის ნიშნის ფუნქციას ასრულებს ასეთი-ვე მაჩვლი II თურმეობითის ფორმებთან:

იმათად წეღებ სანთელი (=წაღებია, გაეტანებინა) (მივლ. თხილიანა); ი ქალს გეგებ იმათად (=გაეგებინა) (მივლ. მუქო).

2. ხმოვანთა სისტემა

§ 5. ქართული ენის დიალექტებიცა და სალიტერატურო ქართულიც წმინდა ფონოლოგიური თვალსაზრისით ერთგვაროვან სურათს გვიჩვენებს: ხმოვან ფონემათა რაოდენობა და მათი პარადიგმატული მიმართებები ყველგან ერთნაირია⁷.

ცნობილია დებულება, რომ ქართული ენის ხმოვნები საერთოდ არ იძლევა დისტრიბუციის მიხედვით ანალიზის საშუალებას ვიწრო ფონოლოგიური გაგებით, მაგრამ თუ მორფოლოგიას მივმართავთ. დავადგენთ მთელ რიგ ხმოვანთმონაცვლეობებს, რომელთა გზითაც შეიძლება მოვახდინოთ მორფოფონემატური კლასიფიკაცია⁸. ეს დებულება ძირითადად სწორად ასახავს ქართული დიალექტების ვითარებასაც. ამ მხრივ კი — დიალექტები საგრძნობლად განსხვავდება ერთმანეთისაგან⁹. როდესაც ვლაპარაკობთ ამა თუ იმ დიალექტის ხმოვანთა სისტემის თავისებურებებზე, იგულისხმება სწორედ ეს მორფოფონემატური დონის თავისებურებები.

⁷ არსებობს თ. უ თ უ რ გ ა ი ძ ი ს მოსაზრება იმის შესახებ, რომ თუშური დიალექტი ადგილი აქვს ხმოვანთა სიგრძით კორელაციას. თუ ეს ასეა, მაშინ თუშური დიალექტი განცალკევებულ ადგილს დაიჭირს ქართული დიალექტებისაგან და მასზე მსჯელობა ყოველთვის ცალკე იქნება საჭირო (იხ. მისი „ქართული ენის მთის კილოთა ზოგი თავისებურება“, 1965, გვ. 51 და შმდ. და „ქართული ენის მთის კილოთა ვოკალიზმი“, მეტყველების ანალიზისა და სინთეზის საკითხები, თბილისი, 1969, გვ. 88);

⁸ ქ ა ნ ს ფ ო გ ტ ი, ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა (თარგმანი ფრანგულადან), თბილისი, 1961, გვ. 12.

⁹ შ. ძ ი გ უ რ ი, ქართული დიალექტოლოგიური ძიებანი, 1970, გვ. III და შმდ.

ხმოვანთა მონაცვლეობებს ქართულ დიალექტებში ადგილი აქვს მორფემათა მიჯნებზე. ამასთან მონაცვლეობები სხვადასხვაგვარია იმისდა მიხედვით, თუ რა სახის მორფემათა შეხვედრასთან გვაქვს საქმე ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევაში: პრეფიქსული თუ სუფიქსური. მნიშვნელობა აქვს იმასაც, ურთიერთმოქმედი ფონემები ორივე აფიქსურია თუ ერთი აფიქსურია და მეორე ფუძისეული. ნათქვამის საილუსტრაციოდ შეიძლება ასეთი მაგალითების მოყვანა:

ქართული დიალექტების ერთ ნაწილში (თიანურში, ქართლურში, კახურში) ზმნისწინის ო ხმოვანი პრეფიქსული ა-ს წინ ა-ში ვადადის. სხვაგვარად რომ ვთქვათ, პრეფიქსულ მორფემათა ნიჯნაზე ხმოვანთა ოა მიმდევრობა იცვლება აა მიმდევრობით: მოარტყა—მარტყა; მოაჭრა—მაჭრა; მოათამაშებს—მაათამაშებს... მაგრამ იგივე არ ხდება, თუ ამ ხმოვანთა მიმდევრობის ა პრეფიქსი კი არაა, არამედ ფუძისეულია: „მოაზრება“-ს ოა არ იცვლება აა-დ. არა გვაქვს „მააზრება“. ასევე არის „მოაფლტება“ და არა „მააფლტება“¹⁰. ასევე სუფიქსურ მორფემათა მიჯნაზე მიმდევრობა აე ვადადის ეე-ში. კოდალა—კოდალეები, წიწილა—წიწილეები. ასკილა—ასკილეები. კოდალა-ს, წიწილა-ს და ასკილა-ს ბოლოკიდური ა კნინობითის სუფიქსია. მრავლობითის -ებ სუფიქსის წინ ის ე-დ იცვლება. მაგრამ როცა ბოლოკიდური ა ძირეულია, იგი -ებ-ის წინ რედუცირდება: კატა—კატები (და არა *კატეები), თხა—თხები, პანტა—პანტები¹¹. როგორც ვხედავთ, ფონოლოგიურად ზუსტად ერთნაირ, ხოლო მორფოლოგიურად განსხვავებულ გარემოში ადგილი აქვს ხმოვანთა განსხვავებულ მონაცვლეობებს.

ამ მოვლენას ადასტურებს არა მხოლოდ ქართული ენის დიალექტები, არამედ საერთოდ ქართველური ენების მონაცემები: ცნობილია, რომ სვანურ ენაში მისი განვითარების გარკვეულ საფეხურზე ადგილი ჰქონდა უკანა რიგის ხმოვნების ასიმილაციურ პალატალიზაციას მომდევნო პალატალური ხმოვნების გავლენით, რის შედეგადაც თანამედროვე სვანურში ჩამოყალიბდა ხმოვანთა ერთობ რთული სისტემა¹². სვანური ენის ლაზხურ დიალექტში ზმნისწინის ა ხმოვნის პალატალიზაციას (უმლაუტს) იწვევდა მხოლოდ

¹⁰ გ. ცოცანიძე, თიანურის ძირითადი ფონოლოგიური და მორფოლოგიური თავისებურებანი, ახალაზრდა მეცნიერ-მეზაკთა შრომები, 1970, გვ. 157.

¹¹ იქვე.

¹² ამ საკითხზე ლიტერატურა იხ. გ. მაკვათარიანი, უმლაუტის ისტორიიდან სვანურში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XVII, 1970, გვ. 94, 1.

პრეფიქსული *o* და *e* ხმოვნები. ფუძისეული *o* და *e* კი *a*-ზე ამგვარ გავლენას ვერ ახდენდა¹³. დამტკიცდა აგრეთვე, რომ სვანურ ენაში ადგილი ჰქონდა პალატალური *e* ხმოვნის ველარიზაციას მომდევნო ველარული *a* ხმოვნის გავლენით, ოღონდ მხოლოდ იმ შემთხვევაში. თუ ასინალატორი *a* ხმოვანი სუფიქსისეული, ან სიტყვის ბოლოკიდური მარცვლისა იყო. ძირეული *a*-ს მიერ პრეფიქსული *e*-ს ასიმილაციის შემთხვევები სვანურში საერთოდ არ იცის¹⁴.

5. ტრუბეცკოიმ სსოფლიოს სხვადასხვა ენების ანალიზის შედეგად უაღვჩინა, რომ ცალკეული ენები და ერთი ენის დიალექტები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან არა მარტო ფონემური და პროსოდიული ელემენტების შემადგენლობით, არამედ ამ სიტყვათაგანმასხვავებელი საშუალებების კონკრეტული გამოყენებითაც. ფონემათა (ან პროსოდემათა) ერთი ნაწილი რეალიზდება მხოლოდ გარკვეულ გარემოში. ამ გარემოებს კი ქმნის ან ფონოლოგიური კონტექსტი. ან სიტყვის სტრუქტურა, მისი ესა თუ ის ნაწილი. როცა ფონემა ხვდება მისთვის უჩვეულო პოზიციაში, იგი განიცდის ცვლილებას, ტრუბეცკოის ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, ხდება ფონოლოგიური ოპოზიციის ნეიტრალიზაცია. იმისდა კვალად, თუ რამ შეპირობა ნეიტრალიზაცია, ფონოლოგიურმა კონტექსტმა თუ სიტყვის სტრუქტურამ, ადგილი აქვს შესაბამისად კონტექსტით შეპირობებულ და სტრუქტურით შეპირობებულ ნეიტრალიზაციებს¹⁵. ჩვენ მიერ ზემოთ მოტანილი ქართული და სვანური ენების დიალექტთა ხმოვანთმონაცვლეობის მაგალითები სტრუქტურით შეპირობებული ნეიტრალიზაციის ნიმუშებია.

ყოველივე ზემოთქმულს მივყავართ დასკვნამდე, რომ ქართული ენის ამა თუ იმ დიალექტში ხმოვანთა დისტრიბუციულ მიმართებებს შესწავლისას (როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ეს მიმართებები კი ძირითადად მორფოფონოლოგიურია), აუცილებელია გამოიყოს მიკროსტრუქტურები და კვლევის დასაწყის ეტაპზე ვიმსჯელოთ ხმოვანთა დისტრიბუციულ მიმართებებზე თითოეულ მიკროსტრუქტურაში ცალ-ცალკე.

აქ ჩვენ განვიხილავთ ფშავრი დიალექტის ხმოვანთა მიმდევრო-

¹³ ა ღ ნ ი ა ნ ი. უმლაუტის შესახებ სვანური ენის ლაშხურ დიალექტში, მეტყველების ანალიზის საკითხები, 1969, გვ. 109.

¹⁴ ბ. ქ ა ლ ღ ა ნ ი, სვანური ენის ფონეტიკა, 1, უმლაუტის სისტემა სვანურში, 1969, გვ. 61.

¹⁵ Н. С. Т р у б е ц к о й, Основы фонологии (თარგმანი გერმანულადან), Москва, 1960, გვ. 256—257.

ზებს და მათს სინქრონულ მონაცვლეობებს სხვადასხვა მიკრო-სტრუქტურებში: პრეფიქსულ მორფემათა მიჯნაზე, პრეფიქსისა და ძირის შესაყარზე. სუფიქსურ მორფემათა მიჯნაზე, სუფიქსისა და ძირის შესაყარზე და ძირეული მორფემის შიგნით. ამგვარი მიდგო-მა ვეტიკრობთ. უზრუნველყოფს, აღწერის ზედმიწევნილობას და ბოლო ეტაპზე ამ მონაცემთა გაერთიანება ნოვაციების შესასწავლ დიალექტურ ერთეულში ხმოვანთა განაწილების ზოგად სურათს.

§ 6. პრეფიქსულ მორფემათა მიჯნის ხმოვანთა მიმდევრობები. ორი პრეფიქსული ხმოვანი ქართულში, როგორც ცნობილია, თავს იყრის ზმნისწინისა და ფუძისწინა ხმოვნების (ქცევისა და გვარის ნიშნების) შეხვედრისას. სხვა შემთხვევები პრეფიქსული ხმოვნე-ბის თავმოყრისა საერთოდ ქართულმა და მამასადაძმე ფშაურმაც არ იცის. ფუძისწინა ხმოვანი ფშაურში ოთხია: ა, ი, ე, უ. ზმნისწინის ხმოვანი კი სამი — ა, ო, ¹⁶. აქედან გამომდინარე ამ მიკროსტრუ-ქტურაში თეორიულად მოსალოდნელია, გვექონდეს შემდეგი ნიშ-დევერობები: აა, აე, აი, აუ; ოა, ოე, ოი, ოუ; ია, იე, იი, იუ.

ენახოთ რა გვაქვს და რა არა:

აა: აანთებენ, გაასაჩივრა, გააკეთა, გაანება, გაანახევრა, დაას-კვნა, დააყენა, წაასხა, ჩააბრუნა, შააგდო, მააქდენენ, მა-ამარაგა, მაახვია, მამაქვ.

აე: გაენაცნაურა, გაეყარნეს.

აი: გადაიკიდა, გადაიცვა, დაიშალა, დაიჭირეს, დაიწმინდება, დაიწყო, დაიყურებს, წაიღებს, წაიყვანს, გაიმართება, გაი-ყვანონ, ჩაიცვა, შაისროლა, შაიყარა, წამაიღო, მაიშორა, მაირიგა, მაიწველება, გამაივლიდენ, მაიხვიოს.

აუ: დაუდიოდა, დაუყარაულდე, დაუწყო, დაუბარებავ, დაუქ-ნივეს, გაუშვი, გაუცვალა, გაუღებდეს, წაუყენებდენ, წაუ-კითხავდენ, ჩაუვიდა, შაუკვეთავ, შაუძვრა, შაუქციეს, გა-მაუღგეს. გამაუძღვოდო, ამაუშვიო, მაუნდა, მაუკლავ.

ოა: ჩამოაბამთ (ჩვენ). წამოალთ (ჩვენ) გამოაცხობთ (ჩვენ). მო-აკობთ (ჩვენ). მოალომლებდით (ჩვენ). წამოასხი (მე).

ოე: მოესწარ (მე). მოერიდე (მე), მოერივი (მე).

ოი: მოიგონე (მე), ჩამოიღებდით (ჩვენ), გამოიარეთ (ჩვენ),

.. მოიშორეთ (ჩვენ), არ მოიტანევ (მე).

¹⁶ სალიტერატურო ქართულსა და რუკი დიალექტისაგან განსხვავებით აქ არა გვაქვს ე ხმოვანი ზმნისწინი შე, გვაქვს შა. ვრცელი მსჯელობა ამაზე იხ. გ. ცო-ცანიძე, თიანურის ძირითადი ფონოლოგიური და მორფოლოგიური თავისებუ-რებანი, გვ. 148—150.

ოუ: მოუკიდეთ (ჩვენ), ამოუშვით (ჩვენ), მოუხარზე (მე).

ია: მიარტყა, მიაუარა, მიაბა, მიაქვის.

იე: მიეც, მიებრუნა, მიეძინა, მიეყიდ.

იი: მიიტანდენ, მიიყვანეს, მიიბრძვის.

იუ: მიუჭარე (მე), მიუჭდებოდენ, მიუძღვა, მიუგზავნა.

იე: მიეკლა, მიეცილა, მიეშველენავ, შამეხვივნეს, შეემზადა, შეეჩვევა, შეეტუბინა, შეეხვეწა, ეულო, დეედენა, დეეძინა, დეებრტყა, გეედვიძა, ეეგლიჯა, ეეყარა, განეეგზავნა, დეეცა, დეებადება, დეეჩვევა.

როგორც ვხედავთ, რეალიზებულია ყველა თეორიულად შესაძლო მიმდევრობა. მაგრამ სანამ რაიმე დასკვნებს გავაკეთებდეთ, საჭიროა ცალკე შევჩერდეთ ოა, ოე, ოი და ოუ მიმდევრობებზე.

ამ მიმდევრობებს ქმნის მო- ზმნისწინისა და პრეფიქსული ა, ე, ი, უ ხმოვნების შეხვედრა, ოღონდ, როგორც მავალითებიდანაც ჩანს, მო- ამ სახით აღნიშნული ხმოვნების წინ რეალიზდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ზმნის ფორმა პირველი სუბიექტური პირის გაგებას შეიცავს. სხვანაირად რომ ვთქვათ, ზმნისწინის ო- ხმოვანსა და პრეფიქსულ ა, ე, ი, უ, ხმოვნებს შორის იჯლისხმება ვ- პირველი სუბიექტური პირის პრეფიქსი, რაც რეალიზდება კიდევაც თანხმოვნების წინა პოზიციაში: მოატყუე (მე, იგი) და მოვქერი (მე იგი). ასე რომ, ეს ო და ოვ ჯგუფი ერთმანეთს მიემართება როგორც კომბინატორული ვარიანტები: ო რეალიზდება ხმოვნების წინ, ხოლო ოვ — თანხმოვნების წინ. როცა ერთ ბგერასა და ბგერათა ჯგუფს შორის კომბინატორული ან ფაკულტატური ვარიანტების დამოკიდებულებაა, ერთი ბგერა განიხილება როგორც ორი ფონემის (ფონემათა ჯგუფის) რეალიზაცია¹⁷. მაშასადამე, ეს ო წარმოადგენს ოვ ჯგუფის რეალიზაციას და, ამდენად, აღნიშნულ შემთხვევაში გვაქვს არა ოა, ოე, ოი, ოუ ფონემათა მიმდევრობები, არამედ შესაბამისად — ოაა, ოეე, ოიი და ოუუ¹⁸. ამიტომ იშვიათის პრეფიქსულ მორფემათა მიჯნის ხმოვანთმიმდევრობებიდან ოა, ოე, ოი, ოუ უნდა გამოირიცხოს.

მო- ზმნისწინის მარტივ ო-ს კი, რომელიც ვ- პირის ნიშანს არ შეიცავს, ა, ე, ი, უ მაქცევრების წინ ენაცვლება: ა, ი, უ-ს წინ — ა, ხოლო ე-ს წინ — ე. ამრიგად, გვაქვს მოსალოდნელი ოა-ს ნაცვლად

¹⁷ Н. Трубецкой, Основы фонологии, გვ. 69.

¹⁸ შლრ. გ. ცოცანიძე, ბიფონემურობის ერთი შემთხვევა თიანურში, თბილისის უნივერსიტეტის გორგი ახვლედიანის, 1979, გვ. 190—192.

აა(მამარაგა, მამზადა, მამხვია). ოე-ს ნაცვლად — ეე (მეეკლა, შეეცოდა). ოი-ს ნაცვლად აი (მაიყვანა, წამაილო, გამაიტანა), ოუ-ს ნაცვლად — აუ (გამაუდგეს, გამაუძღვოდი).

ასე რომ, აა, აი და აუ მიმდევრობები გვაქვს როგორც პირველადი, ისე—მეორეული. ეე მიმდევრობა კი მხოლოდ მეორეული.

უნდა გამოირიცხოს აე მიმდევრობაც, რადგან ჩვენს მასალაში იგი სულ ორიოდ მაგალითითაა წარმოდგენილი და მისგან მიღებული ეე მიმდევრობის უამრავი მაგალითის ფონზე შეძთხვედით ხასიათს ატარებს. ის, ალბათ, სალიტერატურო ენის ფაქტია.


საბოლოოდ ფშაურში პრეფიქსულ მორფემათა მიჯნაზე ხმოვნანთა მოსალოდნელი 12 მიმდევრობიდან რეალიზებულია 8 მიმდევრობა: აა, აი, აუ, ია, იე, იი, იუ, ეე.

აქედან აე, აი, აუ მიმდევრობები პირველადიცაა და მეორეულიც. ია, იე, იი, იუ მხოლოდ პირველადია, ეე კი — მხოლოდ მეორეული.

პირველადი ია, იე, იი, იუ მიმდევრობები იქმნება მი- ზნისწინისა და პრეფიქსული ა, ე, ი, უ ხმოვნების შეხვედრისას (მიატანა, მიიყუდა. მიიყვანა, მიუძღვა); პირველადი აა, აი, აუ მიმდევრობები იქმნება ა-, ჩა-, გა-, წა-, შა- ზნისწინებისა და პრეფიქსული ა, ი, უ ხმოვნების შეხვედრისას: მეორეული აა, აი, აუ კი იქმნება მო- ზნისწინისა და იმავე პრეფიქსისეული. ა, ი, უ-ს შეხვედრისას: მოსალოდნელი ია, იი, იუ მიმდევრობები გარდაიქმნება შესაბამისად აა, აი თა აუ მიმდევრობებად (მარტყა. მაიყვანა. გამაუდგეს). რაც შეეხება მეორეულ ეე მიმდევრობას. ის იქმნება ზნისწინების ა და ი ხმოვნებისა და პრეფიქსული ე-ს შეხვედრისას. მოსალოდნელი აე და ოე მიმდევრობები გარდაიქმნება ეე მიმდევრობად (მეეკლა, მეეცილა. დეეძინა, გეეღვიძა).

§ 7. არის თუ არა რაიმე კანონზომიერი დამოკიდებულება ხმოვანთა ამ სინტაგმატურ მიმართებებსა და პარადიგმატულ სისტემას შორის? ირკვევა, რომ არის.

ხმოვანთა პარადიგმატული სისტემისათვის ფშაურში, ისევე როგორც სალიტერატურო ქართულში, რელევანტურია ლიაობის სამი საფეხური და ორი ლოკალური კლასი: მაქსიმალური ლიაობის ა, საშუალო ლიაობის ე და ი და ვიწრო ი და უ. ე და ი წინა რიგისაა, ი და უ — უკანა რიგისა, ა რიგის მიხედვით ნეიტრალურია. სისტემა სამკუთხაა:



ვნახოთ რა დანოკიდებულებაა ჩვენ მიერ ზენოთ დადგენილ პრეფიქსულ მორფემათა მიჯნის ხმოვანთმიმდევრობებსა და ამ სისტემას შორის. აღნოგვაჩნდება, რომ ამ მიმდევრობებში ხმოვნები ან იდენტურია: აა, ეე, იი ან მათ შორის კონტრასტი მაქსიმალურია. კონტრასტს ქმნის ღიაობის საფეხურები, ან ლოკალური რიგი. გვაქვს აი, ია, აუ მიმდევრობები, სადაც მიმდევრობის წევრები ღიაობის კედურა საფეხურების წარმომადგენლებია, კონტრასტი მათ შორის ღიაობის მიხედვით მაქსიმალურია. არა გვაქვს აე, ეი, აო, იუ მიმდევრობები, რომელთა წევრებიც ღიაობის მომიჯნავე საფეხურების წარმომადგენლები იქნებოდა. გვაქვს იუ მიმდევრობა, სადაც მაქსიმალურ კონტრასტს ქმნის წარმოების ადგილი: ი უკიდურესად წინა წარმოების ხმოვანია, უ კი — უკიდურესად უკანა წარმოებისა.

ერთადერთია იე მიმდევრობა, სადაც ორივე წევრი ღიაობის მომიჯნავე საფეხურის წარმომადგენელია. მაგრამ თუ ნხედველობაში მართო ღიაობის ხარისხს ნიეილებთ, ხმოვნები ასე დალაგდება: ა, ე, ი, უ, ი. ასე რომ, ი-სა და ე-ს შორის კონტრასტი მაინც საკმაოდ დიდია.

როგორც ვნახეთ, ყველა სხვა მოსალოდნელი მიმდევრობა ავტომატურად გარდაიქმნება აქ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთ მიმდევრობად.

შეიძლება დავასკვნათ, რომ ფშაურში პრეფიქსულ მორფემათა მიჯნაზე ხმოვანთა მონაცვლეობებს აპირობებს ორი, ურთიერთსაწინააღმდეგო ტენდენცია: სწრაფვა ხმოვანთა მიმდევრობებში აბსოლუტური იდენტურობისა, ან მაქსიმალური კონტრასტისაკენ.

ჩვენ მსჯელობიდან გამოვრიცხეთ დადასტურებული ია, იე, იი, იუ მიმდევრობები. როგორც სხვა ბუნების, კერძოდ, ბიფონემური ი-ს შემცველი კომპლექსები. თუმცა იშვიათად, მაგრამ მაინც დასტურდება ფაქტები, სადაც ეს ბიფონემური ი-ც განიცდის ცვლილებას მომდევნო ა-სა და ე-ს მეზობლობაში. ია იცვლება უა-დ. ხოლო იე — უე-დ:

ა) გამუანახევერე (მე), თვალი მუავლე (მე), სანამდი მუალ; გა-მუაქდინე (მე); გამუალის;

ბ) გონთ მუედ, წამუედით, აღარ მუეშევი, მუეწიე, მუერიო.

ეს ფაქტები იმავე მაქსიმალური კონტრასტის ტენდენციის გამოხატველი უნდა იყოს: უ და ა ლიაობის კიდურა საფეხურის წარმომადგენლებია, ხოლო ე და უ ერთმანეთს უპირისპირდება როგორც ლიაობის საფეხურით, აგრეთვე წარმოების რიგით.

ზემოთ დადასტურებული საერთო წესებიდან ანოვარდნილი თითო-ოროლა ფაქტი ხევესურულის გავლენას უნდა ნიეწეროს. აი ისინიც: „ჩაეცვა წითელ პერანგი, წინ დილით შეეყარაო“ (რაზიკ. 153). ფშური ნორმით უნდა იყოს „შეეყარაო“. „რას გამაეკიდე მა ეშმაკ-იუდათა“ (მივლ. თხილ.). უნდა იყოს „გამაეკიდე“. „ზამთარს ჩანუდის ზუაჲია“ (ვაჲა, II, 33). უნდა იყოს „ჩამაუდის“.

§ 8. სუფიქსურ მორფემათა მიჯნაზეც და ძირისა და სუფიქსის შესაყარზეც არა გვაქვს მოსალოდნელი აე, აო, ოე, ოა და ეა ზმონთმიმდევრობები. მათ ნაცვლად რეალიზდება შესაბამისად ეე, ოო, უე, უა და ია.

1) ეე, რომელიც ცვლის აე კომპლექსს: ა შეიძლება სუფიქსურიც იყოს და ძირეულიც:

ა) აე—ეე, სადაც ა სუფიქსური მორფემისაა: მაგისტანეები (—მაგისტანეები) ბევრი რამე იყო (მივლ. ლაფ.); ბედისკვერეებს (—ბედისკვერეებს) გამოაცხოზდით (მივლ. ლაფ.), ისეებ რაჰთეენის ჩნისეებ (—ჩნისაებ) იქნებოდეს (მივლ. გომეწ.); დავიკამს ემა ცხვარეებსაც (—ცხვარეებსაც) (ხირნ. უძ.); დავხარშე წილობეები (—წილობეები) (რაზიკ. 195); საგრეხელეებ ვაჰრელე (—საგრეხელეებ) (რაზიკ. 248);

ბ) აე—ეე. სადაც ა ძირეული მორფემისაა: ისეთა ბიძეები (—ბიძეები) ხყვანდენ ერეკლესა (მივლ. ლაფ.); რეებია? (—რაებია?) (მივლ. გომეწ.); კიდეც რეებიმ (—რაებიმ) დადიოდენ (მივლ. გომეწ.); ბულეებს (—ბულაებებს) მილალაედენ; დაესენ ცოლისდეებსა (—ცოლის დაებსა) (რაზიკ. 145); ჰიჩუელთ ახალგაზდეებს (—ახალგაზდეებს) გახარებია ყველათა (რაზიკ. 195). გამონაკლისის სახით გვაქვს აე კომპლექსიც: იმაებს კი მაუარე (მივლ. თხ.); წიგნ მე არ ვიცოლი, რო ისტორიეებ, ისეებ წამეკითხა (მივლ. ცაბ.).

2) ოო, რომელიც აო-ს ცვლის: ეხლა ჰვა ვისროლოთ ვიჯილდოოთო (—ვიჯილდოოთო) (ხორნ. უძ.); შდრ. ჰილდა — საბაკეს არ შეეცილნეთ. ჰილდაზე თოფის სროლასა (რაზიკ.). კიოოთ (—კიოოთ) დაისვენებენ, მოვშორდი ჩარჯალელებსა (მივლ. ჩარჯ.);

3) უე, რომელიც ოე-ს ცვლის: დამაწყებინა ცხრუება (—ცხროება). (ხორნ. უძ.); ხატში ჰადების გრუება (—გროება) (ხორნ. უძ.).

მოგვივიდა რა დრუება (—დროება) (ხორნ. უძ.): შუაფხუელია (—შუაფხოელია) (ხორნ. უძ.): კარხედ უღგან კურუები (—კურაობი) (რაზიკ. 134): ჭიხელთ (—ჭიხოელთ) ახალგაზღვებ... (რაზიკ. 135): აფხუშუელნი (—აფხუშოელნი) ჭიშანი ხალხნი ყოფილან: ხბუების (—ხბოების) საბებნელად ვიყავ: უთუოდ აფხუშუელთ უქირსო (ვაჟა. V, 32).

4) უა, რომელიც ოა-ს ცვლის: შენ პატრონ ველარ ჩამუა (—ჩამოა) (ხორნ. უძ.): მოხველა. მაჰაანახლისო, კი მამერგუა (—მამერგოა) ბეგარა? (რაზიკ. 236): კარგი ყმა ხმალსა ჩაწედავს, გამიჭრისუა (—გამიჭრისოა) თუ არა? ცუდაი ქალსა დანაზსა — შამიხვეესუა (—შამიხვეესოა) თუ არა (რაზიკ. 116).

5) ია, რომელიც ეა-ს ცვლის: კი დააბიზღია (—დააბიზღია) ზებო, პა შვილავ (ხორნ. უძ.); რა კარგია ქალთან წოლა, უბიაში (—უბეში) ხელანია (რაზიკ. 244): ბოსელაში მისტუმრია (—მისტუმრია) (რაზიკ. 184); შენ დაჰკარგია (—დაჰკარგია) თიკნები (რაზიკ. 163): კარგა არ შაუფერია (შაუფერია) ნდობა სიყუარულს ჩემსაო (რაზიკ. 145): შენ საქმარიას ვაჟასა, ურჯულომც დაჰკარავს მაჟარსა (რაზიკ. 155); აქ საწინდიია (—საწინდია) დახვეული (მივლ. გომეწ.): ქალთათაი რა საცოლია (—საცოლია) (ვაჟა, IV, 269): კი დაუგია, რა ჰქენ? (ვაჟა, IV, 210).

§ 9. როგორც ვხედავთ, ხმოვანთა მიმდევრობების ცვლას ამ ნიკროსტრუქტურაში იგივე ტენდენციები აპირობებს. რაც ამავე რიგის პრეფიქსულ მორფემათა მიჯნაზე—სწრაფვა აბსოლუტური იდენტურობისა ან ნაქსიმალური კონტრასტისაკენ: ლიაობის მომიჯნავე საფეხურების წარმომადგენელი ხმოვნების აე მიმდევრობა იცვლება ეე-თი, ლიაობის ერთი საფეხურის წარმომადგენლების ოე მიმდევრობა იცვლება უე-თი, სადაც უ და ე ერთმანეთს უპირისპირდებიან როგორც წარმოების რიგით, აგრეთვე, ლიაობის საფეხურით, ლიაობის მომიჯნავე საფეხურების წარმომადგენელთა ოა კომპლექსს ცვლის ლიაობის კადურა საფეხურების წარმომადგენელთა უა მიმდევრობა, აგრეთვე, ლიაობის მომიჯნავე საფეხურების წარმომადგენელთა ეა მიმდევრობა იცვლება ლიაობის კიდურა საფეხურთა წარმომადგენლების ია მიმდევრობად.

§ 10. ეგვე ტენდენციები რეალიზდება ზოგჯერ სიტყვათა მიჯნაზედაც. როდესაც ხმოვნით დამთავრებული და ხმოვნით დაწყებული ორი სიტყვა ფონეტიკურად ერთ მთლიანს წარმოადგენს:

აე—ეე—ღვე ერთი (—ღვა ერთი) გლაჯი-გლუჯი (მივლ. ლაფ.);

რა ვიცი, რე ეძებნეს (—რა ეძებნეს) (მივლ. გომეწ.); სუ წმიდა ფშა-
ურია ე ეგი (—ა ეგი—აი ეგი) (მივლ. ლაფ.);

ოა—უა—რატუ არ (—რატო არ) მოსძებნითო (ვაჟა, III, 51);
რატუ არ (—რატო არ) იტყვი იმასა (ვაჟა, II, 22); ბიძავ, პურ ხვა-
რა (—ხუარა—ხო არა) გშინო (ხორნ. უძ.); თქვენ ხვარომნისა
(—ხუარომნისა—ხო არ რომნისა) არი ეგეო (ხორნ. უძ.).

ბოლო ორი მაგალითი საინტერესოა იმით, რომ აქ ო უკიდუ-
რესად ვიწროვდება და კბილბაგისმიერ ვ-ში გადადის. ხმოვანი იც-
ვლება თანხმოვნით.

§ 11. ხმოვანთა მონაცვლეობები მრავალწევრიან ხმოვანთკომპ-
ლექსებში ხდება იმავე მიმართულებით, რა მიმართულებითაც ორ-
წევრა კომპლექსებში: შვილო, სად არი თქვენ ძალუაიო (—ძალო-
აიო) (მივლ. თხ.); ძალუეებ (—ძალოაებ) დაგიბოზდა, მამაძაღლი
დაზდილები (რაზიკ. 194); აბა კი დაიძინებსოუა (—დაიძინებსოა)...
კი გაიგებსოუა (—გაიგებსოა) (ხორნ. უძ.); ი ჩემ და იქავ არიუა
(—არიოა) (ხორნ. აფშო); ომარამ გითხრაია (—გითხრაეა)? (ხორნ.
უძ.).

§ 12. ფუძის შიგნითა ხმოვანთა კომპლექსები ზოგჯერ არღვევს
დადგენილ კანონზომიერებას. მაგ. ნიკიარ კი იყო საცოდავი
(ხორნ. უძ.); ხეყანა გავაძრილო (ხორნ. უძ.); მაგრამ აქვეა:
ერთი სურიელი (ვაჟა, IV, 208); რანეირად იქნებოდა
(ხორნ. უძ.); სუ სხვანეირები ყოფილან (ხორნ. უძ.); საო-
ბარ უნდა გეგონა (მივლ. თხ.); ემაგით გეობნებო (მივლ.
თხ.), რომლებიც ზუსტად ასახავს მინიმალური სხვაობისაკენ მიდ-
რეკილების წესს.

§ 13. ხმოვანთა ასიმილაციურ ცვლასთან უნდა გვეკონდეს საქ-
მე ზოგ სიტყვაფორმაში:

1) ასიმილატორია ა: აქათ მვარეზე სხვა ერევა (მივლ. გომეწ.);
აქათ მერქნის ცერია (მივლ. ლაფ.) ეგრე აქათ მვარეა (მივლ. ლაფ.);
ემა გრემის აქათ დაგვიხდენ (მივლ. ლაფ.); დაუწყეს იქით ლაპარა-
კი ქისტეთისაკა (მივლ. ლაფ.); საზედაოსავა ჩაებეჭავთ (მივლ. გო-
მეწ.); ბზე ცალკა რჩება, პური—ცალკა (ხორნ. ვანჯ.); რო მიუყვა-
ნავ მეფის ვაჟთანავა (ხორნ. უძ.).

2) ასიმილატორია ი: ისივ აი ნაზოვარზე წასულიყო ი დამწვა-
რი (მივლ. თხზ.); ისრივ დავდებდი იტვირთსა (მივლ. გომეწ.); კალო
ისრი ქვონდა... (მივლ. გომეწ.); ისრივ მიწა მიაყარა (მივლ. ლაფ.);
არ იყო ისითა გზა (მივლ. ლაფ.); ზოგ ძროხა ისითაია (ხორნ. უძ.);

ა ისრი სთიბდენ (მივლ. გომეწ.); ისათა ძალლები გეყვანდა (მივლ. გომეწ.):

§ 14. სინპარმონიზმის თავისებური შემთხვევები ჩანს ფორმებში: კიჳ-კიჳა (მდრ. კაჳ-კიჳა): იმას კიჳკიჳას ვეტყოდით (ხორნ. აფშო); დავადარაბა (მდრ. დავიდარაბა): რამოდენა დავადარაბა გამოიარე (ვაჟა, III, 208).

განხილულმა მასალამ დაგვანახა, რომ ფშაური ხმოვანთა სისტემის თავისებურებას ძირითადად ქმნის ხმოვანთა კომპლექსები, რომლებიც რეალიზდება პრეფიქსულ და სუფიქსურ მორფემათა მიჯნებზე და ამ თავისებურებათა საფუძველია კომპლექსის შემადგენელ ხმოვანთა სწრაფვა აბსოლუტური იდენტობისა ან მაქსიმალური კონტრასტისაკენ.

§ 15. აქვე უნდა განვიხილოთ მოსალოდნელ ვა და ვე კომპლექსთა რეალიზაციები სიტყვის ფუძის შიგნით.

ზოგ ფუძეში, როგორც წესი, პოზიციაში ორ თანხმოვანს შორის (C—C) მოსალოდნელი ვა კომპლექსის ნაცვლად დასტურდება ო ხმოვანი: ისიე აი ნაზოვარზე წასულიყო ი დამწვარი (მივლ. თხ.): შექმული ზოვისაგანა (მივლ. თხ.); ნუ მიხოლო (მივლ. თხ.); ეხლა ე ძროხებსაც გამოგვართომს (მივლ. ლაფ.); მე ფულს არ გამოგართომთო (მივლ. ლაფ.); შავშირდებოდა, რამე, ქობშია (ხორნ. ვანჯ.); ის მავსონ, ი მამის ნათქომი (მივლ. გომეწ.): იმათად არა უთქომ (ხორნ. უძ.); უთქომ ი დისადა (ხორნ. უძ.): ემაგ ლექსაის მათქომი მუალ ახუნის გზისასა (რაზიკ. 54); შავკერე ფაფანაგაი, წამოვალ ჭორობაშია (რაზიკ. 215); თორო წავართომ ძალითა (რაზიკ. 163); კარგსა ვსომთ (ვაჟა, IV, 236); ბევრისა თოფი შავკიდე—სიათა, პირკომლიანი (ვაჟა, V, 18); კარგა ნასომი ვარ (ვაჟა, IV, 209); ყინჩად ვისმე არ უთქომა (ვაჟა, III, 10); კლოვ მტრის თავი მოგცეს ღმერთმა (ვაჟა, IV, 230); კლოვ ხარი ირემი მოგაკვლევინოს რქიანი (ვაჟა, VI, 230).

იშვიათად ამავე ფუძეებთან ვა კომპლექსიც დასტურდება: ზღავს გამოაქანებო (მივლ. თხ.); უთქვამ ბალს (მივლ. თხ.), მაგრამ იქვეა — დედას უთქომ.

გარდა ამისა. ინტერკონსონანტურ პოზიციაში ვა ყოველთვის არ იძლევა ო-ს. არასოდეს გვექნება თოლი, ცხორი, კოლი. ყოველთვის იქნება თვალი, ცხვარი, კვალი, ძვალი და სხვ.

§ 16. მოსალოდნელი ვა კომპლექსი ო-დ რეალიზდება პოზიციაში თანხმოვანსა და ხმოვანს შორისაც (C—V): იდიდოს შენმა სახელმა მთა-ლეღევ ყოილიანი (ხორნ. უძ.); ისრ ჰშვენის ცხენზე,

ვით ველზე. გაზაფხულისა ყოილი (ვაჟა, II, 89); ყოოდენ, როგორც იანი (ვაჟა, V, 18); ახლად ყოოდენ იანი (ვაჟა, II, 23).

გამოდის, რომ ვა კომპლექსი ო-თი იცვლება C—V პოზიცია-შიც, მაგრამ მცირე დიაქრონიული ექსკურსიის შემდეგ ნათელი ღებება, რომ მონაცვლეობა ამ შემთხვევაში მომხდარია თანხმოვნებს შორის, ახლა კი ამ ცვლილების შედეგთან გვაქვს საქმე: აქ ადგილი აქვს ორი ფონეტიკური წესის ურთიერთ დამთხვევას: ფშაურში ლაბიალური ო-სა და მოძღვენო ნებისმიერ ხმოვანს შორის ვ იკარგება (ამაზე საუბარი იქნება ქვემოთ), ოლონდ სანამ დაიკარგებოდეს, იგი ქმნის პოზიციას, სადაც უნდა მოხდეს ვა კომპლექსის ო-დ რეალიზაცია, სიტყვაში ყვავილი ყ-ვ-ს შორის ვა იქცევა ო-დ, ხოლო შემდეგ ამ მეორეულ ო-სა და მოძღვენო ხმოვანს შორის ვ იკარგვის. პროცესი ასე წარმოგვიდგება:

ყვავილი—ყოვილი—ყოილი¹⁹.

§ 17. ცალკეულ შემთხვევაში სიტყვის ბოლოს სალიტერატურო ქართულის თვალსაზრისით მოსალოდნელ ო-ს ვა კომპლექსი ენაცვლება: ძალიან კარგებ იყვა ორივ მხრივ (მივლ. გომეწ.); შაატყვა, რო ეს მაგრა გაშქრისო (მივლ. არტ.); დაატყვა ი დევმა (ხორნ. უძ.); ვერაინ უყვა ავია (ვაჟა, VI, 33); რა უყვათ ბევრი უნახავ ულვამ აშლილი მკვდარია (ვაჟა, II, 33); ან თქვენ რა გიყვათ (მივლ. ლაფ.); ჩვენ რა უყვათ (მივლ. ლაფ.). თავისთავს რალა უყვაო (მივლ. თხ.).

იმის თქმა, რომ აქ ო-ს ვა კომპლექსი ენაცვლებაო, არ იქნებოდა ზუსტი, რადგან ძალიან ხშირად ასეთსავე პოზიციებში, ოლონდ სხვა ფუძეებთან, ო ო-დევ რჩება: იქ დაუწყო (და არა დაუწყვა — გ. ც.) სუნთვაო (მივლ. არტ.). თენება რო დაიწყო... ცის პირ დაიქრა (მივლ. არტ.); არ უგდო ყური (მივლ. არტ.); ველარ თუ გაიძლო მშიერამა (მივლ. არტ.).

როგორც ჩანს, დაატყვა და უყვა ფუძეებთან ვა-ს გამოვლენა უფრო მორფონოლოგიური ფაქტია, ვიდრე ფონეტიკური: ამ ზნა-თა I და II სუბიექტური პირის ფორმებში ფუძის ბოლოკიდური ვ ცოცხალია. ეგევე ვ ჩანს მესამე პირის ზემოთ ნახსენებ ფორმებ-

¹⁹ ასეთ კონტექსტში ინტერესს იწვევს ვაჟასთან დადასტურებული სასვეთ თავი (სასვეთ თავი მითხარ შენ, იქ უნდა ხვრიტოს ჩაი, V, 37). ამოსავალი ფორმა, ცხადია, არის სასვეთ თავი. აქ კი, პირიქით, პროცესი მომხადარა. ვა კომპლექსსა და ე ხმოვანს შორის დაკარგულია ვ თანხმოვანი. შემდეგ კი განხორციელებულა ფშაურის მეორე ფონეტიკური წესი აე მიმდევრობას მოუცია ეე. ამრიგად: სასვეთ თავი → სასვეთ თავი — სასვეთ თავი.

შიც. ოღონდ III სუბიექტური პირის -ა სუფიქსის დართვას ფუძის წიგნითა ე ამოუგდია. ამრიგად: დავატყვე (მე), დაატყვე (შენ), დაატყვა (მან) (და არა დაატყო), უყავ (ვე), უყავ (შენ), უყვა (მან) (და არა უყო).

ფორმები იყო და იყვა თანაბრად იხმარება ერთი ინდივიდის მეტყველებაშიც კი: ცხრა ათის წლისა იყო თუ ვერც იყვ (მივლ. თხ.): მეორე იყვ ფორმა კანონიერი გაგრძელებაა ვიყავ, იყავ, იყვა პარაღამისა. ფშაურში მოქმედი საერთო წესის მიხედვით, რომ ბოლოკიდური ფუნქციური ხმოვნები ფონეტიკურად იკარგება, აქაც III სუბიექტური პირის -ა სუფიქსი დაკარგულია.

აქვე ყურადღებას იქცევს შაახწვრა ფორმა: ფშაველთ სალოცავმ შაახწვრას შენ შინ მშვიდობით მოსვლასა (ვაჟა, II, 12); შაახწვრას ლაშარის ჭვარამა მოხვიდე გამარჯვებული (იქვე); გადაიწია პლაშა და ამააძვრა მაუზერი (მივლ. ქელი). აქ ბოლოკიდური ვა კომპლექსი ო-დ კი არ გადაქცეულა, არამედ ვ-ს მეტათეზისით დაუცავს ზმნის ფორმის თავდაპირველი სახე.

რაც შეეხება ფუძეებს გაიძლო, უგდლო, დაიწყო და სხვა, აქ პირველი და მეორე სუბიექტური პირის ფორმებთან ვ არ გვექნება: დავიწყე, დაიწყე და არა დავიწყევ, დაიწყევ; გავიძლე, გაიძლე და არა გავიძლევ, გაიძლევ, ამიტომ აქ *დაიწყვა, *გაიძლვა მოსალოდნელი არც არის.

§ 18. თანხმოვნებს შორის ერთმანეთს თავისუფლად ენაცვლება ვე კომპლექსი და ო ხმოვანი: იმთონ ხოყანა ექებსო (მივლ. თხ.): ბევრ ხალხ—ხოყანა იყვის მაშინა (მივლ. თხ.): მაგრამ იქვეა: ერთ კვირა სუ იქ იყო მთელ ხვეყანა (მივლ. თხ.); ხვეყანა გავაძლიარო (ლორ. უძ.): — რამთვენის ხნისებებ იქნებოდეს (მივლ. გომეწ.). საყოლოწმინდო — საყველაწმინდო.

§ 19. ვა—ო და ვე—ო წყვილების მონაცვლეობის აქ განხილული მაგალითებიდან ნათლად ჩანს, რომ ისინი ერთმანეთს მიემართებიან როგორც ერთი ფონემის ალოფონები. მათ შორის ფაკულტატური ვარიანტების დამოკიდებულებაა. მაგრამ ამ მხრივ ვა—ო და ვე—ო წყვილების მდგომარეობა განსხვავებულია: პირველი ვა—ო წყვილის ცალეები თუქცა შეიძლება თავისუფლად შეენაცვლნენ ერთმანეთს, ერთის ადგილზე მეორის ჩასმით სიტყვის მნიშვნელობა არ შეიცვლება და არც გაუგებარი გახდება, მაგრამ დიალექტში მათი რეალური გამოყენების თვალსაზრისით სხვადასხვა ფუძეებთან მომხდარა თითოეული მათგანის სტაბილიზაცია. ზოგ ფუძესთან გვაქვს

ვა: ცხვარი, თვალი, კვალი, ძვალი... და ზოგან კი ო: ზოვი, ყოვი, ქობი, ჯორობა, პირკომლიანი და სხვ.

რაც შეეხება მეორე ვე—ო წყვილის ცალებს, ისინი C—C პოზიციაში ნამდვილი თავისუფალი მონაცვლე ვარიანტებია: იხმარება რამთვენი და რამთონი, ხოყანა და ხვეყანა; საყოლოწმინდო და საყველაწმინდო²⁰ და სხვ.

3. თანხმომავანთა სისტემა

ფშაურის თანხმომავანთა ფონოლოგიურ ინვენტარში ყურადღებას იქცევს ორი ერთეული: ერთი არის ფარინგალური ხშული ყრუ-ჟშეინვიერი ჯ, ხოლო მეორე შუაენისმიერი სპირანტი ა.

§ 20. პირველი მათგანი — ჯ — დამოუკიდებელი ფონემა ყველა თავისი განზომილებით²¹. ამ ფონემის ქონით ფშაური დგას იმ ქართულ დიალექტთა წყებაში, როგორცაა: ხევსურული, თუშური, მოხეური, მთიულურ-გულდამაყრული, ნაწილობრივ კახური (ქიზიყური) და სხვ.

მაგალიტები ასეთი იქნება: კელი, ფეკი, კორცი, კევი, გმა, ჯაკი, საჯსარი, აჯალი, კოშარა, კევიბერი, კბოილაად, კაშარი, კსენი და სხვ.

ერთი კი უნდა შეინიშნოს, რომ დღეს ეს ფონემა უკვე გაქრობის გზაზეა შემდგარი. უმცროსი ასაკის ძალიან ბევრი ინდივიდის მეტყველებაში იგი /ხ/-ს ერწყმის. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ხდება /ხ:/ჟ/ ოპოზიციის ნეიტრალიზაცია, ოღონდ არა რომელიმე კონტექსტში, არამედ საერთოდ მთელს დიალექტში, რასაც მივყავართ კონსონანტური სისტემის გამარტივებისაკენ²². ეს მოვლენა რომ ახალია, ჩანს იქიდან, რომ იგი მხოლოდ ახალგაზრდა თაობის მეტყველებაში დასტურდება.

§ 21. მეორე ერთეულს, ა-ს დამოუკიდებელი ფონემური ღირებულება არა აქვს. ის სპირანტების /ხ/-სა და /ჟ/-ს ვარიანტია პრეფიქსულ მორფემათა მიჯნაზე, უფრო ზუსტად ზმნისწინისა და

²⁰ ამ კონტექსტში საინტერესოა ფორმა ყველდე: იქ ყველდე დავალისო (მეღლ. თხ.); არასოდეს შეგვხვდება ყოლდე. მიზეზი გასაგებია: კავშირი ყოველ ფორმასთან (V-C პოზიცია) ცოცხალია. ამიტომ ეს ვე ო-დ არ რეალიზდება.

²¹ ბგერის ფონემურობის განსაზღვრისათვის იხ. Н. С. Трубеекoй. Основы фонологии. გვ. 41 და შმდ.

²² შღრ. Н. С. Трубеекoй, დასახ. ნაშრ, გვ. 25 და შმდ. გ. ცოცხანიძე. თანურის ძირითადი ფონოლოგიური და მორფოლოგიური თავისებურებანი, გვ. 165.

პირის პრეფიქსთა შესაყარზე, ან სიტყვის თავში, თუ წინამავალი სიტყვა ხმოვანზე თავდება. მაგალითად: სახელს შადღებენ (მივლ. ცაბ.); დაადგომიყვნეს მემრე (მივლ. ცაბ.); მაადის წყალი (მივლ. გომეწ.); უკვენ შადღედა (მივლ. ცაბ.); გაატეხენ ამბავს (მივლ. ლაფ.); ხალარჯობასა მჩადიან (მივლ. მალ.); იმან თუ მჩხვლიკა (მივლ. გომეწ.); ჯერ კი დაამირდეს წამოალო (მივლ. გომეწ.); დააბარავს (მივლ. გომეწ.); დაიფქავდენ იმას (მივლ. გომეწ.); იმასა მქონდა აბრაშუნის ფარი (მივლ. ცაბ.); გუდა მკიდებიყო (მივლ. ცაბ.); მაკიდა კელი (მივლ. ცაბ.). ეგევე მ დასტურდება მონოფონემური ბგერათკომპლექსების /მს/ და /მჰ/-ს შემადგენლობაში. ეს კომპლექსები გვხვდება, აგრეთვე, პირის ნიშნებად, რომლებიც სპორადულად ენაცვლება /მ/-ს (აგრეთვე /ს/-ს და /ჰ/-ს); /მს/-პოზიციასში V-C წინაენისმიერი და /მჰ/-პოზიციასში V-C უკანაენისმიერი მაგალითები: ა) გამამსთიბდენ (მივლ. გომეწ.); მაამებნიდენ (მივლ. გომეწ.); თუ რას დაასთესავს (მივლ. გომეწ.); ძუძუსაცა მსწოვდა (მივლ. გომეწ.); ხანჯრითა მსჭრიდენ ერთურთსა (მივლ. ცაბ.). ბ) წისქვილში დამფქვადენ (მივლ. გომეწ.); დამჰპატიჯებდენ ერთურთსა (მივლ. ცაბ.); რაღა მჰქვიან, არ ვიცი (მივლ. გომეწ.); სამ შვილი მჰყოლია (მივლ. ცაბ.).

მაშასადამე, ფშაურის თანხმოვანთა პარადიგმატული სისტემა სალიტერატურო ქართულისებურია იმ განსხვავებით, რომ ხშულ თანხმოვანთა მეექვსე — ფარინგალურთა რიგში მკვეთრ /ყ/-სთან ერთად გვექნება ფშინვიერი /ჭ/-ც.

§ 22. ფშაურის თავისებურებები თვალსაჩინოა თანხმოვან ფონემათა სინტაგმატურ განაწილებაში.

ძალიან ხშირია თანხმოვანთა დაკარგვის, ან მოსალოდნელი რთული თანხმოვანკომპლექსების გამარტივების შემთხვევები. როგორც წესი /ვ/ თანხმოვანი იკარგვის ორ ხმოვანს შორის, თუ ერთ-ერთი წყვილბაგისმიერი /ო/ ან /უ/ ხმოვანია. მნიშვნელობა არა აქვს, ეს /ო/ და /უ/ /ვ/-ს წინ უძღვის თუ მოსდევს; ამავე დროს /ვ/ შეიძლება იყოს აფიქსური ან ძირეული.

ა) /ვ/ პირველი სუბიექტური პირისაა და წინა და მომდევნო ხმოვნები პრეფიქსული ელემენტებია: ჯორა კი გამუაჯდინე (—გამოვჯდინე) (ხორნ. უძ.); მაგას აღარ მუეშვები (—მოვეშვები) (რაზიკ. 181); იმთენა ძალა მამეციო, მაგათ კი მუერიოო (—მოვერიოო) (ხორნ. უძ.); მე იმას ველარ მუეწიე (ხორნ. აფშო); მეორე დღეს წამუედით (—წამოვედით), მუედით (—მოვედით), გაღმუედით

(—გადმოვედით) (მივლ. ლავ.); სანამღი მუალ (—მოვალ) თქვენ-
საო (რაზიკ. 145).

ბ) /ვ/ ძირეული ელემენტია. წინამავალი ხმოვანი პრეფიქსუ-
ლია, მომდევნო — ძირეული: მოიდა (—მოვიდა) და... უთხარ
(მივლ. ლავ.); წამოიდა (—წამოვიდა) ბარგი, ურმები (მივლ.
ლავ.); წნელისა არი მოქსოილი (—მოქსოვილი) (მივლ. გომეწ.);
მეძონძია გამუალისო (—გამოვალისო) (ხორნ. უძ.); შენ პატრონ ვე-
ლარ ჩამუა (—ჩამოვა) (ხორნ. უძ.); დედათქვენი მოალის (—მოვა-
ლის) (ვაჟა, III, 49).

გ) /ვ/ ძირეულია. წინამავალი ხმოვანი ძირისაა, მომდევნო —
სუფიქსისა: კელითაც იქსოება (—იქსოვება) ისი (მივლ. მალ.); ხატ-
ში ქადების გრუება (—გროვება) (ხორნ. უძ.); შენ ყურიც აღარ
მათხუე (—მათხოვე) (რაზიკ. 178); ვერ თუ რას აწუებდა (—აწოვებ-
და) (ხორნ. უძ.).

დ) /ვ/ სუფიქსისეულია. წინამავალიც და მომდევნო ხმოვანიც
სუფიქსისეულებია: ნინოც აქა მყაო (—მყავო) და ბებოცაო (მივლ.
თხილ.). ეგ რაილა გტანაო (—გტანავო) (მივლ. მალ.); მაგის მეტ რა-
ლა გაკლაო (—გაკლავო) (ვაჟა, V, 30);

§ 23. აქ განხილულ მასალასთან დაკავშირებით ორი გარე-
მოებაა ყურადღებამისაქცევი:

ერთი ის, რომ /ვ/-ს დაკარგვის შემდეგ მიღებულია როგორც
ოა, ოე, ოი, აო, ასევე — უა, უე ხმოვანთ მიმდევრობები. ამასთან
უა და უე მიმდევრობები მეორეულია, მიღებულია მოსალოდნელი
ოა და ოე მიმდევრობებისაგან: გამოვალის—გამოალის—გამუალის;
მათხოვე—მათხოე მათხუე. ხმოვანთა კომპლექსებში შემადგენელ
ხმოვნებს შორის მაქსიმალური კონტრასტისაკენ სწრაფვის ზემოთ
დადასტურებული ტენდენციის არსებობას ეს ფაქტებიც უჭერს
მხარს.

მეორე, აქ ჩამოთვლილ შემთხვევაში /ვ/ მხოლოდ ფიზიკურად
იკარგვის. ფუნქციონალურად ის რჩება. მის ფუნქციას კისრულობს
წინამავალი ან მომდევნო ლაბიალური ხმოვანი /ო/ და ის ბიფონე-
მური ხდება (იხ. ზემოთ). ასე რომ, აქ დადასტურებული [ოა],
[ოე], [ოი], [აო], [უა], [უე] მიმდევრობები არის შე-
საბამისი /ოვა/, /ოვე/, /ოვი/, /ავო/) ფონემათა ჯგუფების ფონეტი-
კური რეალიზაცია.

§ 24. /ვ/ იკარგვის, აგრეთვე, მომდევნო /ლ/-ს მეზობლად:
კეესურებ რო შამაილიან (—შამაივლიან), იმათ უნდა დაუყროყი-

ნონ (მივლ. ლაფ.); ის ვერ ილიდა (—ივლიდა) (მივლ. ლაფ.); ვერც გაილიდა (—გაივლიდა) უდედოდა (მივლ. თხ.); სუ დავალიე (—დავაელიე) ქალაქი (რაზიკ. 250); ხეს ახლოსაც არ გაული (—გაუელი) (რაზიკ. 225); რას აკეთებთ და არ გამაილით (—გამაიელით) (ვაჟა, V, 37).

აქა-იქ დასტურდება ვ-ს დაკარგვის სხვა ფაქტებიც: ღთის (—ღვთის) მადმა, მტრისა ჯაბრითა, ქერით გაგვებავ ლურჯაო (მივლ. მალ.); ღთიშვილთ (—ღვთიშვილთ) უკეთეს იციან (ვაჟა, II, 34). მე მეტს ველარ ვესრი (—ვესრვი—*ვესრევი) (ვაჟა, V, 35). აქ რამდენიმე ფონეტიკური წესის თანამოქმედებასთან გვაქვს საქმე: ამოსავალი ძირია *სრევ. აქედან ვესრევი. ი სუფიქსის დართვა გამოიწვევდა ძირეული ვ-ს რედუქციას. შემდეგ რ-ს მეზობლად /ვ/-ც დაიკარგებოდა და მივიღებდით დადასტურებულ ვესრი ფორმას. როგორც ცნობილია, დიალექტთა ერთ ნაწილში ვ არ იკარგვ-ვ-ს. არამედ გადაისმის ზოლმე რ-ს წინ.

§ 25. მარტივდება /ლ/-ს შემცველი თანხმოვანთ კომპლექსები ამ უკანასკნელის დაკარგვის გზით: რაწამ სინათე დეეტყო (მივლ. გომეწ.); იქაც სახ-გომური ქვონდა (მივლ. გომეწ.); ღვთის მადმა, მტრისა ჯაბრითა... (მივლ. მალ.); ნეტა ვინ მამცა პრიჩაი, შენტვი(ნ) ცეცხ შამამეყარა (რაზიკ. 236); ცა გაუწითდა სნეულსა (ვაჟა, II, 81); ძმობის შადმა (ვაჟა, IV, 210); ღმერთმა მოგცეს მუხში ჯანი (ვაჟა, V, 296); იმ ძაღთი ძაღლი სარდალი (ვაჟა, II, 12); მაგ ძაღთ ძმათ სისხლიც მიმართებს (ვაჟა, II, 81); ჩვენ სახ-კარ ჩამოშლილიყო (ვაჟა, II, 11).

ამ ფაქტების მიხედვით შეიძლება ვთქვათ, რომ /ლ/ იკარგვის წინაენისმიერ ხშულთა და ფარინგალურ სპირანტთა მეზობლობაში.

§ 26. ფონეტიკური გამარტივების შედეგი ჩანს ფორმა ბატატარა (პატარ-პატარა). სხვებ კიდენ მკრებზედა ჰქონიათ ბატატარიადა. განვითარების გზა ასე გვესახება: *ბატარ-ბატარა—ბატ-ბატარა—ბატატარა.

§ 27. დასტურდება ცალკეულ თანხმოვანთა დაკარგვის არასისტემატური შემთხვევები: მიხყება წყემსი (—მწყემსი) (მივლ. გომეწ.); ერთუთს (—ერთურთს) ვერ იცნობენ (მივლ. ლაფ.); მოჰყევ ზალტეთა შერასა (—ჟღერასა) (რაზიკ. 158); ჯამაგირს მოგცემ, სარდოსა (—საზრდოსა) (ხორნ. უძ.).

/რ/ ჩანს დაკარგულ ფორმებში: დაშია, გადავში: ფეხსაცმელ კიდენ იმაში დაშია (—დარშია—*დაშრია) (ხორნ. უძ.); კინალამ აბეშიკმ მამკლა, გადავჩი (—გადავჩი—გადავშრი) (ხორნ. უძ.).

თუ მაგალითებს დავაკვირდებით, აქ განხილული ფონეტიკური გამარტივებების შედეგად დაკარგული თანხმოვნები ამ კონკრეტულ შემთხვევებში ფუნქციურად ნაკლებად დატვირთულია: სათანადო მნიშვნელობათა გადმოცემა ადვილად ხერხდება მათ გარეშეც. ჩვენის აზრით, აქ უნდა გვქონდეს ენაში ცნობილი ეკონომიის პრინციპის რეალიზაციის შემთხვევები²³.

§ 28. ორი ეტიმოლოგიური რ-ს შეხვედრისას ერთი ფონეტიკურად იკარგვის, თუმცა ეს ერთი [რ] ფუნქციურად ორივეს ტოლია. ამდენად, აქ უფრო გემინაციასთან უნდა გვქონდეს საქმე, ვიდრე დაკარგვასთან. ვეღაროდის (←ვეღარ როდის) გააცალა (მივლ. თხ.); ჯერაო კი ვეღაროდის (←ვეღარ როდის) მიუდევო (მივლ. თხ.); იქ ვერასა (←ვერ რასა) აქელავსო (მივლ. თხ.); ვეღაროდის (←ვეღარ როდის) თუ მაიგონა (მივლ. თხ.).

§ 29. გვხვდება პირიქით, თანხმოვანთა განვითარების ფაქტები. თითქოს ესა თუ ის თანხმოვანი ზედმეტია, ამ „განვითარებულ“ ფონემის ეტიმოლოგიური ახსნა არ ხერხდება. მაგალითად, შ სიტყვაფორმებში: მამაშჩემი, დედაშჩემი, პაპაშჩემი, ბებოშჩემი: მამაშჩემ იქავ არი (მივლ. შარაკ.); დედაშჩემ არცა გინახაო? (მივლ. თხილ.); ბებოშჩემ ცოცხალივ იყო (მივლ. მალ.); პაპაშჩემს უთხოვავ რძალი (ხორნ. უძ.); შენ რო ეგეთა პატივ ეცი მამაშჩემსაო (ხორნ. უძ.).

ფონეტიკური ჩანართი ჩანს ნ ფორმებში: იძახნა, ეხვეწნა, გამაძხენა: ეძებნესა-დ, აბა, ბა, ბა, ბა. ვერაფერ ვერ გაიგეს (მივლ. თხ.); იარა იმ დღესა, იტრა იძახნა (მივლ. თხ.); ოთარმ რამდენჯერ მხხვეწნა (მივლ. გომეწ.); გადახედნება მწადიან (მივლ. გომეწ.); გაიტანდენ კმიანდსა (ხორნ. უძ.); გაზაფხულის წმინდასა... (ხორნ. უძ.); დაიცა აბა გავხედნებ (ვაჟა, IV, 214); ჩამორბის, ჩამოუძახნებს კაცი ახადის გორითა (ვაჟა, II, 82); მალიმალ გამაძხედნებენ ყელსა ახადის მთისასა (ვაჟა, II, 12).

დ არის განვითარებული სიტყვაში დეგება (ეგებ); ბალოდ არი, გალადდება, დეგებ ვაშლებ დაქელოსა (მივლ.); ეხლა მკითხავთჲს მიმგზავნის, მიზეზით ვიყო დეგება (რაზიკ. 221); ვეფერები ლამაზ გოგოს, დეგებ დავიხელისაო (რაზიკ. 171); დეგებ კარგა მაუარო თავის საყმო-საჯელოსა (რაზიკ. 205).

²³ Л. Мартиге, Основы общей лингвистики (თარგმანი ფრანგულიდან) Новое в лингвистике, III, Москва, 1963, გვ. 532 და შმდ.

ვ ჩანს განვითარებული შემდეგ შემთხვევებში: ვერქვანს ვე-
ძახლით (ხორნ. ვანჯ.); თოენა-ბუქვ იყო, ზამთარი (ვაეა, V, 152).

ფორმებში ნაციზგარი და საკიდვარი ვ ნა—ევ და სა—ევ კონფიქ-
სისეული უნდა იყოს: *ნა-ციზ-ევ-არ-ი, *სა-კიდ-ევ-არ-ი: სუ წააგეს
ჯორებიცა და იმათ საკიდვარიცა (ხორნ. უძ.); კიდენ ზენ ნაციზვა-
რია (მივლ. გომეწ.).

ზედმეტია მ: ეხლა მძლივა მთქვი მართალი (მივლ. ლაფ.);
ზედმეტია ს: სტორგში ჩავაგდებ საქონსა (ხორნ. უძ.).

§ 30. თვალსაჩინოა თანხმოვანთა მონაცვლეობის ე. წ. სუბ-
სტრუქციის მაგალითები. ხერხდება თითქმის ყველა ამგვარი ჩა-
ნაცვლების ფონეტიკური საფუძვლის დაძებნა.

1) ბგერითი ანალოგიის შედეგი ჩანს გ-ს მაგივრად ყ-ს გამოვ-
ლენა ფორმაში ყველყან: სუყველყან დავარტყი, კელებშიაც, ზურ-
გშიაც, მკრებზედაც, სუყველყან (მივლ. გომეწ.): სუყველყან დაიკ-
ლეს (იქვე); ყველყან საძოვრებია (იქვე); თოვლი სულყველყან
დაზვევდება (მივლ. თხილ.):

2) კენ კე კ თანდებულთან ანალოგიის საფუძველზე უნდა
ცვლიდეს გ-ს კ გან თანდებულში: დედაც სხვაკან სადამა ყოფი-
ლიყო (მივლ. თხ.); ზოკან მშრალიც არიო (მივლ. თხ.); ზოკან ბებ-
რის ციხეს ეძახდენ (გომეწ.) ცხვაკან სადამა მზიდავდიან (მივლ.
ლაფ.); ზოგ სხვაკან გადავიდა (მივლ. ლაფ.); სხვადასხვაკან მეექვლა
კიდენ ეგრე (მივლ. გომეწ.); ...რამთვენკან ან ნადირს შაიხედებოდა,
რამთვენკან ან წყალსა, ან კლდესა (მივლ. თხ.); შენ ერთკან წყალ-
თან მიხვალ (ხორნ. უძ.): ზოკან მიივმა ნატანებმა, ზოკან ყაჰის ში-
ბაჰაო (რაზიკ. 181); ერთენისაკ წახვალ — ხმელია, მეორეენისაკ
ზღვა არი (რაზიკ. 110).

3) ასიმილაციურ ნიადაგზე ჩანს შეცვლილი რ ნ-დ სიტყვაში
ნახა//ნახანის (რაზან): ნახანის წყალი მოგწყურდის, სისხლს სვამდი
ჩაქნის პირითა (რაზიკ. 53); ნახანის გეემართება, კოტორ გაჰყვე-
ბა ნისლისა (რაზიკ. 18); ნახანის ველარა გნახავ, ამამიჯდება კენე-
საო (რაზიკ. 154); ნახა ფულ შამააკლდება, ბევრი გზა იცის ხვეუ-
ლი (რაზიკ. 180).

რ-ს მიერ ს-ს ჩანაცვლებად უნდა განვიხილოთ ფორმა რორცა:
რორცა გაყრილან ისეები (ხორნ. უძ.); სუ ემაგ აზბავში არიან რორ-
ცა ენ მაუეაუ (მივლ. უძ.); კბოს რორცა შაუტვდება (ხორნ. აფშო).

შეიძლებოდა ეს ფორმა განგვეხილა, როგორც რ-ს განვითარე-
ბის მაგალითი, მაგრამ ფშაურშივე როსაც ფორმის არსებობის ფაქ-

ტი. (ძმებთან როსაც მივიდა, ხორნ. უძ), გვავარაუდებინებს, რომ საქმე გვაქვს რ/ს სუბსტიტუციასთან როსცა — რორცა. სუბსტიტუციის საფუძველი აქაც წინამძღვალ რ-სთან ანალოგია ჩანს.

4) უეჭველი დისიმილაციაა -ჭერ თანდებულის გამოვლენა -ჯელ ფორმით: *შენ ორჯელავ ეგრე დავაბრუნე* (მივლ.); *ბევრჯელა ვმჭდარავარ ეგრე ჩემთვისა-ღ' მიფიქრებავ; რა ბევრჯელ დაგტოლებივარ წითელ ვაშლივით ქურზედა* (რაზიკ. 145); *ბევრჯელ გაიშრო მთამ ქელი, ბევრჯელ მოირთო თოვლითა, ბევრჯელაც ვნაზე ცერია-ნი, ვით შუბლს მუშაჲი ოფლითა* (ვაჟა, II, 144)

5) შესაძლებელია რ-სთან დისიმილაციის შედეგი იყო ნ-ს მიერ ლ-ს ჩანაცვლების მაგალითები: *რომენმაც მოქელა ისი, ცარიელა დარჩა* (მივ. გომეწ.); *ავარჩევთ, რომენიც უფრო კაი ვორცია* (იქვე); *თეთრ ფურს რომენი სწველაო* (რაზიკ. 153); *კიდობნისძირ ქალი დაწვა, კიდობნისთავ ყმაო, რომენ, აქდა, რომენ ჩაქდა, ვიღამ გაიგაო* (მივლ. შარაჯ.); *ერთხენაც იქნებოდ, მოკვდებოდ* (მივლ. თხ.); *ხატსაც სასაციინოდ გვიგდებთო, ხალხსაც სასაციინოდ გვიგდებთო* (მივლ. ლაფ.). ამ ბოლო მაგალითში ნ-ს გამოვლენა იცინის პირიან ფორმასთან ანალოგიას უნდა მიეწეროს.

6) რ-ს მომდევნო პოზიციაში სპირანტის აფრიკატიზაციას უნდა მიეწეროს მოსალოდნელი ს-ს ნაცვლად ც-ს გამოვლენის ფაქტები: *ი ბაღლ სად არი, რო არცა* (←არსად) გამოჩნდა (მივლ. თხ.); *ზოვმ არცა* (←არსად) წაიღოსო (მივლ. თხ.); ისითა მამულებ არცად (←არსად) იყო (ხორნ. არახ.); *ცოცხალ არცა იყო* (მივლ. თხ.); *ნეტარ ვერცადა ჰხედავა ლიხში ნადგომსა ცხვარსაო* (რაზიკ. 167); *რბალ არცად წამავალია* (რაზიკ. 181); *კაცი ვერცაით მაპრჩება თავის ბედსა და წერასა* (რაზიკ. 123); *ნურცა წამიხვალ. აქ ამიიარე* (ვაჟა, III, 8); *ნამუხსი აღარცა* (აღარსად) არი და დანდობაო (ვაჟა, III, 49).

ზოგჯერ ეს ც ხშულისა და სპირანტის შერწყმის შედეგი უნდა იყოს: *ვეტყოდით ერთუც* (←ერთუთს—ერთურთს) (მივლ. გომეწ.); *დასტურდება გარდამავალი საფეხურიც: გავავონებთ ერთუთს* (მივლ. გომეწ.).

7) მეტათეზისის შედეგია შემდეგი ფორმები: *იმისა ჩამომბა ვიციო* (მივლ. გომეწ.); *მასპინძელსაც დარდი უსუშმბუქლება* (ვაჟა, V, 83); *შამაკმაზვინა ცხენია* (ვაჟა, II, 81).

8) *კნავს* პირიან ფორმასთან ცოცხალ კავშირს შეუკავებია მეტათეზისი *კნვა* ფორმაში: *ყუვარი კარით ვიციოდით კნვა* (ხორნ. ვანჯ); *კნვა-თესვის გამჩენს შაეხეწეებოლიან* (ხორნ. ვანჯ.).

ფონეტიკური არქაიზმი ჩანს დაცული ფორმებში ჩასთვა ჯა
ესწება: ვასთავთ, ვაბრუნებთ ტარსა (მივლ. გომეწ.); მემრე ი ფარ-
ტენათ ჩავასთავთ (მივლ. გომეწ.); იმას ჩასთვა უნდა (მივლ. თხ.);
აჯან ეგრე ესწებოდა (მივლ. ლაფ).

9) ასიმილაცია უნდა იყოს მ/ნ მონაცვლეობის საფუძველი:
უ ნ ც რ ო ს ს შაახვდა ერთი დროული კაცი (ხორნ. უძ.); ესლა უფ-
როს უ ნ ც რ ო ს ო ბ ა ს ვინლა დაგიდევს (მივლ. შარაჯ.).

10) დისიმილაციური გამჟღერება უნდა იყოს მ/ზ მონაცვლეო-
ბის საფუძველი შემდეგ მაგალითებში: თედუაი ბ ა ტ ა რ ა ი
მყვანდის (მივლ. თხ.) ბ ა ტ ა რ ა ა დ ოლივ აჩქამდაო (მივლ. თხ.);
დავითო კიდენ ბ ა ტ ა რ ა ი ყ ვ (მივლ. თხ.); აი ბ ა ტ ა რ ა ბა-
ლებ შამოდიან (მივლ. გომეწ.). სად არი მაშინ ბეჩავი ლევა ბ ა-
ტ ა რ ი შ ვ ი ლ ი ა (ვაჟა, I, 57); ბ ა ტ ა რ ა ს, ბ ა ც ქ ი ნ ტ უ რ ე ლ ა ს.
უძუძუობით მთვრალასა (ვაჟა, I, 61)²⁴.

§ 31. ფონეტიკური საფუძველი მთლად ნათელი არაა ზოგ მო-
ნაცვლეობებში.

1) ქ/ხ: იარა მთედ ხ ვ ე ყ ა ნ ა მ ა (მივლ. თხ.); ბევრ ხალხ-
ხ ო ყ ა ნ ა იყვის მაშინა (მივლ. თხ.); ის მინდარისო, რო ჩემ
ხ ვ ე ყ ა ნ ა შ ი წამიყვანო (ხორნ. უძ.).

2) ვ/ნ: აღარ მ ა ჯ ს ო ნ, შვილო, განა კი მ ა ჯ ს ო ნ (მივლ.
გომეწ.); მ ა ჯ ს ო ნ დ ა, ამ დღეს ხოშარელთ აქ ექნებოდათ ხა-
ტობა (ვაჟა, II, 75).

II. მორფოლოგია

1. სახელთა ბრუნვა

სახელთა ბრუნებისას ფშაური დიალექტი ლიტერატურულ-
ქართულისა და ბარის კილოების ფონზე რიგ თავისებურებებს აჩვენ-
ებს როგორც ბრუნვათა დაბოლოებების, ისე მათი ფუნქციების
თვალსაზრისით. ვითარების უკეთ წარმოდგენის მიზნით ბრუნვენს
ცალკე-ცალკე განვიხილავთ.

§ 32. სახელობითი. ბრუნვათა დაბოლოებებში თავისებურე-

²⁴ გ. ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბილისი, 1948,
გვ. 204.

ბები ვლინდება როგორც ხმოვანფუძიან, ისე თანხმოვანფუძიან სახელებთან.

1. ხმოვანფუძიანი სახელების სახელობით ბრუნვაში არის - დაბოლოება, რაც სალიტერატურო ქართულის თვალსაზრისით მოულოდნელია: მაშინა ბოჩოლაი ღირდა ორ მანათი (მივლ. ლაფ.); აი, ეს თედუაი მენა ბატარაი მყვანდის (მივლ. თხ.); გაუგზავნავის ი დეპეშაი (მივლ. თხ.); იმას ვარიაი, ვარიაი მჭქვიან (მივლ. გომეწ.); ცოტაი ხყვანდა, ცოტაი (მივლ. გომეწ.); არაყიან ტიკჭორაიც წყალმ გამტაცა (ხორ. უძ.); ჩემი მირეშაი და კუდბეჭედაი ვალში წაუხსამ არუთინას (ვაჟა, III, 47); მიიბრძვის მხედრის ლურჯაი (ვაჟა, II, 12); ბევრ შენისთანა ვაჟაი გამიშევე ცარიელაო (რახიკ. 144);

2) თანხმოვანფუძიან სახელებთან გვაქვს როგორც -ი სუფიქსით გაფორმებული, ასევე უსუფიქსო, ოდენ ფუძით წარმოღვენილი სახელობითი ფორმები. რაიმე კანონზომიერება ბრუნვის ფორმათა ამ სახეობების განაწილებაში ძირითადად არ დასტურდება. საუბარი შეიძლება მხოლოდ გარკვეულ შემთხვევებში ამა თუ იმ სახეობის უპირატეს გამოყენებაზე:

ა) როცა სახელობითი ბრუნვის ფორმით წარმოდგენილია სახელი ზმნის პირიან ფორმასთან დაკავშირებული, ე. ი. ან ქვემდებარეა, ან პირმიმართი დამატება, აგრეთვე შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი, ბრუნვის დაბოლოება მეტწილად -ია; ერთ ქალ წაიყვანეს კიდევ (მივლ. ლაფ.); ის ცოცხალ აღარ არი (მივლ. ლაფ.); აქით საქონ წაიღეს ლეკებმ (მივლ. ლაფ.); დედაცაც ას წელს არი მიღწეული (მივლ. ჩარგ.); რაკი აბეშიც იყვ (მივლ. ლაფ.); ეგ კაც უნდა შაირთო (მივლ. ლაფ.); ი. თოფ იქ ეკიდებოდა (მივლ. გომეწ.); წილ რას გვეტყვისო (მივლ. თხ.); იქათ ჭევ იყო (მივლ. თხ.); ეხლა კი დიდ იქნებოდა (მივლ. თხ.); ქმარ კი არა მხყვანდა შინა (მივლ. თხ.); ცოტაად თავმოშლილებ კი იყო (მივლ. გომეწ.); ქობის ყურშატში საჯნის წავიდა (მივ. გომეწ.); მოკირთულ იყო ი ნაპირზედა (მივლ. გომეწ.); იქნება ოქროვერცხლ იყოს (მივლ. გომეწ.); ფოთოლ აღარ იყვის (მივლ. თხ.); წყალ გადაიოდა თოვლსა (მივლ. თხ.); იანვარ გალიოდა (მივლ. თხ.); დეეძახა იმისადა, რო ციგროშვილ გამოიდესო (მივლ. თხ.); ეშმაკ თუ არისო (მივლ. თხ.); გვერდალ იყო, რაზედაც მოდიოდა (მივლ. თხ.); იქ მენ ჭორ ჩამივარდა წყალშია (ხორნ. უძ.).

მაგრამ ზოგჯერ ასეთსავე შემთხვევებში შეგვხვდება -ი სუფიქ-

სით გაფორმებული სახელობითი ბრუნვაც: არც ფული მაქონია (მივ. თხ.); იქ დაბადებული ვარ (მივლ. ცაბ.); აი ემოდენი ხეა (მივლ. გომეწ.); გეეჩარა საენისი ი ყურშატში (მივლ. გომეწ.); იმაზე ფიჩხი იყვის დაკრული (ხორნ. ვანჯ.).

ბ) როგორც წესი, უგამონაკლისოდ ბრუნვის \emptyset ნიშნითაა წარმოდგენილი მსაზღვრელად ხმარებული სახელი, იქნება ის ზედსართავი, რიცხვითი თუ ნაცვალსახელი. ამასთან საზღვრული შეიძლება იყოს როგორც \emptyset , ისე -ი დაბოლოებით წარმოდგენილი: აი ემეების ალალ ბიძაშვილ იყო (მივლ. თხ.); მსხვილ ხალხი ყოფილა უწინ (მივლ. გომეწ.); მე თექიან კაც არც კი მინახავ (მივლ. გომეწ.); ირმიან ფარდავ არც მინახავ (მივლ. გომეწ.); ისეთ დიდ სოფელ კი არ არი (მივლ. ლაფ.); ცამეტ-ცამეტ მანათ წაგვართვეს (მივლ. ლაფ.); აი ეს ხუთ-ექვს სახლ იქნება (მივლ. ლაფ.); ცამეტ არშინ გამოართვი და ათ კოდ პურ აუწყე (მივლ. ლაფ.); ორ ცხენი გვეყვანდა (მივლ. გომეწ.); ბევრ ფურები მყავ (მივლ. გომეწ.); რარივ ადგილი გაქვთ (მივლ. გომეწ.); ოთხ შვილი მყევანდა (მივლ. ლაფ.).

გ) სახელობითი ბრუნვა, აგრეთვე, უგამონაკლისოდ -ი დაბოლოებით იქნება გაფორმებული, როცა სახელი წინადადების ბოლოშია. იყო დიდ თოვლი (მივლ. თხ.); პირმზითია ჩვენ ალაგი (იქვე); გამოარდნილა ეს ბაღლი (იქვე); აღარა ცხოვრობს ბევრ ხალხი იქა (მივლ. ლაფ.); ბოჩოლაი ღირდა ორ მანათი (იქვე); ცროხანმ დაიწყო ღრიალი (მივლ. გომეწ.).

დ) ბუნებრივია, -ი დაბოლოება ექნება სახელობით ბრუნვას, თუ მას ერთვის ნაწილაკი, ან კავშირი-ენკლიტიკა: ეხლა კი ორსამ კომლიდა არი (მივლ. თხ.); კიოთ ცოცხალივ არი ხეთისოი (მივლ. წახვეტ.); ქალი-დ' კაცი, დიდი-დ' პატარა სუ მთა-ტყეთ შეედვა (მივლ. ლაფ.).

ფშაურში სახელობითი ბრუნვა ფუნქციური თვალსაზრისით ლიტერატურული ქართულისაგან განსხვავებულს არაფერს აჩვენებს.

§ 33. მოთხრობითი ბრუნვა. მოთხრობითი ბრუნვა ბრუნვის ნიშნის სანი ვარიანტითაა წარმოდგენილი. ესენია: -მ, -მა და -მან. ეს ნიშნები არაა განაწილებული ფუძეთანხმოვნის და ფუძე-ხმოვნის სახელებს შორის ისე, როგორც სალიტერატურო ქართულში.

1) ძირითადი ვარიანტია -მ და იგი თანაბრად იხმარება ორი-

ვე შემთხვევაში: ვინც იციან ე ჩემებმ (მივლ. გომეწ.); კაცმ როგორ უნდა მოწველოს (მივლ. გომეწ.); იქნებ ან წყალმ წაილოო (მივლ. თხ.); ი შვილმ უთხრა კიდევ (მივლ. თხ.); ემ ჩემ შვილებმ რაკი არ იციან (მივლ. თხ.); ახლა ი თავის შვილებმ დამალონეს (მივლ. თხ.); ზოვმ არცა წაგილოსო (მივლ. თხ.); თბილისელემ წაილეს (მივლ. ლაფ.); ახლა მეორე ქისტმ ჩამაავლია ი სხვისა ქარები (მივლ. ლაფ.); აი ხუშტარის ცოლმ სუ წზიდა ფშაური იცის (მივლ. ლაფ.); აქით საქონ წაილეს ლეკებმ (მივლ. ლაფ.); ცხენმ უთხრა (ხორნ. უძ.); ხელ შავყავ საკეტურშია, ქალემ დამაბეს ღვედითა (რაზიკ. 243); ახლა გოგოთურმ დალოცა (ვაჟა, II, 25); ფშაველთ სალოცავმ შამასწერას შენ შინ მშვიდობით მოსვლასა (ვაჟა, II, 12).

2) -მა ვარიანტის გამოყენება ძალზე იშვიათია. როგორც ჩანს, ბრუნვის ნიშნის ამ ვარიანტში -ა დანართია და უტოლდება ლიტერატურული ქართულის ე. წ. ემფატიკურ ა-ს და იხმარება იმ შემთხვევებში, რა შემთხვევებშიც ეს უკანასკნელი სალიტერატურო ქართულის 'ხმოვანფუძიან სახელთან მოთხრობითში'. უთხრა ი დედამა შვილსა (მივლ. თხ.); სუ ისრე იარა მთელ ზეყანამა — ქალმა, კაცმ (მივლ. თხ.); ი მაზლისწულმ მაიყვანა, ჩემ ბიძა-შვილმა (მივლ. ლაფ.).

3) ძალიან იშვიათად ნევეხდებით -მან ვარიანტიან მოთხრობითსაც. იგი შეიძლება ხმოვანფუძიან სახელთანაც შეგვხვდეს და თანხმოვანფუძიანთანაც: არასადა სთქვაო, მითხრის ჩემ მამამან (მივლ. გომეწ.); ერთხენ დაგვიჭამ მგელმან ცხერები (იქვე).

§ 34. მიცემითი ბრუნვა. ფშაურის მიცემითი ბრუნვა, წარმოების თვალსაზრისით, სალიტერატურო ქართულისაგან თითქმის არ განსხვავდება. აქაც გვაქვს ბრუნვის ნიშნის ორი ვარიანტი — ს და -სა. აქა-იქ შეიძლება შეგვხვდეს მიცემითი ბრუნვის ფორმები ბრუნვის ნიშნის \emptyset ვარიანტით. ძირითადი ვარიანტი არის -ს. მეორე -სა ვარიანტი ვლინდება მეტწილად ლექსებში და აქ თითქოს მართლაც აღჭურვილი ჩანს ემფატიკური ფუნქციით: მთათუშეთით ღალხ მამიდის, ვამუშავებ ქარავანსა, შამოავლებ ლაფანყურსა მარმარილოს გაღავანსა, შენ ცოლს ათას თორმეტ დაზღევს, შენ კი დახ-

1 ემფატიკური ა-ს ხმარების შესახებ ქართულში იხ. თ. ზ უ რ ა ბ ი შ ვ ი ლ ი, მავრცობი ა თანამდროვე ქართულში. ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი პირველი, 1972, გვ. 44 და შმდ.

ვალ ჭანამასა, ერთ გუშინაც ღვეინახე, ზძრავდა ქუდის ყალამანსა. შავგრემანა რაიმ იყო, ღვეანდა ქუჩუყ-ყარამანსა (მივლ. ლაფ.).

ეგვე ვარიანტი რეალიზდება, თუ მიცემითბრუნვიანი სახელი წინადადების ბოლოსაა, ან რაიმე სხვა პაუზის წინ: ტოკლიკას ეძახდნენ იმ ჩემ პაპასა (მივლ. არტ.); ისრე მაჰკვალვენ მიწასა, როგორც თოვლსა (ხორნ. უძ.); ძაღლები მჰყოლია იმასა ორი (მივლ. არტ.).

ღ ვარიანტიანი მიცემითის მაგალითები ასეთია: თიანეთ გაზდილი ვარ მენა (მივლ. ჩარგ.); მემრე კახეთ წამოედით (მივლ. ლაფ.); შირაქში ვიყავ ამ ზაფხულა (ხორ. უძ.).

§ 85. მიცემითი ბრუნვის ძირითადი თავისებურებები მის ფუნქციებში მდგომარეობს. ამ ბრუნვის ფორმებს გააჩნია ის ძირითადი ფუნქციები, რაც სალიტერატურო ქართულში — ასახოს ქვემდებარე თუ პირმიმართი დამატებები სათანადო შემთხვევებში. გარდა ამისა, ფშაურში მათ ვხვდებით სპეციფიური ფუნქციითაც.

1) მიცემითი ბრუნვის ფორმები ფშაურში ძალიან ზშირად გვხვდება ლოკატივებად. ისინი ზუსტად შეესაბამება სალიტერატურო ქართულის -ში თანდებულის ფორმებს: იქ კი ძალიანავე მწადიან, გომეწარსა (მივლ. მალ.); ბევრ სოფელ იყვის მაშინა, იქა. აფშოს (მივლ. თხ.); ლაშარის ჯვარია იმ აფშოსა (იქვე); ჳიჩოს დათხოვდა ქალები, ჳიჩო ბაღდადი ღგონაო, იარონ ბინდაურთასა, ითრიონ ფიჩხის კონაო (მივლ. არტ.); ჩემ პაპა იქ გაღმოარღნილა ბანზეითა, ჳიჩოსა (მივლ. არტ.); მთით ჳალას ჩამოსასვლეღად ფრინველნი ეღირებთან (ვაჟა, II, 51); ღაქაურა სათიბსა ყოფილიყო (ვაჟა, V, 32); კახეთს თოფები ტყვებოღა (ვაჟა, I, 48); ერთ თუშათ ქალა რაიმ იყვის ემა ჩარგალთა (ხორნ. აფშო); მემრე თჳვენს მოსვლა დავიწყე (რაზიკ. 178).

როგორც ჩანს, ამ ფუნქციით გვხვდება უმეტესად ისეთი სახელების მიც. ბრუნვის ფორმები, რომელნიც თავისთავადაც ადგილს აღნიშნავენ: ან გეოგრაფიული საკუთარი სახელია (ჩარგალი, აფშო, ჳიჩო, ღაშარი და სხვ.), ან რაიმე პუნქტის აღმნიშვნელი ზოგადი სახელი (მთა, ბარი, ჳალა და სხვ.); მაგალითად, -ში თანდებულის ფორმას უთანდებულო მიცემით ვერასოდეს შეცვლის სახელებთან: ქორწილი, ჳობი, კლასი... ხნკალ ჩაუყრავ ჳობშია (მივლ. არტ.); არასოდეს იქნება ხნკალ ჩაუყავ ჳობს. იოსებ კლასშია მჭღარიყო (გულ. თხ.), არასოდეს იქნება კლასსა მჭღა-

რაცო: იქ ქორწილში ენახა (ვაჟა, IV, 209). აგრეთვე, არასოდეს შეგვხვდება — ქორწილს ენახა და სხვა².

2. მიცემითი ბრუნვის ფორმები შეიძლება, აგრეთვე, შეგვხვდეს დროის გარემოებად, ოღონდ ესეც ისეთი სახელებისა, რომელნიც რაღაც დროის გაგებას შეიცავენ თავისთავადაც: ვერ მიიტაცებდა იმ დროს, შემოდგომას (მივლ. თხ.); ზაფხულს თოფის ხმა აყრუებს, ზამთარს ჩამუღის ზეავია (ვაჟა, II).

3) როგორც აღვნიშნეთ, ლოკატივად და დროის გარემოებად შეიძლება შეგვხვდეს \emptyset ვარიანტიანი მიცემითი ბრუნვის ფორმები: თიანეთ, კახეთ, ამ ზაფხულ.

4) ნანათესაობითარი მიცემითი ასრულებს -კენ თანდებულისა ნათესაობითი ბრუნვის ფუნქციას: უნდა წავიდეთ ლაფანყურისას (მივლ. ლაფ.); საკმისას ჩამავხენდებდი, თვალს შეგავლებდი ტანზედა (რაზიკ. 158). ხახის სახთანისას ჩამოვიარე (ვაჟა, III, 10); იმათ კარისას გავიარე (ვაჟა, III, 49); მარცხნისას მგლები, — საკმლისკე კბილებს ილესვენ ძალიან (ვაჟა, II, 97).

5) ნანათესაობითარი მიცემითი აგრეთვე ცვლის -გან თანდებულისა ნათესაობითს: ხაჭოვრბოს ვაკეთებდით დამბალ ხაჭოსას (მივლ. გომეწ.); (ლუღს) სიმინდისასაც ვაკეთებდით. ქერისასაც (მივლ. გომეწ.): გუთანს იფნის ხისას აკეთებენ. ან ბლის ხისას (იქვე).

6) მიცემითი ბრუნვის ფორმები (უთანდებულოდ) გვევლინება ვითარების გარემოების როლში: ქალი მზას არი, გამოგყვებათო (მივლ. ცაბ.); ისიც იქვე მზირასა მჯდარიყო (მივლ. არტ.); მზას ვიყვნეთ, ციხის კართა საქმე წალმ დავატრიალნით (ვაჟა, II, 82); ცხენდაცხენ მოსდევს ჰაბუკი, ისრებს მოისერის ზმირასა (ვაჟა, II, 46).

§ 36. ნათესაობითი. ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი ფშაურში ოთხი ვარიანტით ვლინდება, -ხ, -ის, -ისა და -ისი. ძირითადი ჩანს -ის ვარიანტი. ეს ვარიანტი ვლინდება თანხმოვანფუძიან სა-

² შეიძლება ერთგვარი პარალელი ვაგველოთ ამ მოვლენასა და ჰანურის ანალოგიურ მოვლენას შორის. იქაც -ში თანდებულისა მიცემითის როლს ასრულებს უთანდებულო მიცემითი: თუთა წკაცს დოლომიტუ — მთვარე წყალში იდო (სიტყვა სიტყვით მთვარე წყალს შიგ იდო). აქ -ში თანდებულის მაგიერობას დოლო-რთული ზმნისწინი სწევს (ა რ ნ. ჩ ი ქ თ ბ ა ე ა, ჰანურის გრამატიკული ანალიზი, 1936, გვ. 130). ფშაურშიც სახელის შინაარსი ისეთია, რომ -ში თანდებულს აღარ საქმროებს.

ზელებთანაც და ხმოვანფუძიანებთანაც. ამასთან ხმოვანფუძიან სახელებში ზოგჯერ -ის ფორმანტი ფუძეს ვერ კვეცს.

ა) თანხმოვანფუძიანები: დალუბე ეგ ძაღლის გაზდილიო (მივლ. თხ.); შენამც შეგეწევა ჩემის მამის სალოცავი (ვაჟა, V, 292); დაიწყებს შესაქცევრადა დიდის ყალივნის წვეასა (ვაჟა, II, 22).

ბ) ხმოვანფუძიანები: კაკაჩუნაჲ, გარაის საყვანელაჲ (მივლ. გომეწ.) არვი, რაისა რა იყვის (ხორნ. აფშო); სამის კვირაისა იქნება (იქვე); დავჰერ ემა სადუციის პირდაპირა ერთ დათვი (ხორნ. აფშო); ხახაის მხევინარი კი ვნახე გადაფითრებული (ვაჟა, III, 10); ხახაის სახთანისას ჩამოვიარე (ვაჟა, III, 10); იმ გმირის კოპალაის ლახტნაკრავმა: შალვას ყურადაც ჩავარდება (ვაჟა, IV, 208); ხმელს, მოხრილს ზურგზე დაედგმის ეშმაკთ-ცხენაის კეხითა (ვაჟა, II, 54).

შედარებით შეზღუდულად გამოიყენება -ი და -ა მავრცობიანი ფორმანტები -ისი და -ისა. პირველ მათგანს ეხვდებით უმეტესად მაშინ, როცა ნათესაობითბრუნვიანი სახელი ფრაზის ან წინადადების ბოლოსაა: ა) ვიქნები, შვილო, ეგრე ორმოზდაშვიდმეტ-თვრამეტისი (მივლ. ლაფ.); არაფერ არ მესმის ამ ქვეყნისი (მივლ. ჩარგ.); ჩვენ დაკონვა ვიცით, შაკონვა ი ძნისი (მივლ. გომეწ.); ველარ ვიცი, კიდენ ვინამ არიანა ჩემის ხნისი (იქვე); ეფრემიც მოიდა, ი მამა ბაღლისი (მივლ. თხ.); ეგ ისეთ (ბეჩავ გულისია (იქვე); ფეკსამოს ჩაიცივეს ჩემის კაცისი. მაგრამ ეგვეე ფორმა გვაქვს არა წინადადების ბოლოსაც: ირაკლი ხუთის წლისი მყვანდა (მივლ. ლაფ.).

ბ) ცხრა-ათის წლისა იყო, თუ ვერც იყვ (მივლ. თხ.); ცხრამეტის წლისა კი მაინც ვიქნებოდი (მივლ. ლაფ.); იცის კია ორის წლისამ (მივლ. გომეწ.); ოთხის კვირაისა დაიკვლის (მივლ. გომეწ.); ხელდადებულ იყო ხახაისა (ვაჟა, IV, 299); გორიგორ შასღევს დამთხვრისა გრძელი ნაფრენი ირმისა (ვაჟა, II, 41).

ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ თუ ხმოვანფუძიან სახელებში ფუძის ბოლოკიდური ხმოვნის რედუქცია თითქმის არ ხდება, თანხმოვანფუძიანებში კუმშვა ხდება იქაც, სადაც ლიტერატურული ქართულის მიხედვით მოსალოდნელი არ არის: ტიტკლის ტყვის შესაპყრობადა კიდევ წასულა ფიცხადა (ვაჟა, II, 131); უნაგრის ტახტას ეკიდა გმირის მარჯვენა ცხელია (ვაჟა, II, 137); მოგიკვდი, ძმაო, მიტირე ამღვნის ფითრ-ნეკრის კაფითა (ვაჟა, 73).

§. 37. ნათესაობითი ბრუნვის ფუნქციებიდან აღსანიშნავია ამ ბრუნვაში დასმული **ზამთარ** და **ზაფხულ** სახელების გამოყენება დროის გარემოებად: **ზამთრის** ზვავების ქუხილი, გაზაფხულის წვიმის ღვარია (ვაჟა, 147); **ზაფხულის** ერთ-ორ დღეს მოალს ჩემ გოგიაი-დ' მემრე კი წავა ცხვარშიავა (მივლ. ჩარგ.).

აქ ანალოგია უნდა გვექონდეს დროის გამომხატველ ზმნისართებთან, რომლებიც ფშაურში ასეთი ფორმით იხმარება: **მაშინის** (=მაშინ), **წელანის** (=წელან), **შარშანის** (=შარშან), **ერთხელის** (=ერთხელ, როდისღაც), **ერთხელის** სადამ მამივიდა (ხორნ. უძ.); **ერთხელის** წავიდა წყალზედა (იქვე); **მაშინის** ვიტყვი, ღირსი ხარ წელზე ხმლის, თავზე — ქულისა (ვაჟა, II, 25); **წელანის** ხალი შავს-კამე, გუდამიცი მიძე მრავალი (ვაჟა, II, 78); **თვრამეტის** წლისა ვიყავ **მაშინისა** (მივლ. ლიშო).

§ 38. მოქმედებითი ბრუნვა. მოქმედებით ბრუნვას ფშაურში ბრუნვის ნიშნის ორი ვარიანტი მოეპოვება -ით და -ითა. აქედან მეორე ვარიანტის გამოვლენა შეზღუდულია ფიქსირებული პაუზის წინა და ნაწილაკის წინა პოზიციებით. თავისებური ის არის. რომ ბრუნვის ნიშნები ერთნაირია ხმოვანფუძიანებთანაც და თანხმოვანფუძიანებთანაც, აგრეთვე, ისიც, რომ -ით ბრუნვის სუფიქსი რიგ შემთხვევაში ფუძეს ვერ კვეცავს.

§ 39. საინტერესო სურათს იძლევა მოქმედებითი ბრუნვის ფორმათა ფუნქციურ დატვირთულობაზე დაკვირვება. მას აქ ორი ფუნქციით ვხვდებით: ინსტრუმენტალისისა და აბლატივისა.

1) ინსტრუმენტალისის მნიშვნელობით ხმარების მაგალითები ასეთია: **გავაძვრენტ ი ცხემლაითა** (მივლ. გომეწ.); **კელითაც იქსობა, ცხემლაითაცა** (მივლ. გომეწ.); **რაც მე ძნა მამიტანავ ტვირთითა** (მივლ. გომეწ.); **რაითაც ავაკლევთ-ჩავაკლევთ** (მივლ. გომეწ.); **ნიჩაფაით გამაუხვეტოლით ნეხვ კიდენა** (ხორნ. აფშო); **ყევარი კარით ვიცოლით კნვა** (მივლ. გომეწ.); **ის აი გეჯაით გაგვექონდის** (ხორნ. აფშო); **მემრე მაურევენ სარეველაითა** (ხორ. აფშო); **ჯოხაით დავალის შინა-კართა** (ვაჟა, IV, 293); **შენი თვალი და გული ნუღარაით აატიროს** (ვაჟა, V, 294).

2) აბლატივის მნიშვნელობა მოქმედებითი ბრუნვის ფორმებს აქვს ძირითადად გეოგრაფიულ ან ისეთ სახელებთან, რომელთა ლექსიკური მნიშვნელობა რაიმე ადგილზე მიუთითებს³. **ცაბაურ-**

³ ეგვევ აზრი ძველი ქართულის მოქმედებითი ბრუნვის მიმართ გამოთქმული აქვს პ ა ნ ს ფ ო გ ტ ს წერილში „ბრუნვათა სისტემა ძველ ქართულში“ (მამოზ-

თითა ეკლ. გადმოსული (მივლ. ცაბ.); ეგ წყალ გომეწრით ჩამოდის (მივლ. გომეწ.); წასულან და ქევსურეთით ხალხ მათუყვანავის (მივლ. ლაფ.); ვინლა არ მოიდა თიანეთით, ლიშოთა, არტინთა, სხლოვნითა. კვერნაულაშითა, ქუშვევი, ისრე კიდე არაგვის მკარე-ზეითა (ლაფ.); მე კვარია ვარ, მიტირე, თუშეთით მოსულ მზირია (ვაჟა, II, 82); როშკით ნოიღენ ხევსურნი, სუმელჯაურნი ცხრანია (ვაჟა, II, 76); რას ჩანამყურებ გორითა, როგორც მშიერა მგელიო (ვაჟა, II, 55); მთით ქალას ჩამოსასვლელად ფრინველნი ეღირებთან (ვაჟა, II, 51); სანამ ქინქველა ქალაქით ზურგით მაიტანს მარისს (ვაჟა, II, 25); ბართ რო მთაში წამოვალ, შენ დროს ახანებ გვიანსა (ვაჟა, I, 87); ქარი სცემს, დაბლა ხევებით ჩამოკიჟანებს მთებითა (ვაჟა, II, 116).

§ 40. ფშაურში (აგრეთვე მთის სხვა კილოებშიც) ყურადღებას იქცევს მოქმედებითის -ით სუფიქსდართული თანდებულიანი სახელები, აგრეთვე, აბლატივის მნიშვნელობით. ა. შანიძე ამ ფორმებს მის მიერ სალიტერატურო ქართულისათვის გამოყოფილ ლოკალურ ბრუნვათა რიგში განიხილავს და სადაობით-გამოსვლითს უწოდებს⁴:

ა) ეს წალი გამოარდნილიყო იმ კლდეზეით (მივლ. ლაფ.): მეორე საქონელ... აქით წაიღეს, ამ ლოპოტაზეით (მივლ. ლაფ.): ერთ ფრიადოს კლდეზეით გადაახენდებინეს (ხორნ. უძ.); მაგ ჩალა ცხენზეითაც მალე ჩამოგახდენ (ვაჟა, V, 293); შველი საწოლზეით ავდგარა (ვაჟა, V, 39).

ბ) ცაბაურთითა ვარ გადმოსული აქ, უკვენფაფვიით (მივლ. ცაბ.); გრემშიითა და იქით მოსულიყო (მივლ. ლაფ.); კორსავშიით წამოსულიყო (იქვე); გენახნეს, რაშიითაც ვიღებდით (იქვე); ამაილებდენ წყალშიითა (მივლ. გომეწ.); ამაუძვრენავ ქარქაშშიითა (ხორნ. უძ.); რაც რამე გამოგვატანეს სახლშიითა ის სუ დაეხარჯეთ (ხორნ. უძ.); პაპაშჩემი აკავანშიით ამაუწვდავ მამრდასა (იქვე); ძირშიით დედამიწა გვაქვავებს (ვაჟა, III, 10); წელან

ხილველი, 4—5, 1968, გვ. 262); შემდეგ ივ. იმ ნ ა ი შ ვ ი ლ ს (სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, 1957, გვ. 205); ამასვე ეხმაურება ე. ბ ე ნ ე ე ის ტ ის აზრი, როდესაც ის მსჯელობს ლათინური ენის ე. წ. „ადგილის გენეტოის“ შესახებ. მისი აზრით, „ადგილის გენეტოი“ შეიძლება აღმოჩნდეს არა გენეტოის ფუნქციითა კლასიფიკაციაში, არამედ მხოლოდ (ან, ყოველ შემთხვევაში, უპირველეს ყოვლისა) ტოპონიმთა ბრუნების სისტემაში (Э м и л ь Б е п в е п и с т, Общая лингвистика, М., 1974, გვ. 158).

⁴ ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, 1973, გვ. 77; იხ. აგრეთვე ა. ლ. კ ი ნ ქ ა რ ა უ ლ ი, ხევსურულის თავისებურებანი, გვ. 51.

მე რო ცხვარშიით მოსეეს ჩამოვიარე (ვაჟა, III, 10): კიდეც ამოდისა იმის სახლშიით ბოლი (ვაჟა, III, 51). ცალკეა განსახილველი „შენგნით“ ფორმა. აქ უფრო მოქმედების მიზეზია წინ წამოწეული, ვიდრე გამოსვლითობა: შენგნით არ მიკვირს (ვაჟა, IV, 207); ჭერაც ატყვია ჩემს გულსა შენგნით წყლულები ჭრელადა (ვაჟა, I, 65): შენგნით უხანჯროდ დაჭრილსა, გული გამხდია ორადა (ვაჟა, I, 52); წასასვლელ არსაითა აქეთ, ყველგნით დახშული კარია (ვაჟა, II, 42). აქვე შეიძლება მოვიგონოთ თუშური შენისგნიც, რაც იმავე მნიშვნელობისაა.

§ 41. მოქმედებითი ბრუნვის -ით ფორმანტი გაფორმებულია ადგილის ზნნ-ზედები: მაღლაით მოდის ყუმბარა, ელვასა ღვავის ცისასა (მივლ. გომეწ.) ძნა მამიტანავ ტვირთითა. შორითა, განა ასლოთა (მივლ. გომეწ.); იქითა ხყავის წაღებული, წაყვანილი (მივლ. თხ.); კიდეც წავედ იქა, საითაც კმა მომედინაო (მივლ. თხ.); მიუღიოდა აქით, გომეწრითა, ცხვაკნითა ყარაულები (მივლ. გომეწ.); ქორი რო ქათამს გაიტაცებდა თუნდა იმას ცხვირწინაით... (ვაჟა, IV, 231); ეს არაყანი ძოლანავ ამოიტანე შინაითა (ვაჟა, IV, 212); კარი გარეთაით იყო გადარაზული (ვაჟა, III, 49); გაღმაით... ბორბორწილობდა რასამა (ვაჟა, IV, 208). მთანი მაღლაით დასცქერდნენ, ღრმა ფიქრით შაბურვილიყვენ (ვაჟა, II, 39); გაღმაით... მაგის დედ-მამან უყურებენ (მივლ. თხ.):

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ -ით(ა) ბრუნვის სუფიქსი ზოგჯერ ფუძის ხმოვანს ვერ კვეცსო. სამაგიეროდ არის მაგალითები, სადაც თვით ამ ფორმანტის ი ხმოვანი იკარგება: ქვენათ რო სადამ ჩასულან (ხორნ. უძ.); ყველყან სამოვრებია: ი გაღმათ, გამოღმათ, ზეითაც (მივლ. გომეწ.).

ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილებაა. თითქოს -ით(ა) ფორმანტით გაფორმებული სახელი გასუბსტანტივებულია და ხელახლა იბრუნვის: გაღმათისაკ ი თივისმგულელებე ყოფილა, გამოღმით ე წრდილმია-დ... (მივლ. თხ.); გაღმათაით ძროხებ მამაღაოდა (ხორნ. უძ.); მოიდა ისიც, ი ზემოთაით რო ჩამეეფარა (მივლ. ლაფ.).

განხილული მასალის საფუძველზე შეიძლება დაეასკვნათ, რომ ფშაურში -დან თანდებული არა გვაქვს და ამ თანდებულისანი სახელის ფუნქციას მოქმედებით-აბლატივები ასრულებს. როცა საქმე ეხება ჩვეულებრივი სუბსტანტივებისა და ტოპონიმებისაგან ნაწარმოებ აბლატივებს, ეს დებულება სწორია და წინააღმდეგობრივს არაფერს შეიცავს, მაგრამ როცა საქმე მიდგება თანდებულისანი

ფორმებისა და ზმნისართებისაგან ნაწარმოებ აბლატივებზე, აქ თითქოს წინააღმდეგობაში ვვარდებით: აღნიშნული სიტყვები უბრუნე-
ღელია და ვლაპარაკობთ კი მათს მოქმედებით ბრუნვაზე და მის
ფუნქციასზე. გამოსავალი ისაა, რომ ამ ფორმათა ფუნქციები შეიძ-
ლება განვიხილოთ გასუბსტანტივებულ ზმნისართებად⁵. შეიძლება
სხვაგვარი ინტერპრეტაციაც: -ით(ა) განვიხილოთ როგორც ომონი-
წერი ელემენტი: ბრუნვის ნიშანი, რომელიც აწარმოებს მოქმე-
დებით ბრუნვას, და თანდებული, რომელიც ზმნისართებსა და
-ზე და -ში თანდებულისა სახელებს დაერთვის.

§ 42. ვითარებითი ბრუნვა. ვითარებითი ბრუნვის სუფიქსი
წარმოდგენილია რამდენიმე ვარიანტით. ესენია -ად, -ადა, -დ,
-და, -ა.

1) -ად ფორმანტით ფორმდება ჩვეულებრივ თანხმოვანფუძია-
ნი სახელები: ხან გონთ იტყვის, ხან — უგონთ, აე ფშაურად კი
იტყვის (მივლ. ჩარგ.); წავიდა ი ბიჭი ტანგამოსაცვლელოდ (მივლ.
თხ.); მეც ცოდვიანად ვითვლები, უნეს მამკლავს მეძახიანო (მივლ.
თხ.); ცრემლს ნამად გადმოგაყრიან, მთაო ქუჩ-ბალახიანო (მივლ.
თხ.); ...ესეც საქსოვრად დარჩებო (მივლ. თხ.).

იგივე -ად ვარიანტი გვაქვს გარკვეულ შემთხვევებში -ა
ბოლოზმონიან ფუნქციებთანაც: სუ ცოტად ამეეთხარა (მივლ. თხ.);
წადმართ-უყუღმართად დაძახდით (მივლ. გომეწ.); ი დისწულ
იმად თუ იყვის... (ხორნ. უძ.); რაადლა უნდა ეხლანდელს დროში
კაცს სოცოცნლე (ვაჟა, III, 49): მაგაად თუ გებრალუბოდა? (ვაჟა,
IV, 212): ყველაად ვკმარვართ მტრისადა სადავლოდა და ზიანად
(ვაჟა, II, 81).

2) -ა ნავრცობიანი -ადა ვარიანტი დასტურდება ისეთსავე შემ-
თხვევებში, როგორშიც ამავე რიგის სხვა ბრუნვათა ვარიანტები:
ნაწილაკებთან — რაადაც მინდა, თავად გაიგებს (მივლ. მალ.); კავ-
შირ ენკლიტიკა დ'-სთან — წავდღვებთ ცოტაადა-დ' მემრე გად-
მოსახამთ სახაქოე ქობში (მივლ. არტ.); ფიქსირებული პაუზის წინ
— პეტრე გაქლომიყო ავადა (მივლ. არტ.).

ეს ვარიანტი ემფატიკური ფუნქციით ხშირია ლექსებში. სის-
ტემატურად ვხვდებით ვაჟასთან: ალლადა ჰქონდეს მუცალსა, მაგ
მოუნათლავ გმირსაო (ვაჟა, II, 37).

⁵ შდრ. ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული ენ.:ს გრამატიკის საფუძვლები, გვ. 596.

3) -დ ვარიანტი გვაქვს, როგორც წესი, ხმოვანფუძიან სახელებთან: ჩემ ბალღობაში იყო რჯული საბოლოოდ თრწყალში (მივლ. თხ.); ზოგ იმას გვეობნებაო, ტყვედ წაიყვანესო (მივლ. თხ.); სამხვეწროდ მამიყვანავის თეთრი ქორაი კარიო (მივლ. თხ.).

4) -ა მავრცობიანი -და ვარიანტიც, აგრეთვე, ხმოვანფუძიან სახელებთანა გვაქვს წარმოდგენილი: ეს მკარე სანადიროდა აქონდა შანახილი (მივლ. ლაფ.); მწედა ჰყავ ლაშარის ჯვარი (ვაჟა, II, 13).

-ა ვარიანტი გვხვდება ვითარების ზმნიზედად გამოყენებულ ზედსართავ სახელებთან; ეხლა ეს ყინჩა გამამყვება (მივლ. თხ.); ის ლამაზა იუბნებს, ლამაზა (მივლ. ჩარგ.); უნდა გვებრუნა, მანამ კარგა არ გაიღწებოდა (მივლ. გომეწ.); კარგა წაიარა თურმე (მივლ. თხ.); ემაგეებს კარგა მაუარეო (მივლ. არტ.).

ეგვე ვარიანტი გვაქვს რარიგა კითხვით ზმნიზედასთანაც: ბაღლ რარიგა დააქარგევ (მივლ. თხ.).

ვითარებითი ბრუნვის ფუნქცია ძირითადად ვითარებით-გარდაქცევითი ფორმების წარმოებაა. ეს ფორმები წინადადებაში ვითარების გარემოებაა და ამით ფშაური სალიტერატურო ქართულიდან არაფრით განსხვავდება.

§ 48. წოდებითი. წოდებითი ბრუნვის ნიშნად გვხვდება სამი ვარიანტი: -ო, ვ და Ø.

1) -ო ძირითადად გვაქვს ფუძეთანხმოვნიან სახელებთან: ნუ წახვალ, მწევინარო, აქ დარჩი (მივლ. გომეწ.); ნეტავი თქვენა, ტივლებო, რა მალე ჰნახავთ ბარსაო.

2) -ვ ვარიანტი მხოლოდ ფუძეხმოვნიან სახელებთან გვაქვს: მაყვალაის კაცია, დედავ (მივლ. მალ.); თეთრუავ, ჰაი შე უკლოვ, შე უგერგილოვ შენა (ვაჟა, III, 43).

ხმოვანფუძიან სახელებთან ზოგჯერ -ო ვარიანტიც დასტურდება: აღარას მიშველა, ძალუაო? (ვაჟა, III, 47).

3) Ø ვარიანტიანი ფორმები ძალზე იშვიათია. ისიც მხოლოდ ლექსებში: ქალ, ნუ მიმირბი შორადა (ვაჟა, I, 52).

ბოლოს შეიძლება წარმოვადგინოთ ფშაურის სახელთა ბრუნვის ნიშნების შემაჯამებელი ტაბულა:

სახელობითი — -ი, Ø.

მოთხრობითი — -მ_ჩ -მა, -მან,

მიცემითი — -ს, -სა.

ნათესაობითი — -ს, -ის, -ისა, -ისი.

მოქმედებითი — -ით, -ითა.

კოთარებითი — -ად, -ადა, -დ, -და, -ა.

წოდებითი — -ო, -ვ, ∅.

2. სახელის მრავლობითი რიცხვის წარმოება

§ 44. სახელის მრავლობითი რიცხვი ფშაურში -ებ სუფიქსით იწარმოება. სალიტერატურო ქართულთან შედარებით აქ ამ სუფიქსის ხმარების არე უფრო ფართოა: აწარმოებს ჩვენებით ნაცვალსახელთა მრავლობით რიცხვსაც, ოღონდ შესუსტებულია ებიანი მრავლობითის სინტაქსური ძალა (ამაზე სხვაგან ვიმსჯელებთ):

ა) მამა-ბიძეები, მამისახლი სუ გამითავდა (მივლ. ჩარგ.); ხუთი მყავის შვილიშვილები, პატარეებია, ეხლა არიან პატარეები (მივლ. ჩარგ.); ვენაქი მქონდა კახეთში, ახმეტას ეტყვიან — იქ ნათესები, დაჯტურები, ხატის მუშები (მივლ. თვალივი.); იქ უნდა ვიარო, საკლავოც მივიყვანო ქადა-პურები (მივლ. თვალივი.); დაჯტურები ოწნი იყვნეს (მუქო); თავებ კი აღარა მქონდა (მივლ. გომეწ.); ლაფანყურ იყიდეს ფშავლებმ (მივლ. ლაფ.); მუხებ უქრაო, თქვიან (მივლ. თხ.); ჩემ ქალებ გამაუდგენ (მივლ. თხ.); მონადირეებ მიდენ-ლიყვნენ გზაზედა (მივლ. ლაფ.); სხვა სოფელ ქვეით არი, არცა არა ბევრებ იქ არი (მივლ. გომეწ.); კევსურებმ მასქრეს თავიო, ზოგებმ ისი თქვიან (მივლ. თხ.);

ბ) ორ ქალი დამრჩა, ისეებიც დამითხოვდა (მივლ. ჩარგ.); მეგრე შჯაფხოვლებს სუ აუყრიან ისეები (ხორნ. უძ.); ისეები აქვ ეკეთებელი თავ-ბოლოში (მივლ. გომეწ.); იმეებმ სადა თხარეს, რა ვადა (მივლ. თხ.); ისეებ თავად წავლენო მითხრ (მივლ. თხ.); აი ემეების ალალ ბიძაშვილ იყო (მივლ. თხ.); რას აღარ იქმენ ეგეებიო (მივლ. ლაფ.); სხვებ ამეებზე ბატარეებია კიდევ (იქვე); აი იმეებმა დააღონეს სრულა (მივლ. თხ.); იმაების ბრალითაო ჩვენცა ვტირითო (მივლ. თხ.); ისეებ რამთვენის ხნისებ იქნებოჯეს (მივლ. გომეწ.);

§ 45. ფშაურში არის მრავლობითი რიცხვის ნარ-თანიანი ფორმებიც. ოღონდ ძალიან ცოტაა მაგალითები, სადაც ამ ფორმებს შანაარსიც მრავლობითისა ჰქონდეს. ხშირად ისინი ლექსებში გვხვდება და ერთგვარად სტილებრივი მნიშვნელობა აქვს: მე-ზობელნ რო საქონს უყრიდენო, მე ხის წვერებში ვიჭლოდი,

ზურგზე მეკიდის კონანი, მაკვიმ-ს დავიკშიხლი (მივლ. თვალი-
ვი).

რამდენიმე სხვა მაგალითში შეიძლება აღნიშნული ფორმები
მაინც და მაინც შინაარსობლივი ოპოზიციის — ერთი — მრავალი
— ცალად არ გავიგოთ: წინავ ერთნი იყვნენ (მივლ. თვალივი);
სამ ძმანი ყოფილან (ზორნ. უძ.); აბა. ზალღნ უქკონია (მივლ. თხ.);
წინწინ ეგ დასთხრის თვალთაო (რაზიკ. 23).

§ 46. როგორც წესი ნარ-თან-იანი მრავლობითის ფორმები
იხმარება გვარების, შტოგვარების, ღიდი ოჯახების აღსანიშნავად:
სუ წამოცვივდის წიწონი, სუ გამოცვივდენ კარშია (მივლ. გომეწ.);
გულთკანი ყოფილან ისეები (ზორნ. უძ.); იკარატიელთა ეს არა,
ი კორეულათი იყო ისი (მივლ. ლაფ.); გაბრიელთ ნინო იქნება
(მივლ. გომეწ.); ახლა ი იოსებათას მივიდენ (მივლ. ლაფ.); ცხე-
ნებიც კარეკეს ჩემ ბიძათი (მივლ. ლაფ.); ადვალად აღარ მა-
პჩიები, აფხუშოს ლუხუმთ ნაჭერო (რაზიკ. II); ჰა, გიდი, გო-
დერძათ ქალო, ლეკთა სატყვეოდ გაჰხეო (ვაჟა, II, 12).

§ 47. ბევრ შემთხვევაში ნარ-თან-იანი მრავლობითის ფორ-
მებს ამკარად მხოლობითის მნაშენელობა აქვს: ვემრე დოვთ
(=დოვს) ჩასწურვენ, შაზღამენ იმას ცეცხლზედა (ზორნ. უძ.);
წყალნი (=წყალი) მწყურანო, უთქვამ ი დედისადა (მივლ. თხ.);
მოვიდენ, რა ვი, რა დრონ იქნებოდეს (მივლ. თხ.); რა ვი, რა
დროთა (=რა ხნისა) იქნებოდა (მივლ. თხ.); სირცხვილ არ არია,
ამ დროთას კაცს ზღე მაჭდებო... (ვაჟა, III, 23); ძან სახთ
(=სახლის) ახლოს ჩამაიარა ი ზვავა (იქვე); სალამოლა იყო, მზე-
ბრძანებანი (=მზის ჩასვლის ხანი) (იქვე); მინდორთ (=მინდორ-
ში) რო სისხლის ტბა ბრუნავს, გადასაგდები სად არი (რაზიკ. 154);
ციხით ნარცხან (=ნარცხი) გაღმოღვარენ, ძირში დარჩენ თო-
რანიო (რაზიკ. 176); იმას ნაგულათ, ნაწურათ ვეძახით (ზორნ.
არაზიკა); ალატთ უკვენ გადმოგჩინდე — ეშმაქაავით სიცილითა
(რაზიკ. 154); ხურჯინნ (=1 ც. ხურჯინს) წყალჩია ჰყრიანო (ზორნ.
უძ.); არაყანი (=არაყი), ვიცი, გეგულებიან (ვაჟა, IV, 239).

ჩვეულებრივ ნარ-თან-იანი მრავლობითის ფორმით იხმარება
ჯალაბნი (და არა ჯალაბი), აბჯარნი (და არა აბჯარი), იარაღნი
(და არა იარაღი) ტანისამოსნი (და არა ტანისამოსი).

საინტერესოა, რომ ამგვარი ფორმები ზმნაშიც აჩენს მრავ-
ლობითი რიცხვის ნიშანს: წყალნი მწყურან, კელნი ვხკრენ, არაყა-
ნი გეგულებიან, ბაყაყნი სხედან და სხვა.

§ 48. სპეციალურ ლიტერატურაში ფშაურის ეს ფორმები მიჩნეულაა ოღინდელი წყვილობითი რიცხვის ნიშნად⁶. ჩვენი დაკვირვებით, მათი დღევანდელი მნიშვნელობა ამ ვარაუდის საფუძველს არ იძლევა. თუ კელნი, ფეკნი, თვალნი და სხვა წყვილ-წყვილია მნიშვნელობითაც, რაიმე წყვილზე ლაპარაკი შეუძლებელია წყალნი მწყურან, არაყანი გეგულეზიან, საკომთაკ ჩამეეპარა და სხვათა შემთხვევებში. აქ ეს -ნ- რომ მორფოლოგიური ელემენტია. ამაზე მიგვითითებს მისი სინტაქსური ძალა. იგი ზმნაშიც აჩენს წესაბამის ფორმანტს. მაგრამ დღეს მისი მორფოლოგიური ფუნქცია მისუსტებული ჩანს და შექენილი აქვს სიტყვაწარმოებითი მნიშვნელობა თავისებური კრებითობისა. სახნი აღნიშნავს არა მხოლოდ სახლს, ადამიანის საცხოვრებელ ნაგებობას, არამედ სახლ-კარს, სახლსა და საცხოვრებლის სხვა სამეურნეო ნაგებობებსაც. კრებითის მნიშვნელობას იგუებს გვარების, ოჯახების აღნიშვნელი ფორმებიც: წიწონი — ნიშნავს წიწო (სახელია კაცი) და მისიანები, ბიძანი ნიშნავს ბიძა და მისიანები, ასეთივეა ლუხუმნი, გულიკანი, ქორეულნი და სხვა. ფორმების ჯალაბნი, აბჯარნი, იარალნი, ტანისამოსნი კრებითობა ნათელია.

ნარ-თან-იანი მრავლობითის ფორმით იხმარება ნივთიერებათა აღნიშვნელი სახელებიც: არაყნი, წყალნი. მათ არც მხოლოდობითის საპირისპირო ფორმები მოეპოვება და არც, მით უმეტეს, -ებ-იანი მრავლობითისა.

სრულიად გაუგებარია „ბაყაყის“ ხმარება მრავლობითის ფორმით: ბაყაყნ კერაჩიავა სხედან (მივლ. მალ.); მიუბრუნდა, მიკოხნა ი ბაყაყნ იქავა (იქვე). ზღაპარში, საიდანაც ეს მაგალითებია მოტანილი, ერთ ბაყაყზეა ლაპარაკი და, ამდენად, მრავლობითზე ან წყვილობითზე ლაპარაკი აქ ზედმეტია. რიცხვში ამას დაუპირისპირდება მრავლობითის -ებ-იანი ფორმა: ბაყაყებ გამაულდა.

ამრიგად, სახელთა მრავლობითი რიცხვის წარმოება ფშაურში ერთობ თავისებურ სურათს გვიჩვენებს: მრავლობით რიცხვს აწარმოებს -ებ სუფიქსი: „ნარ-თან-იანი“ ფორმები გვაქვს, ოღონდ

⁶ შდრ. ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული კილოები მთაში, ქართული ენის სტრუქტურა და ისტორიის საკითხები, თბილისი, 1957, გვ. 13; მ ი ს ი ე ვ ე, ქართული ხალხური პოეზია; ხევსურული, 1931, გვ. 683; მ ი ს ი ე ვ ე, Zur Frage des Dualis im Clewsurischen, Wissenschaftliche Zeitschrift, Georgien, Fridrich-Schiller-Universität, Iena, Heft 5/6, 1975.

ძირითადად მრავლობითის მნიშვნელობის გარეშე. -ნ სუფიქსს ნორფოლოგიური ფუნქცია შესუსტებული აქვს, ოღონდ მაღლიანაუ აქვს შეჩინილი სინტაქსური ძალა: ნ-არიანი ფორმები ზმნას მრავლობით რიცხვში ითანხმებს.

3. ზმნისწინი

§ 49. ფშაურში მო- ზმნისწინი სამი ვარიანტის -მო, მა- და მე- — სახით არის წარმოდგენილი. აქედან ძირითადი, შეუპირობებული ვარიანტია /მო-/. მა- და მე- მორფონოლოგიური პოზიციითაა შეპირობებული (იხ. ზემოთ, ხმოვანთა სისტემის ანალიზისას).

მა- ვარიანტი გვაქვს რამდენიმე შემთხვევაში: პრეფიქსული ა-ს, ი-ს, უ-ს, ა-ს და მ-ს წინ. მე ვარიანტი პრეფიქსული ე-ს წინ ვლინდება ხოლმე. დანარჩენ შემთხვევაში გვექნება სულ მო- ვარიანტი. მაგალითად:

ა) ვერ მაწონებთ კარგ ყმასა, რაც არ უჯდების ჭკვაშია (ვაჟა, I, 51); არაგვს გაღმაით მააქვის შეშა (მივლ. გომეწ.); ჯერ კალოს გახტხეკენ, მაასურავებენ (მივლ. მალ.); მემრე მალღითაც მიწას მააყრიან (მივლ. ქელი); ჯერ კი დაპირდეს, წამოალო, მემრე კი მაატყუოსა (მივლ. მალ.); მააქვექვევებს ლურჯაა; ნაღნი რიყეზე წივიან (ვაჟა, II).

ბ) კაც შეშას მაიტანს... (მივლ. გომეწ.); მარჯვენას კელაში ჯობ რაიმ ექირა და იმას მაიბჭენდა მითაჟო (მივლ. თხ.); ხან რო ცა მაიღრუბლება (ვაჟა, I, 50); მაიხსენოს ღმერთმა (ვაჟა, II, 9); აქ ამაიარე, აგრემც დამსულრაგ (ვაჟა, III, 8); თურმე იმან ამაილო (მივლ. გომეწ.); გაღმაილე, გაღმაილე, თუ ღმერთი გწამს, კიდეც მაიწვებოდა (ვაჟა, IV, 210).

გ) გინდრაის მამულეზიავ, იმ მამულეებს მაამჯეღვენ (მივლ. გომეწ.); ერთ შაშეს მაამჯავს და ქვეყანა თავისი აგონავ (მივლ. მალ.); მთას ვერახული მაამჯიდა (მივლ. თერაჯ.); ყელს კი გამამჯრის მემმცხვარე (მივლ. თეთრაჯ.)

დ) ნეტა თავისთავს მაჟაროს, ბეჩავემა (მივლ. თხ.); ქალო, რა მაუყვე, რაც აღარ მაქსონ (მივლ. გომეწ.); მაუვიდა მემრე ქმარი (მივლ. თხ.); მერე მეორე დღეს მაუვიდოდა (მივლ. ქელი); ... როჯორც კაცს მაუხდება (ვაჟა, IV, 237).

ე) ქმარ როღის მაამიყვდა, აღარც კი მაქსონ (მივლ. გომეწ.);

მამონაცვალმ იქიდან გამამაგლო (მივლ. ჩარგ.): ღროშასაც ჩამამ-
ყრიანო (ხორნ. უძ); მამწყინდა შენა ლოდინი (რაზიკ. 145); გამა-
მათხოვეს... თითოსა სუყველას გავედარია, ...ჩამამავლიეს ჯარია
(რაზიკ. 21); შენთვინ წვერ-ულვამ დამეწვა, ჯავრ იმით ანამეყა-
რა (რაზიკ. 236); თუ მამკლავ, ისევ შენ მამკლავ, ქალო, თავ-
დახრით მცინარო (ვაჟა, I, 51); ...ვინ მამცემს, რომ გამითავდე-
სო (ვაჟა, III, 10);

ვ) იოსებს შეეკალა (მივლ. თხ.); ჩემ ძმას თაღის ჯარებ გამეე-
რეკა (მივლ. ლავ.); ის არავის შეეწონოსო (ხორნ. უძ.); ფშავის
ზეგს მადლი გამეელიაო, ნიადაგ გამეელევა (ვაჟა, III, 49); ჩამე-
ეყუდა ჭურღმულში (ვაჟა, I, 54).

ზოგჯერ მა- ვარიანტი თავს იჩენს ჰ, ხ, ხ... მეორე სუბიექტუ-
რი და მესამე ობიექტური პირის ნიშნების წინ. მაგრამ რაკი ეს
პრეფიქსები ფშავურში ფონეტიკურად ასპირირებულია, მათ მ-იანი
შემართვა აქვს, პოზიცია მიიწვ მ-ის წინა პოზიციაზე განიხილება:
ჩამაჰქცევიყო სახლ-კარი (რაზიკ. 21); ...რასაც ეძებდი, მახველდე
(მივლ. მალ.); კალიან გუდაც მადგლიჯა (მივლ. ვაბ.).

ზოგორც აღვნიშნეთ, მო- ვარიანტი ფშავურში ძირითადად, შე-
უპირობებელი და ვადასტურებთ ზემოთ განხილულთა გარ-
და რაგინდა რა პოზიციაში: რაც ის ეძებნესა-დ ვერ მოკვლეს, ვერ
მოკვლეს (მივლ. თხ.); ბიჭო, არ მოგშივდაო პურით (მივლ. თხ.);
ტანისანოსი მივეციტ ერთ ჩამოფხრეწილნ ჩოკანი (რაზიკ. 242);
...კუნელი ამოდიოდა (რაზიკ. 242); შამოვკე ბეწვის ჯიღწეოა,
შამიშინდება თვალია, შამაუარე შავეთსა ვერ მაუკვლე კარია; ჩა-
მოშლილიყო შავეთი, ჩამოდიოდა წყალია, რად უნდა მოშავეთათა
სამკლავე, საფუხარია, მეც გამყვა სამარეშოა, მაგრამ ვერ მოვიბმა-
რეა; თანარია მოსული, აჯადელი (მივლ. ჩარგ.); ზოგ წამოდიება
ძალადო (მივლ. თეთრავ.).

ზოგჯერ მო- ვარიანტის გამოვლენის პოზიცია ისეთია, რომ
წესით მა- ან მე- ვარიანტს უნდა მოველოდეთ. ე. ი. გვაქვს პრე-
ფიქსური ა, ი, ე, უ-ს წინა პოზიციები. მაგრამ აქ ორ ხმოვანს შო-
რის გაუჩინარებულია ვ თანხმოვანი, რაც გავლენას ახდენს -მო-
ზნისწინის ო ხმოვანზე. უფრო ზუსტად იგი თვით ამ ო-შია შერ-
წყმული და ამით მო- ზნისწინი გაორფუნქციონებულია (იხ. ზე-
მოთ): წამოიდა, წამოიდა და მე იმას ველარ მუეწიე (ხორნ. აფშო);
ძანამ შინ შამოიდიოდა, კვერს გამოუტანდით (მივლ. არტ.); ...ი ზეავ
საით მოიდაო (მივლ. თხ.); ...იმას წამოადუღებთ (მივლ. არტ.).

-მო-ს შემცველი რთული ზმნისწინები ამო-, ჩამო-, გამო-, წამო-, შამო- ისევე ნაწილდება, როგორც მარტივი -მო: შამოდით შამაიტანეთ, ჩამეშველნიეთ, გამაართმოს, წამაიყვანს და სხვა.

მსჯელობისას მუდამ ხაზს ვუსვამდით, რომ მა- ვარიანტი გვაქვს პრეფიქსული ა-ს, ი-ს, ე-ს, უ-ს და ~~შე~~წინა პოზიციაში. მაგრამ თუ ეს ე. წ. საკონტექსტო ფონემები ფუძისეული იქნება, ზმნისწინის მო- ვარიანტი გამოვლინდება: დაეცა და გრილი არ არი, ვაპ ლედას მომკალისასა (რაზიკ. 144) და არა მამკალისასა; ჩარგლამდე გზა სუ მოასფალტებულია (მივლ. მალ.); და აა მა-ასფალტებულია.

§ 30. მა- ფშაურში ამ ზმნისწინის ძირითადი ვარიანტია. შე-ნიშნათა. ისიც მხოლოდ პრეფიქსული ე-ს წინა პოზიციაში: ა) -შინ ციკა ვერას შანიჭამასო, მშეირა მგელი კარჩიავ (მივლ. ლაფ.); შალაგდით, შალაგდით, თქვენის ღმერთის პირიმე (ვაჟა, IV, 207); საპირიქითოდ გაიხსნენ თოვლით შაკრულნი გზანია (ვაჟა, I, 44): ჯაა, მაგირცვეს კაცობა... (ვაჟა, I, 47); ხუთნი მოიღვენ შაიარა-ღებულები (მივლ. ლაფ.); იქ არ შაიძლება, რო ზე მაშქან (მივლ. თბ.); შაზღამენ იმას ცეცხლზედა ლა შასწურვენ ხაჭოსა (ზორნ. უძ.); შაგვერავთ და შავაწყობთ ღობანზედა (ზორნ. უძ.); სამჭერ ის უნდა შამეეგორნა სახშია (მივლ. არტ.).

ბ) მყეფარს მოუტანს, ვინც რაათ შეეწევა (ქ. დ. 136); შეეკითხე შენს გუნებასა (ქ. დ. 136); მაგრამ — შაერთებულად შენშია ქართლსა და კახეთს ვხედაო (ვაჟა, I, 336).

ა-ს შემცველი ზმნისწინები: ა-, და-, ჩა-, გა-, წა- პრეფიქსული ე-ს წინ ე, ჩე, გე, წე ფორმით რეალიზდება: თოფ ეკიდა მჭარზე-და-დ' ჩეეფარა (მივლ. თბ.); ქვაბის ყურშატში გეეჩარა ი საგნ-ისი (მივლ. გომეწ.); საქონ იმ აღვილს არ მაშორდება, საცა დეეჩე-ვა (მივლ. გომეწ.).

§ 31. ფშაურში ზმნისწინებს, მათი ძირითადი ფუნქციების გარდა (ნიმართულების გამოხატვა, მოქმედების დასრულებულობა), აქვს სხვა ფუნქციაც, ნათქვამს ანუკებს გარკვეულ მოდალობას. თავისებურ ნიუანსს. მაგალითად მო- ზმნისწინიან ფორმებს (თავისი მა- ვარიანტითურთ) ერთგვარი მრავლობითობის გაგება აქვს ხოლმე: სომეხი ვარ, თეთრო მქვეან მოვკარგენ და ვეძებ ვირსა... ტკბილო ღმერთო, ნუ მაჰკარგავ ჩემის ობლობისა პირთა (რაზიკ. 274); ქალოქრო, ლუბიანურთავ, შენ მახკარგვა თიკ-

ნებ- (მივლ. ქედი): ღველთ არ გვინახავ, კერაი, საჩალეს მოიზარ-
დენით (ამირანი).

ასევე წა- და შა- ზმნისწინი ნათქვამს ოდნაობითის ელფერს
აძლევს ხოლმე: დაყრიანო ცოტა ფქვილათაო, ზედ კრიალთ წა-
აცრიანო (მივლ. თეთრაც.); პატარა ნალებს წავკლით (ხორნ. არახ.);
რძეს რო წაანაღბავენ. ნალები კარაქში წავალის და რძეს კი შა-
ათობენ, ჩაასხავენ ი რძესა და წაზღვებენ ბატარაად (ხორნ. უძ.).

და- ზმნისწინსაც ზოგჯერ მრავლობითის ნიუანსი ახლავს: შენ
ცხვრებ მე დავშკამევ (მივლ. მალ.); დაძელით, ჩემო ძაღლებო (ვა-
ჟა, IV, 207); დაძელით კვესურთ შვილებო, ლაშქრობით ხმლე-
ბის ქნევითა (ვაჟა, II).

მაგრამ იგივე და- ზმნისწინი ზოგჯერ სალიტერატურო ქართუ-
ლის გა-ს მნიშვნელობითაც იხმარება, ოღონდ აქაც, მიმართულების
აღნიშვნის გარდა, კიდევ სხვა ნიუანსიცა აქვს: დამიძღვა ი ძაღ-
ლი წინა (მივლ. გომეწ.); სუ გაათავა, ერთილა დაუწირა (ხორნ.
უძ.); ი ბაღლ დავად დაიწირა (ხორნ. უძ.); დავწირე ის ცხენი
იქა (ხორნ. უძ.).

შესაძლებელია „დაწირა“ ფორმა „გაწირა“ და „დატოვა“
ფორმების კონტამინაციის შედეგი იყოს.

4. ზმნის პირიან ფორმათა წარმოება

ზმნის პირიან ფორმათა წარმოების თვალსაზრისით ფშაურს
მნიშვნელოვანი თავისებურებები ახასიათებს. ამასთან ჩვენი მასა-
ლა ზოგ რამეში განსხვავებულ ვითარებას გვიჩვენებს იმისაგან,
რაც სპეციალური ლიტერატურიდანაა ცნობილი.

§ 52. პირველი სუბიექტური პირის ნიშნად აქ ორი ვარიანტი
გვაქვს: ვ- პრეფიქსი და ღ. ვ- პრეფიქსი ძირითადი ვარიანტია
და მისი გამოვლენის შემთხვევები ცალკე მსჯელობას არ მოითხოვს.
ის იქნება ყოველთვის, თუ რაიმე ფონეტიკური ფაქტორი არ უშლის
ხელს მის რეალიზაციას. ცალკე უნდა შევჩერდეთ ღ ვარიანტის
გამოვლენის შემთხვევებზე. იგი ფონეტიკური გარემოთია შეპი-
რობებული და რამდენსავე შემთხვევაში იჩენს თავს:

1) წინაწავალ ო-სა და მომდევნო ნებისმიერ ხმოვანს შორის.
ერთაღურთი ო, რომელიც შეიძლება წინ უძლოდეს პირის პრე-
ფიქსს, არის მო- ზმნისწინის ხმოვანი. ამდენად, მართებული იქ-
ნება თუ ვიტყვი, რომ I პირისნიშნის ღ ვარიანტი ვლინდება მო-

ზმნისწინსა და ფუძის ნებისმიერ ხმოვანს შორის: გამოიარეთ ი ხილებთან (მივლ. ლაფ.); ავდექით და ჩვენც წამოვდით (მივლ. ლაფ.); პაპას კი ველარ მოესწარ მენა (მივლ. ცაბ.); შრატს ცალკე ამოაჯობდით (მივლ. გომეწ.); რა გითხრა, რასაც ვერ მოიგონებ (მივლ. გომეწ.); კარებს საპირეს შემოაკრავდით, რო არ ეკამა (მივლ. გომეწ.); მოაჯობდით ი ჩალასა, სუ მოაშორებდით (მივლ. გომეწ.); მაილაპარაკეს, ემა-ღ' ემ დროს ამოიღოთო (მივლ. გომეწ.); მე კი წამოვლ, გამოიქეო (მივლ. ლაფ.).

2) \emptyset ვარიანტი ელინდება უ ხმოვნის წინ. მნიშვნელობა არა აქვს პირისნიშნანს წინ ზმნისწინი უძღვის თუ არა: იქ დავიმალნეთო და... აქა ვარ, აქაო, გამაუჩნდეთო (მივლ. ლაფ.); არ გამაუშვებო, უთხარ, მინამ კაც არ მამივალისავ (მივლ. გომეწ.); მენ უთხარ, განა კი დაუშალე (იქვე).

§ 53. \emptyset ვარიანტის გამოვლენა, უეკველია, ფონეტიკური გარემოთია შეპირობებული: წყვილბაგისმიერ ხმოვნების მეზობლობაში ვ რედუცირდება. ოღონდ აქ ერთი კომენტარის გაკეთება იქნებოდა საჭირო: მო- ზმნისწინის ო პრეფიქსული ა, ი, უ, ე ხმოვნების წინ ა-ღ გადაიქცევა (იხ. ზემოთ, ხმოვანთა სისტემის დახასიათება). ანუ რომ, ამ პოზიციებში გვაქვს ზმნისწინის არა მო- არამედ მა- ვარიანტი. ეს მოვლენა არ დასტურდება პირველი პირის ფორმებთან. აქ მო- ზმნისწინი სახეს არ ეკვლის აპასთან ის ბიფუნქციურია: ითავსებს ზმნისწინისა და I სუბიექტური პირის ფუნქციას. თვით ეს ო- ფონოლოგიურადაც ბიფუნქციურია, წარმოადგენს ფონემათა ოვ ჯგუფის რეალიზაციას⁷. ამდენად, აქ ფაქტიურად ვ პირის ნიშანი კი არ იკარგება, არამედ უერთდება მო- ზმნისწინს. ალბათ, ასეთივე ვითარებაა -უ- ხმოვნის წინაც.

§ 54. პირველი სუბიექტური პირის მრავლობითი რიცხვის აღსანიშნავად ფშაურშიც, ჩვეულებრივ, მხოლოდობითის ფორმას დაერთვის თ სუფიქსი: სახლი ავაშენე—სახლი ავაშენეთ. ოღონდ ვნებითი გვარის ზმნებთან დროკილოთა მეორე სერიის ფორმებში გვაქვს რთული ენითინთ სუფიქსი: ჩვენ თავს ვეშველენით (მივლ. ლაფ.); (შდრ. მე თავს ვეშველე); ჩვენც უნდა ჩავსულიყვენით (მივლ. ტაბ.); (შდრ. მე უნდა ჩავსულიყავ); მე და ის ერთად მოვიზარდენით (ეაქა, V, 38); ოცდაათამდე

⁷ გ. ცოცანიძე, ბერის ბიფუნქციურობის ერთი შემთხვევა თანურში, თბილისის უნივერსიტეტი გორგი ახელდიანს, 1969, გვ. 191.

კაც-დედაკაც ვიყვნით (მივლ. თხ.): შთაზე სამ ვიყვნით ყარაულად (მივლ. ცაბ.); მოდი შავეკითხნეთ მამასა (ზორნ. უძ.); ვავე-დინნეთ საკაროდა, უკვენ მენა, წინ შენაო (რაზიკ. 192).

§ 55. მეორე სუბიექტური პირის ნიშნად ექვსი ფონეტიკურად შეპრობებული ვარიანტი მონაცვლეობს: ს, მს, ჰ, მჰ, ა, ღ. ამ ვარიანტების განაწილება ერთობ საინტერესო სურათს იწვევს. ამ ვარიანტი ისევე, როგორც სალიტერატურო ქართულში, ვლინდება ზმოვნით დაწყებულ ფუნქციებთან. ამართვი (ბურნითი), გააპენე, შათამაშე და სხვა.

1) წინანენისმიერი თანზმოვნების წინ ერთმანეთს თავისუფლად ენაცვლება სამი ვარიანტი ს, მს და ა: გამიჯაღრა. რად სცემოო ვაჟაბ შვილსავ; აქაჰდი კი არ სწუნობდი ჩემს დაგზავნილებს დასაშებსა (რაზიკ. 183); რა ცხენსავითა სჭიხვინებ (ვაჟა, III, II); ე თოხლის ხორციც ჩასჭერ საყაურმედა (ვაჟა, IV, 207); დამხწვი, დამდაგე კოშარა (მივლ. ცაბ.); ჩამსჭრი ი ძნასა (მივლ. გომეწ.); ეგრე ნუ დამდითო, მე უთხარ (მივლ. გომეწ.); მემრე დამთესავ (იქვე); ეხლა მიღევა მთქვი მართალი (ლაფ.).

2) უკანანენისმიერ და ბაგისმიერ თანზმოვანთა წინ ასევე ერთმანეთს თავისუფლად ენაცვლება სამი ვარიანტი ჰ, მჰ და ა. უმეტესად რეალიზებულია მჰ ვარიანტი. ორი დანარჩენი იშვიათად თუ გამოჩნდება. დამჰკადეთ ტანისამოსი, ნზენე დამჰყარეთ შვედარია; ქარეგას ფშავლენ დამჰკოცეთ, აღინეთ სისხლის ღვარია (მივლ. მღარო); აყარა იარაღები (იქვე); შენ აქ არ მოგევალოდა, დიდი მჰქენ ცოდვა-ბრალიაო (მივლ. თხ.); მამჰვნავ, დამჰფარავ, მამჰკი (მივლ. გომეწ.);

პირველი პირის მსგავსად მრავლობითი რიცხვის ფორმებს ვნებითი გვარის ზმნებო აქაც რთული სუფიქსით იწარმოებს: დაიკოცებით და დაიკოცენითო (მივლ. ლაფ.).

3) სპირანტებისა და სონორების წინ გვაქვს მხოლოდ ა ვარიანტი: აიქ დამსოდოთ ბიჭუა, სად ისხდეს დედათ ჭარიო (მივლ. მალ.); ხო არ შამშინდი ძმობილოო, უთხრა (მივლ. ლაფ.); თუშფშაველთ სისხლით შამდებეთ ქისტეთის მთა და ბარიო (მივლ. მალ.); კახურადა მლაპარაკობთო, გვეტყვიან (მივლ. ლაფ.); ცისაკ ამმართე ალიაო (მივლ. მალ.); კალოდ გამღეწე მკვდარიაო (მივლ. მალ.).

§ 56. მესამე სუბიექტური პირის ნიშნად რამდენიმე ვარიანტი დასტურდება და დიალექტურ თავისებურებათა თვალსაზრისით ამ ვარიანტების განაწილება საინტერესო.

1) ნამყოფს უსრულში - ა სუფიქსიანი ფორმები თავისუფლად მონაცვლეობს \varnothing -იან ფორმებთან. შეესაბამებელია უვლიდ — უვლიდა, უნდოდ — უნდოდა, იქნებოდ — იქნებოდა და სხვა.

მაგალითად: აბა რა ვიცე, ვისა იქნებოდ (მივლ. გომეწ.); ერთ-ხენაც იქნებოდ, მოკვდებოდ (მივლ. თხ.); თავად უვლიდ იმამა. (მივლ. გომეწ.); ი ნიკალაის დრო არ უნდოდ იმათ (მივლ. ლაფ.); შენ საქმე წინაეაც გაგონილი მქონდ (ეაყა, IV, 209); ის აღარც გამოდგებოდ არაად (მივლ. გომეწ.); მაგრამ აქვე გვაქვს: ის უფრო კარგ იქნებოდა (მივლ. გომეწ.); რა ვი, რა დროთა იქნებოდა (მივლ. თხილ.).

2) ასევე -ა და \varnothing მონაცვლეობს ფორმებში იუბნ — იუბნა: დავსხედითო, იუბნ ერთხელა (მივლ. თხ.); ჩაიცვ — ჩაიცვა: აბა, ბა, ბა, ბა, არ მიიკარა ქალის ტანისამოსი, სუ ისე ჩაიცვ, ვაყურადა (მივლ. გომეწ.); მაგრამ — ტყავ გააძვრა იმოღენა სცემა (მივლ. ლაფ.); ამაში ღაატყვა ი დევმა... (ხორნ. უძ.).

3) იყო ზმნასთან მესამე სუბიექტური პირის ნიშნად გვხვდება -ო სუფიქსის ნაწილობრივრედუქცირებული ვარიანტი -ვ. მაგის მამიდა იჲვ ერთი (მივლ. თხ.); ზეავ ჩავლილ იჲვ (იქვე); დავითო კიდენ ბატარა იჲვ (იქვე); მაშინ კერძობა იჲვ (მივლ. ცაბ.); ბეჩავ იჲვ, ბეჩავი ვზარდე (მივლ. გომეწ.); ის გამოგორვილიჲვ, ეგრე დაგორვილიჲვ, მითო მამხვდაო (მივლ. ლაფ.).

შეიძლებოდა კაცს ეფიქრა, რომ ეს -ვ პირის ნიშნის ვარიანტი კი არა, არამედ ფუძისეულიაო: ვიჲვ, იჲვ, იჲვ, მაგრამ ეს უკანასკნელი ფაქტურში არ გვხვდება. სამაგიეროდ არც თუ იშვიათია იყო ფორმა: ამასთან „იყო“ და „იჲვ“ ერთიმეორის გვერდითაც იწარება. ამაზე იყო გაკრული ქეშტი და დაწერილ იჲვ (მივლ. ლაფ.); სიმარტოვე უფრო ძნელ იყო (მივლ. ლაფ.). ო-ს რედუქციით -ვ-ს მიღება ცნობილი პროცესია ქართულ ფონეტიკაში.

§ 57. თავისებურია სტატიკურ ზმნათა აწმყოსა და გარდამავალ ზმნათა პირველ თურმეობითში მესამე პირის ფორმათა წარმოება. აქ თავისუფლად მონაცვლეობს \varnothing -იანი ფორმები -ის სუფიქსიანი ფორმებთან. სტატიკურ ზმნათა აწმყოში იქნება ღბავ||ღბავის, სტანავ||სტანავის, აქვ||აქვის, ხყავ||ხყავის და სხვა. თურმეობითში — მაუკელავ||მაუკელავის, მაუკლავ||მაუკლავის, წაუყვანავ||წაუყვანავის და სხვა.

მაგალითად: 1. ა) აღარა საქმე აქვ ანასა (მივლ. გომეწ.);

ტკვა არა აქვ იმთენი (მივლ. თხ.): ერთ ქალ შინა მყავ (მივლ. გომეწ.): აი შეილ-შეილიშვილები მყავ (მივლ. ლაფ.): შუშანი-კაის ბალლი მტანავ (მივლ. ლაფ.): ემასა უჯობავ, ემ ფურსა (მივლ. ჩარგ.): ოც წელს მიწა მაქვ ლოგინად (ვაჟა, II, 74): სხვა კი რა-ლა რა მამადავ (მივლ. ლაფ.): ნახეს, ქვაზედა სწერავ (ხორნ. უძ.): ლახტსა ძახნილან, მგონავ, იმით უომებავ (ხორნ. უძ.): ცო-ტალა მიკლავ მანძილი (იქვე); ჩვენ გომურს კი ეხლაც სიბ უგავ (იქვე): იმათა მგონავ, შიგ იწვებ (მივლ. უძ.); დაღვერმილს წელ-ზე ხმალი ჰრტყავ (ვაჟა, II, 168); ჩვენც ყურები გვსაზავ, მგო-ნია (ვაჟა, II, 172): მანამა ვცოცხლობთ, მტერი გვყავ (ვაჟა, II, 75).

ბ) ყველას კრელ ჩიქილა ჰხურავ, ყველას კრელ კაბა სცვაფი-სა (რაზიკ. 214), თუ ჩემ სულ გესაგონებთ, ტანზე ნუ გცვაფის შა-ვია (რაზიკ. 21); ლაშარის ჯვარის ლურჯასა ფაფარ ასხავის გიშ-რისა (რაზიკ. 18); ძალიც აი მთაშია ხყავის (მივლ. ჩარგ.); ყაჩა-ლი მგელსა მგავის (მივლ. ლაფ.): კარებში სამ ვეფხვი ჰბავის (ხორნ. უძ.): ჯანი გაქვის, მაგრამ განა სულ ეგრე იქნები (ვა-ჟა, III, 44).

2. ა) კირჩხაიც თან მიუყოლებავ, სათიბში ისრე უვლავ (მივლ. გომეწ.): იქ აღარა მათქვლავ, ვისაც უსწავლებავ, იმას (მივლ. გო-მეწ.): კევსურეთით მაუყვანავ, მკითხავისად უკითხინებავ (მივლ. ლაფ.): თავის გვარზე დაუწერინებავ ის იოსები (იქვე): შენ ეგ არ დაგიჯერებავ, არც არა მოგისმენია (რაზიკ. 10): მძინარისად მუქრავ თავი (ხორნ. არახინჯ.): ჰურ უქამავ, უქეიფებავ და და-უძინებავ (იქვე): წასულა ი კოპალაი იქა, საცა ი დევებს უცხოვ-რებავ (ხორნ. უძ.): ი კოკლ ქალი: წყალში რო გადაუგდავ, სანამ ჩავარდებოდა, უთქომ (იქვე): ბალს იქ გაუვლავ (მივლ. თხ.): რაც ნე ზურგით შეშა მამიტანავ, თივა მამიტანავ (მივლ. მალარო): გა-უბამ ყინულს ლურჯადა უბე-კალთები მთებისა (ვაჟა, II, 37).

ბ) ფულიც ი მასწავლებელს მიუცავის, გაუჯავნავის ი დეპე-ნაო და... (მივლ. თხ.): ი ბაღლ თავად დაუქვარავის კელჩია (ხორნ. უძ.): არ გამაუბრუნებავის ი ბაღლსა ცხვარი (ხორნ. უძ.); მავის მერს ჩვენდ კარგ ლუკმა არავის არ მაუტანავისო (იქვე); სუყვე-ლა საათამ უშოვნავის (იქვე); ჩასულა ტბაშია და მაუკლავის იქა (მივლ. ლაფ.); ტყუილად კი მალოდინეს იქა, არა მიუცავისთ (ხორნ. უძ.): არ უყვილავის მამალსა ბეწინიკაის მზესაო (რაზიკ. 179).

3. წაუყვანავ! წაუყვანავის ტიპის ფორმათა თავისუფალ მონაცვლეობას უფრო ნათლად ადასტურებს მათი გვერდიგვერდ ხმარების შემთხვევები: დედა-შვილ წაუყვანავის ლექვებსა ლექვებში რომ მიუყვანავის, ი შვილ ჩანგლებზე დაუკიდებავ (ხორნ. აფშო); გაუგავ ი კაცსა, აბა, შაუტყვავ რო არ იყო ისი, გამაუბავ ცხენის ძუაზედა ი ცოლის დაი და ისრე მაუტკლავის (ხორნ. უძ.); მე რო დამციანი, არჯალავ, შენ რალა გითქომ თავისა, პატავ არ გიცავ ღვთისადა, სანთელ არ აგინთავისა, ღვინო არ ამოგიტანავ, ქაჯა არ გაგიჭრავისა, ხინკალი არ მოგიხარშავის, ხმიანდ არ ჩავიცხვავისა, ტაბლა არ გაგიკეთებავ, სახელ არ შავიღვავისა (რაზიკ. 193).

4. -ის დაბოლოება გვაქვს -ვალ- ზმნის მესამე სუბიექტური პირის ფორმებთანაც:

იქ ყველღე დავალისო (მივლ. თხ.); ...აქაურ ცხვარ მივალის (მივლ. ცაბ.); მივალის ისიც ჩემად აწლუაშია (ხორნ. უძ.); ყველ ძირს წავალის (ხორნ. უძ.); ჭერაც ვხედავ, მივალის (ვაჟა. II, 89). ბილიკით დავალის (ვაჟა. IV, 208); ნუ იტირებთ, შეილო, დედათქვენი მალე მოალის (ვაჟა, III, 49).

ზოგჯერ ამ ზმნის ფუძეც შეკვეცილია: სად დავა შევ-შუალა-ნეთა (ვაჟა. IV, 211).

1, § 58. ამ პარალელურ ფორმათაგან განმარტებას მოითხოვს მეორე -ის სუფიქსიანი ფორმები. რა არის ეს -ის? როგორ უნდა განვიხილოთ იგი, როგორც ერთი მთლიანი თუ დაშლილად. თუ დაშლილად განვიხილავთ, მაშინ დაგვიდგება ამ -ის-ს რაობის საკითხი. რომელზე პასუხიც, ვფიქრობთ, გაკირდება. ხეიღავ-ის ღბავ-ის, დაუკიდებავ-ის, შაუმბავ-ის სიტყვაფორმათა ფორპობრივ-შინაარსობლივი შეპირისპირებითი ანალიზი გვეუბნება, რომ მესამე სუბიექტური პირის გაგება დაკავშირებულია სწორედ ამ -ის სუფიქსთან მთლიანად: მენ ვღბი-ვარ, შენ ღბი-ხარ. ის ღხავალბავის; მენ შაუმბი-ვარ, შენ შაუმბი-ხარ, ის შაუმბავალშაუმბავ-ის. აქ პირველი და მეორე პირის გაგება დაკავშირებულია შესაბამისად ვარ და ხარ მეწველ ზმნებთან. მესამე პირის ფორმებში კი -ავ ისეთივე სუფიქსია, როგორიც პირველ-მეორე პირის ფორმებთან ფუძის ბოლოკიდური -ი — ვღბი-ღბი-, მესამე პირის მაწარმოებლად კი ერთმანეთს თავისუფლად ენაცვლება Ø და -ის სუფიქსი.

კიდევ უფრო ნათლად გვიდასტურებს ამ ვარაუდის საფუძვლიანობას დავალ ზმნის ანალიზი: მენ დავალ, შენ დახ-

ვალ. ის დავაღვაწიე. დავალ-ი, დახვალ-ი ფორმები ფსაურმა არ იცის. მაშასადამე, აქ მესამე პირის ვაგე-ბა -ის სუფიქსს უკავშირდება. უფლება გვაქვს ვთქვათ, რომ ფსა-ურში ჰესავე სუბიექტური პირის სუფიქსის ვარიანტებს შორის სალატივრატურო ქართულის -ა, -ს, -ო-ს გვერდით გვაქვს Ø, -ვ და -ის ვარიანტებიც⁸.

§ 59. მე-3 სუბიექტური პირის ნიშნის ნულოვანი ვარიანტი იჩინა თავს ობიექტური წყობის ორპირიან სტატიკურ ზმნებთან: მამწონ, მაჯსონ, გწამ, მიძე, გიძე, უძე და სხვა: განა კი მაჯსონ, აღარ მაჯსონ, არ დამაჯსონდებ (მივლ. გომეწ.): ის მაჯსონ, ი მამის ნათქვამი (მივლ. გომეწ.): არაფერ არ მაჯსონ (მივლ. ლაფ.): მა-რიანობისთვის კი მაჯსონ (მივ. გომეწ.): რას ამბობ, თუ ღმერთი გწამ (ვაჟა, IV, 207): დაჯე თუ ღმერთი გწამ (იქვე): მაინც არ მამწონ, მაინცა, ვერც მამაწონებ ძალადა (რაზიკ. 138); მე მამ-წონ თუ არა, ეგ სხვა არი (ვაჟა, IV, 238); როგორც შენ მაგ-წონ (ვაჟა, IV, 237): ...თუკი ძალლობა არ უძე გულში (ვაჟა, IV, 211): ასკოდინში ქერ მიძე, ორასიანში წმიდაო (ვაჟა, V, 29); ობ-ლობს, ბეჩაობისა დღესაც ზედ მაძე ობია (ვაჟა, II, 74); ხიდი არ გვიძე წყალზედა, ფიქრი გვწევას მოუთმინარე (ვაჟა, I, 137).

ნულოვანივე ვარიანტითაა წარმოდგენილი ზოგი სხვა სტატი-კური ზმნის მე-3 პირის ფორმები: ეგ ხო ჩან, ეგ მთა (მივლ. ლაფ.): როგორც სჯობ, იცი უკედა (ვაჟა, II, 83).

§ 60. მესამე სუბიექტური პირის ფორმათა წარმოებისას ყუ-რადღებას იქცევს, აგრეთვე, მრავლობითის სუფიქსები. აქ ამ მხრივ თავისებური ვითარება გვაქვს ნებისმიერი ზმნის ნამყო უს-რულისა და უნიშნო და სუფიქსიანი ვნებითი და ზოგი საშუალი (მედლიოპასიე) გვარის ზმნათა ნამყო ძირითადის ფორმებთან:

1) პირველ შემთხვევაში ერთმანეთს თავისუფლად ენაცვლება სუფიქსის ორი ვარიანტი -ენ და -ეს, ოღონ რეალური გამოვლენა -ენ- ვარიანტისა ბევრად სჭარბობს -ეს-ისას:

ა) ძროხას არ გაუშვებდენ, კაცს არ გაუშვებდენ (მივლ. ლაფ.); იქიდან გააჩვენებდენ ისევ (იქვე): წამოიდოლენ გააძეხდენ სო-ფელში ამბავს (იქვე); ეძებდენ და ვეღარა აქელავდენ, რას მახჭე-ლავდენ (მივლ. თხ.): აღარცა, აბა რას იქმოდენ, ისიც იცოდენ რო

⁸ სხვაგვარი თვალსაზრისითა თვის იხ. ალ. ჰინჭარაული, ხევსურულის თავისებურებანი, გვ. 120; მ. სუხიშვილი, სტატიკური ზმნები ქართულში, 1976, გვ. 103.

კოცხალ არცა იყო (იქვე); იარცს დაჰკეფდენ, მახარშავდენ (მივლ. გომეწ.); დაჰკოცდენ, მახარშავდენ, დაჰპატიუებდენ ერთურთსა, პატივსა სცემდენ, ასმევდენ არაყსა (იქვე); ჩაალობდენ წყალშია იმ პურსა, მემრე ამაილებდენ წყალშითა, დასწურავდენ, მემრე თბილად ჩახყრიდენ, დაიდებდენ, დაახურებდენ... ნემრე გაშლიდენ, გააკმობდენ კარგადა, დაფქვავდენ და ალაოს ეძახდენ (მივლ. გომეწ.).

ბ) რავი, რამთვენის ხნისეებ იქნებოდეს (მივლ. გომეწ.): ერთ ე ნოჯიკეთში იყო, ბაქიკუდას ეძახდეს (შეთ.); აბა, კი თუ გააცხადებდეს (ხორნ. უძ.); დედმამან კი არა მუყანდეს (მივლ. თხ.); ცხენებით კი კნავდენ... ფშავლებს აწიოკებდეს (შეთ.); მატყლის კეპანი ჰქონდეს (ეაჟა, V, 292).

2) სუფიქსის -ეს და -ენ ვარიანტები მონაცვლეობს, აგრეთვე, ვნებით და ე. წ. მედიოპასივ ზმნათა ნამყო ძირითადის ფორმებთან. აქაც, როგორც წინა შემთხვევაში, -ენ-ის გამოვლენა სიხშირით ბევრად სჭარბობს -ეს ვარიანტის გამოვლენას.

ა) ჩაქუჩდენ ი კარტობილი საცა იყო (ლაფ. 2): გაჰყვენ ი ძალუასა სამნივ (მივლ. თხ.); ორნილა დარჩენ ცდაზედა (რაზიკ. 78); გამაუდგენ ეს ფშავლები (მივლ. ლაფ.); გარეკეს ი ძროხები დაჟ გადავიდენ პირიქით (მივლ. ლაფ.); დაწვენ ეგრე, გაიშალეს ლოგინი, დაწვენ (მივლ. არტ.); ამოკდენ იმაზედა, შამოიდენ (მივლ. ლაფ.); ჩემ ქალებ გამაუდგენ (მივლ. თხ.); წავიდენ ქალები (იქვე); გადმოჩნდენ წიკობითა (იქვე); ეჯიბ-მეჯვარენ მოიდენო, ვიცოდით (მივლ. გომეწ.).

ბ) თავად აღგეს, თავად ამაიდეს ი ფქვილიცა (მივლ. ლაფ.); ჩამოიდეს, კვითხე, რა ამბავიო (მივლ. თხ.); წავიდეს საქალაქოდა, დადგეს ლეკების გზაზედა (რაზიკ. 76); აღგეს, წავიდეს ფშავლები, დადგეს სამტეროს გზაზედა (იქვე); მოვიდეს, უთხრეს: „ქუჯაგო, უდგა მეგრელის შვილსაო“ (რაზიკ. 57).

✓ § 61. ი- და ე- პრეფიქსიანი ვნებითის ფორმებთან გვაქვს სუფიქსის -ნეს ვარიანტი: ამ ზამთარ რო დაიკოცნეს (მივლ. გომეწ.); დაიზარდნეს კია (მივლ. ლაფ.); ის ორნი ჯარში მაიკარგნეს (ხორნ. ვანჯ.); წავიდეს და გაიყარნეს (ხორნ. უძ.); ...მთელი ზედ დეეცნეს (მივლ. ლაფ.); ...თუ ის კაც-დედაკაცნ არ გეერეცნეს (იქვე); დაიკოცნეს, გეერეცნეს, დაიზარდნეს, მაიკარგნეს და მისთ. ფორმებში მესამე სუბიექტური პირის სუფიქსი არის -ეს და არა -ნეს.

ეს ნ გვხვდება პირველი და მეორე პირის ფორმებთანაც: ჩვენ მო-
იკარგენით, თქვენ მაიკარგენით, ისინი მაიკარგნეს (იხ. ზემოთ).

ასეთივე ვნებითის ფორმებთან ზოგჯერ გვაქვს -ნენ სუფიქსიც
(პემრე გამეფშენენ), სადაც პირველი ნ იგივეა, რაც -ნეს სუფიქს-
ში (გამოფეშენით, გამეფშენით, გამეფშენენ). ასე რომ, აქაც მესამე
პირის სუფიქსი არის -ენ და არა -ნენ⁹. ნენ-ის გამოვლენა სისტე-
მატურია იყვნენ ფორმაში და მეშველი ზმნის ამ ფორმით ნაწარმო-
ებ აღწერით ფორმებთანაც: ჩემი ძმის ემეებ იყვნენ (მივლ. ლაფ.):
არა, დიდიდებ იყვნენ (მივლ. გომეწ.); გონჯაყევში მისულიყვნენ
(იქვე); მთიულეთს სადამ დედაკაცებ მიდენილიყვნენ (მივლ. თხ.):
ჯუბან აღმა წამამსვლიყვნენ, მწყემსსა ჰკვანდა კუნტელასა (რაზიკ.
217).

§ 62. დგას, წევს და სხვა ამ ტიპის სტატიკურ ზმნებში ფშა-
ურში მრავლობითის ერთმაგი წარმოება გვაქვს: დგან, წვან, ნაცვ-
ლად სალიტერატურო ქართულის დგანან, წვანან ფორმებისა: ორ-
ნი დანი მყვან სხვანი (ხორნ. უძ.); დათხრილნი გქონა ე თვალნი (იქ-
ვე); შიგა სხენ ბულბული და იადონი (იქვე); სუდარჩაცმულნი
მთანი დგან, ფიქრის მზიდველნი მწარისა (ვაჟა, II, 26); ფეხნი
გვქონ ეკლის ნაშაშრნი (ვაჟა, I, 89); მამ შიგქონ ჩემნ იარალნი
(ვაჟა, II, 24); სხვა არაფერი, შტერად სდგან ფშაველთ მიწური
ქოხები (ვაჟა, II, 185).

ასე რომ, მესამე სუბიექტური პირის ნიშნად მრავლობით რიც-
ხვში გვაქვს სამი ვარიანტი -ან, -ეს და -ენ. ზოგ ფორმებში სტა-
ბილურია -ეს ვარიანტი (გარდამავალ ზმნათა ნამყო ძირითადის
ფორმებში), ზოგან კი -ეს და -ენ მონაცვლეობს თავისუფლად (ყო-
ველგვარ ზმნათა ნამყო უსრულისა და ვნებითი და მედიოპასივ
ზმნათა ნამყო ძირითადის ფორმებში). ამ უკანასკნელ შემთხვე-
ვაში -ენ ვარიანტის ხმარების სიხშირე ბევრად სკარბოპს -ეს-
ისას¹⁰. აწმყოფს ფორმებთან -ან და -ენ ვარიანტებია გაბატონებუ-
ლი.

⁹ შლრ. ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული ენის ვრამატიკის საფუძვლები, 1973, გვ
178.

¹⁰ როგორც ჩანს, -ეს ვარიანტი არის თავდაპირველი ფშაური მაწარმოებელი
და ის ლიტერატურული ენის გავლენით თანდათანობით გზას უთმობს -ენ ვარი-
ანტს. თ. რ ა ზ ი კ ა შ ვ ი ლ ი საჭიროდ მიიჩნევს, რომ -ეს-იანი ფორმები სქო-
ლოში განმარტოს, როგორც კუთხური ფორმები და განმარტავს მას -ენ-იანი ფორ-
მების საშუალებით: „ადგეს, წავიდეს, ფშავლები, დადგეს სამტეროს გზაზედა“. ად-
გეს, წავიდეს განმარტებულა ადგენ, წავ დენ ფორმებით.

§ 63. პირველი ობიექტური პირის ფორმებთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს ამ პირის მრავლობითი რიცხვის ასახვა ზმნაში. სახელობით ბრუნვიანი პირდაპირ ობიექტად წარმოდგენილი I პირი ზმნაში გვ-პრეფიქსთან ერთად -ნ სუფიქსსაც აჩენს: ეგ ალაგ იყიდა ჩემ მამამ, ჩამოგვრევნა აქ; კი თუ გვნახნეს ჩვენა (მივლ. ლაფ.); დაგვლოვნა ვოშარის გორმა, წყლის იქ არ გამოდენამა (მივლ. თხ.); ოლომც ეხლა კი დაგვასვენენ, ძმაო (ვაჟა, V, 36).

§ 64. მიცემითბრუნვიანი მეორე ობიექტური პირის მრავლობითი რიცხვი ზმნაში აისახება -თ სუფიქსით, ოლონდ აქ აღსანიშნავი ისაა, რომ ფორმაში ინახება, არ იკარგვის მესამე სუბიექტური პირის ექსპონენტი -ს: შვილ სადა გყავისთო (ხორნ. უძ.); არ გიკვირსთა თქვენი ჭირიმეთ (ვაჟა, V, 297); რო ვის რა გეჭიროსთო, რალა ვქნა მენაო (მივლ. თხ.); ანა ვ-ნ გაპატიებსთ თქვენაო (მივლ. ლაფ.); მიდუღეთ სალუდე ჭობი, ყმანო, გეწეროსთ ჯვარიო (რაზიკ. 20); დაღევიო, ჩიტნო ქერონნო, ნუ ეთულებით ნართაო, გამოგიქროლებსთ მიმინო, თავს მიგინარცხებსთ ქვათაო (რაზიკ. 111); ჯერ დამთავრებული არა აქვისთ (ხორნ. უძ.); ნუმც დაედუპვისთ, შენს: მაღლსა, ზღვაში შასული ნავია (ვაჟა, II, 76).

§ 65. მესამე ობიექტური პირის გამოსახატავად ფშაურში სისტემატურად დასტურდება ექვსი ალომორფი: **ა, ს, ჰ, მს, მჰ, Ø** — (სისტემატურად, ხაზს ვუსვამთ იმიტომ, რომ სპორადულად გვხვდება სხვა ვარიანტებიც: **ხ, მხ, ზ, მზ, მშ**, რომელთა შესახებაც ცალკე ვიმსჯელებთ).

საჭიროა გავარჩიოთ ორი ძირითადი შევთხვევა: როცა პირის პრეფიქსი თანხმოვანს მოსდევს და როცა პირის პრეფიქსი ხმოვანს მოსდევს.

უმეტეს შემთხვევაში მე-3 ობიექტური პირის პრეფიქსი ხმოვანს მოსდევს: ზმნას ან ზმნისწინი აქვს, ან წინამავალი სახელი (resp. სიტყვა) ხმოვნით ბოლოვდება და ზმნასთან ერთად ერთ რიტმიკულ ერთეულს ქმნის, ე. ი. წინამავალ სიტყვასა და ზმნას შორის პაუზა ფიქსირებული არ არის (ვირტუალურია). ასეთ შემთხვევაში, პრეფიქსის პოზიცია ფონეტიკურად ხმოვნის მომდევნოა.

მე-3 ობ. პირის პრეფიქსი თანხმოვანს მხოლოდ მაშინ მოსდევს, როცა ზმნის ფორმაში სუბიექტური პირი პირველია.

წინადავალი თანხმობის სწორედ I სუბიექტური პირის პრეფიქსით.

ჯერ განვიხილოთ ისეთი შემთხვევები, როცა მე-3 ობიექტური პირის ნიშანს წინ ხმოვანი უძღვის:

ხმოვნის მომდევნოდ დასტურდება სუყველა ალომორფი, რაც ზემოთ მოვიხსენიეთ. მათი განაწილება დამოკიდებულია მომდევნო პოზიციაზე. მასალის ანალიზმა დაადასტურა, რომ მესამე ობიექტური პირის ალომორფების განაწილების მიხედვით ყველა შემთხვევა ოთხი სახის პოზიციად ნაწილდება: 1) ხმოვნის წინა პოზიცია; 2) წინაენისმიერთა წინა პოზიცია; 3) უკანაენისმიერთა და ბაგისმიერთა წინა პოზიცია და 4) სპირანტთა და სონორთა წინა პოზიცია.

1) ხმოვნისწინა პოზიციაში მესამე ობიექტური პირის ალომორფი ნულოვანია:

სუ ტყავ გააძვრა (მივლ. გომეწ.); ი ცხენებ კი ველარ წაართვეს (მივლ. ლაფ.); თავ შააცალა (მივლ. გომეწ.); გულა მააქვის (მივლ. გომეწ.).

შ ალომორფის პოსტულირება ხერხდება ფორმათა შეპირისპირების გზით:

გამაძვრა-მან მე ის	წამართვეს-მათ მე ის
გაგაძვრა-მან შენ ის	წაგართვეს-მათ შენ ის
გააძვრა-მან მას ის	წაართვეს-მათ მას ის

2. წინაენისმიერთა წინა პოზიციაში გვხვდება მესამე ობიექტური პირის ნიშნის სამი ვარიანტი ს, ა, მს.

ს: გასჭრიან მემრე ქადებსა (მივლ. გომეწ.); საძილედ არა სცალიან კულაი ხარის პატრონსა (მივლ. ცაბ.); კაი გემოს მისცემს (მივლ. გომეწ.); საფუარს მისცემდენ (იქვე); ბატკნისა პაი, პაი რო სჯობია (იქვე); დასწერდეს იმასა (მივლ. ცაბ.); არ მასწველიდა კაცი (მივლ. გომეწ.); მასწონებია იქ სასახლეები (მივლ. ლაფ.); ემ სოფელს რო გასცდება (იქვე); სცემა ისრე, სუ ტყავ გააძვრა (იქვე).

ა: სახელს შაიდებდენ (მივლ. ცაბ.); ზოგ ჰედილას დაადგამდა (იქვე); დაადგომიყვენს მემრე (იქვე); ი ფრთეებს მაადის წყალი (მივლ. გომეწ.); უკვენ მაადევდა ქისტები (მივლ. ცაბ.); სისხლისა მაადევს კვალია (იქვე); დაათესავენ მემრე (მივლ. გომეწ.).

მეწ.); გაატეხენ სოფელში ამბავს (მივლ. ლაფ.); ხალარჯობასა
ჩაიდიან (მივლ. გომეწ.); იმან თუ ჩხვდიკა ხანჯალი (მივლ.
ლაფ.); გამამცილდენ სოფელს (მივლ. გომეწ.); რა აწმელს აქაო-
ბას (მივლ. ცაბ.)

მხ: ის გადმამსტევებიყვ (მივლ. ცაბ.) შუალამისას შამოხსწვდა
ყმაწვილსა ქვიშის ჩქანია (იქვე); შენ ვერა მსცემ მა კარებსავ
(მივლ. გომეწ.); გამამსთიბდენ (იქვე); მამსძებნიდენ (იქვე); მას-
ხარაობა მსწადიან (იქვე); თუ რას დასთესავს (იქვე); ძუძუხსაცა
მსწოვდა (იქვე); ხანჯრითა მსჭრიდენ ერთურთსა (მივლ. ცაბ.);
ქერქ მამსცივივა (მივლ. ლაფ.); ფეკ მამსტყლება, თექვსმეტამდე
ჯამსწევს (მივლ. ცაბ.); პურსა მსჭამდენ (მივლ. ლაფ.).

3) უქანაენისმიერთა და ბაგისმიერთა წინა პოზიციაში გვხვდე-
ბა სამი ალომორთი: ჰ, მ და მჰ.

ამთგან მჰ დიდს უმრავლესობაში გვხვდება: წისქვილში
დამაჭკვავდენ (მივლ. გომეწ.); დამაჰპათიუბდენ ერთურთსა (მივლ.
მალ.); რალა მჰქვიან, არ ვიცი (მივლ. გომეწ.); კერძოს ვისაცა
მჰყვანდა, სტაცებდეს (მივლ. ცაბ.); ერთ თუშ მეეკლა, ისიც მამ-
ჰქონდა (იქვე); ბუღეებს მილაღავდენ, დამაჰკოცდენ (იქვე);
კორცს დამაჰყფდენ (იქვე); არ უნდა დამაჰკლებიყო (იქვე); და-
მაჰკვლენ საკლავებს (იქვე); ერთ ციკანს დამაჰკლავენ (მივლ. მალ.);
თუშებსა და ფშავლებსა მჰქონია ჩხუბი (მივლ. ცაბ.); სამ შვილი
მჰყოლია (მივლ. მალ.); გამამაჰყვა ქალი: რას დამაჰკელავენ (მივლ.
ლაფ.); ამაჰკიდა ი დედაც ცხენსა (მივლ. ცაბ.); დედასა მაჰკლავს
შიმშილითავ (მივლ. ცაბ.); კარაქს რაანამა მაჰკრფდენ (მივლ. გო-
მეწ.); კარტობილს შამამაჰყელავს (მივლ. გომეწ.); მამულებს მა-
მაჰკელვენ (მივლ. გომეწ.) სხვას ვისა მაჰკითხონ (მივლ. გომეწ.);
დამაჰკივლა დიდის გულითა (მივლ. ცაბ.); იმეებს დამაჰყვებოდა
(მივლ. ლაფ.) საით ამაჰყვა-გამაჰყვა იმათა (იქვე); ესრე ლევანჰან
დამაჰკრაო, ესრე აღისამ დამაჰკრაო (იქვე); ჩემ ძმას უნდა დამ-
ჰკრას (იქვე).

მ: თუ რას ან დამაბარავს (მივლ. გომეწ.); ჯერ კი დამაბირ-
დეს, წამოალო (მივლ. მალ.); დამაფკავდენ იმას (მივლ. გომეწ.);
მარტოა მფარავდ (იქვე) საკლავებს მილაღვენ, დამაჰკოცენ (მივლ.
ცაბ.); რა რა მჰქონდა გასაყოფი (იქვე); იმასა მჰქონდა აბრაშუნის
ფარი (იქვე); ბიჭუა გამამაჰცივეია (იქვე); კალიან გუდა მაკიდები-
ყო (იქვე); ვინც არ შაირტყა, გადააკრა (იქვე); მამაკიდა კელი
(მივლ. მალ.); სახეში თუ აგვანდა (იქვე); თუ გინდა გამამაგზავნიან

(იქვე): იმათა მგონავ. შიგ იწვებ (იქვე): საგძლიან გულაც ააგლი-
ჯა (იქვე).

ჰ-ს შეხვედრის სიხშირე გაცილებით ნაკლებია ვიდრე მჰ-სი.
და მ-სა. ყველა შემთხვევაში წინამავალი სიტყვა ბოლოვდება ი-
ზე: ეშმაკი ჰპატრონობსო. იცოდინან (მივლ. გომეწ.); თხორი
ჰქვია (იქვე); ცხვრები ჰყვანდა (იქვე); ფშავის ქვეი დაჩეგრული
ჰყვანდა ქისტებს (მივლ. ცაბ.) სალუდე ქობი ჰქონდის (იქვე);
ჩვენ სალოცავს მთავარანგელოზი ჰქვია (იქვე).

4) სპირანტებისა და სონორების წინ დასტურდება მხოლოდ
ერთი ვარიანტი - მ:

ა) ძლანძღავს დედას (მივლ. მალ.); გაძლავდენ, გაანებებენ თა-
ვისა (იქვე); ქვეისბერი დაძლოცავს (მივლ. ცაბ.); სადიდებულო-
საც დაძლევენ (იქვე); მიძმატებიან მემრე (იქვე); ქალს კიდენ
დაძლავდენ (იქვე); იმას კი დაძმარხვენ (იქვე); შამანდა ისრია
(მივლ. მალ.); თქვენ საქონი გაძრეკეთო (მივლ. ლაფ.); დაძრჩეს
ქალი ამასავ (მივლ. ცაბ.); პატარებ დაძრჩომიან ესეები (მივლ.
ლაფ.).

ბ) მთას დაძხევია ჯანლები (მივლ. ცაბ.); თენების ხანა მაძხე-
ლიყო (იქვე); მაძხელდენ ცომსა (მივლ. ლეჩ.); მემრე გაძშლი-
დენ (იქვე); სუ მაძშორდება ი ქერქი (მივლ. გომეწ.); ნღობით:
თვალ არ მაძშორდებ (მივლ. ცაბ.); მგელ შაძხვდა (იქვე); გამაძ-
ხენებს — იქავ არი (იქვე); მაძხარშავდენ (იქვე); ისეებ ვერ დაძ-
ხელადენ (იქვე); გამაძხენდა ცაბაურთას (იქვე); ვერასა ძხელავს
თვალთა (იქვე).

მაშასადამე, მესამე ობიექტური პირის შესახებ ყოველივე ზე-
მოთქმული რომ შევაჭამოთ, შეიძლება დავასკვნათ, რომ წინაენის-
მიერთა წინ მესამე ობიექტური პირის ნიშნად ერთმანეთს თავი-
სდავლად ენაცვლება ხ-, მ- და ძს- ალომორფები, ბაგისმიერთა და
უკანაენისმიერთა წინ — ჰ-, და მჰ- ალომორფები, სპირანტებისა
და სონორების წინ კი გვხვდება მხოლოდ მ- ვარიანტი.

§ 66. როგორც აღვნიშნეთ, მესამე ობიექტური პირის ნიშა-
ნი გვხვდება პირველი სუბიექტური პირის ნიშანთან კომბინაციაში.
აქ ერთადერთ ვარიანტად გვხვდება ჰ- ყველა პოზიციაში — წინა-
ენისმიერებთანაც და უკანაენისმიერებთანაც.

წინაენისმიერებთან: გამოვჰწურავთ დოვს (მივლ. გომეწ.);
კ- თუ მოვჰწონდი (იქვე); იმას კი გავჰწურავდით (იქვე); კიდე-

ნაც მოვჭწველიდი (იქვე); მაშინაჲ ვაჭწვედი ბურნითსა (იქვე); მე-
სამედ ფარტნად დავჭჩჩრდით (მივლ მალ.); ძალიან ბევრსა ვაჭთ-
სავდით (იქვე); იმასაც გამოვჭჩჩრდით (მივლ. თხ.). უკანაენისმიე-
რებთან: იმას დავჭკლავდით (მივლ. ცაბ.); ავჭკიდე ცხენსაჲ (იქ-
ვე); შინა ვაჭკვებავდი მე (იქვე); არაყებსა ვაჭკიდიით (იქვე);
არაყს ანწლისასაცა ვაჭკიდიით, ვაშლისასაც ვაჭკიდიით (მივლ.
მალ.); ხეს ავჭყრით ნაჭერქალსა და შავჭკერავთ, მოვჭქსოვთ (იქვე);
გადავჭფილწ-გადმოვჭფილწავდით (კალოს) (მივლ. გომეწ.).

არაიშვიათად მსგავს შემთხვევებში მესამე ობიექტური პირის
ნიშნად *შ-ია*; მოვჭკადოდით ქუდი (მივლ. გომეწ.); ხურჯინსაც
ისრევ ვქსოვთ (იქვე); ნახევარს წალმართად დავძახდით (იქვე);
ძროხებს ჩამოვრეკავდით (მივლ. მალ.).

რაკი *ძ* პირის პრეფიქსად აქ მხოლოდ *ჭ-* ვარიანტია, თანაც
ზმნის ფორმა ამ პრეფიქსის გარეშეც ახერხებს სათანადო მნიშვნე-
ლობის გადმოცემას, ვფიქრობთ, რომ *ჭ-*ს მორფოლოგიური ფუნქ-
ცია ერთობ შესუსტებულია და იგი აღჭურვილია ექსპრესიული
ფუნქციით. ამას მხარს უჭერს ისიც, რომ გვხვდება საკმაო შემთხ-
ვევები, როცა *ჭ-*ს ხმარებას მორფოლოგიური გამართლებას ვერ
მოუძებნით. მაგალითად: ეგრე ვაჭყოფილვარ (მივლ. მალ.); მე
ვაჭყუი (მივლ. გომეწ.); კალო გადავჭფილწეო (მივლ. მალ.);
ეაჭყრობ, ძალიანა ვაჭწუხდები (იქვე); მემრე უნდა დავჭჩჩრთ
(მივლ. გომეწ.).

§ 67. აკაკი შანიძე მეორე სუბიექტური და მესამე ობიექტური
პირების შესახებ დაწერილ ნაშრომში აღნიშნავდა, რომ თუშურსა
და ხევსურულს ამ პირთა გამოსახატავად ექვსი სხვადასხვანაირი
ბგერა მოეპოვება: ხ, ღ, ს, ზ, შ, ჟ. ეს ბგერები ფონეტიკურ პო-
ზიციებზე ნაწილდება. ფშაური კი იმ დიალექტთა წყებაში ექცევა,
რომელთაც „პირველი და მეორე რიგის თანხმოვნებს შორისაც კი
არა აქვთ ხაზი გავლებული, ან, თუ აქვთ, ძალიან მკრთალად და
სუსტად“ (პირველი რიგის თანხმოვნებად მიჩნეულია ნაპარალო-
ნები და ბაგისმიერი და წინაენისმიერი ხშულები, მეორე რიგისაჲ
კ — უკანაენისმიერი ხშულები)¹¹.

თუ მხოლოდ მორფოლოგიას გავუწვეთ ანგარიშს. S_2O_3 -ის
ასახვის საკითხში ფშაური დგას კახურის, თუშურის, მოხეურის,
მთიულურის გვერდით. ე. ი. სუბიექტური მეორე პირიცა და ობი-

¹¹ ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული ენის ისტორიისა და სტრუქტურის საკითხები,
I, 1957, გვ. 229.

ექტური მესამე პირიც ზმნაში აისახება, ამასთან ობიექტური მესამე პირი ზმნაში გვაქვს ყველა შემთხვევაში, თუ იგი მიცემითბრუნვიანია. ა. შანიძის ამ დებულებას ჩვენი მასალა მთლიანად ადასტურებს.

როცა მხედველობაში ფონეტიკა მიიღება, ა. შანიძის აზრით, ფშაური მთლიანად მიჰყვება ქართულს, კახურსა და ქიზიყურს. ე. ი. მეორე სუბიექტურ და მესამე ობიექტურ პირებს გამოხატავს ა. „ეგ არის მხოლოდ, რომ ენისწვერისმიერი ბგერებისა და აფრიკატების წინ მეს გამოთქმა იმდენად უახლოვდება სანისას, რომ მასთან ერთად რთულ ბგერას წარმოადგენს, რომლის დასაწყისიც აე არის და დასასრული სანი“¹².

ჩვენი მასალის მიხედვით ირკვევა, რომ ფშაურში სუბიექტური მეორე და ობიექტური მესამე პირთა პრეფიქსების ხმარების თვალსაზრისით საკმაოდ გარკვევით გამოიყოფა ოთხი პოზიცია: 1) ხმოვნისწინა პოზიცია; 2) წინაენისმიერთა წინა პოზიცია; 3) ბაგისმიერთა და უკანაენისმიერთა წინა პოზიცია და 4) სპირანტთა და სონორთა წინა პოზიცია (იხ. ზევით).

ამას გარდა, თუმცა სპორადულად, მაგრამ მაინც გვხვდება ხ, მხ, ზ, მზ და მშ ვარიანტები; მაგალითად: ხ: ჭერ კი ახყარეს იარალი (მივლ. ცაბ.); მემრე თბილად ჩახყრიდენ (მივლ. გომეწ.); ის მიხყეება ი ქალის მთხოვართ (მივლ. მალ.); გამახყვა ი კინჰველაიც (მივლ. ცაბ.); მახჯადა ეს დედა (მივლ. ცაბ.); რასაც ერერდი მახჯელე (მივლ. მალ.); დახყოლიან ი წყლის ჯმას (მივლ. ცაბ.); მნას შავხკონავდით (მივლ. გომეწ.); ამოხხსნით თხროს (მივლ. გომეწ.); ვისაც დაკარგულეხ ხყვანდ... (მივლ. ცაბ.);

მხ: თავ-თავადა მხყავ ყველას სალოცაეები (მივლ. ცაბ.); ზოგს ხუთასი მხყვანდა (მივლ. ცაბ.); ქისტებსა მხყარაულობდენ (მივლ. გომეწ.); მწყემსებსაც ზოგსა იხკოცდენ (მივლ. ცაბ.); მამხჯადა ი ცხენსა (მივლ. ცაბ.); რას არ მამხჯელევედენ (მივლ. გომეწ.); აღარცა მხჯნავდა იმ ალაგას (მივლ. გომეწ.); პურ აღარ გადამხყოლიყო ჩალას (მივლ. გომეწ.); ერთი შვილიშვილი მხყვანდა (მივლ. მალ.).

ზ-, მზ: ჩქამ მოზდენია წყლისი (მივლ. ცაბ.); იმას წყალ მამზდის (მივლ. გომეწ.); ჩქარა გამამზძახს (მივლ. გომეწ.).

მშ: დამშჰყვილა როგორც ქორიო (მივლ. ცაბ.); მგელი შა-

¹² ა. შანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 236.

აშუამს (მივლ. ცაბ.); იმასაც დააშუკრიდენ (მივლ. ცაბ.): შენ და-
აშუამე ჩემ ცხვრებივ (მივლ. ცაბ.).

ალბათ, ეს სულ ახალი გაჩენილი ფორმებია, თორემ, როგორც
ცნობილია, აკაცი შანიძე ფშაურს ადგილზე სწავლობდა და შეუძ-
ლებელია, მას ისინი არ შეხვედროდა და ყურადღების გარეშე ღარ-
ჩენოდა.

§ 68. ჰ. ვარიანტის უფუნქციოდ ზმარების შემთხვევებზე
ზემთო გვექონდა მსჯელობა. არის სხვა ვარიანტების უფუნქციოდ
ზმარების შემთხვევებიც: ესრე მოვხვედლე სამალველიო (მივლ. გო-
მეწ.); შაძჰრა იმან ისარი (მივლ. ცაბ.); ააკრიფეს ახლა იმეებმა
ნაცარ-ნაჯშირი (მივლ. ცაბ.); გამჰფინა ახლა ისი (მივლ. ცაბ.);
...მიწა ააფხიკოსო (მივლ. ცაბ.); იქა ვსცხოვრობდით მანამდისა
(მივლ. გომეწ.); მაშინ მააჰყდა ის ამბავი (მივლ. ცაბ.); მე დავშ-
ჰამევე, შენ ცხვრებივ (მივლ. ცაბ.); აქ დავსწერთ ესე (მივლ.
მალ.); შამოვსწევ თეოს პირზედა (მივლ. ცაბ.); ჯერ უნდა დავსწე-
წოთ მატყლი (მივლ. გომეწ.).

§ 69. ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ შეიძლება წარმოვად-
გინოთ პირის ნიშანთა ტაბულის ფშაური ვარიანტი:

სუბიექტური პირი
მხ. რიცხვი

1. { ვ-Ø }
2. { Ø ~ ს- // მს- // ე- ~ ჰ // მჰ- // ე- ~ ე- }
3. { -სთ -ათ -ო // -ვთ -ის }.

მრ. რიცხვი

1. {(ვ- -თ) ~ (Ø - -თ)თ (ვ- -ენთ // -ენით)}
2. {(Ø - -თ) ~ (ს- // მს- // ე- - -თ) ~ (ჰ // მჰ- ... -თ) ~
(ე- - -თ)თ (Ø - -ენით)}
3. { -ესთ -ენ // -ესთ -ანთ -ენთ -ნ }.

ობიექტური პირი
მხ. რიცხვი

1. { მ- }
2. { გ- }
3. { Ø ~ ს- // მს- ე- ~ ჰ // მჰ- // ე- ~ ე- ~ ხ- //
მხ- ~ ზ- მზ- ~ მშ }.

ნრ. რიცხვი

1. { გვ-თ გვ- -ნ }
2. { გ- -თთ გ- -ნათ }
3. — { -ნ }.

ზმნის დრო-კილოთა ფორმების წარმოების მხრივ ფშაურს ბელშესაზები თავისებურებები ახასიათებს როგორც ნაკვთების რაოდენობის, აგრეთვე, თვით ცალკეული ნაკვთის ფორმათა მაწარმოებლებისა და მათი (ნაკვთის ფორმათა) მნიშვნელობების თვალსაზრისით.

§ 70. საინტერესო სურათს გვიჩვენებს სტატიკურ ზმნათა აწმყოს მესამე პირის ფორმები. მაწარმოებელ ელემენტად აქ -ავ სუფიქსია უნიფიცირებული. -ია დაბოლოებიანი სტატიკური აწმყო ფშაურისათვის ორგანული არაა. მესამე სუბიექტური პირის ნიშანი აქ ხან ნულოვანია: ღბავ, ღგდავ, შჩრავ, ხყრავ; ხან კი -ის სუფიქსითაა წარმოდგენილი: ღბავის, ღგდავის, ხყრავის, შჩრავის (იხ. ზემოთ). ამ ფორმებს შორის სრული გრამატიკული პარალელიზმია, ოღონდ მეორენი ექსპრესიულობით სჭარბობენ პირველებს. მაგალითად:

ა) იმას თოფ უჭერავ ესრე კელში (მივლ. გომეწ.); ეგე ემასა უჭობავ, ემ ფურსა (მივლ. ჩარგ.); ლახტსა ძახნილან, მგონავ, იმით უომებავ (ხორნ. უძ.); ჩვენ გომურს კი ეხლაც სიბ უგავ (იქვე): სხვა კი რაღა-რა მაბადავ, ერთი ჩოვალა მცვავისა (მივლ. ლაფ.); შუშანიკაის ბალლი მტანავ (მივლ. ლაფ.); იმათა აგონავ, შიგ იწვებ (მივლ. მალ.); აღარ შამიძლავ შვილო (მივლ. გომეწ.); ქალია-დ ბიჭურად აცვავ (მივლ. გომეწ.); ოქროს თმა ასხავ სრულა (ხორნ. უძ.); ერთილა მიკლავ მეოთხეს, შენი საფლავიც მზად არი (ვაჟა, II, 16); მთელ ღამეს მარილი უღვავ (მივლ. ჩარგ.); მგონავ ხალის გულა უნდა ეფაროს (ვაჟა, IV, 210); ორთ უპყრავ ლაგნის ტარა (ვაჟა, II); შენ ჩემო დაო. გირჩევნავ მამასვე ჰყვანდე გვერდით (ვაჟა, II, 81).

ბ) ყაჩალი... მგელსა აგავის (მივლ. ლაფ.); ლაშარის ჯვარის ლურჯასა ფაფარ ასხავის გიშრისა (რაზიკ. 18); თუ ჩემ სულ გესაგონებთ, ტანზე ნუ გცვავის შავია (რაზიკ. 21); გვერდით გვიბავის ცხენები, დაყაჭრულები ლაგმითა (რაზიკ. 21); ერქვან ის არის, კელჩი რაითაც უჭერავისთ ი გუთანი (ხორნ. ვანჯ.); ყველას ჰრელ ჩიჭილა ჰხურავ, ყველას ჰრელ კაბა სცვავისა (რაზიკ. 214); კარებში სამ ვეფხვი ჰბავის (ხორნ. უძ.).

§ 71. სუბიექტური წყობის პირველი და მეორე პირის ფორმებს ფშაური ლიტერატურული ქართულის მსგავსად მეშველზმნა-

თა დახმარებით აწარმოებს: ვლბივარ, ვხვევივარ, ვხუდივარ, ხუდიხარ: მოტეხილ ხესა ვვევივარ (რაზიკ. 188); წიფელს ვხვევივარ მკლავითა (ვაჟა, II, 19); სუ ჩხუბში რაად ხუდიხარ, რო ცხერის ნადგომში ლოლონი (ალ. ჭინჭარაულისაგან გაგონილი).

§ 72. მესამე სუბიექტური პირის სუფიქსები ამგვარადვე ნაწილდება ყოლა და ქონა ზმნების აწმყოში: მყავ — მყავის და მაქვ — მაქვის:

ა) აღარა საქმე აქვ ანასა (მივლ. გომეწ.); ჭყვა კი არა აქვ იმდენი (მივლ. თხ.); ერთ ქალ შინა მყავ (მივლ. გომეწ.); სადღა მყავ ქმარი (მივლ. გომეწ.); საფარველი აქვ დადებული (მივლ. თხ.); ჯერ არ მომკვდარა გიგლია უიდევ ჯანი აქვ მკლავებში (ვაჟა, II, 13); გუმან აქვ გადაავლიონ არხოტის თავი მთიანი (ვაჟა, II, 31); მწედა ჰყავ ლაშარის ჯვარი (ვაჟა, II, 13); ცხენი სადა გყავ, მიტირე (ვაჟა, II, 86).

ბ) ლაშარის ჯვარია (დაილოცოს)... იქითა ხყავის წაღებული (მივლ. თხ.); ძალოც აი მთაშია ხყავის (მივლ. ჩარგ.); ემა კაი აქვისა-დ'... (მივლ. მალ.); ჯერ რაცა მაქვის, ის ვერ მამიქმარებავ (მივლ. გომეწ.); არც რაის ინჩ არა მაქვის (ხორნ. უძ.); შენ თავ აღარა მაქვის, დავილაღე ძალიანო (ხორნ. უძ.); მენ აღარ მაქვისო (ხორნ. უძ.).

§ 73. თავისებურად იწარმოება ნდობა ზმნის აწმყოს ფორმები: სალიტერატურო ქართულის მარტივ მინდა, გინდა, უნდას აქ აღწერიითი მინდარის, გინდარის, უნდარის შეესაბამება: მინდარის გაგიყებითა, ვიხილო ირმის კვალები (ვაჟა, II, 29); მაგისტანა ქართულების გაგონება არ მინდარის (ვაჟა, III, 45); რაად მინდარის, არ მიხმლობს, არც გამოდგება ფარადა (ვაჟა, II); რა კვალის კვლევა გინდარისთ (ვაჟა, V, 148); თუ არა, რაად გინდარის ვერცხლი, ნადები ქვევრშია (ვაჟა, II, 25); მაგისად რა ფიც გინდარისო ახლა მე უთხარ (ვაჟა, IV, 209); შე ბერიკაცო, წვერთეთრო, გინდა ალავერდს შადგომა, კარგი გინდარის სმაჟამა... (რაზიკ. 12); რო არა გესაქმებოდეს, ჩავლა გინდარის კარისა (რაზიკ. 158); აბა ეხლა მითხარ, რა გინდარისო (ხორნ. უძ.).

სამაგიეროდ მოსალოდნელი მინდისხარ, გინდივარ აღწერიითი წარმოების ნაცვლად მინდი, გინდი მარტივი ფორმები გვაქვს: არ მინდი ქინძო, ქონდარო, არც ნიახურო მხალადა, არც მინდი ნიჯოხის გორო, არც ქისტაურო ქმარადა (რაზიკ. 256).

როგორც ვხედავთ აქ პარადიგმატული წონასწორობა ერთ-

გვარად დარღვეულია: მე შენ მინდი, მაგრამ მე ის მინდარის; შენ მე გინდი, მაგრამ ის შენ გინდარის, უფრო მოსალოდნელი კი იყო, რომ გვექონოდა ამ ორი რიგიდან ერთ-ერთი: *მინდი-მინდა, *გინდი-გინდა, ან *მინდიხარ-მინდარის, *გინდივარ-გინდარის.

§ 74. ზმნათა ერთი ნაწილი სალიტერატურო ქართულში აწმყოს ფორმებს -ულ სუფიქსიანი ფუძისაგან აწარმოებს: თხო-ულ-ობს, შო-ულ-ობს, კადრ-ულ-ობს,... ფშაური უპირატესობას მარტივ ფუძეს თხოობს, კადრობს, შოობს აძლევს: ჩემ სარჩო მინდა ჩემთვისა, ცოლს არა ვთხოობ იმითა (რაკიზ. 224); ჩალა-თივას არა კადრობს, ბზეს კი მეხად ედებაო (რაზიკ. 224); რად კადრობს ადგილით დაძვრას, საყმო რად ვყევართ თავისა (ვაჟა, II, 78); ერთ ხაფანგ მინდა მგლისაი-დ¹³ ვერა ვშოობ (მივლ. არტ.).

უჩავრდები ზმნას სტატიკური შინაარსი აქვს. ფშაურს ამ მნიშვნელობისათვის ფორმაც სათანადო მოუნახავს — უჩავრობ: უჩავრობთ ჩვენა, ბიჭო, რაისად მიზლით, ნუ მიზლით (მივლ. თხ.).

§ 75. საყურადღებოა ე. წ. სამშუალი გვარის ზმნათა იშვიათი ფორმები დაჰნათოის, დაჰლალოის. ეს -ო ამ ზმნებს ნამყო უსრულშიც გადაჰყვება: დაჰნათოოდა, დაჰლალოოდა: მთვარე კი ჯერ არსად ჩანს, არ დაგვნათოის თავზედა (ვაჟა, I); დაჰლალოოდა წყეული აქ მომხდარ ხათაბალასა (ვაჟა, II, 51).

§ 76. ფორმოზღვი ორპირიან სტატიკურ ზმნათა აწმყოსთან ახლოს დგას გარდამავალი ზმნის პირველი თურმეობითი. ამ უკანასკნელთ, ზემოთ განხილული -ავ-ის გარდა, აწარმოებთ სასხვისო ქცევის -ი და -უ პრეფიქსები. ი- პირველი და მეორე პირის ფორმებს, ხოლო უ- მესამე პირისას¹³. მესამე სუბიექტური პირის ნიშანთა ხმარებაც ემთხვევა აწმყო სტატიკურისას. გვაქვს, ერთი მხრივ: მამიტანავ, მოგიტანავ, მაუტანავ, ხოლო, მეორეს მხრივ: მამიტანავის, მოგიტანავის, მაუტანავის. მაგალითად:

ა) მე არა მამიქსოვავ, არც არა გამამიხატავ (მივლ. გომეწ.); თექიან კაც არც კი მინახავ (მივლ. გომეწ.); ხელიც არ დამიკარებავ დედაკაცისად. მე იმისად არც არა ცხვირ მამიჭრავა... (ვაჟა, IV, 209); ვინ გილანძღავ, ვისთვის გიცავ, რა ჩაგიდენ-მოგიდენავ (ვაჟა, V, 295); ხატისად არა დამიკლავ, ცოცხლისად, მკვდრისად (ვაჟა, V, 12); სათიბში ისრე უვლავ, კირჩხაიცი თან მიუყოლებავ (მივლ. გომეწ.); ი კარატიელთ კაცს წაუყვანავ, თავის გვარზე

¹³ შდრ. ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 425.

დაუწერავ (მივლ. ლაფ.): როცა მაუგონებავ, გაუვლავ, იქ ბაღლ ელარ მაუქელავ (მივლ. თხ.); გაუგავ ი კაცსა ბოლოსა, აბა, შა-უტყვავ, რო არ იყო ისი, გამაუბავ ცხენის ძუაზედა ი ცოლისდაა და ისრე მაუკლავის (ხორნ. უძ.); ბევრ შენისთანა ვაქეაცი გამიშ-ვავ ცარიელაო (რაზიკ. 144).

ბ) მაგის მეტს ჩვენდ კარგ ლუქმა არცვის არ მაუტანავისო (ხორნ. უძ.); გამაუბრუნებავის ი ბაღლსა ცხვარი (ხორნ. უძ.); დე-და-შვილ წაუყვანავის ლეკებსა, ლეკეთში რო მიუყვანავის, ი შვილ ჩანგლებზე დაუკიდებავ (ხორნ. აფშო); ტყუილად კი მალოდინეს იქა, არა მიუცავისთ (ხორნ. უძ.); ფულიც მასწავლებლებს მიუ-ცავის, გაუგზავნავის ი დეპეში და... (მივლ. თხ.); ი ბაღლიც თავად დაუტერავის კელჩია (ხორნ. უძ.); თოვლ მიხვეტავის და ტვირთით მიზიდნავ თოვლში (შეთ.): არ უყვილავის მამალსა, ბე-წინიკაის მზემაო (რაზიკ. 179); მე რო დამცინი, არჯალავ, შენ რალა გითქომ თავისა, პატივ არ გიცავ ღვთისადა, სანთელ არ აგინთავისა, ღვინო არ ამოგიტანავ, ქადა არ გაგიტრავისა, ხინ-კალ არ მოგიზარშავის, ხმიანდ არ ჩაგიცხვავისა, ტაბლა არ გაგი-კეთებავ სახელ არ შაგიდვავისა (რაზიკ. 199).

-ავ თემისნიშნიან ზმნებთან თურმეობითში მაწარმოებლად ეს -ავია გაგებული და იგი ხელახლა სუფიქსს აღარ დაირთავს. პირის ნიშნის -ის ვარიანტიც პირდაპირ ამ ფუძეს მიერთვის და რაიმე ფონეტიკურ ცვლილებას არ იწვევს: მაუკლავ — მაუკლავის, დაუწ-ვავ — დაუწვავის და სხვ.: მაუკლავ კაქკაქი, დაუწვავ იმის ძვალი. გაურევევ მარილში და უტყვევავ (ხორნ. უძ.): იქ აღარა მაუქელავ (მივლ. გომეწ.); რა უყვათ, ბევრი უნახავ უღვაშაშლილი მკვდა-რია (ვაჟა, II, 33); აღარც გვინახავ ლხინშია (ვაჟა, I, 81).

თურმეობითის მაწარმოებლის ფუნქციას თემისნიშანი კისრუ-ლობს -ამ თემისნიშნიან ზმნებთანაც: წყალნი მწყურანი უთქვამ ბაღლს (მივლ. თხ.); უთქომ იმათადაც უარი (ხორნ. უძ.); ქისტების წაუსხამ ცხენები (ვაჟა, II, 31); გაუბამ ყინულს ლურჯადა უბე-კალთები მთებისა (ვაჟა, II, 37).

ეგვეე ზმნები ხელახლა -ავ მაწარმოებელს დაირთავს მაშინ, როცა მესამე სუბიექტური პირის ნიშანი -ის სუფიქსითაა წარმოღ-გენილი. ამ სუფიქსების დართვისას ფუძეში ფონეტიკური ცვლი-ლებები ხდება: უთქმავის—*უთქვამავის—*უთქვამავ—უთქვამ; წაუსხამავის—*წაუსხამავის—*წაუსხამავ—წაუსხამ.

✓ § 77. თავისებურია ჰქვიან, ეძახიან ზმნების I თურმეობითის

ლორმები: კაკაპეთი ქვივნილა (ხორნ. უძ.); ჩემ პაპას ვანჯანაი ქვივნილა (ხორნ. უძ.); ჯარის წინამძღოლს ქვივნილა ავდალალი (ხორნ. უძ.); ლახტსა ძახნილან, მგონავ, იმით უომებავ (ხორნ. უძ.).

✓ § 78. მეორე თურმეობითში ორპირიანი გარდაუვალი ზმნები იწარმოება იყო მეშველი ზმნით. -ოდა სუფიქსიანი წარმოება ფშაურისათვის უცხოა: წელ მოსწყვეტიყუ (მივლ. ლაფ.); კიდეც რო მეთი მყოლიყო, თავად უნდ დამეწველ (მივლ. გომეწ.); გულაში შაქარ სდებიყო (ვაჟა, V, 37); ქალიან გულა მკიდებიყო (მივლ. მალ.); სამ დღეს გვირგვინი უნდა ახურვიყო (შეთ.); იმ კარებში გაფვარდნიყო ტყვიანი (მივლ. ლაფ.); იმ ბამბიან ქულაჯას მააჰკიდებიყუ ცეცხლი (მივლ. ლაფ.); იმას რო დედად არა აჩვენებიყო... (მივლ. თხ.); სამ დღეს უნდა ჰკმავებიყო (ხორნ. ვანჯ.); რო არ დამშველებიყვნეს, დავირჩევიბოდი (ხორნ. უძ.).

სტატიკურ ზმნათა აწმყოც და თურმეობითებიც მნიშვნელობის თვალსაზრისით სალიტერატურო ქართულთან მიმართებით თავისებურს არაფერს შეიცავს.

✓ § 79. ფშაურში ზმნის უღვლილების სისტემაში არის ორი ნაკვეთი, რომლებიც სალიტერატურო ქართულსა და ბარის დიალექტებში არ დასტურდება. ეს ნაკვეთები ხოლმეობითებია. პირველი ხოლმეობითი საწარმოებელ ფუძედ ნამყო უსრულს იყენებს, ხოლო მეორე ხოლმეობითი — ნამყო ძირითადის ფუძეს ეყრდნობა. მაწარმოებელი ელემენტებია -ოდი სუფიქსი პირველი და მეორე პირის ფორმებისათვის და ი- — მესამე პირის ფორმებისათვის¹⁴. ფორმათა წარმოების ეს წესი საკმაოდ მწყობრ სისტემას ქმნის:

1 ხოლმეობითი

მხ. რ.	მკ. რ.
I. პ. ვთიბ-დ-ოდი	ვთიბ-დ-ოდი-თ
II. პ. (ა)სთიბ-დ-ოდი	(ა)სთიბ-დ-ოდი-თ
III. პ. (ა)სთიბ-დ-ი-ს	(ა)სთიბ-დ-ი-ან

¹⁴ ხოლმეობითის თვალსაზრისით ფშაური ახლოს დგას თუშურთან და ხევსურულთან. ვანსხვაება მხოლოდ მაწარმოებელ სუფიქსებშია: იქ პირველ და მეორე პირის ფორმებს — ოდი სუფიქსი აწარმოებს (ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული კილოები მთაში, ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები, I, 1957, გვ. 15; მისივე, სუბ. პრეფ. მე-2 პირისა და ობ. პრეფ. მე-3 პირისა, იმავე კრებულში, გვ. 237; ალ. კ ი ნ ჯ ა რ ა უ ლ ი, ხევსურულის თავისებურებანი, გვ. 106 და შმდ; ი. ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე, ხოლმეობითის კატეგორიის ისტორიიდან ქართულში, ქართ-

I პ. ვთიბ-ოდი	ვთიბ-ოდი-თ
II. პ. (ა) სთიბ-ოდი	(ა) სთიბ-ოდი-თ
III პ. თიბ-ის	თიბ-ი-ან

✓ § 80. პირველი ხოლმეობითის პირველი და მეორე პირის ფორმები -ოდი მაწარმოებლით უკიდურესად მცირეა. ისიც დასტურდება მე-19 ს-ის ჩანაწერებში და ძლიერ იშვიათად თანამედროვე მოხუცთა მეტყველებაში: ჩემი კვირისა ყვიროდის მე რო საბბელსა ვხდილოდი; რა ვქენ ამ თავ მოსაკვდავმა, რად არ ლამითაც ვთიბლოდი (ვაჟა, VII, 1956, 52); მითომ წაწალთას ვიყო-დი, ვაკეთებლოდი ხინკალსა (ვაჟა, V, 87); დაიც თუ მეც ის არ გიყვა, რაც შენ მიყავი ობოლსა: მცემლოდი, მატირებლოდი, მითრევედი შეშას როგორცა, ხბუათად მავლეინებდი, არ მაჭმევლოდი ერბოსა (რაზიკ. 110); მითამ თქვენს სადამ ვიყნოდი, ვაკეთებლოდი ხინკალსა (რაზიკ. 182); ზაფხულში საქონ მთაში მიგვყვანდის, იქა ვწველავდით, იქა ვდღევებლოდი (ხორნ. აფ-შო).

ამ მნიშვნელობით ახლა ჩვეულებრივ სალიტერატურო ქართულის მსგავსად ნამყო უსრულის ზმნისწინიანი ფორმები გამოიყენება: რბეს რო შავდღევბლით კარაქს წავკვდილით, ი ღოვსა, ის რაიც ღარჩებოდა, იმას გავაცხებლით, მოილოდა ხაჭო. იმას გავხწურავდით პარკშია, მემრე შავხკვერავდით, იმ კვერებს გავაშრობლით მზეზედა. კარგა რო გავქმებოდა, მემრე ჩავხყრილით ქილაშია, ან ქვევრ რა გვექნებოდა, ბატარა ქოცოი, მოაკრავლით პირსა, ჩავზღვამლით მიწაშია, ზედაც სიპს დავაფარებლით რო-არა ჩამძვრალიყო, ის კარგა დაღბებოდა და დამბალხაჭო იქნებოდა (მივლ. არტ.).

პირველი ხოლმეობითი მნიშვნელობით ძალიან ახლოს დგას ნამყო უსრულთან. ამიტომაც რომ ისინი ძალიან ხშირად ერთიმეორის გვერდით იხმარება და ფუნქციურად ენაცვლება ურთიერთს. ამ მაგალითებში ხოლმეობითს აშკარად ნამყო უსრულის მნიშვნელობა აქვს: ბატარა წყალა გამოდიოდის (მივლ. თხ.); ი ბებოს დედას ეძახდის ი ბალლი-ღ' დედას ნინოს თუ ეძახდა (მივლ.

ველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, II, 1961, გვ. 22; გ. ცოცანიძე, თუშური ხოლმეობითის შესახებ, იბერიულ-კავკასიურ ენათმეცნიერება, XVII, 1969, გვ. 35).

ოხ.): ერთ კაც წინ დაუძღვებოდა, ერთ კიდენ წინ დაუჭდებოდა და აფარავლიან (ხორნ. ვანჯ.); წიფრანელ კაც რაიმ იყვის, გუგუ-
ლას ეძახდიან, მოლექსე იყვის (ხორნ. ვანჯ.); თედუაი მენა ბატა-
რაი მყვანდის (მივლ. თხ.); არც იბადებოდის კაცის ძე (იქვე);
იოსებ პარისავოს დავიდოდის (იქვე); ცხვა ხალხ აღარ დადიოდის
იქა (იქვე); გუთანაი კიდე ღისა იყვის, საჯნის-საკვეთელი რკინისა
ჰქონდის (ხორნ. ვანჯ.); მემრე დედიძმასა აჰკითხავდის ესე, მარ-
თალიაო. დედიძმაო (მივლ. თხ.); თხებიც ბევრი გვყვანდის ორ
ცხენო გვყვანდის (მივლ. გომეწ.).

სხვაგან აღნიშნულ ფორმათა ხოლმეობითობა უფრო ხელშე-
სახებია. ასეთ შემთხვევაში ისინი ხშირად წინადადებაში მეორე
ხოლმეობითის ვეერდით იხმარება: გომურ ხის ნიჩბით ჩამოვხვე-
ტოდით და ჭანით კი გამოგვექონდის (ხორნ. უძ.); ამასწურავდიან
ბაქანშია და გუდაში შაინახიან (ხორნ. უძ.); ზოგ-ზოგა ძროხასა
ვყარაულობდით, ვმო არ მოკლასო, ზოგ კი არა ჰყარაულობდის,
აი კბოიცი ჯრანწში მოკელიან (ხორნ. აფშო); ლოცვა-წირვას
უკრძალავდიან ქვეისბრებსა, აღონებდიან (ხორნ. უძ.); როცა დაიძ-
ვროდისო, ი ჩანგლები აგლეჭდენო და სისხლ გაზდიოდისო
(ხორნ. აფშო).

§ 81. ფშაურში -ევ თემისნიშნიან ფუძედრეკად ზმნათა ნამ-
ყო ძირითადის ფორმათა წარმოების ორი მოდელია გავრცელებ-
ული: ვძლიე — ვძლიევე და ვძლიე; ვწყხე — დაწყხევე და და-
წყხე...

ა) ჩამამელივა დღე-ქამი საკინძის მოხელეაშია (რაზიკ. 183);
უქნივა მოზერს ქედზედა (ვაჟა, II, 37); მოკლედავ გადავეწივე.
ნავალ დავატყვე ქვიშასა (ვაჟა, II, 38); სულ ერთმანეთში არივა
მუტრუკ-თიქანი, მოზერები (ვაჟა, I, 54).

ბ) მემრე თქვენს მოსვლა დაწყხე (რაზიკ. 178); ბატარა ქალ-
მა დამწყხა. ხელშაღებილმა ინითა (რაზიკ. 158).

§ 82. როგორც აღვნიშნეთ, მეორე ხოლმეობითი ეყრდნობა
ნამყო ძირითადის ფუძეს და მაწარმოებლად იყენებს -ოდი სუ-
ფიქსს პირველ-მეორე პირის ფორმებისათვის და -ის-ს — მესამე
პირისათვის. ეს ნაკვთი ფშაურში გავრცელებული ფორმაა და
დღესაც მყარად დგას. იგი საკმაოდ დატვირთულია ფუნქციური
თვალსაზრისით. მისი ძირითადი მნიშვნელობა წარსულში მომხ-
დარი მოქმედების მრავალგზისობის გადმოცემაა: მეფის ერეკლის
დროშია შორს გავრეცნოდი ძროხანი, წავწოდი, წავიძინოდი, წავი-

ზურნოლი ჩოხანი რაზიკ. 12); ჩემსა პატარძლობაშია შეინდსა შეიდჯერ მოვკმეოლი, როცა თვალი ვიცდინოდი, მსხალსა ყუნწა წაფწყვიტოდი (რაზიკ. 218); იმას თოკ შავაბოდი, იმით გამოვთაროდი, ბატატარანი (ხორნ. აფშო): კბო ავიყვანოდი კელითა, მიგვგვაროდი ძროხასა და ჩამაუწველოდი ლაშჩია, მემრე თავადაც მოგონდის და მოწოვის (ხორნ. აფშო); ის ავადულოდი, მოხაპოვდის და ვჭამოდი (ხორნ. აფშო); ის კი გავიგოდი, რასაც მკარეზე წავიდის (მივლ. გომეწ.); ქათამ რო იყივლის, მაშინავ ჩავაყაროდი კალო, ღამე გავლენოდი (მივლ. გომეწ.); აღმართზე რო ავემართებოდი, ველარ ავხედნოდი პირალმე, ისრე გამიჭირდის, ი ტვირთ რო მეკიდის მძიმეა (მივლ. გომეწ.); შიწაში ქვევრებ გვედგის და იმ ქვევრებში ჩავაწყლოდი (მივლ. გომეწ.); მოვკადლოდი ქუდი, დავხუროდი და ი აკვანში დაწოლილსა კელით ეჭირის ი ქუდი (მივლ. გომეწ.); ჩვენც დავიწყლოდი ღრეობა, მწკრივად დავხსნოდი ყველანი (ვაჟა, II, 127); არაენისთანა ესტქვაო, მითხრის (მივლ. გომეწ.); დედაჩემმა დაუწყის წყველა-კრულვა (ვაჟა, IV, 231); ჩუმად მოვიდის ირემი, დასწაფებოდა მდინარეს, მაგრამ ტყესავე მიჰმართის, სიყრუე-სიჩუმით მძვინვარეს, რა ნახის, კვალი დევების გარს მოსდებოდა იმ არეს (ვაჟა, II, 39); როცა გამოჩნდის ღრუბელი, წვიმამ დაიწყის შრიალი (ვაჟა, II, 40); სთელობით გულ-გაცოფებულმა ირემმა დაიღრიალის, ან მოსქდის ზოვი მთიდამა დაიძრის, დაიხრიალის, ახავლდის შველა დამთხვარი კოდალამ დაიკრიალის, კალას აძრახდის ხოხობი, ზარივით დაიჭრიალის, ზლაპარს უამბობს ნიავი, ფოთლებმა დაიშრიალის (ვაჟა, II, 44); რო დეეძინის ი ქალებსა, ვაიო, დაიწიკოიან ი მძინაარებმ, წამოცვივდიან (მივლ. თხ.); მუხებ უჭრაო, თქვიან (მივლ. თხ.); ვადმოყაროან ძნა, დაუჭრიან ულოები, გაასწოროან კალოჩია ფიწლითა (ხორნ. ფანჯ.); აი ჯობ რაიმ ჩააშვიან მამულ-შია, ზედ ბალახ დაჭვიდიან, იმას მწყემსს ეძახდიან (ხორნ. ფანჯ.); მემრე ისა, რომ შამძღერნიან, ჯვარისწინა დაიძახიან (შეთ.).

✓ § 83. მეორე ხოლმეობითის მეორე სუბიექტური პირის ფორმებს ბრძანებითის მნიშვნელობა აქვს. ამ ფორმებს თავისებური შინაარსობლივი ნიუანსის გამო სპეციალურ ლიტერატურაში ხან თხოვნით ბრძანებითს უწოდებენ (აკ. შანიძე), ხან ხოლმეობით-ბრძანებითს (ალ. კინკრაული). ჩვენი დაკვირვებით მათ უფრო მომავლის ბრძანებითის მნიშვნელობა აქვს. მთქმელის ბრძანება

მონავალში შესასრულებელ მოქმედებას ეხება. შესაბამისად, მა-
 მიტანე, აწმყოს ბრძანებითი იქნება, ხოლო მამიტანოდი — მომავ-
 ლის ბრძანებითი. მაგალითად: თქვენათ დიუყროდითო, რარც
 კვას მა-ტანს ისიც (მივლ. თხ.); ი ირემ კი წაილოდი და სამად
 გაყოდო, სამთავ თითუან ნაქერან მიუგლოდი და კიბეზე აზვი-
 დო (ხორნ. უძ.); ჩემს ძმას უთხროდი, შანშესა, ყოჩალად იყოს,
 ფხიანად (ვაჟა. II, 81): კარგი, — ჰნახოდი, ბექშია შენი ცოლ-
 შვილი სწერია (ვაჟა. II, 19); თუ რამ მოგინდეს, ჩვენს ჩანაია-
 როდი (ვაჟა. III, 10); მთავ, შენ ეს ჩემი ნათქვამი გულ-მკეჭ-
 ზე დაიწეროდი, ბარო, წარბი და წამწამი იმ სიტყვით დაიყე-
 როდი (ვაჟა. I, 199); წამომილოდი ხვეიწი, სამხრად პურსა ესკამ
 ხნელასა (ვაჟა. I, 54); ავისგორს შამიკილოდით ჩემი პატარა ზა-
 რიო (რაზიკ. 20); ჯარნი რო დაჯარდებიან, ჯარზე თავდაბლა
 დაჰქლოდი, თარეშს რო დაერჩევიან, ცხენ შაჰკმაზოდი, შაჰქლო-
 დი, თუ რო სახელის ქნა გინდა, კაი ვაჟკაცთან დასდგოდი, ჩასვ-
 ლით ჩახვიდი წინწინა, გამოსვლით უკან დასდგოდი (რაზიკ. 126).

✓ § 84. მეორე ხოლმეობითის ფორმები ზოგჯერ ნამყო ძი-
 რითადთან გვხვდება კონტექსტში და თითქოს მნიშვნელობითაც
 მათი ტოლია. ყოველ შემთხვევაში, რაიმე ხოლმეობითობაზე,
 მოქმედების მრავალგზისობაზე აქ ლაპარაკი უედმეტია: ცხრას
 წელს ეძებეს ჩემთ ყმათა ოთხრქა, ოთხყურა ცხვარიო, დაკლიან
 ტბისა პარზედა, ღმერთო, დასწერე ჯვარიო (რაზიკ. 20); გივ კი
 აქვე მოკლიან, ნადირა მოკლეს გზაზედა (რაზიკ.); მოქუჩდა ქა-
 ლი და კაცი სახვეწრით ცხვრით და ხართა, მიართმევდიან ბა-
 ტონსა სახვეწარს ბელლის კართა (ვაჟა. II, 36); ხელი ალუდას
 მიართვის: წაღ. მიაკარ ქავადა (ვაჟა. II, 35); ძალს მიუგლიან
 საქმელად ხელი მუცალის მკლავისა, პირი არ ახლო ქოფავმა, მორ-
 თო ყმეილი, ბრალისა (ვაჟა. II, 37).

ვაჟათან ხოლმეობითი აწმყოსთანაც გვხვდება ერთ კონტექს-
 ტში: სულა კურდღელა ჰკაზმვენ ცხენებსა, ვეფხვებს უჭი-
 რავთ ბარისყე თვალი; დაიხურდან თავზე ჩაჩქანი. წელს შაბიან
 ნაკურთხი ხმალი (ვაჟა. II, 29); ხშირნი მოდიან ღრუბელნი ლა-
 ლად მიდგიან, მოდგიან¹⁵.

¹⁵ ეს მოკლეა ცნობილი ძველი ქართული ენის სინამდვილიდანაც (იხ. ა რ ნ.
 ჩ ი ქ ბ ა ვ ა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებ-
 ში, I, თბ., 1948, გვ. 42 და შმდ.).

ეს მოვლენა ფშაური პოეზიის ენის თავისებურება უნდა იყოს და ამისივე კვალია ვაჟასთანაც¹⁶.

✓ § 35. ერთი ზმნა ფშაურში ხოლმეობითს ძველი ქართულის მსგავსად -ი სუფიქსით აწარმოებს: სურვილის გასვლელური, ჭალას წავიდი წყალზედა (რაზიკ. 134); თუ შორს წავიდის, დამიცადის, მივიდი, კიდენ ადგის, გამიძღვის (მეულ. გომეწ.); ჩასვლით ჩახვიდი წინწინა. გამოსვლით უკან დასდგოდი (რაზიკ. 126).

§ 36. ფშაურში გვაქვს იმავე ნამყო ძირითადისაგან -ოდე სუფიქსით ნაწარმოები კავშირებითის ფორმები, რომელთაც ერთგვარი თხოვნა-წაქეზებითი ბრძანებითს ელფერი გადაჰკრავს¹⁷. ნაკეთთა გამოყოფის წესის თანახმად ეს ფორმები ცალკე ნაკეთად უნდა გამოიყოს: აქვს ფუძის საკუთარი მანარმოებელი და სათანადო მნიშვნელობა. თუმც აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ დღეს ისინი იშვიათად გვხვდება. ხშირია მე-19 საუკუნის ჩანაწერებში და ვაჟას პოეზიაში. ხოლმეობითისაგან განსხვავებით ამ ნაკეთში -ოდე მანარმოებელი სამივე პირის ფორმებს გასდევს:

მხ. რ.		მრ. რ.
I პ.	—	დავპკროდეთ
II პ.	დაპკროდე	უპკროდეთ
III პ.	დაპკროდეს	დაპკროდენ

მოვიყვანთ მაგალითებს: თუ თავისი დავეკარგეთ, ავღგოდეთ და იმათ წავართმოდეთ (მეულ. ქედი); ზოგთა თქვეს, თუშთა: „მივცოდეთ, მტერმ დაგვატანა ძალია!“ ზოგთა თქვეს: „მოდინუ მივცემთ, ჩვენც გავლესოდეთ ხმალია“ (რაზიკ. 43); ჩემს ნაქნარ სახელს ნუ იტყვი, ვიყვნოდეთ და-ძმობაზედა (ვაჟა, V, 74); გიბარებ, ძმომ ჩემს ცხენსა ქერ აჰმიოდე ბაკნითა (რაზიკ. 21); ჩემი ნათიბი ნიკორასა მარხლად მაინც აჰმოოდეთ (რაზიკ. 89); თუ კიდევ ვინამ გადავრჩეს. ამოაგდოდე ჰირითა (რაზიკ. 18); ლოცვა-წირვაზე დადგოდენ ჩემნი პირქუშნი ყვანიო (რაზიკ. 20); უთხროდი, თოფი დაპკროდეს, იმ დალისტანელს წინასო (ვაჟა, II, 11); სხვა მოიძიონ პატრონად. სხვას დაუკროდენ თავიო (ვაჟა, I, 176); მაშინ მითხროდენ, შენთვისა ვინ ნახეს ატირებული (ვაჟა, I, 66); პირჯვარი დაწეროდეს, მითამ საყლარში არაა (ვა-

¹⁶ შლრ. თუშურის ვითარება, გ. ცოცანიძე, თუშური ხოლმეობითის შესახებ, გვ. 41.

¹⁷ შლრ. აღ. კინქარაული, დაახ. ნაშრომი, გვ. 109, 111.

უა. II. 33): დაიპატივოს სტუმრები, დაამწკრიოდეს ჯარია (ვა-
უა. II. 33).

§ 27. მეორე კავშირებითი ფშაურში ძირითადად სალიტერა-
ტურო ქართულის მსგავსად იწარმოება -ე და -ო სუფიქსებით: ის
უნდა რო აქ შამოკდეს, უნდა რო შამოფრინდეს (მივლ. გომეწ.);
რალა ექნა ქალო, რარიგაღლა მოიქცე, ან ემ ცხვრებს რა უყო ან
აქაობას რა უყო (მივლ. ქელი); მაგრამ არის -ა სუფიქსით ნაწარ-
მოებ- ხევსურულისებური კავშირებითი¹⁸: შენ უნდა მამცა კმა-
ლი (ხორნ. უძ.); შენ დედიმამ მოგცას კმალიო (ხორნ. უძ.); თუ
გინდა კიდეც დამარჩვას... (ხორნ. უძ.); რა უყვა ან ლორებსა, ან
ძროხებსა, ან თქვენ რა გიყვათ (მივლ. ლაფ.); ქალო, მაგ შენსა
სურვილსა, რატო არ მეტყვი, რა უყვა, დაბლა დავემხვა მიწა-
სა, მიწის გულშია ცხმა უყვა? (რაზიკ. 165); მე რა უყვა, შე
ჩემთავმამკვდარო (ვაჟა, III, 49).

6. ვნებიტის წარმოება

§ 28. ფშაურში ნაკლებპროდუქტიულია ენიანი ვნებიტის ტი-
პი. მის ნაცვლად ძალიან ხშირად გვაქვს -დ სუფიქსით ნაწარმოები
(ე. წ. დონიანი) ფორმები: თავი თუ შამბრალდა (ხორნ. უძ.); ძლი-
ერ შემბრალდა ბეჩავი, რომ უცხოეთში კვდებოდა (ვაჟა, II, 112).
დაგნატრდა, დიდრონაშვილო, კავკაურ თეთრი ბურები (რაზიკ.
190); სოფელს რო მოვჯარდითო, კვითხეო... (მივლ. თხ.); ...გამ-
ზადდით და ამჰკიდეთ ზარბაზნები ცხენებს (მივლ. ლაფ.); ლომი
საომრად მზადდება, კბილს ააჩქამებს კბილზედა (ვაჟა, II, 78).

შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ სალიტერატურო ქართულის
„აეშვა“ ე-ნიანი ვნებითი ზმნას „დაზეზდა“ — დონიანი ვნებითი
შესატყვისება.

7. სიტყვაწარმოება

ფშაურში, შეიძლება ითქვას, რაიმე თავისებური სიტყვათსა-
წარმოებელი საშუალებები არ დასტურდება, ოღონდ დიალექტუ-
რი თვალსაზრისით დერივაციულ ელემენტთა გამოყენება და წარ-
მოქმნილ სიტყვათა ფორმები და მნიშვნელობებია საინტერესო.

¹⁸ შლრ. აღ. კ ი ნ ქ ა რ ა უ ლ ი, დასახ., ნაწრომი, გვ. 117.

§ 89. ძალიან პროდუქტიულია ფშაურში სახელთა წარმოება -ა სუფიქსით. ამ საშუალებით ნაწარმოებ სიტყვებში ორი ჯგუფი გამოიყოფა: ერთში -ა აშკარად კნინობით სახელებს აწარმოებს, მეორეში ეს ფუნქცია თითქოს არა ჩანს და ხდება ზედსართავ სახელთა ერთგვარი ნომენაცია.

1) -ა კნინობითობისაა: ცხენა თუ მისცა მაზღმა (შეთ.); ცხენავ, გატყობ რო გეშინის, გულს მე ჩაგიდებ მაგარსა (მივლ. მალ.); აი, თვალა ასტივდა, ცუდად არი, ბეჩავი (შეთ.); წინ ვირა ჩამეემართა, უკვენ საპალნე იმისა (შეთ.); ქვემოთა კელაშიაო ბატარა ხე ექირაო (მივლ. თხ.); ბატარა წყალა გამოდიოდის (მივლ. მალ.); აი ზემოთა კელასაო მიწაზე მაიბჯენდაო (მივლ. თხ.); ქალამ მითხრა, გადმამხურე შენ ნაბადი ქისტურია, — თუ ეგრე გულით გინდივარ, ბოსელაში მისტუმრეა (შეთ.); გამოვარდა ბებერაი, გამასტყორცნა ნიგზურია (შეთ.); ბებერა კაცასთან რო გამაიარა... (ხორნ. უძ.); ესლა პურას გამოგიცხოზ (ხორნ. უძ.); ერთ თუშათ ქალ რაიმ იყვის ემა ჩარგალსა (ხორნ. აფშო); დავა-ცოტავენ ცხვარანი, თრიალეთს მივალ ფულზედა (რაზიკ. 145); გადიწია, მაჩვენა თეთრი ძუძუა ქალმაო (რაზიკ. 144); შავგერეკნეს ბოსელაშია, თან შავგაყოლეს ბორკილი (რაზიკ. 141); ცხვარანი¹⁹ ერთად წავასხნეთ, ვიართო მხარდამხარაო (რაზიკ. 141); ემაგ ლექსაის მათქომი, მივალ ახუნის გზისასა (რაზიკ. 54); ქობაი გექონდის, ან კოდაი. მენ კი კოდაი მქონდის (ხორნ. აფშო); ბრალა კი არი, სინიკო, რო ლთისავარზე წინ იყო (რაზიკ. 228); ბებერას კაცას კიდეე უხდება... (ეაჟა, IV, 237); სეიმონას ბაღლას შენთან ურეევა ცხვარი? (ეაჟა, V, 38); სიყვარულაიმც კრულია ნეზობელშია ქალისა (რაზიკ. 158); თოვლისა ყაპყა მოსულა, კვალსა ნუ მააკვლევინებ (რაზიკ. 147); ამაიწვადა ი ხანჯარაი (ეაჟა, V, 38); მეტად ტურფაა... პირშია სამნი კბილანი სჩრიაწო (ეაჟა, I, 87).

¹⁹ აქ თ. რ ა ზ ი კ ა შ ე ვ ი ლ ს საქოროდ მიუჩნევია განმარტება: „როცა ცოტა და დასაძირებლად უნდაო“. ეს, ვფიქრობთ, კიდევ ერთი საბუთია იმის დასტურად, რომ მრავლობითის -ნ- სუფიქსს სიტყვათწარმოებითი ფუნქციაც აქვს ფშაურში (და, ალბათ, ხევსურულშიც), აღნიშნავს მცირე სძობავლეს, და არა ორობითს, როგორც მას დაეინებით ამტკიცებენ სპეციალურ ლიტერატურაში (შდრ. აკ. შ ა ნ ი ძ ე, ქართული კილოები მთაში; მ ი ს ი ე ვ ე, ქართული ხალხური პოეზია, ხევსურული. 1931, გვ. 683, მისაუე, ორობითი რიცხვის შესახებ ხევსურულში, თსუ შრომები, ტ. 121, აღმოსავლ. სერია, VII, 1967; მ. რ ო გ ა ვ ა, თ. მე ტ რ ე ე ე ლ ი, ახალი მასალები ორობითი რიცხვის საკითხისათვის ხევსურულში, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 19, 1976. გვ. 181—188).

2) -ა ნომენაციისა: იქისაჲ ჩავლილ კი ბევრა მინახავ... (ხორნ. უძ.): ბევრას რასამ გავზიდავთ (ხორნ. აფშო); ბევრა კი წამოვაქციე წაზლობა-შვინდობაშია, ბევრამაც გულით დამლოცა, მოგვმარდეს მშვიდობაშია (მივლ. ლეჩ.): იოსებ დიდა იყვის (მივლ. გომეწ.): ე დიდამ (მითხრა (ვაჟა, III, 49); შენ ფხიზელამ გინდა ჩვენ სასაცილოლ ავეიგლო (ვაჟა, IV, 214); მერე რადლა მინდა მის მოცილება თვალწუსიარას (შეთ.): იქათ იყო კოჯაი, საცა თვირთვილა კარ იყო (შეთ.): ისითაი ჰქონია ი ცინე (მივლ. გომეწ.); ზაქარიას დედა მუშა, მუშა ისითაი, რო სუ ცა-კმელეთს მადედა (შეთ.); ზოგ-ზოგა ძროხას ვყარაულობდით (ხორნ. აფშო); ყუნკივით დაბალა, წვივსქელა, კისერჩაძვრენილა (ვაჟა, III, 51); რას იპოვნინან მშრალაზე ნავალს ნაგემის მგლისასა (ვაჟა, II, 143); ძველა ტუდის ჩაჩა ეხურა (ვაჟა, III, 51); იმ წბილასავით წვრილამა გულში დამინთო ალიო (ვაჟა, I, 52); ტანად კი დაბალაია, ხნით ოცდახუთის წლისაო (მივლ. გომეწ.): ვინ იტყვის წვნიან საქმელსა, პურს ველარ ეშობ ხმელასა (ვაჟა, I, 70); გარაის საყვანელაით გავებერტყოდით (ხორნ. აფშო).

§ 90. კნინობითობა-საალერსო მნიშვნელობის სახელებს აწარმოებს -უნა, -უნელა, -უნცელა, -იკა სუფიქსები ზედსართავთაგან. კარგი-კარგუნელა||კარგუნცელა. ბატარა და აქედან ბატარიაკა.

1) რა კარგუნცელა რაიმ არი ჩემი ძალი (ვაჟა, III, 8); კარგუნელა ქალაია, მიწის გასამტვერებელი, კარგუნელა პირაი აქე, ვაჟ-ს ჩასატოლებელი, კარგუნელან საყელონი, ხელის ჩასაყოლებელი (რაზიკ. 152); ...კარგუნელან ძუძუანი, როგორც ჩალის წიწანა (რაზიკ. 215).

2) ბატარიაკა კი იყო დათიკო (მივლ. გომეწ.); ეს სუ ბატარიაკა ვაჟაი, პირქვე წაქციულიყო (ვაჟა, III, 49); ჩემზე უმტროსია, ბატარიაკა არი ისი' (მივლ. გომეწ.).

იგივე პატარადან კნინობითის ფორმა იწარმოება -უნა სუფიქსითაც: პატარუნა ქალაი ვარ, ყანასა ვმკი ლულითაო (რაზიკ. 214).

§ 91. არსებითი სახელებიდან კნინობითის ფორმები უმთავრესად -ილა სუფიქსით იწარმოება: დედილა, ძმაილა, დიალა, მამილა. ესენი ძირითადად ფიცილის ფორმულებში იხმარება რომელიმე ბრუნვის ფორმით: დედილამ, ღვინოდ ვაქციეთ ერთიან თერვის წყალია (ვაჟა, I, 53); კარგია დო, დაილამა... (ვაჟა, III, 49); წაგიყვანენ, შვილილამა, ასე მალე, რო მზე მალლა იდგეს (ვაჟა III, 23); ძნელადა ბნელა, დედილამ, ველარსად წახვალ ამ

ლაშე (ვაჟა, II, 76): აბა, ბა, ბა, ბა, ბა, მე არა მაქსონ, დედლიამა (შეთ.); ჩემ რა იკოთხვის, დედლიას, უკლოსი, ბედით შავისა (ვაჟა, II, 73); შვილო, დედლიამ, მე თვითონ, წავალ, შავტირებ ფშაველთა (ვაჟა, II, 75); კბოილაად გააჩინაო, იცოდინ (მივლ. გომეწ.).

ამგვარივე წარმოების, ოლონდ ფონეტიკურად სახეცვლილი, ჩანს ფორმები: თავრიელა, თავნიერი: გაუნაყე ი თავრიელა ქვებზედაო (ვაჟა, III, 49); შალაფის ბოგირზე უნდა დამრჩალიყო ჩემ თავნიერი (მივლ. თხ.).

მოფერებით გამოთქმებში იხმარება ნანათესაობითარი წოდებითის ფორმები: ძმისავ, დედისავ, დიდაისავ: იარალთ რად მყრი, ძმისაო (ვაჟა, II, 24); გწყალობდეს, ძმისავ, ხატია (ვაჟა, II, 25): ნუ იტირებთ, დიდაისავ, დედათქვენი მალე მუალის (მივლ. ლეჩ.).

§ 42. მიმღეობის წარმოება. საინტერესო ვითარებას გვიჩვენებს ფშაურში მიმღეობათა წარმოება. აქ თვალში საცემია მიმღეობის ფუძეთა სიმარტივე. ხშირად საწარმოებელ ფუძედ აღებულია ზმნის უთემისნიშნო ფორმები, მაშინ, როცა სალიტერატურო ქართულში შესაბამის შემთხვევებში თემისნიშნიანი ფორმა გამოყენებული: მამგონე (შდრ. მომგონებელი) — მამგონედ საჯლავს გიჩრდილავს შამხნარი აყვირებული (ვაჟა, I, 66): ამომგდე (შდრ. ამომგდებელი) — მთელის ქისტეთის ამომგდე სტუმრად რადა გყავს სახლშია (ვაჟა, II, 107); გამკეთე (შდრ. გამკეთებელი) — არაის გამკეთევე (ვაჟა, V, 293): გადავიწყნული (შდრ. გადავიწყებული) — ხანმოვლილი ვარ, შვილო, და ყველაფერიც გადავიწყნული მაქვ (მივლ. ლაფ.); დასუფთაული (შდრ. დასუფთავებული) — ქვევრი გვაქვის დარეცხილი, დასუფთაული (ხორნ. არახ.): დაბადული (შდრ. დაბადებული) — იქ დაბადული ვარ (მივლ. ცაბ.); მაუგონავი — ხალხის მაუგონავ რა დარჩება (მივლ. გომეწ.); შესაყვარი (შდრ. შესაყვარებელი) — მეფის ძე მონას ქალთანა ნეტავ რა შესაყვარია (ვაჟა, II, 54); შასაკითხი — შავიდა ბიჭი ქალის შასაკითხადა (შეთ.).

მარტივი, საწყისი ფუძეა გამოყენებული მ-, მე- პრეფიქსებით ნაწარმოებ მიმღეობებში: მერჩოლი, მქონი — ყველაზე მტრულად მერჩოლი არვისგან მქონი ზავისა (ვაჟა, II, 136); მეშველი — რა არი ჩემი მეშველი (მივლ. ლიშო); მდე — ბევრისა კარი დავსჯარე, ბევრისა კიდევ მდე არი (ვაჟა, I, 44).

გვაქვს ოდენ სა- პრეფიქსით ნაწარმოები მიმღობები: **სავალი** **სავალა** — ავტარ-ჩავტარებდი **სავალასავით** გზაზედა (მივლ. მუქო); **სავალა** რაიმ გავვიდიოდის წყალთავე (მივლ. თხ.); და ერთ-მანეთთან **სავალად** წყალს ხიდი ჩაუტეხავი (ვაჟა, II, 126); **სამყოფი** — ჩვენთან აღარც **სამყოფი** არი (შეთ.).

სა—არ, **სა—ალ**, **სა—ელ** პრეფიქს-სუფიქსებითაა ნაწარმოები ნემდები მიმღობები: **საზიზლარი** (მყოფადის მიმღობაა — შესაზიზლებელი) — კაც რო დარჩეს... აღარ შეეძლოს აღარც გარეთ გასვლა. აბა. **საზიზლარია** ის კაცი (შეთ.); **საცოდარი** — უშვილო კაც ნიდაგ **საცოდარია** (მივლ. მალ.); **საჩუქვარი** — კარგა დია **საჩუქვარ** მისცა (ხორნ. უძ.); **სამხვეწარი** — ადგილის დედის **სამხვეწარად**, **სანთელი** მქონდა უბეში (ვაჟა, II, 19); **საცინელი** — ამანედ **საცინელს** ველარას გაიგონებს კაცის ყური (ვაჟა, III, 11); **სარჩვენელი** — სიძინდის **სარჩვენელად** ვიყავით აქა (მივლ. ლიშო); **საქურდნელი** — წავლის **საქურდნელადა** (ვაჟა, V, 149); **დასაწერელი** — გემრე წავედით ეკლესიაში ჭვარის **დასაწერლადა** (შეთ.).

ოდენ **-ილი** და **-ული** სუფიქსებითაა ნაწარმოები მიმღობები: **გაკდილი** — ჩემ ბეჩაობლა მაქვის კირად **გაკდილი** (ხორნ. აღშო); **შანახილი** — ეს მგარე სანადიროდა მქონდა **შანახილი** (მივლ. ლაუ.); **წარბდაღურბლვილი** — ...ჩემს **წარბდაღურბლვილს** ივანეს, კარგა ხმარობდა დანასა (ვაჟა, II, 75); **გულჩათუთქვილი** — წავიდა **გულჩათუთქვილი**, მივალის ძალის-ძალადა (ვაჟა, II, 81); **გამოსრეული** — გულსამც მოუხვედების ისარი ფშავლების **გამოსრეული** (რაზიკ. 12); **გადახრწნული** — შინშილისაგან **გადახრწნულიაო** (ხორნ. უძ.).

საინტერესოა თავისი აღნაგობით **გადაუგონთებული** ფორმა: ის **აღარ** ვიცი, **საღიური** ვარ, **ისრე** ვარ **გადაუგონთებული** (შეთ.); აბა, **გადაუგონთებულია** არი, **ბეჩავი** (მივლ. ჩარგ.); **გადაუამყრუებულია** ვარ, **შვილო**, **გადაუგონთებული**, **განა** კი რაილა **მაქსონ** (მივლ. გომეწ.).

თავისებურია ზოგი უაყოფითი მიმღობის ფორმაც: **უჭირველი** — **უჭირველებივ** დაიქცნენ, თავს ევლებოდენ გორებსა (ვაჟა, II, 118); **უნდავი** — და შენ ცბიერის თვალებით **შენს** **უნდავს** უჯდე **გვერდზედა** (ვაჟა, I, 52).

§ მმ. აღნაგობის თვალსაზრისით რიგ თავისებურებებს გვიჩვენებს მოქმედებათა სახელები, ანუ მასდაკები. ესენი რიგ შემთხვევაში თავისებურია ამოსავალი ფუძის თვალსაზრისით, **ზოგჯერ** კი—**მაწარმოებლებისა**. მაგალითად, **სახელებში** **გაბრუნვა**, **მობრუნ-**

ვა, გაგორვა ამოსავლად აღებულია ზმნის საშუალი გვარის ფუძე, მაშინ, რ.ი.ცა სალიტერატურო ქართულში შესაბამისად მოქმედებითის ფუძეები გვაქვს. მაგალითები ასეთია: გაბრუნვა — ჯერ გაბრუნვა გავბედე (ვაჟა, III, 45); მობრუნვა — არ ეთქვა, აღარ შეიძლო ვაჟაკს მობრუნვა სულისა (ვაჟა, II, 26); გაგორვა — გაგორვა იმისი და ი თოფი მე დამრჩა (მივლ. ლიშო).

სალიტერატურო ქართულთან მიმართებით თავისებურია რიგი სხვა მასდარიც: დარჩომა — ნადავლით, ნაყაჩაღარით კაცის დარჩომა ძნელია (ვაჟა, II, 22); ღმინი — რა ცლომის ღმინი იქნება, ილიმებოდა უმადა (ვაჟა, II, 145); ზიდილი — გარყენილ ბალღით გაგვიხე, დაუწყე ძუძუს ზიდილი (რაზიკ. 188); დაბრმოზა — დაბრმოზა კაცისა... აი ეხლა კაცს ველარ ვიცნობ (შეთ.): პატიჟილაობა, ხინკლაობა — იყო ერთი პატიჟილაობა, ხინკლაობა (შეთ.); ყიდულობა — იმან ყურძენს დაუწყე ყიდულობა (მივლ. ლიშო); ასეთივეა კდიელობა, თხოილობა. ამათი პირიანი ფორმებიცა გვაქვს: კდიელობდეს საბალახოსა (ხორნ. უძ.); ხან პურ ვითხოილეთ (მივლ. ლიშო); სიღუმილი — კლანჭებსაც იბანს როსტომი, ტყის სიღუმილის მკურნალი (ვაჟა, II, 42); ველარ ჰბედავდა შეხედვას თუმც შეხედნება ჰშიოდა (ვაჟა, II, 50); გადმოხედნება მწადიან, ჰრელ ფურს რომენი სწველაო (შეთ.): აჰ ბოლო ფორმებში საინტერესოა -ნ ელემენტი თემატური სუფიქსის წინ, რომელიც პირიან ფორმებშიც იჩენს თავს. იქ ჩაუხედნოდით ბალღებმა (მივლ. გომეწ.); გადმაუხედენ ფშაველთა, ჰყოოდენ როგორც იანი (რაზიკ.)

§ 94. აფიქსებით ნაწარმოებ წარმოქმნილ სახელებში წარმოების მოდელის თვალსაზრისით თითქოს თავისებური არაფერია, მაწარმოებლებდაც იგივე პრეფიქს-სუფიქსები გვხვდება, რაც სალიტერატურო ქართულში, მაგრამ თვით წარმოქმნილი სახელები კი სხვადასხვა თავისებურებებს ავლენენ: ზოგჯერ წარმოქმნილი სახელის შინაარსია სპეციფიური, ზოგჯერ საწარმოებელი ფუძისა. და აფიქსის ურთიერთობისას ხდება განსხვავებული ფონეტიკური ცვლილებები, ზოგჯერ კი ამ სახელთა მორფოლოგიაში ვალასტურებთ თავისებურებებს.

უ — არ, უ — ურ, უ — ო პრეფიქს-სუფიქსებით ნაწარმოები სახელების მნიშვნელობა ისეთია, რომ მათ თარგმნა სჭირდებათ — უცოდარი — უცოდინარი, უცოდნელი, გაუნათლებელი. უცოდარ გავიზარდე, უცოდარ დედაკაცი დავბერდი (მივლ.

ჩარგ.) — უცოდნელი. გაუნათლებელი გავიზარდე. უცოდნელი-
ვე დავბერდი: უცოდავი — შებრალება რომ არ სკიროია, ისეთი
(მღრ. საცოდავი — შესაბრაღისი, შესაცოდებელი): მანამ ახალგა-
ზრდაი ადაჰინი. უცოდავია (მივლ. გომეწ.); — სანამ ახალგაზ-
რდაი კაცი შესაცოდი არაა; უცნაური — უცნობი: ზოგსა, შვილო,
უცნაურს უთხოვდენ (მივლ. ლაფ.); უმწურთნაო, უსირცხო: წა-
ღი. დაითხიე მანდით: უმწურთნაო, უსირცხოი (შეთ.).

მე-ე-თი ნაწარმოებ მემცხვარე მემძროხე ფორმებში -მ- ჩა-
ნართა განვითარებული. მას რაიმე მორფოლოგიური ფუნქცია არ
უჩანს: მემცხვარე იყო, სხვათა შვილად გაზდილი (შეთ.); მემცხვა-
რემ ცხვარი გამალა, შემოეფინა ჩრდილსაო; ბარამი მემძროხე იყო
(შეთ.).

-ელი სუფიქსით ნაწარმოებ სახელებში მრავლობითის -ებ სუ-
ფიქსი ხმოენის რედუქციას იწვევს. ზოგჯერ რედუქცია ნაწილობ-
რივია: ვანკველებმ ის კი არ გაამბესა... (ხორნ. არახ.); შუაფხოვ-
ლებს სუ აუყრიან ისეები (ხორნ. უძ); მე კი ვერ ვიცნობ მაღაროვ-
ლებს (მივლ. გომეწ.);

-ურ სუფიქსი ზმნიზედებისაგან აწარმოებს, აგრეთვე, წარმო-
წავლობის სახელებს იქიური, აქიური, სადიური, რომლებიც ფო-
ნეტიკური გაფორმებით იქცევეს ყურადღებას: მე იქიურ არა მინ-
და (მივლ. გომეწ.); მიჰვდომიან იქიურ კევისბერს (ხორნ. უძ.);
ერთ აქიურ კაც იყო (მივლ. ლაფ.); ის აღარ ვიცი, სადიური
ვარ... (შეთ.); ამ ფორმათა ჩამოყალიბებაში, ალბათ, რამდენიმე
ფაქტორი მოქმედებს: იქიური — ხმოვანთა სინჰარმონიზმის შედე-
გი უნდა იყოს, ხოლო აქიური და სადიური ალბათ ამისი ანალო-
გიაა.

ნა — არ, ნა — ევ აფიქსებით წარმოების მაგალითებია: ნათა-
ვარი — ნათავარის ქადების მიტანა იციან, ხატი გეთხოვს ნათავარ-
საო (ხორნ. ვანჯ.). ნათავარი პირველად ხბომოგებული დეკეულის
რძის პირველი პროდუქტია. ნაციხვარი — იქ უწინდელ ნაციხვა-
რიც არი (მივლ. გომეწ.); იქით წაიღო ტყავ-ხორცი, ნაციხვარაში
ჩაყარა (რაზიკ. 232); აქაც დღევანდელი სტატუსის მიხედვით ვ
ფონეტიკური ჩანართია, ისტორიულად შეიძლება ორმაგ წარმოე-
ბასთან გვექონდეს საქმე: *ნაციხე-ვეი — *ნაციხ-ევ-არი — ნაციხვარი.
ნაძნევი — ყანა ნამკალ-ნუმკალი, ნაძნევ ძირშია რჩებაო (მივლ.

გომეწ.); ნამკრევი — ერთ კელით რასაც მოხვეტს კაცი ის ნამკრე-
ვია (მივლ. გომეწ.).

მო — ე-თია ნაწარმოები: მოსიცილე — ქალს და კაცს მოსიცი-
ლეთა ვადინო ცრმელის ღვარით (ვაჟა, I, 51): მონაჭერე — იმ
კოლგაის მონაჭვრენი ყოფილიყვნენ (მივლ. ლაფ.).

-იან სუფიქსით ნაწარმოებია კუნელაიანი, ხუთყურაიანი, ღვი-
რიანი: მოვხვლით ერთ კუნელაიანსა, ერთ ხუთყურაიანს (მივლ.
ლაფ.); ...ადგილსა ჭიუხიანსა, დეკიან-ღვივრიანსა (ვაჟა, II, 64).

-ებურ სუფიქსით ნაწარმოები ზედსართავი სახელების ვითა-
რებითი ბრუნვის ფორმებია ზმნისართები მგლებურა, თხებურა:
გასძელ, სხვა ხვალი იშოვე, მტერი დააფრთხე თხებურა, მარტომ
მისდევ მრავალსა პირაფლიანმა მგლებურა (ვაჟა, II, 25).

§ 95. გაკომპოზიტებულ პოსტპოზიციურ მსაზღვრელ-საზღვ-
რულში, სადაც მსაზღვრელად „ჩემი“ ნაცვალსახელი გვაქვს, პირ-
ველი კომპონენტი, ე. ი. საზღვრული რატომღაც მიცემითი ბრუნვის
ფორმითაა წარმოადგენილი: დედასჩემი, მამასჩემი, ბიძასჩემი, ბე-
ბოსჩემი, ნათლიასჩემი: მოვკვდი დედასჩემო (ვაჟა, IV, 212): ეწ-
ყინა მამასჩემსა, რაად მოვკვლე ესივ (მივლ. გომეწ.); როგორც იქ-
ნებოდა მააძალა მამასჩემმა... (მივლ. გომეწ.); მაიხვედ მშვიდო-
ბით ნათლიასჩემო (ვაჟა, IV, 214); ალბათ აქაც ფონეტიკურად
განვითარებულ ს-სთან გვაქვს საქმე. მიცემითი ბრუნვის ფორმას-
თან დამთხვევა შემთხვევითია. ეს ს ხშირად მომდევნო ჩ-სთან
ასიმილირებულია: მეძახის ეს დედაშჩემი (მივლ. არტ.): ჯვესუ-
რია ქვივნილა მამაშჩემსაცა (მივლ. თხ.).

ფუძის გავრცეებითაა მიღებული ზედსართავი სახელები:
ბევრ-ბევრა, ცო-ცოტა, დი-დიდები, ბატა-ტარანი. ეს ფორმები
საინტერესოა შინაარსითაც — ისინი კნინობითის გაგების შემცვე-
ლია და ფორმითაც — ფონეტიკურად გამარტივებულია (იხ.
ზევით); ცო-ცოტა—ცოტ-ცოტა, დი-დიდები—დიდ-დიდები,
ბატა-ტარანი—ბატარ-ბატარანი: ბევრ-ბევრა მოგეწონება, ჩემზეთ
იღებს ხელსაო (რაზიკ. 164): ისეებ დი-დიებ იყვნენ (მივლ. გო-
მეწ.); იქით გამოვთაროდი ბატატარანი (ხორნ. აფშო).

§ 96. ზმნის პირიან ფორმებში თავს იჩენს ამჟამად უფუნქ-
ციო ნ სუფიქსი სალიტერატურო ქართულის თოხნა, ძოვნა, კო-
ცნა-ს ნ-ს ტიპისა²⁰, ოლონდ ფშაურში მისი გამოვლენა უფრო ხში-
რია: ვიზიდნე, ველარ ამოვხე, დახედე ჩემსა ღონესა (რაზიკ. 154);

²⁰ ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 561.

აფხუშოს ჩამაიძრახნა... (რაზიკ. 9): ერთს კლდეზეთ გადაახედნე-
ბიეს (ხორნ. უძ.); ვინაც ვაჭობნებთ, იმისა იყოს ციხეგორიო (ხორნ.
უძ.); მალა, ხოვანის ტყეშია თოფმა მაჭვიდნა მიწასა (რაზიკ. 190);
ჭილობის ძველას მაჭვიდნებს, სახურავ აღარცად არი (რაზიკ. 188);
ნებვეწნა „გადამიყოლე. ცხენი გყავ ნიავექარისა“ (რაზიკ. 167): ორ
კვირას სოფელმ ეძებნა. მოვკელეთ სახედაშლილი (შეთ.); მე-დ'
ვარდანმ უნდა ვიომოთ, უნდა იქებხოს ცამაო (მივლ. მუქო); მე
ინით მიხედნებს, რო აქ არ უნდა შამოვდეს (მივლ. გომეწ.); შავ-
ხედენ, მუცალი იყო. ტანთ ეცვა ჯაქვი რვალისა (ვაჟა, II, 35);
გავხედენ და დავინახე თვალუყუენა თეთრი ქალი (რაზიკ. 147); დაძ-
რახული ხარ ქორადა, ვერ გადმოგხედნებ სწორადა (რაზიკ. 144)²¹.

ზმნის ამ პირიან ფორმათათვის ამოსავალი, ალბათ, საწყისის
ფუძეა. გადმოხედნება მწადიან, თეთრ ფურს რომენი სწველაო
(რაზიკ. 153); დანთებულ ცეცხლსა გვანილა, დაქვხნებასა ცისასა
(რაზიკ. 165): თვით ამ საწყისებში კი -ნ-ს რაობა საკვლევია.

8. ნაცვალსახელთაი

§ 97. ფშაურში თავისებურია ზოგ ნაცვალსახელთა ფორმე-
ბი. 1) პირის ნაცვალსახელთაგან I პირის ნაცვალსახელი გვხვდება
მენ ფორმით, რომელსაც ხშირად პოზიციურად მენა ფორმაც
ცვლის ხოლმე. რა უნდა გიყოთ მენაო (მივლ. თხ.); მენო ზეავს
გამოაქანებო (იქვე): ...უთხარ მენ თავის ქალებსა (იქვე); იქ მენ
ჯორ ჩამივარდა წყალში (ხორნ. უძ.); ქალ კი არ მინახავ მენა
(მივლ. ლაფ.); მენ ვაწევ ცხვრებთანა, ღამით მენა ვყარაულობდი
(ხორნ. უძ.): დედამ გამზარდა მენაცა, ნეჭჩი არა ვარ მოსული
(ვაჟა, II, 24).

III პირის ნაცვალსახელის მხოლოდობითი რიცხვის კანონიკური
ფორმა იხი: წავიდა ახლა იხი კიდენა (მივლ. თხ.); იმ ქალებს
არ დეენდო იხი (მივლ. თხ.); ხან იხი ვთქვიო, ეშმაკ არ იყოსო
(იქვე); იქაოდ გავყიდე იხი (ხორნ. უძ.); ქუსლში იყო იხი ჩამქდა-
რი (ხორნ. ვანკ.); ა ინაზე მოკლეს იხი (მივლ. ლაფ.); მე იხი ვნა-
ხე, დედაო სხივნი დამქრალიყვენეს მზისანი (ვაჟა, II).

III პირის მრავლობითი რიცხვის ნაცვალსახელთა ფორმები

²¹ შდრ. ივ. ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე, დროკილოთა მესამე სერიის წარმოების ერთი
თავისებურება ახალ ქართულში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, VII, 1955,
გვ. 74.

ნაწარმოებია -ებ სუფიქსით: ისეებ მიჰქდომიან იქიურ კევისბერს (ხორნ. უძ.); გულიკანი ყოფილან ისეები (იქვე); უთქვამ იმეებსა ი ძმისად (იქვე); იმეებს დაძყეებოდა ი ჩემ ძმაი (მივლ. ლაფ.).

პირის ნაცვალსახელთა ცხრილი რომ შევადგინოთ ფშაურისათვის, ასეთი იქნება:

მს. რ.	მრ. რ.
I. მენ	ჩვენ
II. შენ	თქვენ
III. ისი	ისეები

§ 98. ჩვენებითი ნაცვალსახელები. ჩვენებით ნაცვალსახელთაგან ფშაურში შემდეგი ფორმები დასტურდება: ეს, ეგ, ის, ი, ე, ესეთა, ეგეთა, ისითა, იმთენი, იმთენი. აქ ჩამოთვლითაგან საერთო ქართული გაფორმებით პირველი სამი ნაცვალსახელია მოცემული, დანარჩენები სპეციფიური, დიალექტურია.

ეს, ეგ, აეგ, ის ფორმები, ერთის მხრივ, და ი, ე — ფორმები, მეორეს მხრივ, ერთიმეორის მონაცვლე ვარიანტებია. უკანასკნელნი პირველთა გამარტივებულ სახეს წარმოადგენენ:

ა) ეს კილენ განივრად არი (მივლ. თხ.); მიუტანავ ის მკარი, ის ჯაქვის პერანგი და ის სამკლავე, აექ გასაკეთები რკინა (მივლ. არტ.); აეგ ამბავი ყოფილა. ეგ კი დამთავრდ (მივლ. არტ.); აეგ ამბავ კი რაიმ იკოდინ (ხორნ. უძ.); საცა იმ ზაფხულს მთაშია ხყვანდენ ი ცოლ-შვილნი (მივლ. თხ.); იმ ღამეს ტყეშია მდგარიყო (იქვე).

ბ) ი კარტიელთ კაცს წაუყვანავ (მივლ. ლაფ.); ი ჩემ ძმამ კი არ მოკლა (მივლ. ლაფ.); ი სხვებ წასულან კიდე (მივლ. არტ.); მაძუიებია პური ი ლეკს ძალიანა (იქვე); გაუქსნავ ი მელორის გულდა (იქვე); ე ძმას, ივანეს, უთხარი, ნუ დგა ხილებს გვერდითა (მივლ. გომეწ.).

მაგალითებს თუ დავაკვირდებით, ადვილად შევამჩნევთ, რომ სრული ის, ეს, ეგ ფორმები ან დამოუკიდებლად ან ნახშირი, ან არსებით სახელს ახლავს როგორც განსაზღვრება. სახელს აკონკრეტებს, ზოგადი სიმრავლიდან კონკრეტულად აქ დასახელებულს გამოყოფს: ის მკარი, ის სამკლავე, იმ ზაფხულს და სხვა. რაც შეეხება მოკლე ი, ე ფორმებს, ისინიც არსებით სახელებს ახლავს, მაგრამ პირველთაგან განსხვავებით მნიშვნელობისაგან ერთგვარად „დაცლილია“²². ასეთი დამაკონკრეტებელი ფუნქცია მათ არა აქვს.

²² შდრ. ბ. ფოჩხუა, ქართული ენის ლექსიკოლოგია, 1974, გვ. 129.

„კარატიელთ კაცი“, „ჩემ ძმა“, „სხვები“ და სხვა ისედაც კონკრეტული. განსაზღვრულია და მათ წინ მდგომი ი, ე ნაცვალსახელები, ამ მხრივ. თითქმის უფუნქციოა (ისე, ცხადია, რაღაც სხვა ფუნქცია მათ ამ შეპოხევეებში აქვს). ალბათ, ეს ფუნქციურად ნაკლებ-დატვირთულობა არის მათი ცვეთის მიზეზი.

ესეთა, ეგეთა, ისითა ფორმებში საყურადღებოა ხმოვანთა სინჰარმონიზმი ფუძეში და -ა მაწარმოებლის დართვა, რომელიც თითქმის ნაცვალსახელის ადიექტივაციას უნდა ახდენდეს: გან ესეთა გზა იყვის მაშინა (მივლ. თხ.); დედაო, რად იცი ეგეთა საუბაროო (იქვე); განა ეგეთა აკვენებ იყო (მივლ. ლაფ.); ეგეთა ღრო იყო, შვილო (მივლ. თხ.); ვაი ეგეთას სამართალს, მონათლულს ცოდვა-ბრალითა (ვაჟა, II, 36); ეს-ლა თოვლშიაც გაილიან, ისითაი გზაია (მივლ. თხ.), იმასაც ისითა დღე დაადგა (ხორნ. უძ.); ისითა მტრიანობა ყოფილა (მივლ. ლაფ.); რა გაუჭირდა ისითაი იმ ღვთის ნავენებსა (ვაჟა, III, 49); კაცს გომოვნი ისითასა, რო შენს ბედს ქვეყანა მიპნატროდეს (ვაჟა, III, 44).

ცალკე გამოსაყოფია ჩვენებითი ნაცვალსახელები, რომელთაც წინ პროკლტიკასავით მიერთვის ა მისათითებელი ნაწილაკი: აის ღრუბელნი მიყვარან, ბორბალოზე რო დიანო (მივლ. შუაფხო); ხალ რომ მედვა გულაშია, აის ამოვართვი (ვაჟა, III, 10); აისითა ძაღლები გვეყანდა (მივლ. გომეწ.); აისითა კი მოკელეს ბეჩავ ბალლი (მივლ. თხ.); ვაჟაკობა აისითა უნდა, დათვიანთ რბალსა და ქალს რო უქნავ (ვაჟა, III, 11); შენს მტერს აისითაი, მე რო იქ ვიხილე (ვაჟა, III, 10) აეგ ამბავ კი რაიმ იცოდინან (ხორნ. უძ.)

ერთმანეთის მონაცვლედ გვხვდება იმთენი — იმთენი ფორმები. ქვა კი არა აქვ იმთენი (მივლ. თხ.); მაგასთანამ დამაწვინა, მამცა იმთვენ იღბალია (რაზიკ. 215).

§ 99. კითხვით ნაცვალსახელთაგან სპეციფიურია რომენი, რარიგი: ა) კიდობნის თავ ქალი დაწვა, კიდობნის ძირ ყმაო, რომენ ავდა, რომენ ჩავდა, ვინალ გაიგაო (მივლ. შარაკ); ენა, რომენი (ვაჟა, IV, 208); ქალაზე რომენმ შამაიარა, ვერა მნახე (მივლ. შუაფხო); გადმოხედნება მწაღიან, თეთრ ფურს რომენი სწველაო (რაზიკ. 153).

ბ) რარიგიც ცხენი მყოლია, ცოლით ისეთი მებედა (რაზიკ. 248); მოგვიყვანეუთ, გვაჩვენეთ, რარიგ უნაგირ აღევსა (მივლ. გომეწ.); რარიგ დროა, სუ ბნელა, სუ ბნელა (შეთ.).

§ 100. გვაქვს ე. წ. უკუქცევითი პირის ნაცვალსახელები: თავი, თავის თავი: იმაზედ თავ ვალექსე (ხორნ. უძ.); მე რალა ბედენად მიყო დედაო, თავის თავს რალა უყვაო (მივლ. თხ.).

§ 101. განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი გვხვდება თვითან ფორმით: უნდა მოწველოს იმან თვითან (მივლ. გომეწ.): ჩემ ემამ კი არ მოკლა თვითანა (მივლ. ლაფ.). გვაქვს თავად ფორმაც: ახლა თავად გავიგონეო, ნინოო, იმას რაიმ იძახდაო (მივლ. გომეწ.).

§ 102. უარყოფითი ნაწილაკები არა და ვერა იხმარება უარყოფითი ნაცვალსახელების ფუნქციით. ისინი შეესაბამება სალიტერატურო ქართულის არაფერი და ვერაფერი ფორმებს: ეთხარა-დ' იქ ვერა ენახვა იმასა (მივლ. თხ.); მაინც ვერა გააგეს (მივლ. თხ.); ეგ მასწავლეს, ცხვა არაი (მივლ. ცაბ.); რა გაიგება სიზმრისა, მე მაინც გეტყვით ვერასა (ვაჟა, II, 79).

უშეველია, აქ ფონეტიკურად გამარტივებული ვერარა და არარა ფორმები უნდა გვეკონდეს (მდრ. ვაჟა, მინდორი იყო ტრიალი, არარაი ჩნდა მაზედა), არარა—არარა—არა; ვერარა—ვერარა—ვერა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს თითქოს ორი რ-ს შერწყმით მიღებული რ გემინირებული არაა. იგი მარტივისაგან თავისი ფონეტიკური თვისებებით არ განსხვავდება.

§ 103. ფშაურში სალიტერატურო ქართულის ვინმე, რამე. ვინა, რალაცა განუსაზღვრელობით ნაცვალსახელებს შეესაბამება რაიმ/რაიმა, ვინამ/ვინამა ფორმები: უთქომ ი ბიძისადა, ესე. ისე რაიმა ენახეო (მივლ. თხ.); თოვლიც რაიმ იყო მოსული (იქვე); ტანისამოსებს რასამა რეცხდა (იქვე); ნინოო, იმას რაიმ იძახდაც (იქვე); ერთ ჯორა რაიმა მყვანდა (ხორნ. უძ.); ერთ ლექს რაიმა ვთქვი (ხორნ.); მოიდა ისი და კიდევ სხვა რაიმ ეტანა (ვაჟა, III, 51); ჯანქველებივით რაეზიმ დამივლის (ვაჟა, IV, 209) სომეხ რაიმ არ დავაა, ბიკო (ვაჟა, III, 11).

ამავე ფუნქციით გვხვდება ვინ და რა ნაცვალსახელები: იქ არსად რა იბადებოდა (მივლ. თხ.); უწინდელ ხალხის შანახულ რა კი იქნება ისი (მივლ. გომეწ.); მითხრა ი რძალმა, რომაო, გამაყოლე ვინაო (მივლ. თხ.); არაო, უთხარ, რო ვის რა გექიროსთო... ან ნადირ რა შეგხვდესთო, რა უნდა გიყოთ მენაო (მივლ. თხ.); არც ვისად მითქოჰ, არც ვიტყვი... სხვას ვისა მჰკითხონ (მივლ. გომეწ.); იქნებ გავიგოთ რაიო (მივლ. თხ.); ერთ დღეს რო პურ ვინ მაჭმიოს, მეორე დღეს აღარ მაჭმევს (მივლ. ლიშო); ცოტა მაინც რას დაგარიგებო (ხორნ. უძ.).

§ 104. ზმნიზედა მეტყველების ფორმაუცვლელი ნაწილია, დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე²³. სიტყვათა ამ ჯგუფის აღწერა შეიძლება უფრო ლექსიკონის საქმე იყოს, ვიდრე გრამატიკული მიმოხილვისა, მაგრამ რაკი ის ხასიათდება რიგი გრამატიკული კატეგორიებით და იმყოფება ერთობ რთულ სიტყვაწარმოებით ურთიერთობაში მეტყველების ძირითად ნაწილებთან²⁴, ვფიქრობთ, სათანადო ადგილი უნდა ჰპოვოს ენის გრამატიკული სტრუქტურის აღწერის დროსაც, ძნელია ყველა იმ მნიშვნელობითი ნიუანსების ჩამოთვლა, რაც ზმნიზედას აქვს ფშაურში, ამ თვალსაზრისით სალიტერატურო ქართულთან შედარებით თავისებურებები თითქოს არ ჩანს. საინტერესოა ზმნიზედები, პირველ ყოვლისა, ფორმის თვალსაზრისით და ჩვენც, უმთავრესად სწორედ ამ მხარეს მივაქცევთ ყურადღებას.

§ 105. ადგილის ზმნიზედები: ზენ, ქვენ, უკვენ — ...თიანეთ ხო ქვენ არი... (მივლ. გომეწ.): ახლა ზენ უნდა ავიარო (ვაჟა, IV, 211); ხო მაინც იქ დაზდით, ზენაო (მივლ. თხ.); ...სუ ზენა, უფრო ახლოს (მივლ. თხ.): ი ციხის უკვენაც ჩვენ მამულ იყო (მივლ. გომეწ.): ქალ უკვენ გამაბრუნა (ვაჟა, V, 74); ხუთიც უკვენა ხყვებისა (ვაჟა, II, 38).

ზენათ, ქვენათ — ერთი ხო ზენ არი, მეორე კილენ ქვენათ (მივლ. გომეწ.); ი ციხის ...ზენათაც ჩვენ მამული იყო (მივლ. გომეწ.); ყდას ლვილებს გავუყრით ზენათ-ქვენათ (ხორნ. აფშო);

იქით—იქათ, აქით—აქათ. ერთი შეხედვით კაცს შეიძლება მოეჩვენოს, რომ აქ საქმე გვაქვს ერთი და იგივე მნიშვნელობის ზმნისართა პარალელურ, თავისუფლად მონაცვლე წყვილებთანო. სინამდვილეში აქ ფორმოზღვი სხვაობასთან ერთად მნიშვნელობის თვალსაზრისით განსხვავებაცაა: იქით—იქიდან, იქათ—იქით, იმ მხარეს: აქით—აქედან, აქათ—აქეთ, ამ მხარეს. დაუწყეს იქით ლაპარაკი ქისტესთრისაკა (მივლ. ლაფ.); ლაჭაურა სათიბსა ყოფილა, იქით უნახავ ცეცხლის ალი (ვაჟა, V, 32); მიუახლოვდა თავის სახლს, სინათლე მოსჩანს იქითა (ვაჟა, II—III); იქით გავიგონეთო. ნინოო, იმას რაიმ იძახდაო (მივლ. თხ.); აქით საქონ წაი-

²³ ა. შ ა ნ ი ძ ე. ქართ. გრამატ. საფ., გვ. 587.

²⁴ იხ. О. С. А х м а н о в а, словарь лингвистических терминов, Москва, 1966, გვ. 251.

ლეს ლექებმა (მივლ. ლაფ.): დაითხიე აქითაო, ვუთხარ (ვაჟა, III, 51); აქით ფული გაეყოლა (ვაჟა, II, 51); ხან იქით მიაგდებენ, ხან აქათ მიაგდებენ (ხორნ. უძ.); ი გზის აქათაცა, ეგრემგზხრიე მამულე-ბია-დ' ეგრეცა (მივლ. გომეწ.).

ექ, იქ, აიქ — ექ ხო არი, ე ფშავსა და იქაცა ხყავ (მივლ. თხ.): ...ბიძაით აიქ იქნება წასულით (მივლი. თხ.); აიქ დაძსოლით ბი-კუა, სად ისხდეს დედათ ჯარიო (მივლ. ცაბ.).

5) ადგილის ზმნიზედად გამოიყენება სახელის ე. წ. ნაგენეტი-ვარი მიცეპითი ბრუნვის ფორმები: ცხვარშით მოსეეს ხახაის სახ-თანისას ჩამოვარე (ვაჟა, III, 10); ნეტავი, ჩემო ბაბალე. აქისას ჩამოგატარა (რაზიკ. 174) (სხვა მაგალითები იხ. სახელთა ბრუნე-პაჰთან).

გორდიგორ — ეგრე დაგორდი ქერის პურო, ეგრე გორდიგორ ჩაიარე (რაზიკ. 89).

§ 106. დროის ზმნიზედა: მემრე — მემრე უთქომ მამაჩემსა... (მივლ. თხ.); მემრე მოიდა ის კაციცა (ივლ. ლაფ.): მემრე შენ რას უზამ მა ბალღებსა (ვაჟა, III, 49); მემრე წავიდნენ ცალ-ცალკე, თავ-თავის გზაზე გმირები (ვაჟა, II, 25).

წინავ, წინ-წინ, მალევა: წინავ კი არ იყო ისითა გზა (მივლ. ლაფ.); წინავ ესრე ვიცოლით, ჩემო შვილო... (მივლ. ქელი): წინ-ნავაც გაგონილი მქონდ (ვაჟა, IV, 209); უფროსს ერგო წინ-წინ შაკითხვა (ხორნ. უძ.); ერთ ბაღლ იყვის მალევა (ხორნ. უძ.); წინ-წინ რო დავსწევ ქალთანა, მაშინავ გავესენ საყელო (მივლ. თეთ-რაჯ.); მინდორს რო მოკედეს კაი ყმა წინ-წინ ეგ დასთხრის თვალ-თაო (რაზიკ. 23).

მოსეეს — ციხეგორობით მოსეეს ჩემთან მოიდა (ვაჟა, III, 51); წოლან, მე რო ცხვარშით მოსეეს ხახაის სახთანისას ჩამოვიარე... (ვაჟა, III, 10); კართანას გადასეესა მშახურთ გიციდეს ზელია (რა-ზიკ. 10).

საგათენებოდ — საგათენებოდ მეორე კალო უნდა გავველეწა (მივლ. გომეწ.). (შდრ. თუშ. საგათენებოდ მოგეია, ბარმა ბახ-ტურის სალარი).

მაშინის, ერთხელის, წედანის, რახანის, ძოღანის: ყვირილას ეთქო მაშინისა... (ხორნ. უძ.); მაშინისა ვთქვით ლექსი... (ხორნ. უა.); იადონმა და ბულბულმა მაშინისლა დაწყეს გალობა (ხორნ. უძ.); მაშინის გამოგვიგზავნი, ნეფედ რო იქდე ჯარზედა (რაზიკ. 136); მა-შინის წვერ-წალმა დაუცავ (ვაჟა, V, 33); გაღმით ძროტებ ნაპიღ-

ოლა ერთხელის... (ხორნ. უძ.): ...ერთხელის მაუვილა ქრისტე ღმერთი (ხორნ. უძ.): ერთხელის შვილებმა მაილაპარაკეს... (ხორნ. უძ.): ერთხელის კიდევ გამრიეთ სერობას ერთის ბატკნითა (რაზიკ. 21): ერთხელისა, შუალამისას, დიდი ნაორღვენი შოილა (ვაჟა, II, 45): შენც ჯანანი ჰყოფილხარ, როგორც წელანის გცაღია (ვაჟა, II, 25): წელანის ხალი შავსქამე, გუდაშიც მიძე მრავალი (ვაჟა, II, 78): რახანის მამაგონდები, სამ ღღეს არა ვსქამ პურსაო (ვაჟა, V, 87): ძოდანისაც მანდ ეგდო ი ქალბნელი (ვაჟა, V, 292): გუშინის, ჩემო ნადობო, დედა რას გეხასებოდა (რაზიკ. 183).

ნელად: ნელად გავანებეთ სახლს თავი (შეთ.).

§ 107. ვითარების ზმნიწედა: ისრ, ისრე, ისრევ, ასრე, ესრე, ეგრ, ეგრედა: ჩამომბა (უნდა) ისრ იმასაც ყდაზედა და მოქსოვა ისრევ როგორც ქსელსა (მივლ. გომეწ.): ისრივ მანდ ყოფნა მირჩევნავ. ისრივ მანდ წაეწყდე სულითა (რაზიკ. 255): თავითავ ისრე ჩაეცვ. როგორც ვაჟა (მივლ. გომეწ.): ლეკო, ესრ ნუ დავიშლებით. ნუ გავიყრებით ხმალზედა (რაზიკ. 28): განა ეგრ უნდა, ვაჟაკო, ქალთა თმიანთა ყვარება (რაზიკ. 145): როგორ მასტყუვდი ეგრედა, დაგაქვ ცრემლიან თვალია (ხორნ. აფშო); ნეტავი ყველა ლამაზსა, ესრე სიკვდილი ჰხედებოდა (ვაჟა II, 83).

ზოგჯრივ: ზოგჯრივ კბოც კიდევ გადაბრუნდის შიგა (ხორნ. აფშო): ზოგჯრივ დაჯრანწული, დაღრუებულ დედამიწა იყვის... (ხორნ. აფშო): ზოგჯრივ ფინთ ამინდ იყვის (ხორნ. აფშო).

ძლივ: ბატარად ძლივ აჩქამდაო (მივლ. თხ.); ვნახე... ძლივ სადამ ვიცანი, მიხვრა მოხვრაზხედ ტანშია (ვაჟა, II, 181).

გონთ, უგონთ: ხან გონთ იტყვის, ხან — უგონთ (მივლ. ჩარგ.).

ცალკვარად, შორგვარად, მალეგვარად: ძროხა რო მაიჩნევდა. იმას ცალკვარად ვაქმევდი კიდენა (ხორნ აფშო): კიდევ თუ შორგვარად დაიჩრებოდა ი თოფი... (მივლ. გომეწ.), წყალიც შორგვარად არი იქა (ხორნ. უძ.); თოფის სროლიდგე სულხანა წავიდა მალეგვარადა (ქეშიკ. 20).

ადვილ: ადვილ ვერ იცნობთ ვაჟაკსა... (ვაჟა, II, 35); ადვილ ნუ იტყვით სიტყვასა, ადვილ ნუ იტყვით ვაჟაკზე, არა ვარგაო, იმასა (იქვე); ადვილად მტერი მოგაკვდესთ, ადვილ გავიგო მართალი (ვაჟა, II, 34).

სრულა: წმინდა პურივით დაჩრება სრულა (მივლ. გომეწ.).

უკეთეს: ღვთიშვილთ უკეთესი იციან (ვაჟა, II, 34).

წარა-უგონთ: რად იცი წარა-უგონთ საუბარი (ვაჟა, III, 23).

ძალან: დაღალულიყო ძალანა, სამჯერ დაღია წყალია (მივლ. ქელი).

მარტუა: ვზივარ მარტუაჲ (მივლ. გომეწ.); მარტუა გაძღება... (ვაჟა, IV, 212); მარტუა დავა მოზვერი... (ვაჟა, II, 17).

მალვივ: შკამს მალვივა (ხორნ. უძ.).

წალმ: საქმე წალმ დავატრიალოთ (ვაჟა, II, 82).

პირქვა: სუყველა დაწვინინეს პირქვა (მივლ. ლაფ.).

თავ-თავად: თავ-თავად ლიშან ექნებოდა (მივლ. ლაფ.).

მალიმალ: მალიმალ შევსკიხვინებდი, ტოტებს შევზღამდი მკარზება (მივლ. არტ.).

იმ-ბაშად: იმ-ბაშად ველარაფერი მოვიგონე (ვაჟა, IV, 246).

ბედენად: მე რალა ბედენად დამლუპაო (მივლ. თხ.).

§ 108. ნაცვალსახელოვანი ზმნიწედები: 1) მიწეწისა: იმით, მით, ემაგით იმაღლიმაღლ. აქ უნდა რო შამოცდეს, მე იმით მიწედნებ (მივლ. გომეწ.); ი დედას ნინოს თუ ეძახდის, იმით იძახდა ნინოვ (მივლ. თხ.); ხატის ტყეა, იმით დაცულია (მივლ. თხ.); სასიკვდილოდ არ გაიმეტაო, იმითაო საფარველ დაადვაო (მივლ. თხ.); რაკი მოხუც ვიყავ, იმით არ თუ დამაწვინეს (მივლ. ლაფ.):იმით ეძახდნენ კარატიელსა (მივლ. ლაფ.): ჩემ სარჩო მინდა ჩენთუნა, ცოლს არა ვთხოვბ იმითა (რაზიკ. 225): ცუდ ღროა, იმით აღარ უნდა გავიგოთა თავის ცოცხალი და მკვდარი (ვაჟა, III, 51); ღმერთმა იმით არ მოგცაა ე ზელები, გაისარჯენითო, განა იმითა, რო მოწის საქმელად გაასუქეთო (ვაჟა, III, 43); ...იმით, რომე სიცოცხლე უდგას საღის ყინულის ტახტზედა (ვაჟა, II, 84); ემაგით გეობნებოო, დალუპე ეგ ძალის გაზრდილიო (მივლ. თხ.): იმაღლი ვიყოდი, ეგებ საით ვისწავლოო (ხორნ. აფშო): ტურავ, მიყვარხარ იმაღლა, ჩხავილი იცი ტურული (ვაჟა, I, 120): მაგას აღარაად უნდა ეხლა კმალიო (ხორნ. უძ.).

2) კითხვითი: რარიგა...რარიგად, საით, რაით: რარიგადლა უნდა ექნათ ჩვენაო (მივლ. თხ.); რა ვიც მენა რარიგა გავთხოვდი (მივლ. ლაფ.); რარიგად წახვალო, უთხარ რარიგადაო (მივლ. ლაფ.); რაათ რა ამაქონდა იმსისხო ქვა (მივლ. გომეწ.); ი ზევე საით მოიდაო (მივლ. თხ.) ექალ საითლა მოგყავისთ (ვაჟა, V, 73): თუ მაშინ არ გინდოდო, ეხლა საითლა გინდივარო (მივლ. ლაფ.);

საით აჰყვან-გააჰყვან იმათა (მივლ. ლაფ.): სად მიხვალ, სადა, წყე-
ულო. საითკე მიეჩქარები (ვაჟა, II, III); რაადაც სულელია, იმი-
თა. სხვად რადა (ვაჟა, V, 37).

3) განუსაზღვრელობითი: ამ შინაარსის ზმნიზედები, რო-
გორც სალიტერატურო ქართულში, აქაც კითხვით ნაცვალსახელო-
ვან ზმნიზედაზე შეიშა ნაწილაკის დართვით იწარმოება: დედაც
სხვაკან სადამა ყოფილიყო (მივლ. თხ.): მე კი სუ შიშის ქვეშა ვარ,
სუ რადმე მეშინია (ვაჟა, III, 10); ხევში მოქითობს მდინარე, ჯავ-
რობს და წყრება რადამა (ვაჟა, II, 185).

მაგრამ ამის პარალელურად არაა იშვიათი შემთხვევები. როცა:
ზმნიზედა ფორმით იგივეა, რაც კითხვითი, კონტექსტში შინაარსით
კი განუსაზღვრელობითია: იქნებ ან ტყის ნადირთ სად შექამესო
(მივლ. თხ.) — იქნება ტყის ნადირებმა სადმე შექამესო; ეხლაო,
ან გაღაფარდები სადაო... (მივლ. თხ.) — ეხლა ან გადაჰვარდე-
ბი სადმეო; კიოთ რაად უნდოდა, მასალადა (მივლ. თხ.) — ალ-
ბათ: რისთვისმე უნდოდა, მასალად; თუ საით ფეხი ჩასცა (ვაჟა, IV,
210) — თუ საიდანმე ფეხ ჩასცა; შენთა კბილთა და ბაგეთა კიმც
საით ვაპაზიარა (რაზიკ. 175) — შენთა კბილთა და ბაგეთა ნეტავი
საითმე ვაპაზიარა: ვაჰმე, რო საით შემოგხვდეს ვეფხვი, დათვი ან
მგელია (ვაჟა, I, 43); დამც ენაცვლება თოთიას, ვერ-როგორ ვარ-
ჩევ ხალხშია (ვაჟა, II, 191); ვერ-როგორ — როგორღაც ვერ...

4) მიმართებითი: საითაც, რაადაც: კაცო, ჩავიარე, ი საითაც
მომედინაო, ნინოო (მივლ. თხ.): რაადაც სულელია, იმითა (ვაჟა, V,
37).

როგორც აქ მოხმობილი მასალა გვიჩვენებს, ფშაური ზმნიზე-
დები შეიძლება ორ ჯგუფად გავყოთ: საკუთრივ ზმნიზედები და
ნაწარმოებნი, რომლებიც თვით ძირეულ ზმნიზედასთან, ან მეტყ-
ველების რომელიმე სხვა ნაწილთან სიტყვაწარმოებითი ურთიერ-
ობით არიან დაკავშირებულნი.

ბირველთა ნიმუშებია: ზენ, ქვენ, წინ, უკვენ, ექ, აქ, წაღმ,
უკულმ, ისრე, ესრე, მემრე, მაშინ, სად, მით, იმით.

მეორე ჯგუფი ფრიად მრავალფეროვანია:

ათ ფორმანტით ნაწარმოებნი: ზენათ, ქვენათ, იქათ, აქათ.

ვ(ა) ფორმანტით ნაწარმოებნი: წინავ, მალღევა.

ივ ფორმანტიანები: ძლივ, ზოგჯრევ, ეგრემჯრევ, მალღივ.

მ(ა)მ(ე) ფორმანტიანები: სადამა, რადამა, რადმე.

ის მაწარმოებლიანები: წელანის, მაშინის, შარშანის, გუშინის, ეროხელის.

გვარად თანდებულის ტოლი ერთეულით ნაწარმოებნი: შორ-გვარად, მალეგვარად, ცალკეგვარად.

ღუძის გაორკეცებით ნაწარმოებნი წინ-წინ, გორდიგორ. მა-ლიმაღ.

მიღემითის ფორმისანი: მოსეეს, აქისას...

სედსართავის ფუძე გამოყენებულა ზმნაზედაჲ: აღვიღ. უკეთეს, სრულ||სრულა.

10. თანდებულება

თანდებულები ფშაურში მასალობრივადაც და ფუნქციურადაც ძირითადად იგივეა, რაც სალიტერატურო ქართულში და სახელის ბრუნვის იმავე ფორმებს დაერთვის. ოღონდ ზოგ შემთხვევაში მა-ცი ფონეტიკური სახეა განსხვავებული და ეს მხარე მოითხოვს ყურადღების შეჩერებას. საჭირო ხდება ზოგი თანდებულისა და სუფიქსური ელემენტის განსხვავებული ინტერპრეტაცია.

§ 100. შიიჩი: აქ ამ თანდებულის ორივე ვარიანტი გვხვდება თითქმის თანაბარი სიხშირით²⁵. იგი მიცემითი ბრუნვის თანდებულია.

1) ში: ბეწინტურის ცოლს წამაჰკრა. შიგ კვათშუაში ჩაჰჩარა (რაზიკ. 208): იოსებ კლასშია მჭდარეყო (მივლ. თხ.): ი ბალღიც ძროხებშია მხყოლია (მივლ. თხ.): მივალის ისიცა ახლუაშია (ხორნ. უძ.); იოსებს მეეკელა ზვავშია (მივლ. თხ.); პურ მეღვის გუდაშიაო (მივლ. თხ.); წასულიყო, იმ ღამეს ე ტყეშია მღგარეყო (მივლ. თხ.); ...იმ ზათხელს მთაშია ხყვანღენ ი ცოლშვილნი (მივლ. თხ.): ნაძნეე ძირშია რჩებაო (მივლ. გომეწ.) მოსორონაში ეგრე შიშვლის ფეკით ვერ გაივლიდა ხალხი (მივლ. ლათ.); მათურაში ვეყავ მენ ქარში, სალდათადა (მივლ. ლიშო); ვერც კი მასწოვს კმო პირველშია (ხორნ. აფშო); გავწურავთ საწურაშია (ხორნ. არახ.); ჯორ: ჩამივარდა წყალშია (ხორნ. უძ.).

2) ჩი: თავის კელჩი ნაჰერ თოფი აქ შამააწყდა... ი თოფ მე დამრჩა კელჩი (მივლ. ლიშო); გამოალ კარჩია ე გრილშია, კი მცივა (მივლ. გომეწ.); კალთაჩი არი დაჩვეული კალთაჩი უნდა

²⁵ შღრ. აღ. კ ი ნ ქ ა რ ა უ ლ ი, ხევსურულის თავისებურებანი, გვ. 50.

(ნივლ. გომეწ.): წამოიდა მეპრე... ემა ორწყალხია, ორწყალუ ვე-
 ძახიო (ნივლ. თხ.): ერთ წყალხია გამოსაყედი... ჩავერიე წყალხია
 (ხორნ. უძ.): კბილსავარცხელათ ემანდ ეძახიან, ემა გაღმა, მა კბილ-
 სავარცხელაჩი უცხოვრებაჲ ერთ ოქრომჭედელსა (ხორნ. აფშო);
 კელი მიკერაჲ ნიგზური (ხორნ. უძ.): სოფელი კი ბაკებ ვიციო
 (ხორნ. უძ.): ბაღ საღამ კი გამეფეარა კარჩია (ხორნ. უძ.): ხურ-
 ჯინ წყალხია ჰყრიანო (ხორნ. უძ.): მეც კარჩი გამოვიდოდი, განა
 კი დავიმაღები (რაზიკ. 184): ეგრე შენ, ნეფის ჭალაფო, ჭალაფჩი
 გენრიელობა (რაზიკ. 206); კარჩი მგელ ვერას შემეჭამს, შინ შა-
 მოტანალს ციცაო (რაზიკ. 194): კაცი დედაკაცს რა უნდა, რად
 არა ფიქრობს გონშია (ვაჟა II, 80): დედამ გამზარდა მენაცა,
 ნუნჯა არა ვარ მოსული (ვაჟა II, 24); მოდი, გაკოცო, გოგო-
 თურ, საკეთისათვის შუბლია (ვაჟა II, 25).

-ში-სა და -ჩი-ს ფუნქციური იგივეობა გვიდასტურებს, რომ
 ესენი ერთი და იმავე თანდებულის მონაცვლე ვარიანტებია. დგება
 მათი განაწილების დადგენის საკითხი. თავისუფალია ეს განაწი-
 ლება თუ რაიმეთია შეზღუდული? დაკვირვება გვიჩვენებს, რომ
 იგი თავისუფალი არ ჩანს, რადგან არის ფაქტები, სადაც აუცი-
 ლებლად ერთ-ერთი მათგანი უნდა იყოს და მეორით ვერ შევცვ-
 ლით. მაგ. ფრაზაში: „ბაღლიც ძროხებშია მხყოლიყო“ *, „ძროხებ-
 ჩია“ შეუძლებელია, ასევე იქნება აუცილებლად „კლასში“ და არა
 „*კლასჩი“. ასევე შეუძლებელია -ში-ს ხმარება „კაცი“ ფორ-
 მანი. შეიძლებოდა კაცს ეფიქრა, რომ -ჩი-ს გამოვლენა ფონეტი-
 კურადაა შეპირობებული სონორის მომდევნო პოზიციით, რადგან
 -ჩი ჩვენ მიერ საილუსტრაციოდ აქ მოხმობილ მაგალითებში უმე-
 ტესად ლ-ს მომდევნოდა. სონორების შემდეგ სპირანტის გააფ-
 რიკატება კი ქართულ დიალექტებში, და მათ შორის ფშაურშიც,
 დადასტურებული ფაქტია: „საქმე არცად არა მაქვის მენა“ (ნივლ.
 ქედი). მაგრამ აქვე არასონორის მომდევნოდ -ჩი-ს დადასტურება
 გვიჩვენებს ამ ვარაუდს: „კბილავარცხელაჩი“, „კაცი“, „ჭალაფჩი“.
 არაა იშვიათი სონორის შემდეგ ში-ს გამოვლენაც: გრილში, წყალ-
 ში და სხვ.

აქ მოტანილ -ჩი თანდებულებს მაგალითებს თუ დავაკვირდებ-
 ბით, ერთ რაზეს შევამჩნევთ: სახელს ან მრავლობითის გაგება
 აქვს, ან ისეთი სახელია, რომელთა რეალური რიცხვი მხოლოდ-
 ბითია, მაგრამ ფშაურში ისინი ნარ-თანხიანი მრავლობითის ფორ-
 მით გვხვდება ხოლმე (იხ. ზემოთ სახელთა მრავლობითის წარმოე-

ბა). „კაცი“ — ნიშნავს კაცებში. „ჯალაფჩი“ — შინაურებში, ოჯახის წევრებში. „სოფელჩი ბაკებ ვიციოთ“ — ო გვეუბნება მთბრობელი. აქ ივარაუდება, რომ ბაკებს აშენებენ არა ერთ სოფელში, არამედ სოფლებში ზოგადად. სამაგიეროდ, ფშაველი არაადლოს გეტყვის ესა და ეს კაცი ჩემ სოფელჩი ცხოვრობსო, ინმარს აუცილებლად „სოფელში“ ფორმას. მრავლობითი რიცხვი თითქოს მოულოდნელია გეოგრაფიულ სახელებთან: „კბილსავარცხელაჩი“, „ორწყალჩი“, მაგრამ იქვე გვეუბნებიან, რომ ამ ადგილებს „კბილსავარცხელათ“ და „ორწყალთ“ ეძახიან. ასე რომ, — ჩი თანდებულებიან სახელში, ლოკატიური მნიშვნელობის გარდა, საყრდენი ფუძის მრავლობითი რიცხვიცაა უკუფენილი.

ინტერესსმოკლებული არ უნდა იყოს ამ საკითხთან დაკავშირებული მცირეოდენი დიაქრონიული ექსკურსი.

თანდებულის -ჩი ფორმა მხოლოდ თანამედროვე დიალექტებისთვისაა ნიშანდობლივი. ძველმა სალიტერატურო ქართულმა იგი არ იცის²⁶. ცხადია ფშაურში (და ქართული ენის სხვა დიალექტებშიც) იგი მეორეული წარმონაქმნია²⁷. ისიც ნათელია, რომ იგი უნდა იყოს ძველი ქართულის მიცემით ბრუნვის შინა, შიდა თანდებულების განვითარების შედეგი. რაკი ფშაურის -ჩი თანდებულებიან სახელებში ჩვენ მრავლობითი რიცხვის ფუძე შევიცანით, „კელჩი“ ფორმის წინაე ფორმა იქნებოდა „*კელთა შინა“. შემდეგი საფეხური იქნებოდა უკვე „*კელთში“. აქ კი წინაენისმიერი ნშულისა და სპირანტის შეხვედრა მოგვემდა ჩ აფრიკატს და მივიღებდით დღეს დადასტურებულ ფორმას — „კელჩი“.

ყოველივე ამის შემდეგ მივდივართ დასკვნამდე, რომ თანდებულის -ში და -ჩი ვარიანტებს შორის ფუნქციური სხვაობა მაინც არის: პირველი ლოკატიური მნიშვნელობის გამომხატველია, მეორე — ლოკატივისა და მრავლობითისა ერთდროულად.

§ 110. -კენ თანდებული ფშაურში სრული სახით არ გვხვდება. გვაქვს -კ, -კა, -კე ვარიანტები:

ა) გაღმითაისაკ ი თივის მგულებლები არიან (მივლ. თხ.): ჰი-კოშვილი ეგ არი ქვემოთაისაკ რო დგაო (მივლ. ქელი): იადონი და

²⁶ იხ. არ. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი. თანდებული ქართულში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, I, 1946, გვ. 217 და შმდ.

²⁷ გ. ც ო ც ა ნ ი ძ ე, სპირანტის აფრიკატიზაციის ერთი შემთხვევა ქართულ დიალექტებში, ქართულურ ენათა სტრუქტურის საკითხები, IV, 1974, გვ. 111—116.

ბუღბულ საისაკ არიანო (ხორნ. უძ.): იქისაკ ჩავლოლ კი ბევრა მი-
ნახავ... (ხორნ. უძ.): ფიცხლავ ჩვენე გამაიქცევა. არ წავა სხვა და
სხვისასა: თან-თან მიწისაკ მისძვრები (ვაჟა, V, 50): ცისაკ დაიწ-
ყებს ცქერასა (ვაჟა, I, 50).

ბ) ცაბურთა ზეით არი, უკანა ფშავისაკა (მივლ. გომეწ.): ჯა-
რბე წამოსულა ჯვესურეთისაკა (მივლ. ლიშო): მე წამოიყუანე ში-
ნისაკაო (მივლ. თხ.): გამოქანდა ჩემკა (ხორნ. ვანკ): განაიქცა საცა
ნენ ვიყავ, ისრიკა (ხორნ. ვანკ.).

გ) სუ იმათე მიჭერავ თვალი (მივლ. ლიშო): თოფ უჭერავ
ჩემკე (მივლ. ლიშო): გადაბრუნდა პირიმიისაკე (ვაჟა, IV, 209);
ხელი გამოწვადეს ჩემკე (ვაჟა, III, 24); დაიქცენ სოფლისაკე (ვაჟა,
IV, 228) ბუნების არსთა ყველათა კლდისაკე ჰრჩება თვალია (ვაჟა, I,
56): თვალი დამრჩა ზენისაკე (ვაჟა, III, 24): ბოტო, გაუძველ
იქისკე, საღაც ალაზნის პირია (ვაჟა, I, 73): იქ რას გაჰხედავ,
სხვაქნისკე თაეი რას გაგიჭერია (ვაჟა, II, 47)²⁸.

§ 111. -თვის თანდებულს ფშაურში ორი -თვინ და -თვი ვა-
რიანტი შესაბამება:

ა) ჩემ დელისთვინაც ეცემა, ჩემ მამისთვინაც (მივლ. ლაფ.);
აბეშიისთვინ ვააკეთეს ის სახლი (მივლ. ლაფ.): ჩემ სარჩო მინდა
ჩემთვინა (რაზიკ. 224); ბედენა არ იყო ჩემთვინა (მივლ. ლიშო);
ჩილი არაა ჩემთვინა (ვაჟა II, 81).

ბ) ღმერთი იმისთვი არი, ვინც არი (მივლ. ქელი); კვერცხე-
ბისათვი წაიღებენ კიდევა კალათებსა (მივლ. ქელი): იმის გულის-
თვი ჯარებ გადმოსულა (მივლ. ლიშო); ვიღოქრე ჩემთვი (ვაჟა,
IV, 231): მოგეკვლეინათ შვილების გულისათვი (ვაჟა, IV, 231);
პო. შვილო, ჩემი შვილისთვი მინდოდაო (მივლ. ლიშო).

§ 112. -თვინ || -თვი თანდებულის გვერდით, შეიძლება უფ-
რო მეტი სისშირითაც, გვხვდება ამავე მნიშვნელობის -ღ||-და
თანდებული. იგი ნათესაობით ბრუნვას დაერთვის, უმეტესად გავრ-
ცობილ ფორმას, იშვიათად გაუვრცობელსაც. დღევანდელ სა-
ლიტერატურო ქართულში აღარა გვაქვს, შემორჩენილია მთის დია-
ლექტებში და გურულში, მყარად იღვა ძველ ქართულში²⁹.

მაგალითად: ბიჭო, რაისად მიზდით (მივლ. თხ.); ე შუაფხოვ-
ლებისად ეთქვა (მივლ. თხ.); დეეძანა იმისადა, რო ციგროშვილ

²⁸ იხ. ა. შ ა ნ ი ძ ე, გრამატიკის საფუძვლები, გვ. 71, 602.

²⁹ ა. შ ა ნ ი ძ ე, გრამატიკის საფუძვლები, გვ. 601—602.

გამოდესო (მივლ. თხ.): ეთქვა ი ბიძისადა... (მივლ. თხ.): იმან ჩამაატარა კარები, ერთურთისად გადამბულები (მივლ. ლაფ.); რასაც მაიგდებდენ, სუ ახალწლისად შინახავდენ (მივლ. ლაფ.); შეშა იქ, ნიადამ, საჭირო იყო საწველ-სადღვებლისადაცა და ჩვენ-დაცა (ხორნ. აფშო); სუ აუყრიან ისეეები მაგ საქმის გულისადა (ხორნ. უძ.); ბეჯას მათსწვრავ თავის ცოლთანა გიორგისადა (ხორნ. უძ.); ორმოც ჰედილა მიუცავ ჴანდუკელიზ (მივლ. თხ.): ნაგის მეტს ჩვენდ კარგ ლუქმა არცვის არ მუტანავისო (ხორნ. უძ.), გახყოლია ისიცა, ვისადაც უსწავლებავ (მივლ. გომეწ.); ეთ-ქვა ი კაცისადა-დ' (მივლ. თხ.): ჩემის შებრალებისად დიდი მაღ-ლოტელი ვარ (ვაჟა, V, 294); ბევრის ირმისად კი დავისხმე-ნებთან რქანი (ვაჟა, V, 35); ძაღლებისად ზო არ გიქმეევ (ვაჟა, V, 207); დიაცი მოთხარ შენ, წუტი დიაცი, იმის გულისად აუგი ათქმევიროს თავის თაჴზე ვაჟაკმა (ვაჟა, IV, 229); ვის ჩავაბარო ყვაილნი წყარო ჩემდ მონაბარია (ვაჟა, I, 97).

საინტერესოა „დროთად“ ფორმა. მე რო თქვენ დროთაჲ ვი-ყავ (ხორნ. კომი) — თქვენი ტოლი, თქვენი ხნისა.

§ 113. -მდეჲ-მდის თანდებულს -მდინ ფორმაჲ შეესაბამება: ოცდაათამდინ კაც-დედაკაც ვიყვენითო (მივლ. თხ.); დაკარგვა ეფ-რო ძნელა, სინამდინ სიკვდილი (მივლ. თხ.); მესამე დღეჲმდინ უდგა ჯსენი (ხორნ. უძ.); გადავედით იქამდენა (მივლ. ლიშო).

საინტერესოა ვაჟასთან დადასტურებული დღესნამდე ფორმა: ცეროვართ დღესნამდე (ვაჟა, IV, 235); დღესნამდე კი არც არა ჩვენ წაგვხდონოჲ (ვაჟა, IV, 211).

§ 114. -ზე თანდებული ხშირად -ზედა ფორმით რეალიზე-და: რაზედაც გარეყეს ი საქონელი. გადავედით იქამდენა (მივლ. ლი-შო); თურმე ამ მთაზედაც ქისტებია, იმ მთაზედაც (მივლ. ლი-შო); ერთი თვე ბორბალოზედა ეჭოჴილვარ (მივლ. ლიშო); ...მო-კირულ იყო ნაპირზედა (მივლ. გომეწ.); კენას ვიწყებდით მარტის-გახვლაზედა (ხორნ. არახ.); ოფლს ჯაზეთქილსა მკერდზეთ ქვიშა-ზედ ჩააქვ ჩხრიალი (ვაჟა, II, 12). მაგრამ გვაქვს -ზეა და -ზე: ვარიანტებიც: ი დიდა წყალზეა ყოფილიყო ბეჩაჲ (მივლ. თხ.); რას თვალზე ჰნახავს კაცი (ვაჟა, IV, 209); გაღმითაზე ჩამაიგლის (ვაჟა, IV, 208).

§ 115. სალიტერატურო ქართულში -ზე თანდებულიან ფორ-მებს ზოგჯერ თვის თანდებულიანი ფორმების მნიშვნელობაც აქვს. შეშაზე წავიდა, ნიშნავს შეშისთვის, შეშის მოსატანად წავიდა.

ღმადღობაში ამ მნიშვნელობით იხმარება -ობა||-ობა ბოლოსართიანი ფორმები: **შეშობ, ანწლობ, ტყემლობ...**

ანწლობა წასულიყვენ. საარაყის **ანწლობ** (მივლ. ლაფ.); ხო მანც იქ დაზღითო, თივობაო (მივლ. თხ.); მოდი **ნადირობ** გავიაროთ (ხორწ. უძ.) -ობა ელემენტი აქ თანდებული არაა, სიტყვაა: მანწარმოებელი ელემენტი. **ანწლობ, შვინდობ, ნადირობ** ტიპის ფორმები მონეტურში ბრუნვის ფორმანტმოკვეცილ ვითარებითადაა მიჩნეული³⁰.

საინტერესო ფორმა დადასტურდა გიგი ხორნაულის მიერ ჩაწერილ მასალებში — „ნახევრიდგე“. ეს ალბათ -გან თანდებულიანი მოქმედებითი ბრუნვის ფორმა და „ნახევრიდგან“-ს შეესაბამება. არც -გან და არც -დან თანდებულიანი მოქმედებითი ფშაურისათვის ნიშანდობლივი არ უნდა იყოს, მის ფუნქციას მოქმედებით-აბლატივი ასრულებს: **გაღმით, გამოღმით, ჴენაით...** ვაჟასთან დადასტურებული -გან თანდებულიანი მოქმედებითი ალბათ, სალიტერატურო ქართულისაა: უკუნეთია, არ ისმის კრინტი არსითგან არრისა (ვაჟა, II, 26).

§ 116. და ბოლოს, ყველაზე საინტერესოა ე. წ. „სადაობით-გამოსვლითების“ საკითხი. საქმე ეხება იმ შემთხვევებს, როდესაც -ზე და -ში თანდებულიანი ფორმები კვლავ დაირთავს -ით ელემენტს, ანუ, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, გვაქვს თანდებულები -ზეით, -შიით: აქაც ცუდი დღე დამადგა -ფშავშიით გამოქცეულსა (მივლ. ლაფ.); ადგენ ყანაშიითა ე სისხლიან კაცები (მივლ. ლიშო): რაზედაც მე გამოვიღი, ყანაშიით რო წამოალ. ჩამსხდომიან (მივლ. ლიშო),... რომ გამოეხსენებოდა როგორმე ი ზაფანგშიით (ვაჟა, IV, 211): საყდარშიით რო მობრუნდნენ (ვაჟა, IV, 215); მოვიდა შინა ცხვარშიით (ვაჟა, IV, 215); ცუდად დაუჭდა იმათ იმ არყიანშიით გამოსვლა (ვაჟა, IV, 228): ... იმით ამოიტანდით აი წყაროზეით (მივლ. ქელი); ბევრი მოიდა არაგვის მკარეზეითაცა (მივლ. ლაფ.).

მნიშვნელობა ამ ფორმებისა ნათელია და საკმაოდ ზუსტად განსაზღვრა ჯერ კიდევ აკაკი შანიძემ: მათი „ფუნქციაა ზედმიწევნით აღნიშნონ გამოსვლის პუნქტის ვითარება: ბანზეით — ბანზე იყოს და იქიდან. ცხვარშიით — ცხვარში იყოს და იქიდან“ (გრამატ. საფუძ. გვ. 77). მსჯელობას საჭიროებს თვით -ზეით,

³⁰ ივ. ქავთარაძე, მსხვერპი კილო ყაზბეგის ენაში, თსუ შრომები, ტ. 35, 1949, გვ. 97.

-შიით ელემენტების რაობის საკითხი³¹. მათს შინაარსობრივ მზარეზე დაკვირვება ადვილად გვარწმუნებს, რომ ცხენწიით, ცხვარშიით და სხვა ამგვარ ფორმებში -წიით და -შიით ფუნქციურად ისეთივე თანდებულებია, როგორიც -გან, -დან, -თან და სხვა. რომ არ გვექონდეს ცალკე -ზე და -ში თანდებულები და ცხენწი—ცხენწიით და ცხვარში — ცხვარშიით წყვილთა შინაარსობლივი დაპირისპირება, აღნიშნულ ელემენტთა რაობის საკითხი, ალბათ, არც დადგებოდა, მაგრამ რაკი ამ სიტყვაფორმებს შორის, ერთის მხრივ, და -ზე — -წიით, -ში — -შიით თანდებულებს შორის, მეორეს მხრივ, ფორმობრივ-შინაარსობლივი ურთიერთმიმართება ერთგვარ „პირდაპირპროპორციულ“ დამოკიდებულებაშია, აუცილებლობით გვეჩვენებს მსგელობა -ით ელემენტის რაობის თაობაზე -ზეით და -შიით თანდებულებში. ქართული საენათმეცნიერო ტრადიცია მას აღიარებს მოქმედებითი ბრუნვის სუფიქსად (იხ. აქვე წინარე შენიშვნა სქოლიოში). ამ -ით-ის ფუნქციას შეეგებუა ან ნაშრომის იმ ადგილას, სადაც ბრუნვებზე გვექონდა ააუბარი და აღნიშნეთ ბრუნვის ნიშნად მისი ინტერპრეტაციის უზერხულობა ზოგ შემთხვევებში და შესაძლებლად ჩავთვალეთ მისი თანდებულად მიჩნევა. ზმნისწინებთან და აქ ნახსენებ ე. წ. „სადაობით-გამოსვლითებთან“. ვფიქრობთ, არსებობს ამ მოსაზრების უფრო დაზეჯითებით მტკიცების საფუძველი.

მამასადამე, საკითხი ასე დგას: ფშაურში გაღმაით, მალლაით, ჴემოთაით და სხვა ფორმებში -ით ელემენტი აფიქსია თუ თანდე

³¹ აღნიშნულ ელემენტებიანი ფორმები მხოლოდ მთის დიალექტებისათვის - თუშურის, ფშაურის და ხევსურულისთვისაა დამახასიათებელი. სპეციალურ ლიტერატურაში მათ სხვადასხვა კვალიფიკაცია ეძლევა. ა. შანიძის აზრით, ესენი ლოკალური „სადაობით-გამოსვლითი“ ბრუნვების ფორმებია და შესაბამისად, -წიით და -შიით ელემენტები ბრუნვის ნიშნებს წარმოადგენს. ტერმინიც „სადაობით-გამოსვლითი“ მასვე ეკუთვნის (გრამატ. საფ. გვ. 77); ა. ლ. ქინჭარაული მათ ერთგან ორთანდებულთან ლოკატივებს უწოდებს (მისი ხევსურული, გვ. 50) სხვაგან—გამოსვლითებს და აღნიშნავს, რომ სა—ე აფიქსებით ნაწარმოებ სახელებს ჟერ ჴე, -ში თანდებულები უნდა დართოდა, მერეღა შეიძლება მათგან გამოსვლითების წარმოებაო: საცხვრე—საცხვრეშიით, საკაცე—საკაცეწიით... (იქვე, გვ. 56). თ. უთურგაიძე ამ ფორმებს ლოკალურ ბრუნვებად მიიჩნევს და ამოსავალში ნახურის კალკად თელის, რაც, ალბათ, სინამდვილეს შეეფერება (თ. უთურგაიძე, ქართული ენის მთის კილოთა ზოგი თავისებურება, 1966, გვ. 76); ა. რ. ჩიქობავას აზრით ამ ფორმებში თანდებულთან ბრუნვებს კვლავ ბრუნვის ნიშნები ერთვის (ა. რ. ჩიქობავა, თანდებულთან ბრუნვათა საკითხისათვის ქართულში, ქართულურ ენათა სტრუქტურის საკითხები, II, 1961, გვ. 198).

ბული, დამხმარე სიტყვა ფუნქციონალური ლექსიკის სფეროდან. ამის გარკვევა არც მთლად ადვილი საქმეა. მაგრამ ენათმეცნიერებაში არსებობს ერთი თვალსაზრისი, რომელიც შეიძლება მოგვეშეგლოს მსგავს შემთხვევებში: ამ თვალსაზრისის მიხედვით, თუ რას წარმოადგენს ესა თუ ის სამსჯელობო ელემენტი — აფიქსს თუ ე. წ. დამხმარე სიტყვას, საჭიროა გავარკვიოთ, რას ავორნებს იგი. გარკვეულ სიტყვას თუ გრამატიკულად მის ტოლფას გამონათქვამს, რომელიც ამ სიტყვის გაშლით მიიღება³². ჩვენ შემთხვევაში გამონათქვამებში: წყალს გაღმართ (წყლის გაღმართიდან), იმას ზემოთათ (იმის ზემოდან), კარებს უკანითათ (კარების უკანოდან) და სხვა, საკითხი ასე დაისმის: -ით ფორმანტი მხოლოდ გაღმართ, ზემოთათ, უკანითათ სიტყვებს განეკუთვნება, თუ [თელ ფრანებს? ვფიქრობთ, ცხადია, რომ ეს ელემენტი მთელ გამონათქვამებს აფორმებს და აძლევს სათანადო მნიშვნელობას. მაშასადამე, აღნიშნულ შემთხვევებში -ით ელემენტი თანდებულა. ფუნქციონალური ლექსიკის სფეროს განეკუთვნება და არა აღიქსი, ბრუნვის ნიშანი. შეიძლება გავიმეოროთ ზემოთ ყრულ უკვე თქმული დებულება, რომ ფშაურში -ით სეგმენტი ომონიმურია: ის ხან ბრუნვის ნიშანია, ხან — თანდებული. ბრუნვის ნიშანია, საზოგადო სახელებთან, ხოლო თანდებულია ზმწისართებთან და გეოგრაფიულ სახელებთან. მეტიც შეიძლება ითქვას, საზოგადო სახელებთანაც, ხან ერთი და იმავე სახელთანაც კი იგი ხან ბრუნვის ნიშანია, ხან თანდებული. მაგ.: „ჩემ სისხლსა ვსედავ ჩემ წინა ჩემ ცხვირით წამოთხეულსა“ (მიგლ. ქელი): აქ -ით თანდებულია, ფორმა აბლატივის შინაარსისაა. მაგრამ იგივე ცხვირით შეიძლება შეგვხვდეს (და უფრო ხშირად გვხვდება კიდევაც) ინსტრუმენტალისის მნიშვნელობით: მელა ცხვირით წაქვრა საქათმეშია. აქ -ით ბრუნვის ნიშანია. ისე კი ზოგად სახელთაგან აბლატივის საწარმოებლად ფშაური უპირატესად -ზეით, -შიით, თანდებულებს იყენებს.

თუ -ით ელემენტის თანდებულობას გავიზიარებთ, ბუნებრივია საკითხის დასმა, თუ რომელი ბრუნვის ფორმებს დაერთვის იგი. ვფიქრობთ, ამ თანდებულის საყრდენი ფორმა სახელობითი ბრუნვა იქნება, ოღონდ რაკი იგი ხმოვნით იწყება, თანხმოვანფუნქციანებში კუმშვად ფუძეს შეკუმშავს და სახ. ბრუნვის ნიშანს ჩაავ-

³² Б. А. Успенский, Структурная типология языков, М., 1959, стр. 98, 99; Общее языкознание, внутренняя структура языка, М., стр. 221—223.

დებს: გომეწარი — გომეწართ, ხოლო ხმოვანთუძიანებში ფუძეს შეკვეცავს: როშკა — როშკით, კოშარა — კოშართ.

ახლა უკვე ნათელია -ზეით და -შიით თანდებულების რაობაც: ისინი რთული თანდებულებია შედგენილი შესაბამისად -ზე, -ით და -ში, -ით თანდებულების შეერთებით და მათი მნიშვნელობები შემადგენელი თანდებულების მნიშვნელობათა ჯამის ტოლია. ქართველურა სამყაროდან რთული თანდებულები ცნობილია სვანურში³³. საანალოგიოდ შეიძლება მოვიხმაროთ რთული ზმნისწინები ქართულში: შემო-ვიდა, გამო-ვიდა, ჩამო-ვიდა და სხვა, სადაც მნიშვნელობები, აგრეთვე, შემადგენელი ზმნისწინების მნიშვნელობათა ჯამს უდრის.

11. კავშირი

§ 117. კავშირებიდან ფშაურში თავისებურია მაჭგუჟებელი და კავშირის გამოყენება: იგი ა ხმოვანს კარგავს და ენკლიტიკურად მიერთვის წინამავალ სიტყვას: არი ჰო-დ' ის კელით იქსოება (მივლ. გომეწ.); თვალი აქე ამოჭრილი-დ' იქით გადმაისხმების (მივლ. გომეწ.); ამიიღებენ წყალსა-დ' აიტანდენ (მივლ. გომეწ.); გაანებებენ თავსა-დ' არის თავგანებებული (მივლ. გომეწ.); არც არა მგელს შეეჭამა-დ' არც არა ტურას (მივლ. გომეწ.); ზოვია წამოსულიო-დ' მამ სადლა წავიდავ (მივლ. თხ.); თეჟა იცოდენ წინავაო-დ' რავი, მე თეჟიან კაც არც კი მინახავ (მივლ. გომეწ.); ჩემ კაცი შირაქში იყვის, ძროხაში კოლექტივისაი-დ'... (მივლ. თხ.); ჩემი თავი-დ' ჩემ ბეჩაობალა მაქვის ჭირად გაკდილო (ხორნ. აფშო); ერთხელ უთხრა, ორჯელა და ვერა-დ' ვერ მიიშორნა (ხორნ. არახ.); შენამც გიტირებს დედაშენი ადრე-დ' მალე (ვაჟა, IV, 212); ჩქარა მიხვენ აბჯარნი არა-დ' გალოკებ ქვიშათა (ვაჟა, II, 24) არა-დ' გეხუროს ჩიქილა თავზე დიაცის ცუდისა (ვაჟა II, 25); მე-დ' იმან უნდა ვიომოთ ნაქებ რო არი მკლავითა (ვაჟა, II, 87); მე-დ' ვარდანმ უნდა ვიომოთ, უნდა იჭეხნოს ცამაო (მივლ. მუქო); გუგული-დ' მერცხალიც მოვლენ, ფრინველნი შორის გზისანი (ვაჟა, II, 58).

³³ ვ. თ ო ფ უ რ ი ა. ბრუნების სისტემისათვის ლაკურ ენაში, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, X-B, 1940, გვ. 328.

§ 118. ფუნქციონალური ლექსიკის სფეროდან³⁴ ფშაურში ყველაზე საინტერესო ვითარებას ნაწილაკები გვიჩვენებს. აქ დადასტურებული ნაწილაკები შეიძლება რამდენიმე ჯგუფად დაიყოს: ზოგი მასალობრივად და ფუნქციურადაც მხოლოდ ფშაურის კუთვნილებაა (-ოთ, კიოთ, სამ); ზოგი მასალობრივ საერთოა სალიტერატურო ქართულსა და სხვა დიალექტებთან, მაგრამ განსხვავებული მნიშვნელობა აქვს (-ოდ, -და, რაკი, კი...); ზოგი მასალობრივად და მნიშვნელობითაც იგივეა, რაც სალიტერატურო ქართულში, ოღონდ ფონეტიკურადაა სახეცვლილი და ამითაა საინტერესო (-ვ — სხვათასიტყვის -ო-ს ბადალი, -ვ — -ვე ნაწილაკის შესაბამისი, -მ — -მე ნაწილაკის ბადალი და სხვა). ზოგი ნაწილაკი ყოველნაირად იდენტურია სალიტერატურო ქართულის ნაწილაკებისა და ამიტომ მათ აქ არ განვიხილავთ.

ფუნქციონალური ლექსიკა და მათ შორის ნაწილაკებიც, ენის ნორმოლოგიური და ლექსიკური ანალიზის ზღვარზე დგას. მათ არც ლექსიკური მნიშვნელობა აქვს, არაფერს არ აღნიშნავენ³⁵, არც გრამატიკული ფუნქცია გააჩნია. ისინი მთელ გამონათქვამს ანიჭებენ გარკვეულ ელფერს, გამოხატავენ მოსაუბრის დამოკიდებულებას ნათქვამთან³⁶. ამიტომ ხშირად მათი მნიშვნელობის ნომინალური განსაზღვრა კირს. ჩვენ შევეცდებით, ეს ზიძნელე საილუსტრაციო მასალის განმარტების გზით დავძლიოთ.

§ 119. -ოთ: ეს ნაწილაკი მნიშვნელობით საილიტერატურო ქართულის ალბათ ნაწილაკის ბადალია. იგი ორგანულად მიერთვის წინადადების რომელიმე წევრს და მთელ ფრაზას ანიჭებს ალბათობის გაგებას. იგი დასტურის კი და უარყოფის არ, ვერ ნაწილაკებან ერთად ქმნის რთულ კიოთ, აროთ, ვეროთ ნაწილაკებს. მნიშვნელობა მათი ასეთია: ალბათ კი, ალბათ არ, ალბათ ვერ³⁷. ეს

³⁴ ფუნქციონალური ლექსიკის შესახებ, იხ. ბ. ფოჩხუა, ქართული ენის ლექსიკოლოგია, გვ. 126—130.

³⁵ ბ. ფოჩხუა, იქვე, გვ. 127.

³⁶ ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, გვ. 67; Общее языкознание, Москва, 1972, გვ. 223; О. С. Ахманова, словарь лингвистических терминов, гв. 512.

³⁷ შღრ. ვაჟა-ფშაველას მცირე ლექსიკონი, შეადგინა ალექსი კინჭარაულმა, 1969, გვ. 18.

უკანასკნელები, როგორც წესი, შემასმენელს ახლავს პრეპოზიციულად და სათანადო მნიშვნელობას ანიჭებს მთელ წინადადებას. მაგალითად:

ა) -ოთ — ძველ ნაციხვარ იყო, კიდენაცოთ რა დაიშალ (მივლ. გომეწ.): — ძველ ნაციხარი იყო და, ალბათ, დაიშალა კიდევ: იქა-ოთ იყო კოჯაი, საცა თვირთვილა კარ იყო (შეთ.) — ალბათ იქ იყო კოჯა, სადაც თვირთვილა ხარი იყო: კიდეთო გნახავთ, სწორებო, აროთ სად დავიკარგები (ვაჟა, I, 57) — ალბათ კიდევ გნახავთ ჩემო ტოლებო, ალბათ არსად დავიკარგები; პურიოთ გშიან. დამწვარო, ნამგზავრ-ნატანჯი ხარაო (ვაჟა, II, 76) — ალბათ პური გეშიება (მოშიებული იქნები), დამწვარო, ნამგზავრო ხარ, დაღლილი: აი, ცამეტ-თოთხმეტ წლისიოთ რა ვიყავ მაშინა (მივლ. ქელი) — ასე, ცამეტ-თოთხმეტი წლისა ვიქნებოდი მაშინ.

ბ) კიოთ — თუ რა შეეკამა სხვისი გადაგდებული, კიოთ მოკვდებოდა (მივლ. გომეწ.) — სხვისი გადაგდებული რომ რაინე შეეკამა (იგულისხმება მოწამლული რამ საქმელი), ალბათ ნამდვილად მოკვდებოდა: ის ქალებ დაიქცნენ, კიოთა მლანძღავენ (შეთ.) — ის ქალები გაიქცნენ. ალბათ კიდევ მაგინებენ; მუხებ ექრა ი ხატთანა, კიოთ რაად უნდოდა, მასალადა (მივლ. თხ.) — მუხები ექრია ხატის ახლოს, ალბათ რისთვისმე სჭირდებოდა, სავასალედ: დაწვირე წვრილი ობლები, კიოთ რამ დამიშინაო (რაზიკ. 132) — წვრილი ობლები დავტოვე, ალბათ შენიშინა კიდევ რაიმემ³⁸. მძლივ ველი თქვენთან შეყრასა, კიოთ აღარა მერგება (რაზიკ. 223) — მოუთმენლად მოველი თქვენთან შეხვედრას, ალბათ აღარაუფრი მერგება; ახლა მკითხავთან მამზადებს — კიოთ აღარა მერგება?! (რაზიკ. 249) — ახლა მკითხავთან უნდა წამიყვანოს — ნუთუ აღარაუფრი მერგება?

გ) აროთ — ქალს აროთ დამარიდებენ, ლაშარის ჯვარის ყმააო (ხორნ. უძ.) — არა მგონია ქალზე უარი მითხრან მე, ლაშარის ჯვარის ყმას: ლანაზის ვაყის მხარბეკსა, აროთ დაპშლიან მიწანი (რაზიკ. 46) — არა მგონია მიწამ დაშალო ლამაზი ვაჟაკის მხარბეკი; ვაპმე, რარიგა მიყვარხარ, შენ კი აროთა გგონაო (რაზიკ. 167) — ვაპმე, როგორ მიყვარხარ და შენ კი, ალბათ, არა გგონია; წინ გამაუძვეს გოგოთურ, ჯერ აროთ არ ბერიო (ვაჟა, II, 23) — წინ გოგოთური გამოუძღვეს, ჯერ ალბათ არ არის მოხუცებული: აროთ გას-

³⁸ ამ მაგალითს რ ა ზ ი კ ა შ ვ ი ლ თ ა ნ ა ც ახლავს განმარტება სჭოლოში: შამაშინებლა რამეო.

წიარს ქვეყანას. არ გაასწორებს მტვერთანა (ვაჟა, II, 40) = ალბათ არ გასწორებს ქვეყანას, მტვრად არ აქცევს მას.

ვ) ვეროთ — ვეროთ ვიუბნებთ, ცუდად რასმე ვარ (მივლ. ცაბ.) — ალბათ ვერ შევძლებთ საუბარს, ცუდადა ვარ რალაც: ბარად კი ვეროთ ჩამოვლენ, მთას უდგა, უკრან ცხვარიო (რაზიკ. 67) = ბარად ჩამოსვლა ალბათ გაუჭირდებათ, ცხვარში მთაში უდგათ და ის მოსტაცონ: ჯერ ვეროთ გადაავლიეს, კიდევ მაასწრობ მთები-სა (ვაჟა, II, 10) = ჯერ ალბათ ვერ გადაიყვანდენ, მთებში კიდევ მოასწრებ: რაკი ჩანგალი ჰქონდა ხაფანგს, ვეღაროთ სად წაგვივიდი (ვაჟა, IV, 211) = რაკი ჩანგალი ჰქონდა ხაფანგს, ალბათ ვეღარსად წაგვივა.

§ 120. სამ: ეს ნაწილაკი ეტიმოლოგიურად და ხშირად მნიშვნელობითაც სადმე ზმნისართს უკავშირდება. ოღონდ მაინც ნაწილაკია. ზმნისართული მნიშვნელობისაგან დაცლილია. ზუსტი შინაარსის გადმოცემა ძნელია იმიტომაც, რომ სხვადასხვა შემთხვევაში სხვადასხვა მნიშვნელობით იხმარება³⁹. ისევ და ისევ საილუსტრაციო მასალის განმარტება მოგვცემს ყველაზე ნათელ წარმოდგენას მის შინაარსზე: თუ სამ ხმა გატყდა, იძახონ, იქ წავალთ ცხენოთ, საგძლითა (რაზიკ. 21) = თუ სადმე ომის ხმა დავარდა, დაგვიძახონ და ჩვენც უმალ იქ გავჩნდებით; შორს სამ სალექოს ყელშია ცის ტატნად კაცი ჩნდებოდა (ვაჟა, II, 14) = სადღაც შორს, ხალექოს ყელში ცის ტატნობზე დროდადრო კაცის სილუეტი ჩნდებოდა: აქათ სამ მარცხნივ შავი, შავი კაცები იდგენ (ვაჟა, III, 24) — სადღაც აქეთ, მარცხნივ შავი კაცები იდგნენ; ემანდ ჰალ-ჰალისპირებში სამ გაელეტებოდნენ (ვაჟა, IV, 207) = მან ჰალისპირებში საღწე ვავიდოდნენ (გაეხეტებოდნენ); შორს სამ აყმუვლდა ნადირი ხშირად ჩონჩხების ძირშია (ვაჟა, I, 53) = სადღაც შორს. ხშირი ჩონჩხების ძირში ნადირი აყმუვლდა; ხეზე სამ გასდებდა ი ჩანგალსა (ვაჟა, IV, 211) = ხეზე სადმე გამოსდებდა ჩანგალს; მოხუცმა სამ იკოთხა, ვინ მოიყვანეთო (ვაჟა, III, 25) = თითქოს მოხუცმა იკითხა, ვინ მოიყვანეთო; მოალის სამა, კაცის ხმაზე ჰყეფენ (ვაჟა, IV, 210) = მგონია მოდის (ნამდვილად უნდა მოდიოდეს), კაცის ხმაზე ჰყეფენ (კაცს უყეფენ); ეგ მართალია, ძოღან სამ აქ ცოფიანი დარბოჯა (ვაჟა, II, 121) = ეგ მართალია როდისღაც ამასწინათ აქ ცოფიანი დარბოდა; ნუ გავიწყდებათ, ბახტრიონს ციხე სამ უდგათ მაგარი (ვაჟა, II, 80) = ნუ გავიწყდებათ, რომ ბახტრიონს დასტურ მაგა-

³⁹ იხ. ვაჟა-ფშაველას მცირე ლექსიკონი, გვ. 235.

რი ციხე უდგათ; ბევრ სამ ავს საქმე სჩადიან (ვაჟა, II, 80) = ბევრ რაიმეს ცუდს სჩადიან; ყინჩად სამ იცის ტრიალი ომში ჭარად და ტარად (ვაჟა, II, 13) = კარგად კი ცის ტრიალი ომში ჭარასავით და ტარივით: მე სამ გამამყევე, გაჩვენო, მტერი საულეტად ვეება (ვაჟა, II, 25) = აი, მე წამომყევე და გაჩვენებ დიდ-ძალ მტერს საულეტად; ფშაველნი აიშლებიან, თუ მტერს სამ დაინედებენ (ვაჟა, II, 75) = ფშაველები აღსდგებიან, თუ მტერს სადმე დაიგულებენ.

§ 121. კი — დასტურის ნაწილაკია აქაც, ოღონდ სალიტერატურო ქართულთან შედარებით მნიშვნელობის ნიუანსი აქვს განსხვავებული იგი ცალკე ხო-სა და დიახ-ის მნიშვნელობით არ იხმარება. ახლავს აუცილებლად ზმნას და დადებით მოქმედებას ერთგვარად აძლიერებს, დამაჩერებლობას ქმატებს: გამოალ კარჩია, ე გრილშია, კი მცივა (მივლ. გომეწ.); როცა დი-დიდებ მაიზდებოდნენ, მაშინ კი მიშველდენ (მივლ. გომეწ.); ბიჭო, არ მოგშივლაო პურიო და კი მამშივდავ (მივლ. თხ.); შარშანის რაებამ თხარეს, კი ვინამ რაიმ მოკელა, ველარ ვიცი (მივლ. გომეწ.) = შარშან ვილაცამ თხარა და ნამდვილად ვინამ რაიმე იპოვა თუ არა, აღარ ვიცი; მოგონებას ვინამ მოგველის, კი ვისიმ სულ გვეფუჭებხო (ხორნ. ვანჯ.) = ვილაცა ჩვენგან მოგონებას ელის, ნამდვილად ვილაცის სული გვიფუჭებსო; რავი, კი დეეწეოდა იმასაც თუ კი ვერა, იმისა ვინ იცის (ხორნ. აფშო) = ნამდვილად დაეწეოდა იმასაც თუ ვერა. იმის გამგები ვინ არის; იმთვენა ძალა მამეცით, მაგათ კი მუერიოო (ხორნ. უძ.) = იმდენი ძალა მომეცით, რომ მაგათ ნამდვილად მოვერიოო; სახლ რო კი დაგიწმენდავის, კარი-კურიც რად არაო? (რაზიკ. 218); კი საით მამაკვლეინა ი ლეკი — შენი ქმარიო (რაზიკ. 45); რა ლამაზ ცისკარ ამოდის, კი ვისამ მიეგუება (რაზიკ. 177); ალალ იყოს, ძმავო, სხვის უშველად კი დაეხარწიოს ხაფანგშიით (ვაჟა, IV, 211); განა კი ვინმე შაშვამდა მაგ ბეჩავსა (ვაჟა, III, 51).

კი — ა — ზოგჯერ კი ნაწილაკი კითხვით წინადადებაში გვაქვს ა ნაწილაკთან ერთად და აქაც კითხვას აძლიერებს: ტარიელო, აბა შეილო, კი რაიმ დაისწავლეა, კი რაიმ გაიგონეა შენა, რა ვიუბენით? (მივლ. ქელი) — აბა, შეილო, ტარიელ, რაიმე გაიგონე, რაიმე დაისწავლე შენ, რაც ჩვენ ვილაპარაკეთ; რავი, კი შვამდენა თუ რად უნდოდათ? (ხორნ. უძ.); კი გადამიღება, შეილო, სურათსა? (ხორნ. არახ.); კი მორეკაა ცხვრები ე ივანემა (შეთ.); კი დაიქცაა ჩარგა ჩარგალი, გადმოვარდენა ზღვანია, ნანდობ კი გამით. ოვდაა, კი და-

მეცნენა ცანია?! (რაზიკ 256); მოხვედა მამასახლისო, კი მამერგუა ბეგარა? (რაზიკ. 236); ნეტარა კი წაგიყვანენა ეგ უნამუსონ ციცანი (რაზიკ. 146). რუსულადაც კი წაიკითხავა (ვაჟა, 23).

კი თუ|თუ კი — კი-ს ახლავს თუ ნაწილაკი და ორივე ერთად დაახლოებით იმ შინაარსს გადმოსცემს, რასაც სალიტერატურო ქართულის ალბათ და თურმე ნაწილაკები: კი თუ დაავიწყდა ი ბაღლ- (მივლ. თხ.)=ალბათ დაავიწყდა ის ბავშვი; რავი, კი, თუ მოვსწონდი (მივლ. გომეწ.); რაშიითაც ამოიღეთ, კი თუ გვანახნეს (მივლ. ლაფ.)=ალბათ დაგვინახნეს, საიდანაც ამოვიღეთ; კი თუ შუამდენ, აბა სხვას რას უქმოდენ (ხორნ. უძ.)=ალბათ ჭამდენ, სხვასა რას უზამდნენ. კი თუ შეეძლო თავის კელით სმა-ჭამა (ხორნ. უძ.) — ალბათ შეეძლო თავისი ხელით ჭამა-სმა; ქალაღდს რაიმ მისველებდა, ის მეგონა თუ კი სწვიმსა (რაზიკ, 163)=ქალაღდს მისველებდა რაღაცა და მეგონა, ალბათ წვიმსო; მემრე კი თუ დავწვევ (ხორნ. უძ.)=მერე კი დავწოლილვარ; ის ტყვედ ჩაუგდავ იმ დევებსა და კი თუ უთხრიახ: „შე ტყის ბუკუკავ, შენაო“ (ხორნ. უძ.)=ის ტყვედ ჩაუგდიათ იმ დევებს და თურმე ეტყოდენ, „შე ტყის მუმლო, შენაო“; „ქიზიყში ქალის ლოყები კი თუ იჭმევა, ე?“ (ვაჟა, IV, 213)=ქიზიყში თურმე ქალის ლოყები იჭმება, მართალია?

§ 122. თუ — რთულ კი თუ|თუ კი ნაწილაკის მსგავსი მნიშვნელობა აქვს მარტივ თუ ნაწილაკსაც. სხვაობა ისაა, რომ პირველ შემთხვევაში მეტი კატეგორიულობაა, მეორისაში — ნაკლები. ამასთან ამ უკანასკნელის მნიშვნელობა უფრო ფართოა. ის გვხვდება კითხვითობის გამოსახატავადაც: ველაროდის თუ მაიგონა (მივლ. თხ.)=ალბათ დიდხანს ველარ მოიგონა (არ გაახსენდა); ნათესავი თუ იყო, დამიძახებდა (მივლ. ლაფ.)=ნათესავი რომ ყოფილიყო, დამიძახებდა; ხვთიდან თუ ჰქონდა ძალა იმასა, თორო რას მერეოდა იმათა (ხორნ. უძ.)=ალბათ ღვთისაგან ჰქონდა ძალა იმას (კოპალას) მოცემული, თორემ როგორც მოერეოდა იმათ (დევებს): მუქარა თუ დასთხოვიან (ხორნ. უძ.)=თურმე ემუქრებოდნენ; თან პირჯვარს ვისახაო, რო ეშმაკ თუ არისო (მივლ. თხ.)=თან პირჯვარს ვისახავდი, ალბათ ეშმაკიაო: დედას ნინოს თუ ეძახდა-ღ' ბებოს — დედას (მივლ. თხ.)= ალბათ დედას ნინოს ეძახდა და ბებოს — დედას; არ თუ გიცდია, ქერონავ, ობლობა, გულის ტკივილი (ვაჟა, II, 92)=ალბათ არ გამოგიცდია, ქერინავ, ობლობა და გულისტკივილი; არ თუ გაგიგავ, კახეთი თათრების ნაოხარია? (ვაჟა, II, 87)=ნუთუ არ გაგიგავ, რომ კახეთი თათრებისგანაა აოხრებული? მაშ

არ თუ ჰკაზმავს ლურჯასა, ტანთ არ ისხამსა აბჯარსა? (ვაჟა, II, 91); იმით უნამუსო თუ იქნება (ვაჟა, IV, 212) = განა იმის გამო უნამუსო იქნება?

§ 123. რა — ჩვეულებრივი კითხვითი ნაცვალსახელია და ამ ფუნქციით არაფრით განსხვავდება სალიტერატურო ქართულისაგან, მაგრამ ფშაურში ის გვხვდება ნაწილაკადაც და აქ მას სპეციფიური მნიშვნელობა აქვს. გვხვდება იგი მარტივი სახითაც — რა, გაორმაგებულად რა-რა, და კითხვით ნაცვალსახელებთანაც. მნიშვნელობის ნიუანსები ყველგან განსხვავებულია.

ა) მარტივი რა ნაწილაკი: მა შენი უნძრახობითა რა თხილ დამრჩება ძველად (რაზიკ. 177) = მაგ შენი უბრად ყოფნით განა თხილი დამიძველდება; რა იმას იტყვის სწორები; „როცა გაჭირდა, გაიქცაო“; რა მწყემს-მუშები არა გყავ, რა გეჩქარება ჩემნაო (რაზიკ. 179) = განა შენც მწყემსები და მუშები არა გყავს, შენ რაღა გეჩქარება.

ბ) კითხვითი ნაცვალსახელი + რა: რა ნაწილაკი კითხვით ნაცვალსახელთან ერთგვარად აძლიერებს კითხვას: ვისი რა შვილია, ნეტარ, ესე, კაცო (მივლ. ქელი); ბიძაიო სად რა არიო (მივლ. თხ.) = ნეტავი ბიძა სად უნდა იყოსო; ვინ რა აიღებს ნეტარა ჩვენ ნაწილ მთა და ბარსაო (შეთ.); სხვა კი რაღა რა მამადავო, ერთი ჩოქალა მცვავისა (მივლ. ლაფ.) = სხვა რაღა მამადა, ერთი ჩოხა მაცვია, ეგაა ჩემი ქონება; რას რა მიქამს ყარაული, ხეს ახლოსაც არ გაული (რაზიკ. 225) — რა უნდა მიყოს ყარაულმა ხეს თუ არ გავეკარები; ფეკზე როდის რა ჩავიცომ შენგან მოქსოვილ წინდასა (რაზიკ. 163) = ნეტავი როდის შელირდება შენი მოქსოვილი წინდის ფეხზე ჩაცმა; როგორ რა გაიყიდება ნეტარ მაგ მგლის ტყავი? (ვაჟა, IV, 210) = ნეტავი რა ფასად გაიყიდება მაგ მგლის ტყავი; რამ რა დაზარდნა ესეთნი, თითო გერგეტის სწორია (ვაჟა, II, 41); მთაო შე შეუპოვარო რამ რა გაგხადა მტერადა (ვაჟა, II, 53); რად-რა დავკარავ იმედსა, რად-რა ჩავიცვამ შავებსა (ვაჟა, I, 44).

გ) კითხვითი ნაცვალსახელი რა-რა: სად რა-რა არი, ტოკაო, ი დედაშენი, საწყალი (მივლ. ლაფ.) = ნეტავი სად არის, ტოკავ, ის საბრალო დედაშენი; ვის რა-რა ჩაუგორდები, ვის რა-რა შაპყვარდებია (რაზიკ. 140) = ნეტავი ვის ჩაუგორდები (ლოგინში), ნეტავი ვის შეიყვარებ; ვაჰმე, ვის რა-რა მიგცემენ, ტანს დააშვენებ ვისასა

(რაზიკ. 162) = ვაჰმე. ნეტავი ვის მისცემენ შენ თავს, ვის ტანს და-
ამშვენებ: დაპლონებულხარ. დედაო, რას რა-რა ჰფიქრობ შეილზე-
და (ვაჟა, I, 53) = დალონებულხარ, დედავ, ნეტავი რას ფიქ-
რობ შეილზე; ვინ რა-რა ფიქრობს, გიგლიას გაალებინოს ალმანი
(ვაჟა, II, 10) = ნეტავი ვინ განიზრახა, რომ გიგლიას ალმანი გადა-
ახდევინოს.

§ 124. რაკი — ეს ნაწილაკი მნიშვნელობით სალიტერატურო
ქართულის განა ნაწილაკის ტოლია. შედგენილობით, როგორც
ვხედავთ, წარმოადგენს აქ განხილული რა და კი ნაწილაკების
ჯამს, ნიშნელობაც თითქოს მათ ჯამს უნდა ესადაგებოდეს: ემ ჩემ
შვილებმ რაკი არ იციან (მივლ. თხ.) = ამ ჩემმა შვილებმა განა არ
იციან (დასტურ იციან); ჰამოს, რაკი გაუთავდება (მივლ. პანკ.) =
ჰამოს, განა გაუთავდება: თუ გინდა კიდეც დამახრჩვას, რაკი არ გა-
მამთხრანო (ხორნ. უძ.) = თუნდა დამახრჩოს კიდეცაც (ზვალა). გა-
ნა არ ამომთხრან: ჩაიცივენ ჯღანის ძველანი, რაკი არ შაგიშვენდე-
ბა (რაზიკ. 249) = ძველი ჯღანები ჩაიცივი, განა არ მოგიხდება; რა-
კი არ გვიჭირს მხედარი ამ სულისმხუთავ დროშია (ვაჟა, II, 80);
რაკი არ უნდა ბეჩავსა. რაკი არ ერჩის გულია (ვაჟა, II, 81); რაკი
დაუშლის მგზავრობას მოსახვევები გზებისა (ვაჟა, II, 85).

§ 125. ა — ძალიან არის გაერცვლებული [ნაწილაკი ა. იგი
ზნა-შემასმენელს დაერთვის და მთელ წინადადებას აძლევს კითხ-
ვით მნიშვნელობას: ლექსან არან იცნიაა, ქეთო ბებო? (შეთ.);
წინანდლებ არა გავსონსაა, ბაბალე? (შეთ.); წიგნი ვერ ისწავ-
ლეა, შვილო. რუსულსაც კი წაიკითხავა (ვაჟა, III, 23); სირცხ-
ვილ არ არია, ამ დროთას კაცს ზედ მაჭდებითო? (ვაჟა, III, 23);
სომეხ რაიმ არ დავაა, ბიჭო (ვაჟა, III, 11); არა სცხვენიანა ხახასა.
ი ცივოფლას? (ვაჟა, III, 10); ყინჩად ვისმე არ უთქომა, შე-
ნი კირიმე? (ვაჟა, III, 10); აღარა თქვაა წამოსვლა ჩემმ ერთ-
გულმ, შენმა დამაო? (რაზიკ. 171); დიდი ხარა თუ პატარა? (რა-
ზიკ. 174); მოხველა, მამასახლისო, კი მამერგუა ბეგარა (რაზიკ.
236); აკი ვითხარა, ზურაბო, ფშავლების ხელი სენია (რაზიკ. 10);
მამ არ იცია, დედავ, სად წავიდა ის რძეძალი? (ვაჟა, VI, 211);
მგელი სუ ცომას არა სჭამსა? (ვაჟა, IV, 210); აი, თუ არ გაებ-
მის და აქ არ გამოჩნდება? (ვაჟა, IV, 210); რო მოკვდეს არ ურ-
ჩევნავა? (ვაჟა, III, 49).

§ 126. ნიდაგ: დასტურის ნაწილაკია. უდრის „რა თქმა უნ-
და“-ს. უოხართ, აბა. ნიდაგ უნდა გვეთქვა (მივლ. თხ.) = ვუთხა-

რით, აბა, რა თქმა უნდა, თქმა იყო საჭირო; ნიადაგ გაბტეხთ მუშტანი მოლექსენი ხართ ყველანი (მივლ. გომეწ.) = რა თქმა უნდა დამჯახნით მუშტაშვილები, ყველანი მოლექსეები ხართ; აღიღებულ თუ იქნებოდა კი ნიადაგ მაიტაცებდა (მივლ. თხ.) — აღიღებული თუ იქნებოდა, რა თქმა უნდა, მოიტაცებდა; ხალხია იმდენი, რომ თითო არ შაახვდება ნიადაგად (მივლ. ლიშო) — იმდენი ხალხია, რომ თითოც არ შეხვდებათ, რა თქმა უნდა.

ამისივე ვარიანტია ნიადამ: შეშა იქ ნიადამ საჭირო იყო (ხორნ. აფშო) = შეშა იქ რა თქმა უნდა საჭირო იყო.

§ 127. -ლა: ეს ნაწილაკი გვხვდება იმ მნიშვნელობითაც, რითაც იგი სალიტერატურო ქართულში იხმარება და ფრაზოლოგიის სპეციფიური შინაარსითაც:

ა) ჩემი ბეჩაობაღა მაქვის ჰირად გაჯილი (ხორნ. აფშო) = ნართო ჩემი საცოდაობა (უნუგეშო ყოფნა) მაქვს საჭირბოროტოდ გადაქცეული; ბატარა ვიყავ, რავი, ან კი საითღა დამაქსონდა (მივლ. გომეწ.) — პატარა ვიყავი და ან კი როგორღა მახსოვს.

ბ) საღამოღა იყო, მხებძანებანი (მივლ. თხ.) — უკვე საღამო იყო, მზის ჩასვლის ხანი; მკვდარიღა ვეგონე, რაღა კმას ამოიღებდი (მივლ. ლაფ.) = ისეთ მდგომარეობაში ვიყავი, მკვდარი ვეგონე, ხმას როგორღა ამოვიღებდი; ჩემზე უარეს მოარულიღა არი ისიც (მივლ. გომეწ.) = უკვე ჩემზე უარესად დაღის ისიც (დაბერებულთა).

§ 128. -ოდ: ერთ ჯორა რაიმა მყვანდა იხინჯაბა და ისიც იქა-ოდ გავყიდე (ხორნ. უძ.) = ერთი ჯორი მყავდა იხინჯაში და ისიც იქვე გავყიდე; ი ბიჭ მართლაც სრუ ისრედ მაიქცა (ხორნ. უძ.) = ის ბიჭი მართლაც ზუსტად ისე მოიქცა.

§ 128. როგორც დასაწყისშივე აღვნიშნეთ, ნაწილაკთა ერთი ნაწილი ფრაზურში მასალობრივადაც და მნიშვნელობითაც იგივეა რაც სალიტერატურო ქართულში, ოღონდ ფონეტიკურადაა სახეცვლილი. მაგალითად, ე. წ. სხვათა სიტყვის ნაწილაკად აქ გვხვდება როგორც -ო ვარიანტი, აგრეთვე -ვ ვარიანტი, ხშირად ერთსა და იმავე წინადადებაშიც, ერთიმეორის გვერდით: ზოგია წამოსულიო-დ' აიარეთო თავისივ ნავალზედაო, რა იქნა ი ბაღლიო (მივლ. თხ.); მენო ზეავს გამოაქანებო და თქვენაო დაიყუროდითო, რარიგ კმას მაიტანს ისივ (მივლ. თხ.); ბიჭო, არ მოგმივდაო პურიო და კი მამშივდავ (მივლ. თხ.); იქით გავიგონეთო, ნინოო, იმას რაიმ იძახდავ (მივლ. თხ.); წილ ვყარეთო, მკვდარიო აბა ოუ ცოც-

ხალივ. სამჯერ ვყარეთო და სამჯერავ ცოცხალ ამოიდავ (მივლ. თხ.); თიჯისფერა წაიყვანესო, უთხარ, შენ ცხენივ (მივლ. ლაფ.); იღვეის სისხლიო მაშინ დაიშლებავ (მივლ. ლაფ.); საყრე გამამართვა, შენ ვერას სცემ მა ჯარებხავ (მივლ. გომეწ.).

-მე ნაწილაკი აქ წარმოდგენილია მშმა ფორმით: იქ ზოგში მძკრალა რაადამ მელაივ (მივლ. თხ.); კახეთ რაადამ იყო წასული (მივლ. თხ.); მოგონებას ვინამ მოგველის, კი ვისიმ სულ გვიფუჟებსო (ხორნ. ვანჯ.); სუ რაზედამა კამათობდიან (ხორნ. უძ.); ...სელას კი არ ვფიქრობ რაადამე (ვაჟა, II, 76).

-ვე ნაწილაკი (-ვ) სახით იხმარება: ბაღლობითავ ისრე ჩაიცივ (მივლ. გომეწ.); უწინავ იარეს, ეძებნეს (მივლ. გომეწ.); დღესაც აბეშოკადავ არი (ხორნ. უძ.); რა ვიცი, იქითავ კი ვმაჟრობს (შეთ.); ის მაშინავ ჩემთან მოიღის (ხორნ. უძ.); ნაცვალ იყო, წინავ რო ნაცვლებ იცოდინ (ხორნ. უძ.); შენა და შენი წაწალი ორნივამც მამხდით წერასა (რაზიკ. 177); ეგ არაყანი ძოღანავ ამოიტანე შინათა (ვაჟა, IV, 212); მალე ვბერდებით, ნასერიც მალევე გვერევა თმაშია (ვაჟა, I, 71); მალევე გაეგო ყორანსა, დაჰსისინებდა ქალასა (ვაჟა, II, 51); დღესავ მოგივათ მინღია, მანამ დაბძანდეს მრავალი (ვაჟა, II, 34); გველმა ვერ გაქრა ლიბოი, დღესაც ცოცხალივ არა. ურჯულოს ხელეზხავ აღნობს ზედ მზის სხივები მწვევია (ვაჟა, II, 33).

ნეტავინ ნატვრითი ნაწილაკი: ფშაურში იგი მთლიანია, მაგრამ აშკარად შეიგრძნობა, რომ ორი ნაწილისაგან შედგება: ნაწილაკი ნეტა და განუსაზღვრელობითი ვინ = ვინმე (თუ ვინ მიკითხოს, უთხროდით, მივლ. არტ.); ნათლად იხატება სალიტერატურო ნეტავი ნაწილაკის განვითარების წინა საფეხური. ნეტავინ გენახვა, რარივ კარგი იყვის (შეთ.); ნეტავინა გქნა არავვი, იმ ფშავთა მომდინარია (მივლ. ქელი); ნეტავინ ჩემო ნათქომო, შენამც კი გაჰქვეყნდებოდე (მივლ. ჩარგ.); ნეტავინ მამცა პრიჩკაი, შენთვინ ცეცხლ შამამეყარა (რაზიკ. 236).

რადარ: ესეც ამოსავალში ორნაწილიანი, ამჟამად გამთლიანებული ნაწილაკია: რას გადევკიდე მა ეშმაკ-იუდათა, რადარ შინ გაჰაილი (მივლ. თხ.); აბა სადა გყვან, რადარ მეცა ვხედაო (მივლ. თხ.).

ღეღღლამა. ძმობამა, ღეღა-შვილობამა, და-ძმობამა — ფიცილოს ნაწილაკებია ფშაურ მეტყველებამში, განსაკუთრებით ქალებთან რომ წამდაუწყებ გაისმის: უამე, ღეღღლამა, ისრე მინდა სიკვდილი

(შეთ.); ძმობამ, რო კარგი ჰყოლია, არც იმას ჰმტყუვნობს მერანი (ვაჟა, II, 77); ჰშვენოდა, ძმობამ ვაჟკაცსა დაზარნიშული ფარია (ვაჟა, II, 88).

მითამ: ჯოხა რაიმ ეჭირა მარჯვენა კელშიაო და იმას მაიბჯენ-ღა მითამაო (მივლ. თხ.); მითამ იციან ლავლუვი, რად არ ჰყეფს ჯოგი მგლებისა (ვაჟა, I, 84).

კიდენ: წავიდა ახლა ისი კიდენა (მივლ. თხ.); კიდენაც რო მეტი მყოლიყო, კიდენაც მოვსწველიდი (მივლ. გომეწ.); შამოდ-გომით კიდენ... იქა გეყვანდა საქონი (მივლ. გომეწ.); მემრე გა-ღავჰფიწლავდით კიდენ, ჩალას მოაცილებდით (მივლ. გომეწ.); ღავითო კიდენ ბატარა იყვ (მივლ. თხ.).

რაით: ემანდ უცხო არა იქნას, დედ-მამან არაით (—*არ რაით) დაღუპნესო-დ' თავისთავიცაო (მივლ. თხ.) = ემანდ ხითათი არა-ფერი შეემთხვეს, მშობლებიც არ დაღუპოს და თავისი თავიც; რად რაით გამრისხდომიყვენეს თვალნი ზეთის ღეთისანი (შეთ.) = რატომ უნდა გამრისხებოდა უზენაესის თვალი; წუხდების ბატონიშვილი ჯარ რაით გამიწყდებო (ვაჟა-ფშაველას მცირე ლექსი-კონი, გვ. 225) = წუხდება ბატონიშვილი, ვაითუ ჯარი გამიწყდესო; ბოსელში შამოგვივარდა, აქ რაით ვინ შამისწრობსა (რაზიკ. 243) — ბოსელში შემოგვივარდა, ვაითუ აქ ვინმე შემისწროსო.

კინაღართ: კინაღართ გამანადგურა, კინაღ პირდაპირ მგებერა (ვაჟა, II, 18); კინაღართ ჩამუერიე, კინაღა ვნახე შავეთი (რაზიკ. 38).

ღიამც: ღიამც ზოგზოგას ავშურდე, არ ავშურდები ყველასა (რაზიკ. 177) — ზოგს იქნება კიდევ შევბულდე, ყველას არ შევ-ებულდები.

III. სინტაქსი

1. მსაზღვრელ-საზღვრულის ურთიერთობა ბრუნვასა და რიცხვში

§ 130. თავისებურებები მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნვასა და რიცხვში ურთიერთობის თვალსაზრისით ხელშესახებია.

1) სახელობით ბრუნვაში პრეპოზიციული წყობის დროს მსა-ზღვრელს ჩვეულებრივ ბრუნვის ნიშანი არა აქვს. ამ დროს საზღ-

ერული შეიძლება - ი სუფიქსით იყოს გაფორმებული და შეიძლება ისიც ამის გარეშე იყოს წარმოდგენილი:

ჩემ შვილია ისი (მივლ. გომეწ.); ერთ ბიჭი მყვანდა და სამ ქალი (მივლ. გომეწ.); ერთ ქალ არი, გომეწარსა (მივლ. გომეწ.): ა ექ ქვენათ რო მაღალ სახლია, ჩემის ქალისია ისი (მივლ. გომეწ.): იმთენ ადგილ აღარ იქნებაო შირაქსაო, რო ცხენ დააბაო (მივლ. ქელი).

2) მიცემით ბრუნვაში მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნვაში შეთანხმება სრულია: ყველა ქმრის მოღალატეს ცოლს ამაჰშხამდეს (ვაჟა, IV, 209): ...ჩემს ძმას უამბო (ვაჟა, IV, 209); რას კილოს, გუნებას ხარ ძმაო (ვაჟა, IV, 214); ისეთს ადგილს დაუგებ... (ვაჟა, 210): ხელუხლებელსა, უღრანს ტყეს ბუვი საბრალოდ ჰკიოდა (ვაჟა, II, 39); ცხრას მთასა, ცხრას ზღვას იქითა, უდაბურს ადგილს, მთიანსა, სცხოვრობდა ერთი ბებერი გამოქვაბულსა კლდიანსა (ვაჟა, II, 54).

3) მსაზღვრელ-საზღვრულის შეთანხმება სრულია ნათესაობით ბრუნვაშიც: მამკლა ამ შავის სიკვდილის დაბუნდურებულმა (ვაჟა, IV, 212); შენი ჰირიმე და შენის ჩობნურის ქულისა (ვაჟა, IV, 214); ასის წლის კაცია (ვაჟა, I, 37); ბევრის კარგის ყმის მკლავებს არ შამჰკამა, მიწავ, ტიალო (ვაჟა, V, 38); აყროლდა მიწა, ბნღებოდა ბრიყვის მღვევების მძოვრითა (ვაჟა, II, 41); ყველგან მადლობას სწირავენ მარჯვენას კაის ყმისასა (ვაჟა, II, 105); წყაროს წინ ერთი ტბა არის წითელი, წითლის ფერისა (ვაჟა, II, 137).

4) მოქმედებით ბრუნვისფორმიანი საზღვრული მსაზღვრელს ნათესაობით ბრუნვაში მართავს: შიგა დგა საღვინეები, სავსე ნაკურთხის სახმლითა (რაზიკ. 21); ვინ მოდის წითლის ცხენითა გამაიარა წყალია (ვაჟა, II, 35); ეს ვინლა მოდგა ნისლივით. თითბრით ნაზიკის ხმალითა (ვაჟა, II, 36); დადგა დახრილის თავითა (ვაჟა, II, 36); ჰკითხავს ალუდას ხუცესი გადაწეულის მკლავითა (ვაჟა, II, 36); შიგ ის ვინლაა მოხუცი მხარილივ წითლის ფართითა (ვაჟა, II, 41); განათუა მთელი ქვეყანა ცხრის მშითა, ოცის მთვართითა (ვაჟა, II, 41); სველდება წმინდის ცრემლითა ნაძვი, თხილი და ტყემლები (ვაჟა, II, 92).

5) თანდებულებიანი საზღვრულიც მსაზღვრელს შესაბამის ბრუნვაში ითანხმებს: გაღმითას მეიდანწედა დათვი ბრუნავდა ლამზედა (რაზიკ. 147); ჯერ ერთ პრილო მინდორზე გამაქანეს, ყოილიანს მინდორზედა (ვაჟა, III, 23); ჩემი დედაკაციც ერთს სიგრიგალაში გამოდიოდა (ვაჟა, IV, 209); უკვენას უურეშითა კენესის

ზემა გამოდიოდა (ვაჟა, I, 42); მეფის ძე მონას ქალთანა ნეტა რა შე-
საყვარია (ვაჟა, II, 54): ...როგორც უნდობლად მოკლულის თავის
ლამაზის ძმისთვისა (ვაჟა, II, 36): ბევრის ირმისად კი ღაგისხმეი-
ნებიან რქანი (ვაჟა, V, 35).

6) მრავლობითი ფორმის საზღვრული მსაზღვრელსაც მრავლო-
ბითის ფორმით შეიწყობს: აქამდი კი არ სწუნობდი ჩემს დაგზავ-
ნილებს თასმებსა (რაზიკ. 183); ჩემ ქმარსა გადავლილიანებ წინდებ
ეცვა ქორწილში (შეთ.); ეგებ დაგლიოს ირემმა, მე დამრჩეს შენებ
უუფჩები (შეთ.); ვაეებმა შენებ სწორებმა ყველამ გაუშვა თმანია
(შეთ.); გიმღერდენ ჩემებ სწორები, ჩონგურის ხმასა ჰყეებოდენ
(რაზიკ. 183). გამაუდგენ ბოზ-ქურდებსა, წვრილებ დაპრჩა ყმაწ-
ვილები (რაზიკ. 194); მეცხვარეები ვაჟები მამიდის რადამ ჰკვაშია
(მივლ. ცაბ.); მებრალები, ჩემთ მკვდართ ცხონებაჲა (ვაჟა, III,
44); მოდის, წინ მიწყობს ღრეჰითა ჩემთ ძმათ სისხლიან მკლავებსა
(ვაჟა, II, 81); სამთავ თითუან ნაჭერან მიუგდო (ხორნ. უძ.).

დასკენის სახით შეიძლება წარმოვადგინოთ მსაზღვრელ-საზღ-
ვრულის ბრუნვებსა და რიცხვში ურთიერთობის ფშაური ტიპის ტა-
ბულა:

მხ. რიცხვი	მრ. რიცხვი
სახ. დიდ სახლი	დიდებ სახლები
მოთხ. დიდ სახლმა	დიდებმ სახლებმა
მიც. დიდს სახლს	დიდებს სახლებს
ნათ. დიდის სახლის	დიდების სახლების
მოქმ. დიდის; სახლით	დიდების სახლებით
ვით. დიდ სახლად	დიდებ სახლებად
წოდ. დიდო სახლო	დიდებ სახლებო

2. სახელის რიცხვის ასახვა ზმნაში

§ 131. 1) ზემოთ, როცა სახელის მრავლობითი რიცხვის ფორ-
მათა წარმოებაზე ვმსჯელობდით, აღვნიშნეთ, რომ ფშაურში გვაქვს
მრავლობითის როგორც ე. წ. -ებიანი, ასევე ნარ-თანიანი ფორმე-
ბი. აღვნიშნეთ ისიც, რომ სინტაქსური ძალა ამ ფორმებისა სხვა-
დასხვაა: ნარ-თანიანს მეტი ძალა აქვს, -ებ-იანს კი ნაკლები.

2) სახელობით ბრუნვიანი სუბიექტოცა და ობიექტიც ნარ-
თანიანი მრავლობითის ფორმით ზმნასაც მრავლობით რიცხვში
ითანხმებს.

ა) მრავლობითი ობიექტი ზმნაში: მკითხავენბმ უფრო გადარივნეს ი დედ-მამანი (მივლ. თხ.); იმას ფარტენან უსთვიან ი დედასა და წყალნი მწყურიანო ბაღს უთქვამ (მივლ. თხ.); დედ-მამან არაით დაღუჰნასო-ღ' თავის თავიცავ (მივლ. თხ.); ჩააცვან ი ტანისამოსნი (მივლ. თხ.); კირცხილან დაგვიკაფიენ ეხლა მასთხარენ ძირითა (ხორნ. უძ.); უკრიან კელნი ი კოკლისადა (ხორნ. უძ.); სომეხს მე განა კელნი ვხკრენ, მამიკლა ფათარაკითა (მივლ. გომეწ.); მეფის ერეკლეს დროშია შორს გავრეკნოდი ძროხანი, წავწოდი, წავიძინოდი, წავიხურნოდი ჩოხანი (რაზიკ. 12); ე წალდს რამლა დასტეხენით ე ტარნი (ხორნ. უძ.); ავაწიოკენ ცხვარ-წყემსნი ძილი არ მაჰკიდებია (რაზიკ. 55); დავაცოტავენ ცხვარანი, თრიალეთს მივალ ფულზედა (რაზიკ. 145); ბოსლის კარზე გამოექე, ქვანი დამცნეს თავშიაო (რაზიკ. 203); ნაცრიან ბოლონ დაჰქონან. უსახლონ ტყავნი სცვიანო (რაზიკ. 226); დღასავ ვიყავ წისქვილსა ჯერ არან ჩამუფქვიანო (რაზიკ. 226); ცოლისდამ წინდან დამპარნა დაქსოვის მაგიერადა (რაზიკ. 227); ჩაიცვენ ჯღანის ძველანი, რაკი არ შაგიშვენდება (რაზიკ. 249); გავიყარნოდი დოინჯნი, წელშია გავიდრიცოდი (ვაჟა, V, 54); მისცენით ტარ-სახეხავნი გააწკრილოს ტარიო (ვაჟა, V).

ბ) მრავლობითი სუბიექტი ზმნაში: ი დედ-მამან კი სუ ეძებდიან (მივლ. თხ.); ი ხარება-გოგიან ხყვანდენ (მივლ. ლაფ.); რაად გიცვენან ხვარამზეს დახეულ ტყავის ძველანი (მივლ. გომეწ.); ...მუქლან აღარ დამიდიანო (ხორნ. უძ.); ცეცხლნ კი მამდებოყენეს (ხორნ. უძ.); რა კარგან სულან გიდგიანო (ხორნ. უძ.); ასეთ ალაგას ჩავარდა, შუქნი არ ჩავლენ მზისანი (რაზიკ.); რქანი სად-რა ხენ მისანი (რაზიკ. 99); ვაჰმე, რა ყროლნი მოდიან ლამაზის ქალის მთხოვარნი (რაზიკ. 154); მა ჩემის ერთგულისანი სახნი თვალითა ჩანანო (რაზიკ. 154); მამერევიან ტირილნი შამამეყრება გულსაო (რაზიკ. 178); შენი ნაქსოვნი წინდანი ისაულსა სცვიანო (რაზიკ. 181); სამჯერ ისე შამაყრთუნა, ფეხქვეშ მეძრენ მიწანია (რაზიკ. 215); ერთან ტოლომანანი ეცვენს (ვაჟა, V, 38); ცხრა-ათნ ცხვარნი ჰყვან მანდა (ვაჟა, V, 293); მე შენ იარაღნ რად მინდან (ვაჟა, II, 25). დევთ სულნი, დაკოდილები, ქვესკნელში ჩაიყარნიან, წინ მიეგებნენ მაცილნი, პირისპირ შაიყარნიან (ვაჟა, II, 41).

3) როგორც წესი ფშაურში -ებიანი მრავლობითის ფორმის სახელობით ბრუნვიანი სახელი ზმნას რიცხვში ვერ ითანხმებს, ვერც სუბიექტი და ვერც ობიექტი.

ა) სუბიექტი: გადმეშლება ლეკები, ნასახელარნი სხვაზედა (რაზიკ. 76); ჩემ სწორებ კარგებ ვაუები ღარჩება ღინის სმაზედა (რაზიკ. 158); დეექცა ამხანაგები, ორნილა დარჩნეს ცდაზედა (რაზიკ. 78); გაიგებს მითხოვლები, ბეგარს დავგდებენ ცხვრისასა (რაზიკ. 103); ჩამოცვივდა წეროები ქვენა ბაქის ბოლოსაო (რაზიკ. 174); რა იმას იტყვის სწორები: „როცა გაჭირდა გაიქცა“ (რაზიკ. 178); ვარცლნი ჰქონ ცარიელანი, შიგ თავგებ მირბი-მორბისა (რაზიკ. 190); ზოგებ მოზდილები არი, ზოგ თხილკაკლით სათირები (რაზიკ. 195); ეგ შენი სწორი ბებრები, კარჩიაც ველარ დადისა (რაზიკ. 223); ცოლი არა მყავ, ცოლს ვეძებ, ქალები დაქმარიანდა (რაზიკ. 226); იქ მოგივალის სომხები, გამაიცვალე ხალათი (რაზიკ. 228); ჯარეგით მოდის ქისტები (ვაჟა, V, 171): მოვიდა დილის ძროხები, არ გაბრუნვილა ჯერაო (ვაჟა, V, 152); ტანზე რადა გცვავე ჩვარები (ვაჟა, II, 45); სადა ვინა ხართ, დალია ხბუებმა ყანა (ვაჟა, III, 43); ისევ ფშავლის შვილებ იქნება, კიდევ დანიშნებოდესავ (მივლ. მალ.); უკვენ მაადევდა ქისტები, ქისტების მოძებარია (მივლ. მალ.); ფერკისას რო იძახებენ ებლაუჭება ეს მაყრები საკიდელსა (შეთ.); დედამ დაუწყო ძახილი, ქალო, ქათმები ყვივისა (შეთ.); სიძე დასტირის თავზედა დები სუ შაიშალაო (შეთ.); ძროხებ დამბულეებ იყო, ცხვრებ ეგრე იღვა (მივლ. გომეწ.); გამოედ და ცხვრებ დამფთხვარიყო (მივლ. გომეწ.); მგლებიც ბევრ იყვის მაშინა, ხალხს შჭამდის (მივლ. თხ.); ბებრებ იყვ კაც-დედაკაციცა (მივლ. ლაფ.); ის ქალი და იმის მამამთილი ანწლობა წასულიყო (მივლ. ლაფ.); ნემრე მენშევიკებ გამოჩნდა მივლ. ლიშო); ესე რო, მეორედ ყიოდა ქათმები (მივლ. ლიშო).

ბ) ობიექტი: მაგას სუ ქალებ ჰგონავ, რაც მანდ მთიბლები გვრინავედა (რაზიკ. 248); ...ფშავლები მტერმა დალია (ვაჟა, II, 11); აისახა იარაღები, გააფხავილის ხმალია (ვაჟა, II, 31).

4) -ებიანი მრავლობითი, სუბიექტიცა და ობიექტიც, ზოგჯერ ზნას რიცხვში ითანხმებს, მაგრამ შემთხვევები ამ უკანასკნელისა უფრო იშვიათია. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ფშაურში თანდათან გზას იკაფავს ახალი სინტაქსური წესი: იქითან ცხვა ქისტებ არ მეშველშენავ (მივლ. ცაბ.): ...ულებენ დედაკაციები, ბაღლებ კი ჩაუყრიანო (რაზიკ. 226); უფროსი ძმები გავიდენ ერთ ქალაქში (ხორნ. უძ.); დავსვენ ი ბაღლები, დავაწვიენ (მივლ. ლაფ.); მაინც რაღაც თავისებურებ იყვენენ ბეჩავ ბაღლები (მივლ. თხ.); მკითხავებმ უფრო გადარივნეს ე დედ-მამანი (მივლ. თხ.); გამაულ-

გენ ეს ფშავლები (მივლ. ლაფ.): მოკევეებ რანიმ დადიოდენ აქა (მივლ. გომეწ.); მოიდა ე ბიჭები და ღებვივინენ ამ ქალსა (შეთ.).

5) ფშაურში გვაქვს კრებითი სახელის მიერ ზმნის მრავლობით რიცხვში მართვის შემთხვევები: ...მოუდგეს მემრე ხალხი (შეთ.); საერთოდ ძველად არ იცოდენ ხალხმა, რო კახის ქალს ითხოვდენ (შეთ.): ...იგულებდენ დაღლილ-დაქანცული ხალხი (შეთ.); ...თორემ მოდიან ურჩულო სამშობლოს წასახდენადა (მივლ. შუაფხო). ურჩულო აქ კრებითი მნიშვნელობისაა. იგულისხმება ქისტ-ლეკები.

3. თავისუფალი სიტყვათშეერთებაანი

§ 132. ფშაურში გვაქვს თავისებური სიტყვათშეერთებანი, რომელთა განმარტებაც ლექსიკონის ღონეზეა საჭირო. აი ზოგი მათგანი: რას არა — როგორ არა, რაღა თქმა უნდა: ე ე, რას არა! რას არ მაჩუქნებს (მივლ. გომეწ.); რას არ მოიდიდენ (მივლ. გომეწ.).

იმაღ ვარ, იმაღ ვიყოდი — ვფიქრობ, ვცდილობ, იმის ცდაში ვარ: სუ იმაღ კი ვიყოდი, ეგებ საით ვისწავლოო (ხორნ. აფშო) = სულ იმის ცდაში ვიყავი, იქნება როგორმე ვისწავლოო.

ჯავრი მაზღის — ბრაზდება, გული მოსდის: ჯავრი მაზღენიყო ქოჩათ დავითოზედა (ხორნ. უძ.).

საბერებლად შედგომა — ხანში შესკლა: საბერებლად რო შევდგა, აქ წამოედი (მივლ. ცაბ.);

ჩხუბად გაუკდის — ჩხუბს აუტეხს, შეებრძოლება: მარტო გაგიკდი ჩხუბადა, მარტო ვეყოფი თმითა (ამირანი); იდავ-დარაბეს და მერმე ჩხუბადაც გაუკდა (მივლ. შუაფხო).

საჩხუბრად გაკდა — იგივე ჩხუბის ატეხა: წინ ქორი შამეყერება. გაუხდის საჩხუბარადა (რაზიკ. 265).

საქმლისად გამგელდა — ძლიერ მოშივდა: კუტი გამგელდა საქმლისად (ვაჟა, I, 54).

საქმლისკე კბილებს იღესენ: საქმელი უნდათ, ძლიერ შია: მარცხნისას მგლები, საქმლისკე კბილებს იღესვენ ძალიან (ვაჟა, II, 97).

სახლისკე დაწუხება — სახლის მონატრება: იგრე დავწუხდი სახლისაკე, დედ-მამისაკე, სუ დღეებ ვთვალოდი, დრო როდის გავლისო (მივლ. ქელი).

ნაწილი მეორე

I. ტ ე მ ს ტ ე ბ ი

არაბის ხოზა

1. მზევინარის საუბარი

— ა ისეებ რამთვენის ხნისეებ იქნებოდეს... აის, ამ ზავთარ
რო დაივოცნეს, ქალო, გომეწარსა.

— შენის ხნისებიო-დ' ეხლა ისეებ იყვნეს და ეხლა აღარ ვი-
ცი, ველარ ვიცი კიდენ ვინამ არიანა ჩემის ხნისა.

— ხო, რამაზათ დათიყო... პატარია კი იყო დათიყო.

— ჩემზე უარესი მოარულილა არი ისიც.

— ჩემ შვილია, ჩემ ქალი, ხო.

— უმცროსია ისი.

— ვერც კი ვიცნობ, აბა რა ვიცე, ვინ იქნება.

— ეხლა მეორე წელია აქა ვარ. მე სუ ვერ ვიცნობ მაღაროვ-
ლებს.

— ჰო, სუ გომეწარში ვიყავე.

— მენა? არა, დამავიწყდა ქმარი, რავი, როდის მამიკედა, სალდა
მყავ.

— ავად გაჯდა და მოკვდა.

— არა, დი-დიდებ იყვნენ.

— ეხლა მატყლ უნდა გავრეცხოთ, გავაშროთ და მემრე დავ-
ჩეჩოთ, მემრე, ფარტენას ვეძახით, ფარტენა გავაკეთოთ და ტარი
და ვასთავთ, ვაბრუნებთ ტარსა, ჩავასთავთ, ამოვხვსნით მემრე იმა-
სა, დავძახთ,... თხორი, თხორი ჰქვია... ორწვერას ამოვხვსნით,
სამწვერასა, დავძახთ, მემრე წინდას მოვჰქსოვთ.

— ბატკნისა ჰაი, ჰაი, რო სჯობია, კრაველი.

— არ ვიცი. ეხლა ველარ ვიცი. აღარ მაგონდება.

— პირველად გამოჩენილი, მეორედ დაჩეჩვა, მესამედ ფარტენად დაჰჩეჩო.

— ხოკერში... ხეს ავჰყრით ნაქერქალსა დაჟ... შავჰკერავთ, იმაში ჩავაწყობთ.

— საგრეხელას ვეძახით, აი ემოდენი ხეა და თვალი აქვ ამოჭრილი-დ' იმაში ვაბრუნებთ ი ტარსა.

— ჯარა არი გაკეთებული, ვაბრუნებთ, დიდ ტარი აქვ, ი ტარზე დავახვევთ, ვაბრუნებთ... ჯარის ტარი აი ემოდენია.

— აბა რავი, რალა მჰქვიან, არ ვიცი.

— ლამბი, ლამბი, ამ ალაგას უბია ი ლამბი და, აქ საწინდიაი დახვეული და ბრუნავს ჯარა და იძახება და ვიხვევთ იმ ჳელით კიდენ, გამოვხჰსნით.

— ლვილებს ვეძახით, ისეები აქვ გაკეთებული თავ-ბოლოში. ჩამოაბამთ იმაზე იმასა და... რითაცა ვქსოვთ, იმას ბეჭი ჰქვიან, ბეჭს ვეძახით.

— ის ცხემლაია კიდენ, იმას სახედაოს ვეძახით, იმას გავახვევთ, გავაძვრენთ, ავიყვანთ გარას, გავაძვრენთ ი ცრემლასა, გავბეჭავთ, ახლა მოიყვანთ გარასა, გავაძვრენთ ი ცხემლაითა სახედაოსავა, ჩავბეჭდავთ, აი ესრე ვქსოვთ.

— კაკაჩუნა, გარაის საყვანელა.

— იმას გარას ვეძახით. ი ქსელს მალდ აქვ გაგდებული, რაითაც ავაღვლევთ-ჩავაღვლევთ.

— შალი. ტოლს ვეძახით.

— ჩოჯასა, შარვალსა, პალტოსა, სუყველა შაიკერებ.

— ორშიანი ქსელიც ვიცით, ორ საშევარს ჩაუდებდით. წალმ-უკულმართად დავძახდით, ნახევარს წალმართად დავძახდით, ნახევარს უკულმართად-დ' იმას თითო თხორობით ჩამოაბამდით ჳშირად... წალმ-უკულმართა ქსელ მოვქსოავ.

— ფარდაგს... გამოჩეჩვა უნდა, ჩასთვა უნდა, დაძახვა, დაფერადვა. ჩამომბა ისრ იმასაც ყდაზედა და მოქსოვა ისრევე, როგორც ქსელსა და... ფერადისა... ფერადისა ფარდაგი.

— ჳელითაც იქსოება ისი, ცხემლაითაც, ისითაია ფარდაგები.

— არი ჰოდ ის ჳელით იქსოება ი ჳრელი რაც არი.

— ფარდაგები ჰქვიან, რავი, რალა მჰქვიან.

— არა, მე არა მინახავ ისეები, არცა არა გამამიხატავ და არც მინახავ.

2. ბეკი და გიგნა

კაცი ყოფილა ჩვენ სოფელურ. თუშებსა და ფშაველებსა აქქონია ჩხუბი რაადამ, რავი რასა... რა აქქონდა გასაყოფი, ის კი ვერ ვიცი. იმასა ქვივნილა ბეკი, ი ფშაველსა, მეომარი ყოფილა, რა ვიცი, კაი ყოჩად კაცი. მაგრამ თუშ შაიხვედრია კიდე თავზე უკეთესი. იმასა აქქონია, ი თუშსა, აბრაშუნის ფარ, იმ ფშაველსა კიდევა, ი ბეკურაულსა — რკინისა. გიგნაი ქვივნილა ი თუშსა და ი გიგნაის ფრანგულსა უჭრავის ის ამე, ფარის რგოლები, უჭრავის და შაუშინებავ, რო, კელსაც თუ სწედებოდა ი ფხა. მემრე უთქომ, რო ჩვენ ბიჭობა ეს კი არ არისო, რო თუშ-ფშაველთაო ერთ-ერთ ჩავაცოცინოთაო, უნდა შავრიგდეთო, შავარიგოთო. დაუტყუებავ ისი, დამხნდარან და დაუწყავ... უთქომ, რომაო, როგორია ე შენ ფარიო, რო, არ ამეიქამს, არა ქრის ჩემ კმავილ. გამაურთომ, აბრუნებს კელში იმას, იმის ფარს, ე ფშაველი. ჰო, დაატყვა, რო ეს იმით არა ქრილავ, რო აბრაშუნისი ყოფილავ. ის თავის ფარ იმას გადაუდლო, ე რკინისაჲ, ის აბრაშუნის ფარი თავად დაიჭირ. დაუქნივეს ერთურთსა ისრივა და აღარ ექნა მეტი გზა იმ თუშსა-დ' გაიქცა. ახლა ის გეექცა კიდე. ჰო და, გაიქცენს, წავიდეს თუშები, ველარ შაუქციის კელი, ველარ შაუქციის. მემრე წაიკათივა რომაო:

ბეკმა თქვა ბეკურაულმა,
ხალმა ვერ შამაშინაო,
თუშის, გოჯნის, ფრანგულმა
ფეჟ უკენ დამადგმივაო,
დავლიჯა ფარის რგოლები.
ციბროან დამავლივაო.

ეგ იყო, მეტ აღარა.

მალაროსკარი

3. ბაყაყის ზღაპარი

ერთი კაცი ყოფილა, სამ შვილ ჰყოლია. მამკვდარა ი კაცი და პატარეებ დადარჩომიან ესეებ. რორცა კვდებოდა, მაშინ დაუბარებავ, რო საცოლეებ რო მაიყრებითო, ცოლებ მოგინდებათავ, შვინდისრებ შაისროლოდითო და ვისაც ბანზე დეეცემაო, რო მიხვალი: ისრის ამოსაღებლადაო, ქალი მზას არის, გამოგყვებათო.

კარგი. მიყარა საცოლეები. შეაქრა იმ უფროსმა ისარი, დე-
ეცა ბანხედ. წავიდა. მართლაც მზას იყო ქალი, გამაჰყვა. ახლა
შაშუალმა შეაჰქრა კიდევ, ისიც დეეცა სახლის ბანხედა, წავიდა.
იმასაც გამაჰყვა. მემრე, ხანმ რო გაიარა, ახლა უმცროსს მაუნდა
კიდევ დაქორწილება და, შეაჰქრა იმან ისარი და ჰყანტში დეეცა. ე,
ვაი ჩემო ბელო მწერელოო თქვა, ეს რა მაივიდაო, ჰყანტშიოთ რა
ქალ უნდა გამაჰყვესო. წავიდა, ისარ წამაილოო და გამაუდგეს ი
ბაყაყნი. მიბრუნდა, მიკონხა ი ბაყაყნი ისრიკავა-დ' ჩავიდეს იქავ,
თუ რა ქნეს. ახლა მეორედ შაისროლა ისარი, იქავ დეეცა. ახლა
მესამედა, კიდევ იქავ დეეცა და წამაილო ისარი. ვადასწყვიტა იმე-
დი, აბა რა არი, ალბათ არ მექნა ცოლის ყისმათივ. გამაუდგნეს
ისრევ ი ბაყაყნი. მობრუნდება, მიჰკონხავს, გეჰქევეიან ი ბაყაყნი,
ის რაც იმის ძალა იქნება-დ' მობრუნდება წამოა სახლისაკა, ისევ
გამაუდგებიან ი ბაყაყნი. იარა, იარა და დაღამდა ზედ კიდეცა. მოი-
და სახში.

გაიარა სამ ი გარეთ, შეშებისადა გაიარა, რაად რაად 'რაცა'
და, მოიდა. ბაყაყნი კერაჩი არიან მოკალათნებულნი. გამაიტანა,
გადმოყარა ისევ გარეთ. ეს რაღა ვადამესია, ეს რაღა არიო. დაწ-
ვა მემრე, დეეძინა, რა თქმა უნდა. ვათენდა მეორე დილა და
დაწმენდილია იქაობა, დასუფთაული, ი ბაყაყნიც იქავა სხედან, კე-
რაჩი. დასუფთაულია ჯამი, კოზი, სუყველა გასუფთაებებულია
კარგათ. ბაყაყნი იქავა სხედან.

მემრე მაიფიქრა, რო აბა დაუყარაულდევ ამას, რა არის ეს, რა
ასუფთაებებს, რა მწმედს, არავინ არ არი აქ ჩემ სახლშია-დ' ახალ-
აშენებულია და, ვავსწირავ და წავალ, დასუფთაულ დამხვდებ. და-
ყარ-მოყარა რაიმ კიდევ და აახლალაშნი ისივა ი სახლი დაჟ, წავი-
და თავადა და დაღა ისევ, რო ხედავს ი ბაყაყთაცა-დ' ი ემესაც,
სახსაც. ვადაიჯადა ის ბაყაყი, ვარეთა ქერქ რაც ეკრ, ვადაიჯადა.
გამოარდა ქალნი, ისეთ ქალ რო ნდობით თვალეზ არ მაშორდებ.
დაწმინდა, დაასუფთავა ი სახლი, ვააკეთა კერძნი, სუყველა მაამარა-
ვა, მაამზადა და ვადაიცივა ისრივა ი ტყავი და დაჯდა იქავნი. შავი-
და მემრე სახში ის კაცი, საწეფო. ბაყაყნი იქავა სხედან, აისივ
ბაყაყნი. რა ხარო, უთხრა, რარვიგ ხარო, რა ხარო, მაიშორე, რა
ვაკრავ ე ვარეთავ, ტყავივ. არაო, არ მოიშორებავ, აჩქამდა, უთხ-
რა ი ბაყაყნი. ვადააჯღეინა მემრე ი ტყავი და, ჩავიწოვ ცეცხლშიავ.
უთხრ, ამასავ, რად გინდა ესივ. ნუ ჩამიწოვ, თორე ინანებო,
უთხრ. ოქროს თმიანი ქალნი, კაცო. აბა, არ დაიშალა იმანა და ჩა-
აგლო ცეცხლში. ჩაუწო.

იქ თავადიშვილია, იქ ბატონობს. იმ ქალმა ტანისამოსებ წაი-
ლო წყალზე გასარეცხლად მეორე დღეს. ერთ თმის ბეწვი გაძეწ-
ვდა ტანისამოსის რეცხვაშია-დ' წაილო ი წყალმა და სადღაც იქ
მაახვია, ქვემოთ, წიწკარს რასამძ. ი ბატონი მიდის ცხეა სოფელში
ცხენითა და ლვილვინებს რალაცა იქ, ლვილვინებს წყალში. რა არისო,
თქვა, იქ რა ლვილვინებსო. წავიდა დაძყევა ი წყალს, დაძყევა და
მივიდა, თმის ბეწვია. კელში დაიჭირა, მაინც ლვილვინებს, მაინც.
ოქროს თმა არი. საით მოიდა ეხლა ეს აქაო, იფიქრა, აბა წავიდევ.
წავიდა, დაძყევა ი წყალს, დაძყევა, დაძყევა დაჯ ამ ქალს კი მიად-
გა იქ, მიეყუდა. ის რეცხს ტანისამოსებს. ვინა ხარ, რა ხარო, უთხ-
რა, საით მოხვე შენ აქაო. ა იქით გადმოიარე, სახშითაო, იმან
უთხრ.

— ვის... საუ აგაქ სახლიო.

— აი იქითავე.

— ვინ გყავ სახლშიავ.

— ქმარი მყავო.

— არაო, შენ იმისი აღარ იქნებო. ჩემ უნდა იქნევ.

არავ ისი, არავ ესწ. წავიდა ი ქალი, სახლშიავ წავიდა, იმა-
ნაც გაანება თავი, თავის სახში წავიდა. მიუგზავნა მემრე კაცი,
რო ცოლზეით კელ აიღე შენ.

რალა ქნას. ე კაცი დაღონდა ძალიან, აბა, რა თქმა უნდა. ცოლს
ართომს კაცი. მემრე უთხრა ი დედაკაცსა, რალა უნდა ვქნა ეხლა,
ესე მეოზნებ, ესევ.

— აბა რო გითხარ, რო ნუ ჩამიწევ მა ტყავსაო, თორე ინანე-
ბო, ხო ნანობ ეხლავ, აბა რალა გიყვა მეო. წავიდა კიდევა და
დამანებე თავივ, მე ცოლს ვერ მოგცემ ცოცხალივ.

— ცოცხალ ვერ მამცემ — მალე იქნება შენ სიკვდილივ —
იძანაც უთხრ. აი, დაგანებებ თავსავ... სამ დღის საცნავ მიწა აქვის
კარებზედ ი ბატონს. თუ ამას მაძქნავ ერთ დღესავ, დადეთსავ,
დაძჟთარავ, მაშინ დაგანებებ თავსავ. რალა ქნას ახლა, როგორ
მოჯნას. სამი დღის საცნავია, იცის, კი არა, კიდევაც უხანგრძლივდება,
ვერა ძტნევდ. როგორ უნდა მოჯნას ერთ დღეს. მივიდა, უთხრა ი
ცოლსა, რო ესე მეუბნება, ესევ.

— ჰო, რო გითხარო, რო ნუ ჩამიწევ მა ტყავსა, თორე ინა-
ნებო, აბა რა გიყო მეო. მემრე შეანანდა ისრივა, უთხრა, რომაო
წადიო და საითაც მე გამოგყეო, იქ იძახეო, თქვენმა ქალმა დამა-
ბარა, ჩემო დედაო და მამაო, ამაუშვით კუდაი და გიშერაო. მი-

ვიდა, დაიძახა ის იქა-დ' ამოძვრეს ორ კარნი, დაუღვლილები, გუ-
თანიც ზედა აქვ. წინ გამაუძღვოდი შენავ, ისენ თავად გამოგყვე-
ზიანავ. უთხრ. გამაუძღვა ი კარებს წინა და გამაძყვეს ისეებრც. მოი-
დეს ი მამულშია, დაუწყო ცნვა და ცნა, ცნა რამთვენიმე ხანი, შუა-
დღემდე. გაანახევრა მამული. დაასვენა კარები და მიწვა, დეეძინა
ცოტაად. ის... მიეძინ. ეხლა ი კუდაი, კაი კივილ იცოდა, მაღალ კმა
ედვა, იმან კივილ დაიწყევ, ი სხვამ ფეკით მიწა დათხარა-დ' იმას აყ-
რინ კიდენ. უნდა რო გააღვიძონ, დროია. გეეღვიძა იმასაცა, წა-
ნოდგა და წაიკაფიავ:

„საძილედ არა სცალან
კუდაი კარის პატრონსავ“.

ადგა. დაიწყო ცნვა ისევა, დაამთავრ. დათესა კიდეცა-დ' დაფარა
კიდევ იმავ დღეს. არც წინძლოლა უნდოდა ი კარებს, მარტოა მფა-
რავდ. ევ ხო მიიშორა.

ახლა მეორე დილას მიუგზავნა კიდევ კაცი, რომა ის რო დას-
თესევ. ის სუ უკლებლად მამიკრიფევ, ისივ მამიტანეო დაყ აღარ
მინდა შენ ცოლივ, შენ იყოს მემრევ, დაგანებებ თავსავ.

რალა ქნას, კაცო, როდისევ დაფარულ ამეში საით მოკრიფოს,
რარიგა მოკრიფოს, როდის ნახოს.

— ახლა იმას მეუბნებო — მივიდა, ი ცოლსაც შეშჩივლა, იმას
ნეუბნება, რომა მოკრიფე კიდეცავ.

— ჰო, რო გითხარ რო ნუ ჩამიწვავ თორე, ინანებო, ტყავსავ,
რაც უნდა ქენ ეხლავ.

მემრე ისრივ შეანანდა და უთხრ, რო წადიო. იქავევ, საითაც
ი კარებ გამოგყვევ. კარებ ხო იქავ წაასხა, იქავ ჩააბრუნ. იქავ და-
იძახე ისევავ, თქვენმა ქალმა დამაბარავ, ჩემო დედაო და მამაო,
ამაუშვით კუპრიელაო. ამოა, ი ჭინჭველ ამოაო და გამაუძღვე წი-
ნაო და თავად გამოგყვება ისეებივ.

მივიდა, დაიძახა იქა და, ამოიდა ჭინჭველ, ამოიდ, ამოიდ,
ამოიდა, რო ფეკით... ამააქვ. გამაუძღვე წინა და გამახყვა ი ჭინჭ-
ველაც. მოიდა, მიუძღვა ი ნაფარშია დაყ დაუწყეს კრეფა იმ ჭინ-
ჭველეებმ. მიუტანეს, სულ ჩაყარეს იქავა და ერთ მარცვალ მაკ-
ლავო, უთხრ. ერთ კოკლ ჭინჭველაი ყოფილა, უკვენა ფეკით და-
კოკლებული-დ' ის დამრჩალა უკვენ. მარცვალიც მააქვის, მაგრამ
ვღრ მააქვ, გან ჩქარა მოვ. მაიტანა იმანაცა ი მარცვალი და — აბა
ეხლა ხო აღარ გაკლავო — უთხრ, აღარ მაკლავო — უთხრ. მემრე

კიდენ რაიმე შაუკვეთა. რაღაც შაუკვეთავის, აღარ მავსონ, ვგონობ, ვეღარ მოიგონე. ისევ იქ გაგზავნეს, გორველა ამოუშო, ამოარდა წისქვილი და ი წისქვილმ რაღაც უყუა იშას, იმან შააშორა, იმსხვერპლა ი წისქვილმ. როგორ იყო, როგორღა მოყდა, ის ვეღარ მოიგონე, ვეღარ დამავსონდ. ეგ იყო. ავე, დამთავრდ.

ზღაროსკარა

4. სამ ძმათ ზღაპარი

სამ ძმან იყვნეს კიდენა. ორი ცოლიან იყო, ერთი უცოლო. ერთ დედა ხყვანდ. გაუყარნეს ამ უცოლო ძმას... დედა არგინეს იმას. ცხვრები ჰყვანდა კიდე, ცხვარი. ჰო და სამ ცხვარ მისცეს მართო. ი ცხვა ცხვარი თავად დაიწირეს იმეებმ. რა უყოს. ეხლა ე სამ ცხვარს რა უყვაო, იფიქრა, შამინახეთ თქვენავე უთხრა ძმებს. არავ, ჩენავ შენ ცხვრებს არ შავინახავთავ. წაასხა, გაანება თავი მთაზედ. შახედა მგელი ამ ცხვრებსად' დაჭამა ისეები. წაიდა ერთ თვის განმავლობაში ცხვრების საძებნელადად' რას დაძველავენ, მგელმ კი დაჭამა. ი მგელ შახედა... შენ დაძველავე ჩემ ცხვრებითო. უთხრა. არავ, დაუატყაზა ი მგელმა. არა კი არა, კია. შენ დაძველავე, შენ გატყობ მენა, რომ შენ დაძველავე. დეედენა ამ მგელსა. გეექ ე მგელი, დაწეას უბირობა. სორო იცოდა მგელმ ახლოსად' შაუძვრა ი სოროში. უნდა დეექირა რაღა იმ კაცს. დაღამდა ის დღე — იქავ არის ი კაცი. გამაძხენდებს მგელი — იქავ არი, გამაძხენდებს — იქავ არი. გათენდა დილა — იქავ არი. არ მოგეშვებითო, ეუბნება. მანამ შენ ცხვრებს არ მამილაღავ. დაღამდა კიდენ მეორე დღე და გამაძხენდებს — იქავ არი. მემრე შეეხვეწა ღმერთსა მგელი, რო, ღმერთო, ისითა ავღარ მაიყვანევ, რო ერთ არშინზე მიწა აფხიკოსო, ისითა ქარიშხალ მაიყვანე, სეტყვაო. მართლაც შაიყარა ღურბელი, მეემზადა და უნდა დასეტყვოს. ახლა ის შეეხვეწა, ი კაცი, რო ღმერთო, ცხრა კამბეჩის ტყავ მამეცო. იმასაც მაუვიდა ი კამბეჩის ტყავები. სამი ძირს დაიგო, ექვსი ზეით დაიხურა-დ' დაიწყო ეს ხორხოშიატი. იავღრა, იავღრა, იავღრა. იავღრა, აილო, დაჯვრიტა ი ზეითა ტყავები და თენებამ მათანა და ხუთ ტყავ დაჯვრიტად' მეექვსე ისივ მთელაი. იმასაც თუ ჩაუვიდა, იმასაც წაიღებს ქარიშხალწ. გადაიყარა იმ დროს. გამაძხენდებს მგელი — იქავ არის ი კაცი. არ მოგეშვებითო... კაცო მამშორ-

დი. არ დამიჭამავ მეო, ეუბნებ. არავ, ეუბნება, შენ დაიშქამე. შენ მამილაღვ-მამილაღვო, არა და, არ ვიცი მეო, მაინც არ მოგეშვები, ცოცხალს არ დაგინდობო. რალა იქნება, უთხრა მემრე, გამოტყლა მგელი, მე დაეშქამე. შემხვდა უპატრონო ცხვრები, სამ ცხვარ იყო-დ' სამიგ შავქქამე, დაეკოცე, ჰო და ზოგებ... ოღონდ გამიშვი ცოცხალიო-დ' ერთ ადგილს ერთ ფარაი დგაო, ხუთასანია თუ ათასიანი. იმაში ერთ ბატკან ურევეავ, ცეცხლის ალივით ანათებსო, ოქროს კრაველ ასხავ იმასავ. ნაწილიან ბატკანია. მენ წავალ. იმ ბატკანს დავეტანები, დავიტერო, გავიტაცებო, იქ წინა წყალ მოდის, სუყველა იქ შამაძყევაბო, ძალი, მწყემსი, ზახეინი. დარჩება თავდანებებულ ის ცხვარივ. მაუარეო და შენ იქნება. აბა სხვა რალა გიყვავ. დადვეს პირობა, მისცა მგელმ ხვთის ფიცი, მართლა ესე ვიქამო. წავიდეს. დალამდა დაჟ, მართლა ანათებს ის ბატკანი ცხვარში...

მოუარ იმ ცხვარსა და წამოასხა, გამოლალ. მაირიგა მწყემსები, დააყენა თავ-თავის ადგილას, საწველაე საწველაეად, ბატკან კიდენ მთაში გალალ. არი გამართული. გაიმართა კაცი.

— კაცო — უთხრეს ძმებმა — საით მოლალე შენ მაგოდენა ცხვარვი. სამ ცხვარ მოგეციოთ და ეხლა რარიგ ფარააო.

— საით მოვლალე, გაუშვი მთაზედავ, უნაშენებავო, ბატკნებ დაუჩენავო, ახლა ბატკნებს კიდევ ბატკნებ, კიდევ, კიდევ კიდევო და ა ე ფარა კი შაქნილავ. წავედ ეხლა, მოვლალე.

წავიდეს, ეხლა იმეებმ წაიყვანეს ე ცხვრები და გაანებენს ე მთაზედ თავი. შახვდა მგელი და გაავლო მუსრი. მეორ-მესამე დღეს წავიდეს, ზოგ იქ მოკელეს მკედარი, ზოგ იქ, ზოგ იქ.

რალა ქნან, კაცო. დაგვლუპნა, რად მოგვატყუა, ეს როგორ მოგვატყუა. არავ კაცო, ეუბნებიან, რად მოგვატყუე, ხო დაგვლუპეო, შენ დაგვლუპეო. შენ უნდა მოგკლათო.

— არავ, კაცო, თქვენი ძმა ვარ, რად მამკლავთავ, მე ეგრე ვქენი და რა ვიცი, აბა თქვენ ცხვრებმ ვერ თუ ინაშენავ, მგელ თუ შახვდა-დ' დაგიჭამავ. რა გიყვა თუ... რა ჩემ ბრალი. მე მამ ვინ მამცა ეს ცხვარი, აი ჩემ ცხვრების ნაშენია. ესრ ინაშენეს.

კარგი, დაშოშმანდეს ის ძმებიც.

ახლა დედა მაუკვდა კიდენ, ცოლ არა ხყავ იმას. დედა მაუკვდა, უთხრა იმ ძმებსა. კაცო, ეს ჩემ დედა თქვენი რა ბედენად იყვ, სუყველაის დედა იყო, გავთხაროთ საფლავი, მიშველეთ დამარხვას,

დავმარხოთ. არაო. ჩვენ არ ვიცითო, შენდ ნამრგალ იყო დედაო და თუნდა დამარხო-დ' თუნდა ეგრე ქონდესო.

აილო დედა დაჟ როცა გადასწყვიტა იმედი, რო არა მშველენ, არა მშველენო, აილო, ძობანზე შააგლო, გააქმო. ერთ კაი ქალ იცის, კაი მცხოვრებელ კაცი და წავიდა მემრე და როცა გავმა კარგა ი ბე-ბერი, წავიდა, დააკრა ცხენსა ის დედა დაჟ წაიღე. მივიდა ი კაცის კარებზე, მახჯადა ეს დედა, დაუყუდა ჯოხი და დაახყუდა იმაში. თავად შავიდა შინა, ხურჯინ შაიტანა. ქალის სათხოვნელად მოვედი-თო, ეუბნებ ქალ უნდა მამცათო. რა ვიციო, იმან უთხრა, აბა იქნება მოგცეთ, იქნება არავ. მარტუა ხარ, არავინა გტანავო. დედა მტანა-ვო, უთხარ. სად არი, რად არ შამოა შინავ. რა ვიციო, ხათრიანიო ღედასჩემიო, არ წამოავ. გავიდა ეს ქალი, ეობნება ბებერსა, რომა წამოდი სახლშიავ, აქ რადა ხარ, მარტყუა რადა მდგეხარო. არ იღებს კმასა ბებერი. წამოდიო, მიეწვადა, გამააცალა ი ჯოხი, მაჟიდა ე-ლი, ხო, მითამ უნდა გამოავლიოვ. რო დაიძრა, წაიქცა ეს ჯოხი და დეებერტყა ბებერიც იქ. გაიქცა ეს შიშით გახეთქილ ქალი, რო წა-იქცა ბებერიც. გამოცვივდეს. კაცო, დედა არ მამიკლათ. მა-შიავ ის დაიყოლა პირით. გამოცვივდეს, ნახეს, მკვდარია, კაცო. ველარც ის შაატყვეს, რომ გამკმარ რო არი. დააწვინეს, აბა რა იქნება, რადა იქნება, მოკვდა, მოკვდა, უთხრა მემრე, რო ან გამი-ცოცხლეთ ე დედაი-დ' ან მამეცით ე ქალივ. აი ამისაგან მცხოვრე-ბელ ვიყავო, ეს მაქამკრებდაო, ეხლა ესეც აქ მამიკალითო, თუ არა-და-დ' გიჩივლებთო.

— არაო, ნუ გვიჩივლებ კიან და აი, წაიყვანე ქალი ეზლავ. აჟკიდა ი დედაც ცხენსა-დ' ცხენი ქალს მისცა ეელშია-დ' თავ-ჯ:დ წინ გაჟაუღლვა-დ' წამაიყვან. გაუთხარა მემრე საფლავი, გაათხ-რევი, მწყემსებ მიშველია, კაი ხარჯიც გადაუქადა-დ' დამარხ. ქა-ლიც იქ არი, რა თქმა უნდა, ესეც ექმარებ.

კაცო, ახლა ნახეს, იმათ ცოლებს ჯობია ის ქალი.

— კაცო, საით მაიყვანე შენ ეგეთა კაი ქალი, ვინ მოგცავ.

— როგორ თუ ვან მამცავ, თქვენ გეგონათო, რო ძმა დავლუბეთ ეზლაო, დედის დამარხვას არ უშველეთო. ავკიდე ცხენსავ. წავი-ლევ, ვიძახეო: ვის გინდათ მკვდარი ცოცხალზედავ, ვის გინდათ მკვდარი ცოცხალზედავ. გამამიჩნდა მენდომეო, გამიცვალა ქალზე-დაო-დ' წამოვედივ.

კარგი, დაკოცეს ეხლა იმეებმა ე ცოლები... კიოთ სად წავჯვდე-ბით ჩვენც კაი ქალსავ, აჟკიდეს ცხენებსა, წაიღეს ახლა იმეებმა, მი-

დიან, საცა სოფელში მივლენ — ვის გინდათ მკვდარი ცოცხალზე, ვის გინდათ მკვდარი ცოცხალზე. გამაუცვივა თითო-ითო, გჩეები ხართ. რეები ხართ, ლანძღვენ, აგინებენ, ვინ გაგიცვლისთ მკვდარს ცოცხალზედ. წამაიღეს ისრიე, იქ არავინ რა გაუცვალა-დ' მლიდნეს, დამარხეს ი ცოლები.

რალა უყვათ, როგორ მოექცნეთ მაგას, იფიქრეს ახლა ი ძმებმა. თქვეს რა, რა დაღამდება, რა დაწვებიან, გაუკიდოთ მაგ სახ-კარსა ცეცხლი და ჩავსწვნეთ შიგ ცოლიცა-დ' ქმარიც. გაარიგეს, ისე უნდა უყვან და იმან უკვე იცის. რა ვიცი, საით როგორ რამეს იგებდ. გამაიტანა, თუ რამე აქქონდა ვეში სახლშია, ცოლიც გამაიყვანა. თავადაც გამოიდა, გვერიდნეს და ... მივიდეს, მოუკიდეს ცეცხლი ამ ძმის სახლს. იმათა მგონავ, შიგ იწვებ. ჩაიწვა სახლი. მეორე დილა გათენდა, ი ცოლი დამალა სადღაცა, ი ბარგიც, ისეთ ადგილას გაიტანა ისეებ ვერ დაახედავენ.

— კაცო, რად დამიწვით, ე სახლ ხო თქვენ დამიწვითო, უთხრ.

— საითლა გადაარჩი შენავ.

— საით გადავრჩი და გამოვარდივ, საით გადავრჩივ. ცოლ კი დამეწვავ. ვეშიც ჩამეწვავ.

მაიყვანა ცხენი, შეეკაზა ისრივა, მეშოკებში აკრიფა ეს ნაცარ-ნაწშირი და მააკრა კარგა მაგრა პირსა და ააქკიდა ცხენსა, გაუძღვა წინა. ხელვენ ი ძმებიც. გაუძღვა წინა და წავიდ. ერთ ფულიან კაც იცის. გოღორ-იარშიკებში უძე ფული, ოქრო-ვერცხლი. მივიდა იქ. მახზადა, უნდა დამაყენოთ ამალამავ, უთხრ. მახზად აი ცხენსა და დააწყევ იმაში, მეშოკებ, გარეთ. დაგაყენებთო, უთხრეს, ჰო, დააყენეს. მეორე დილა რო გათენდა, გამოიდა, უნდა ააქკიდოს ცხენსა, წაიღო. ნახა მეშოკები, ბიჭო, ნაცარ-ნაწშირია.

— ეს რად მიყავით, თქვენ რად მიყავით. განა იმით მოგენდით, იმით გესტუმრეთ, რომ ესე მიყავითო. მე ემაში ფულ მედვა. ეს ნაცარ-ნაწშირი ჩაგიყრიათ და ი ფულ რა უყავითო. არავ, ისეებ იფიცებიან. არ ვიცი მეავ, აი ფულ მედვაო-დ' მიმქონდავ, სახლში უნდა მიმეტანავ. დამიღამდა, დავდეგო და თქვენ კი გამცვარცეთო. წავალ, გიჩივლებთო. არავ, ნუ გვიჩივლებ კიაო და როგორც იყო ისეე მოგიყრით ფულითა მაგ მეშოკებსაო და წაიღევ, ოღონც ნუ გვიჩივლებავ. დაავსებინა ი მეშოკები ფულითა, ააქკიდა იმ ცხენსა დაყწამოიდა. მაიტანა, გააძფინა ახლა ისი. მოიღეს ნახეს ი ძმებმ.

— საით მაიტანე ე ფული, კაცო.

— საით არ მოიტანევ, თქვენ გეგონათ, ძმა დავლუპეთო. ეხლაო,

ნახეთ, როგორ სახლს დაედგამო. ხო ჩამიწვით სახლიე. ავპკრიფე ნაცარ-ნავშირი, ხო მხედავდით, ავპკრიფე, წავილეო. ვის გინდათ ნაცარ-ნავშირი ფულზედავ, ვის გინდათ ნაცარ-ნავშირი ფულზედავ ვიძახეო და გამამიჩნდა მენდომეო, ნაცარ-ნავშირ იმას ჩაუყარეო, ფულ მე ჩამიყარავ.

ახლა იმეებმ წაუციდეს თავ-თავის სახლებსაც ცეცხლებმ. დაწვეს. ავპკრიფეს ახლა იმეებმა ი ნაცარ-ნავშირი-დ' წავიდეს. წაილეს. იარეს და იძახიან საცა სოფელში მივლენ. რო ვის გინდათ ნაცარ-ნავშირი ფულზედავ, ვის გინდათ ნაცარ-ნავშირი ფულზედავ. გამაუყარდება თითო-ითო, თქვე ასეთებო, თქვე ისეთებო, ვინ გავიცვლისთ ნაცარ-ნავშირს ფულზედ. ლანძღვენ. რალას იქმენ, წამოიდეს, გამააცილდენ სოფელს. დაიშორეს ი ნაცარ-ნავშირ კია-დ' შეიკლეს ცხენებზე და მოიდეს სახლებში. კაცო, ეს რა გვიყო, მაიფიქრეს ეხლა, რა უყვათ, ამეებს, ამას, რაითლა მოიშოროთ. ცეცხლ შავაყარეთ, არ დაიწვ. ცხვრებიია, ამდენ დაგვიღუპა, რალა უყოთ. თქვეს, რო წავეყვანოთ ესნ, დავიჭიროთ, წავეყვანოთ, ერთ მთა არას, ეგრე მდინარე მოდის ქვეშითა, იქ მოექსოვოთ გოდორი, შავაგდოთ იმ ამეში, გოდორშია და გადაუხლართოთ პირები-დ' გამოაგოროთ. ხო ჩაიხრჩობა ი წყალში, იქით ხო ველარას გვიქამს. გაიგეს რო ხიტრობს, ისი, ატყუებს.

წაიყვანეს, დააბეს ერთ ხეზედა-დ' თავად წნელისად წავიდეს, წნელი უნდა მასკრან. ეს ეზიდება, იზიდება, პო, მგზავრი რო მიდ-მოდის (სამგზავრო გზის პირზე დააბეს) იზიდება, არ მინდა კელმწიფობაო, იძახის, არ მინდა კელმწიფობაო. ზოგ კი დეეყუდება, დაიყურებს იმის ლაპარაკსა-დ' ზოგ არ უგდებს ყურს. მემრ ერთ თავადიშვილმ გამაიარა. ამას ჩერქეხულ ჩოჯა სცეავ, ბუხრულ ქუდი, გამოწყობილია, ახალუხი, კაი ქამარ-ხანჯარი, გამოწყობილია... იზიდება, იზიდება, არ მინდა კელმწიფობაო.

— კაცო რას იზიდები, რად არ გინდა კელმწიფობა, კარგია.

— არ მიწდავ, კარგია, ვიცი რო კარგია, მაგრამ არ მინდა მე კელმწიფობაო.

— კაცო, მე მინდავ, თუ შენ არ გინდავ.

— აბა თუ კი გინდაო, დამაზეზე მეო, გაიქადე, ე შენ ტანისამოს მე ჩამაცვივ, ე ჩემ ტანისამოს შენ ჩაიცვივ, დაგაბამ ე ხეზედაო და დაგაყენებენ კელმწიფედავ. აგრ კი დაიწყოდი ძახილი, არ მინდა კელმწიფობაო, შენცა, როგორც მე ვიძახივ.

გასცვალ-გამასცვალეს ეს ტანისამოსიც, ე ქამარ-ხანჯარიც შა-

მაირტყა. ის ბუხრულ ქულ დაიხურა: დააკრა ის თავადიშვილ იმ ხე-ზედ, იმის დაგლეჯილ ტანისამოს იმან ჩაიკც. წამოიდა ის კია.

მოიდეს ეს ძმები, ნახეს, იზიდება ისრივა, ტანისამოსი იმისა არი, -მეგების ცნისი. რა ვი, სახეში თუ აგვანდა თუ არ დაჰკვლიეს იქნება, რა ვიცი, დაახეზეს ე კაცი, შააგდეს ამ გოდორშია, გადაუხლართეს ე პირები და გააგორეს. წავიდა, ეცა ი წყალში. ერთ ორ ღღეს იყო ჯამალური ისი, არ გამოჩნდა. შემრე გამოჩნდა. მოიდა ისრივ სახ-ში. გაენაცნაურა ი ძმებს. ამას ჩერქეზულ ჩოჯა-ახალუზი, ქაპარ-ხანჯარი, ბუხრულ ქული. გამოწყობილია კაცი.

— კაცო, საითლა მოხვე, როგორლა მოხვეო, ჩვენ წყალში მი-თამ ჩავაგდეთო.

— წყალში ჩამაგდეთ, რა ქვა დამკართო, უთხარ, სამყოფ იქა ყოფილაო თორე, აქა რააო. მენ იქ... აი ორ-სამ ღღეს ვიქნებე, მემ-რე იქავ წავალო. სამყოფ იქა ყოფილა, ბედნიერობა: გამაუცვლიან ტანთა, აბანავებენო, ესე არი, ესე. თუ გინდა გამაგზავნიან, აქავე წამოა, თუ გინდა იქ იქნება, იქ ოცხოვრებენ. ცოლ-შვილიც იქ წა-ეასხი მეო. ცოლიც დამალულ ხყავ.

ახლა, როგორ მაიქცნენ ისეები, იმას დაღონდენ. როგორა და წავიდეთ ჩვენ. მოვკრათ წნელი და დავქსოვოთ გოდრები, შავსხ-დეთ შიგა და გადავიხლართოთ თავადა და პირებ ისრე გვაკეთოთ, რო არ გამოვტყვივდეთ, მანამ იქ ჩავალთ, წყალში. წავიდეს, მაშ-ქრეს ეს წნელი ამ ძმებმა, დაქსოვეს ეს გოდრები, გადაუხლართეს პირები თავადა. დაგორდეს მემრე, ეცნეს ამ წყალსად ღღესაც იქ არიან. მაიშორნა ისეები.

იქ კირი — აქ ლხინი

იქ ქატი — აქ ფქვილი.

მალარო

5. ზურაბის ამბავი

წინავ კადვე ყოფილა ფშავლები, იქ უვლავ, ულაშქრავ ქისტე-თი. უთქვამ. როცა აქით გადაუღოდა ცხვრები, ერთ ბებერ კაც იყო, ასია წლისაივ: ნუ დადღოთ, ნუ იტაცებთ ენა ცხვარსაო, თო-რე, ფშავლებმაო, ერთხენ შვიდ წელ გვაქენინეს ვირებითავ, ისევ ფშავლის შვილებ იქნებავ, კიდენ გაიზღებოღესავ, ასირე რაით მოგი-ვათავ. აბა. იმათ არ დაუშლავ, მაინც დადიოდენ, ლაშქრავდენ, მიკ-წინდა ცხვრები.

ასი, ნიკალა რო ჩამაადგეს, მემრე ყორდანია დადგა. ის უთაე-ბოლო კელმწიფე რაიმ გამოიდა, ვერა კელმძღვანელობდა ზალხსა. იარალ კი გამადსცა, ხალხს მისცა თავ-თავისა, თოფები ყველას ქონდა, თავის თავ თავად დაიეცითო, მაგრამ კოცდენ მწყემსებს, ბევრსა მპკოცდენ, გადაუდიოდა ფარები. აი, ქალა-ქალის პირთ იყვის სრულ, მთაზე კი ველარ აღიოდ. მემრე მთის მელიცია გაამწესეს ყარაულად. მელიცია იყო, მისცეს თოფი. ხოდა, იმის გაგულისებულ-ლი, ყარაულ როცა იყო, მთის მილიცია დადგა მთებზედა, ერთ მწყემსი... წეესხა ცხვარი საძოვარზედ, მთაზედ, მითომ ყარაულებია, მო-ჩემველებიან, თუ რა გამიჭირდა, თუ მოიდა ქისტებივ. შამქდარიყო მალლა მთაზედ და იქ თენების ხანა მამსვლიყო ქისტები, მოსულიყ-ენენ. ი ყარაულები ზოგი წამოსული ყოფილიყო, ერთილა ყოფილი-ყო იქ ყარაული, და ბიჭუა იყო კოშართით, ისიც გამამქევეიყ. ი მწყემსსა კიდე, რომელიც წინამძღვარი ყოფილიყო ქისტებისა, ბე-ლადი, ის გადმამსტევებიყ. რო დეეკივლა, გაიქე, ის არა გამოქცე-ულიყო, რუსის თოფი მქონიყო, ვისტონკაჲ. მიებრუნა დაჲ მიერ-ტყა იმ ქისტისად, წამეექცი. მანამ ი სხვებ მიეშველებოდეს, მი-ვარდნილიყო, იმისადა, კალიან გულა მკიდებიყო ზურგზედა, ი გუ-დაც ეეგლიჯა, ის თავის თოფ-პატრონტაშიც ეეგლიჯ. მოსულიყო სხვა ქისტებიც, მიეყარა მემრე იმისადაცა და მაჭაში მეერტყ. ას იყო, ზურაბ ექვიენა იმას. ცამე-თოთხმეტის წლისა იყო იმეანად. მემრე ი კელ ველარ იქმარა, ცალის კელით ის თავის თოფიცა, იმ ქისტის თოფიცა, ეეთრია ი გულაცა, დაქანულიყო პირთაექე, ქუ-ჩიანზე. მანამ ქისტებ, ემეებ ჩამაილიდენ, ერთ ეხის ძირში სამ შამძვრალიყ. გავხედნოდევ. აი ქისტებ გად-გამოდოდისაჲ ეხის თავზედაჲ ზედაჲ.

მარტო იმან ისახელა ფშავში ამ მოკლე ხანში. მაინც წეესხა კია ი ცხვარ ისრივა, გეელალ. ი ქისტიც წეელო ი რაც მაუკლავ. ის კი ცოცხალ გადარჩა, გამორჩა ისრივა. ეხლა კი მოკვდა, აღარ არის ცოცხალი.

— ხო. ნელობამდე ცოცხალ იყო, ცოტა იყო, ჯეილი მოკვდა ისრივა. ლეჩურში გადავიდეს, იქ მოკვდა. აი, დამთვრალიყო-დ' წყალში გაგორვილიყო. ჯეილ იყო, ჩემზე ბევრით ცოტა იყო ისი. ლექსიც არი მაგაზე ნათქომი.

— რავი, მაკსონდ კია-დ' თუ მოიგონებ კიდევაცა, არი საჭირო?

— გრძელ ლექს რაით იქნება, კი დაამთავრებსა? ეყოლ?

შამოვსწვე თვოს პირზედა,
 დავინჯე საუბარია,
 პატარა ნოტოანი მყავ,
 ფარეხში მიდგა ცხვარია.
 გაუავდრებავ ოჭერსა,
 წამამდგომია წყალია,
 მთას დამსევია ჭანლები,
 ვერასა მხედავს თვალია,
 დიდია კეხა-ქუხილი,
 ნათლება არე-მარია.
 ხან წამოვდგები ფეკზედა
 მგელმ არ გამტაცოს ცხვარია;
 კოტიის გორზე ნათლება,
 აილის ქალი-დ' ალა.
 ჩეკურაშვილო ზურაბო
 იცოცხლე დიდი ხანია,
 გწყალობდეს ლაშარის ჭვარი,
 საერთო სალოცავია.
 წასულო საწყემსოშია
 არა გაქვ მავის ხანია;
 'შეშით არ არი მისანდთ
 ლალატანი მთანია.
 შენ მიჯნის პირზე შამქდარხარ,
 დაგიყენებავ ცხვარია.
 მოგივა ქისტრს შვილები
 ქათამყივილის ხანია.
 მძინარში სადამ შამოგწვედა
 ყმაწვილსა ქვიშის ჩქამია.
 წამოდგა თექიანაი,
 ცხვარს შამაელო თვალია.
 გაღმეეტა ბელადი,
 ქისტების წინამძღვარია,
 დამკიელა დიდის გულითა:
 — უნდა გავრეკოთ ცხვარია,
 იდე, გაიქე, ფშაველო,
 ხანჯრით არ მოგჭრა თავია.
 — დაიცა-დ' აცა, რჯულქაღლო,
 ცოტუნან დამიკალია,
 ჩემთან რა ბიკობა გინდა —
 ბალლი ვარ უმეცარია.
 რაღას დაიშლის, მოქანავს,
 ლაღის ურჯულოს ჭარია.
 გადასწვედა რუსისეულსა,
 ადე, მიჭირე მჭარია,
 პირში ჩაუღვე ვარშავი,

სისხლისი კენიტი ძეალა,
შამიბრუნა პირალმა,
შამაანება თავია.
ბალმ ვაშკაცი ...
როგორც მანძილა ხარია.
ღაშალნა ჯელნი რჯულძალღმა,
ღამჰკვივლა როგორც...
ქმა მეტად სენი ზღებია,
საელდო, საზიზღარია.
მივარდა გულჯაგრიანი,
გულმა არა ქნა ბწყარია,
საგძლიან გულდაც ავლიჯა,
არა გაქ კამის თავია,
ამჰყარა იარაღები.
პირქვე დააგდო მკედარი.
ჯარეჯას ფშაელებ დაჰჯოცეთ,
აბრუნეთ ცოდვა-ბრალა.
ფშაეში ცუდ ამბავ დააგდეთ,
ატირეთ ქალი-ღ რძალა,
თუშ-ფშაეველთ სისხლით შაღლებეთ
ჯარეჯის მიწა-მყარია,
ღამჰქადეთ ტანსამოსი,
მზეზე დაჰყარეთ მკედარია;
იმათა იყავ უმცროსი,
იმათ უზიდენ წყალა,
უკეთე სახევე-საფევი.
იტირე, როგორც ქალა.
მემრე კი წამაყარეს,
რო ციღამ ქარიშხალა,
ყმაწვილს მაჯაში მარტუეს,
ველარ იქმარა მჯარია,
ღაქანდა ქუჩიანზღდა,
სისხლისა მაღდეეს კვალა.
უკვენ მაღდევედა ქისტები
ქისტების მოძებარია,
ამოჯდა ეხის ძირშია,
სადაც რო მოსაფარია.
ვამ თქვენ ზურაბსა, ქისტებო,
რო არ ღამცალდა ხანია,
თოფ ვერ ავიღე ჯელშია,
ველარ გაეაღე თვალა.
თქვენ მაშინ თქვენში ვეკეხნათ,
რაც ჩემ წაგესხათ ცხვარა.
ბიჭუთა გაღამქცევი,
ვერ უკერავას მხარია.

აიქ დასოდეთ ბიჭუა,
 რო დასხდეს დედათ ჭარია,
 თავზე დაახურეთ ჩიქილა:
 ქუდის ღირს აღარ არია,
 გვერდით დაუდგოთ ხოკერი,
 კელში მიეციოთ ტარია.
 შენ ფშავეში ნასახელო
 გეკუთნის საჩუქარია,
 ან უნდა მენდალ გეკოდოს,
 ან უნდა სისხლის ჭვარია.
 გოგი ვარ გოგნელაშვილი
 ემაგის მაუბარია.
 არც თქვენ ვარ მინდა, ქორაი,
 არც თქვენ შინაში ცხვარია,
 ამ ლექსში გამამიჯნვეთ,
 რომელაც კაი ქალაია.
 დამთავრდ.

მალაროსკარი

6. გოგოლაურნი

არ ვიცი საით მოსულეები... მოსულეებ საითამ არიან, ჰო, მოსულეები. მონადირედა ყოფილან, სანადიროდ წამოსულეები, რავი, საით წამოიდეს, აბა, ის არ ვიცი.

... ხო, გოგოლაურთას. ტყე ყოფილა ნაშინ. ეხლა ხო აღარ იზადება ის ტყე. სანადიროდ წამოსულან და მასწონებია იქ სასახლეები დასადგომად, სამყოფლად. მეედანი, ვაკე იყო ზოკან, ალბათ, რა ვიცი. ეხლა, წისქვილ სად გავაბრუნოთო, უფიქრებავ, წისქვილი. წამოსულან ეგრე, სამ აი, ნარაულას ვეძახოთ, ი ნარაულაისაკა და ჩქამ მიზდენია, წყლის ჩქამი. დახყოლიან ი წყლის კმას, დახყოლიან ეს მონადირეები და ჩამოსულან ი ნარაულაზედ. ჰო, აქ საწესქვილოც კარგ იქნებო, უფიქრებავ. დაუკეთებავ კიდევ წისქვილები იქ. დამდგარან მემრე იქა. ნიძმატებიან, მენრე რა ვიცი, იქ გამირავლდენა, კიდევ ცხვა ხალხიც მიემატა. რავი, ბევრი ნაყოვლარ კი არი იქაც.

მალაროსკარი

7. წყლის ჯარა

წყლის ჯარა ისეთია, შვილო, რო დიდი ხეა ეს... იქითაც ბოძი აქვ, აქათაც. საცა ი ფთეებ უკეთდება, იმას წყალ მაზღის. აქათ ჯარა არი, იმას, ლამბს ვეძახით, იმას ლამბ უძე. ი ბორბალ იქა ბრუნავს და ი ჯარაცა ბრუნავს. ერთ ხეზედ არის სრულა ფრთეებით დაკეთებულნი. ი ჯარაც იმ ხეზედ არი.

— ლარით აქვ მიგდებული და ი ფთეებს მაღლის წყალი და ბრუნავს, აქათ ჯარაცა ბრუნავს, ისიე ხე აბრუნებს იმ ჯარასა... ჰო, ჰო, მაღლის წყალი მაღლაითა-დ' აბრუნებს. ლარით არის მოგდებული.

— არა, დასთვა არა, მარტო დაძახა. ჩქარა გამაძახახს იმითა კაცი. სუ კელითა ვძახდი, კელითა-დ' მემრნ ი კაცმ გამიკეთა ი წყლის ჯარა. იმაზე ჩქარა ვძახდი. აღარც ვილაღებოდი, მარტო ვესნიდი თხორსა, ვესნიდი. გამოდიოდა ი ჯარისტარზეითა ი ნასთი და იძახებოდა და ვესნიდი.

— აი ემთვენა არი. რაც კელის ჯარას უნდა, იმასაც ის უნდა.

გომეწარი

8. ურია

— რეებ დადიოდენა?

— კი დადიოდენ, კია და... (იციინის)

— იმის სიტყვა მამაგონდა, იმ ურიისი.

— პური-ოთ მოგშივდაო, მამიტანა პური, ყველი და ჩაბიღუა კალთაში. აქ დადევო, მითხრა, დედა ჯავარსთანაოქნუ წახვალ სახ-შიავ. ის რო წავედა, ლამებაც დაიწყო, დასალამოვდა. ი პურ-ყველიც წყალში გადავადდე, გავიქე მე შინაისაკა, წავედ შინ, ის აღარცაოთ გამაიქცას, არ მამეწიოსო.

— აი, ანა იმის მონათლული მყვანდა-დ' იმასთანა დგებოდა, ი ბებერთან, ჰო, კაც-დედაკაცნ იყენეს, ბებრები. აღარ მიშვებდა შინა, აქ დადევ, დედა ჯავარასთანავ.

— კი თუ მოვჭწონდი.

— არა, რა გასათხოარი, შვილები მყვანდა, აქ ვიყავ, გომეწარსა. ერთ ამასაც ამოგართომ, ბურნითსო. მითამ ბურნითს რო ვჭწნევიდი. მაშინავა ვჭწნევიდი ბურნითსა. ერთ ამასაც ამოგართომ ზეინარო.

გომეწარი

9. მზევინარი და ლევანი

— არა, ვახტანგ არ იყო, იმის ძმა იყო, უფროსი, ლევან ექვივნი.
— ცეცხლ მენტო ბუხარში და ეგრე მალლა კეცი მქონდა დახურული. იმ კეცს უკეთებდი. ერთ ის მოიდა, ვაჟაის შვილი და მეორე სხვა კაც მამაყვა — კილენა. კარაქს რასამა მჰკრეფდენ. ის ლევანი შინ შამოიდა, სახშია-დ' ი სხვა კაცი კარხიავ დარჩ. ვზივარ იქა-დ' ის შამოლიოდა შინა, მენ ი კეცს უკეთებ, უნთებ ცეცხლსა. წამოფრინდა. დამტაც ექა... ამისვ დამისვა ლოყა ლოყაზე, მკოცნ. მოავლე მენ, ი რკინის კაჟაიუნა მექირა კელშია, ი კეცს რო უკეთებდი. ერთი თუ ორი, ერთი თუ ორი. გამექცა, მენავ მივასწარ, მიუჯარე კარები, მიუკეტე კარები, ვცემე კარგათა. ი სხვა ამხანიგ მეძახის, რო გამაუშვი წამოიდეს, გამაუშვივ მეზეუწება-დ' არ გაგიშობო, უთხარ, მანამ კაც არ მამივალისო, არ გაგიშობო. მემრე კი წავიდა, ჯანამას.

— ჰო, მემრე კი გაუშვი. კარგა მოვროზგე ი რკინის კაჟაიუნათ, კარგაჲ ვჰცემე.

— რაც მამიხილებავ, იმას ვიტყვი.

— აბა აღარ მავსონ, აღარ ვიცი, ველარ ვიცი.

— რავი. იქნება მემრე სად მამაგონდეს, თუ უფრო სუ დამავიწყდება სუყველაი.

— კარაქს რასამა მჰკრეფდენ, თითო გირვანქასა, თუ გირვანქანახევარს, რავი, რაად იყო ი ვაჟაის შვილი, ის კი არ ვიცი, არ მავსონ. კაი კარაქ მოკრიფა. არც არა კარაქ მივე იმეებსა-დ' არც... — ზურგზედაც. მკრებზედა, კელებზედაც, სუყველყან გავარტყი. გაჯექცევც. მაგრამ ველარ გამეექცა, ი კარებზე მენავ მიუსწარ, მიუკეტე კარები, მივჯარე, დავამწყვდიე შინ. არ გიგოშობო, უთხარ, მანამ კაც არ მამივავ.

— არ მოიდა, არ მოიდა. საღამოზე, ძალიან საღამოზედლა მოიდა სახში. რადა სცემაო, გამიჯავრდ. ვაჟაის შვილს რადა სცემათ.

— გამიჯავრა-დ' იმითა ვჰცემეო — უთხარძ.

— მენ უთხარი, განა კი დაუმალე, უთხარი. ესრე იყო, ესრევ-

— განა კი შაგჰამლო, ახლა რო გკოცნავ.

მალაროსკარი

10. ზევისგან დაღუპვა

აი ემეების ალალ ბიძაშვილი იყო, შვილო, ე იოსებისა. წავიდა. არ იყო წასავალი. არც მამა მყვანდა შინა, დედაც სხვაგან სადამა ყოფილიყო, აი დედაკაცი.

ჩემ ქალებს გამაუდგენ, რომაო, ნუ მიხლო, ბიჭო, ეხლა არ არი გასაუალო, ზოვმ არცა წავილოსო. აბა, ბაღღ უქკონია... ალარც ბაღღ იყო, ჩვიდმეტ-თვრამეტის წლისა, იმას კაცის საბაზა უნდა გეგონა-დ'... მაინც რაღაც თავისებურებ იყვენენ, ბეჩავ ბაღღები წავიდა ბაღღი, გადევფარა. იქით ქვე იყო, რუვი. აყოლია იმ რუვისა, შვილო. ერთ... იანვარ გადიოდა, რაღა, იყო დიდ თოვლი და წყალ გადიოდა ი თოვლსა. პირმზითია ჩვენ ალაგი.

იმის დედამ არ იცის... არვი, წყალზეა ყოფილიყო, საღლაცა ყოფილიყო. მემრე უთქომ... აი ე თედუაი მენა ბატარაი მყვანდის, მაშინ რავი რა დროთა იქნებოდა, ცხრა-ათის წლისა იყო თუ ვერც იყვ. დავითო კიდენ პატარა იყვ. ამისად უთქომ რომაო. მენო ზევის გამოაქანებო და თქვენაო დაიყუროდითო, რარეგ კვან მიიტანს ისივ. ძან სახთ ახლოს ჩამაიარა ი ზეავმა, არ იყო შორს. და იქცა ეს ბაღღები. უჭავრობთ ჩვენა: ბიჭო, რაისად მიზდით, ე თოვლ სუ ყველყან დაზეავდება-დ' რაისად მიზდით იქ.

ჩაიარა ზეავმა, წავიდა და... უთხარ მენ თავის ქალებსა, შვილო, საღ არის თქვენ ძალუაიო, ი ბაღღ საღ არი, რო არცა გამოჩნდაო, ი ზეავ საით მოიდაო. აბა აიარეთ, შვილო, ხო მაინც იქ დაზდით, ზენაო, თივობაო და აბა აიარეთო ემა თავისივ ნავალზედაო, რა იქნა ი ბაღღიო. ძნელ არა იქნას ემანდაო, დედ-მამამან არაით დაღუპნასო-დ' თავის თავიკაო. წავიდენ ქალები, აიარეს. აბა თივლი იყო... ჭერ როდის აილიდენ. იქით-აქათ ვიარეთო... ბაღღის ანავალიაო, ვნახეთო და იქ არი მინავალი მთაზედა და... იქით გამაუხებთქავ ი ზეავიო და მანდ ბაღღ არ იბადებო. გადმოჩნდენ ტირილით, წიკობით ეს ბაღღები, ეს ქალები. ჩამოიდეს. ვკითხე, რა ამბავიკაო. მანდ ვახტანგ აღარ იბადებო, მითხრეს. არსად არ არი თოვლის იქით-აქათ გადანავალი, ზოვია წამოსულიო-დ' მამ საღლა წავიდავ. თუ იქით-აქათ გეველო, ხო ნავალ ექნებოდაო-დ' ნავალ არ არიო.

ვაიმე, რა ვიკადეთ, ჩემო შვილო, მაშინ! არც იბადებოლის კაცისძე. ჩემ კაცი შირაქში იყვის, ძროხაში კოლექტივისაი-დ' ისიც კახეთ რაადამ იყო წასული, იმის მამა.

არ იყო მოსული იმის დედა. გადაეჩნდი და წყალზედ არი, ტანისამოსებს რასამა რეცხდა. საღამოლა არი, ღამდება. გადაეჩნდი და უთხარ, ქალო, რადარ შინ გამაილი, რას გამაეკიდე მა ეშმაკ-იუდათა, გამაიარე აქავ. მოიდა და უთხარით, აბა, ნიდაგ უნდა გვეტქვა. რო ბაღლ აღარ არისო. წავიდა ახლა ისი კიდენა. იმ ქალებს არ დეენდო ისი. წავიდა, ახლა თავად გაიგო რო ი ბაღლ აღარსაით არი. ზვავ ჩავლილ იყვ. დაღამდა, შვილო. გაჰყვენ ი ძალუასა საჰნივ: აი ექ რო ქალაი, მაგის მამიდა იყვ ერთი, ორნივ ჩემ ქალები, მესამეეს, მეოთხე თავადა ეს დედაკაცი, ღამით.. თოვ-ლია, შვილო, რო თუ გზას გადადცდება კაცი... წავიდენ იმ ღამესა, წავიდენ აი კვეზხედა. ვარ მენა. აი ბატარა ბაღლები, იმათებიცა და ჩემებიცა... ემეებს კი მაუარე, მაგრამ... დუშმანთა რომ ჩვენ ვიკად-დეთ მაშინა. სიმატროვე უფრო ძნელ იყო, რო არავინ იბადებოდ. მოიდენ... რავი რა ღრონ იქნებოდენ და ვასტანგის ქულ მაიტანეს. მეეველა ი ზოვზედა.

ახლა ი თავის შვილებმ დამაღონეს, შვილო, რო სიკვიდლ სიკე-დილ იყო, ის ხო დაიკარგა და... რო დეეინის ი ქალებსა, ვაიო, დაიწიკოიან ი მძინარეებმ, წამოცვივდიან. ახლა კიდენა, ახლა კი-დენა. მითხრა ი რძალმა, რომაო გამაყოლე ვინაო, წავალო შუა-ფხოს მაინცაო. წავალო, აი შუაფხოთაო ან დეპეშას გაუგზავნი, ან რაი ი კაცსაო. რარიგაღლა უნდა ვქნათო ჩვენაო. კიდეც რო საღმე იყოსო, ჩვენაო რა იმის მოკვლევის თავი გვაქო, თუ არავის გავაგებინ-ეთო. რარიგად წახვალო, უთხარ, რარიგაღაო. მაშინ არც არა გზა იყვის, შვილო, წესიერი. ვერ დავდიოთ, თქვიან, ისეთ ყინულე-ბიაო-დ' ისეთ წყეულ სავალივ. თან არი ბნელობაო, უთხარჲ, რო ვის რა გექიროსთ, ან ნადირ რა შეგზვდესთ ე დიაც-ყმაწვილთაო, ახლა კიდე რო ვის რა გექიროსთო, რა უნდა გიყოთ მენაო. რასაც იქამ. იქამო, უთხარ, ნუ წახვალო. დილაზე კი იმას არ გეტყვიოთ, უთხარ, რო გათენდებო, წავიდენ, ესეებ თავად წავლენ ე ქალე-ბივ. გათენდა-დ' ისივ აი ნაზოვარზე წასულიყო ი დამწვარი, რო იქნება იყოს საღაო, ჩნდესო. იქ ვერა ენახვა იმასა. ამაიარა; წამოი-და მემრე და ემა ორწყალჩია, აი ეს საზგაო რო არი, ემანდ...

მე ვეტყვივ, ეთქვა ი კაცსა, მე მივალ ბარისავოსა-დ' მე ვეტყ-ვიო. კი არა, მე თავად გავგზავნი დეპეშასაო, ეთქვ. მე თავად გა-უგზავნი, შავივლი ეხლა ბაროსავოსაო-დ' მე თავად გაუგზავნივ, ეთქვა იმ კაცსა. იმას არა გეეგზავნა, შვილო, მისულიყო და იოსებ კლასშია მქდარიყო და დეეძახა იმისადა, რო ციგროშვილ გამოი-

დესო. გამოსულიყო ე ბაღლი, იმისად ეთქვა ესე ესე მაჲდა, ბაღლი ზვაემ დაღუბა. აბა რას დადგება. სწორებ კი იყვნენ და... მემრე ეგ ისეთ ბეჩავ გულისია რო... გამოარდნილა ეს ბაღლი. სკოლაში რაღას დაჯდება-დ' ან კლასში. 'გარიგდომია' ი მასწავლებლებსა, რო აბა მიშველეთო, არც ფული აქჲონია. ი მასწავლებლებს მიუცავის აი ფულიც, გაუგზავნის ი დეჲეში და... აქაც დაგვიდოდის ი კაცი, რუსულის მასწავლებელ იყო, იმას ენახვა, რო დაღამდაო, ენახეო, იოსებ ჩამეეფარა ფეკითო. უნდა წამოსულიყო არახოჯასა. გამოქცეულიყო ი კაცი, ი მასწავლებელი, მიებრუნა ისიც, ეხლაო ან გადაავარდები სადაო, არ არი საეალიო... გან ესეთა გზა იყვის მაშინა. ეხლა თოვლშიაც გაივლიან, ისითა გზაია და... ან ტყის ნადირნიო... მგლებიც ბევრ იყვის მაშინა, ხალხს შჲამდის, შაგჲამენო. გაჯავრომიყო, როგორ თუ იქ მიხვალო.

მეორე დღეს მოგვივიდა იოსები. ე შუაფხოვლებისად ეთქვა, ბევრ ხალხ მოიდა, შვილო, ეძებნესა-დ' აბა, ბა, ბა, ბა, ბა, ვერაფერ ვერ გაიგეს. ი ეფრემიც მოიდა ი მამა ი ბაღლისი და... მაინც ვერა გაიგეს. ერთი კვირა სუ იქ იყო მთელ ხვეყანა და ვერ მოკელეს, ვერ მოკელეს. ისიც არ სუ დარქარგა. აი, ექვს კვირა რასაც დღეს გაუტდა, მაშინ აი იოსებს მეეკელა, იმაში, ზვაეშია, შიღლო.

სუ ყველა იმას ეტყვის... ეხლა ი ბარისაჯოს რო დავიდოდის, კევსურიც არი მანდა, ფშაველიც. თუ მახეღავსო იმასო, მეღაიო, მეღა გაიგებსო. არ შაიძლებათო რო არ გაიგოსო.

აბა ი დედ-მამან კი სუ ეძებდიან, ცხვა ხალხ აღარ დადიოდის იქა და ისიც იცოდენ რო ცოცხალ არცა იყო, მაგრამ ველარა აქედედენ და აბა რას იქმოდენ.

იოსებ მოიდა, ხუთშაბათ საღამო იყო და პარასკევს ექვს კვირა ვაუჯდებოდა ი ბაღლს. ბიძაიო სად რა არიო. მითხრა. მოიღის, დაწვის ჰირქვა, ტიროდის, ტიროდის. სუ ვეჩხუბებოდი. ჩემო შვილო, ნუ გამწერელჩვილდებო ეგრეო, ნუ სტიროო. ბიძაიო აიქ იქნება წასულიო, შვილო, მე უთხარ, იქ ყველდღე დავალისო, ი ზვაესა მთხრისო, მაგრამ იქ ვერასა აქელავსო. მენაო, ეგრე უნდა ჩავიაროო, მითხრა. თოვლიც რაიმ იყო მოსული, ყაპყა ბატარაი. ესე ნაზოვარს უნდა ჩავყვეო, ზოკან მშრალიც არიო. ჩამყოლიყო, შვილო, და, იმეებმ სადა თხარეს, სად ეძებნეს, საცა აღარ იყო დამრჩალ ზვაეი, სუ ზენა, უფრო ახლოს, სუ ახლოს, იქ ენახვა, შვილო, რო ის მეღაია ჩამძვრალი. ბატარა წყალა გამოდიოდის და ი წყლის ნაჲამშია, იქ ზოვში მძვრალა რაადამ მეღაივ. წასულიყო, ეთქვა ი

ბიძისადა, რომაო ესე, ესე რაიმა ვნახეო და... რა ვი, ი კაცს რაღა მსჭირდა, სუ იქ დავიდოდის და იმაში ვერ მივიდა, იმ წყალთან. სუ ცოტად ამეეთხარა, შვილო-დ' ამეეჩინ, აბა, თოვლში.

დაიძახეს, რომეო ტანისამოსებ წამაიღეთო-დ' მაშინავ გავიგეთ რომ მოველესო.

აი ეგ იყო-დ' ეგე, სიკვდილ-სიცოცხლე. ცხვა ვერა ვიცუ.

— კია, შვილო. სუც არ იყო წამგდარი, მაგრამა შექმული ზოვისაგანა... აი კელ-მქარნი, ფეკნი, დატეხილნი... ე თიკვებით მოუბა ი მამამა, ჩააცენა ი ტანისამოსნი.

აბა, ზოვი და მემრე იმ კლდეებზე გადადის, ქუხს, როგორც აი ცა ქუხს. აბა იმაში კაც იყოს, რას გაუშვებს ცოცხალს. არც ტანისამოსნი, ჩახეულ-ჩაწეწილნი.

ა ესითა კი მოველეს, ბეჩავ ბალლი.

თხილიანა

11. ბალლის დაკარგვა

ძროხებშია მხყოლია და წყალნი მწყურანო, უთქვამ ბალლს. — გაიარეო, იქით ჯეე იყო, დედას უთქომ და... იმას ფარტენან უსჯიან ი ღედაკაცსა.

კი თუ დაავიწყდა ი ბალლი, ველაროდის თუ მაიგონა, როცა მაუგონებავ და საღდა არი ბალლი. გაიარა იქ ჯეეზე, არ არი ბალლი. ესრე ე მდინარე მაუდის წინა გაუვლავ იქ. პატარა კი არა, ყველაზე ისე... პატარა...

— ბალლს ვერ მაიტაცებს?

— არა, ვერ მაიტაცებდა იმ დროსა, შემოდგომას, თორო ეხლა კი დიდ იქნებოდა, ნიადაგ მაიტაცებდა. ბალლს იქ გაუვლავ და... დეეკარქა დედას ბალლი. იარა იმ დღესა, იტირა, იძახნა. აბა... აწ იბადება. მოიდა საღამოზედა და... ქმარ კი არა მხყვანდა შინა, დედამთილი მყვანდა. ახლა ი დედამთილი... დუშმანთა, რომ იმან დღეში ჩაავდო. ბალლ რარიგა დამჰკარგევ. დაიკარგა, აბა, რას იქამს ან დედა.

ა ისრე იყო იმათ ამბავი... მაუვიდა მემრე ქმარი და უთხრა ი დედამა, რომ... შვილსა, ემაგით გეობნებო, რომ მოკალო, დაღუპე ეგ ძალლის გაზდილი, ი რძალზედა, რძალს რომ მშურობდა. ვერც ეხლა გაიგეო, რომ დაგლუპა სრულაო.

— მე რაღა ბედენად დამლუბაო, ი შვილმ უთხრა, დედაო, რად იცი ეგეთა საუბარიო. მაგის გაჩენილიო, მაგის გაზდილ არ იყოო. თავისთავს რაღა უყვაო, თუ მაგის ბრალიო, მაგრამ იქნებ ჩვენთან რო ყოფილიყო, ჩვენთანაც მახყლებოდა ეგ საქმეო. ახლა ეგ მოეპკლა კიდენაო, თან უთხრა ი შვილმა, ისიც ხო მკვდარიო, დაკარგულიო, ჩვენ აღარ არიო. უფრო ორ-ორ მკვდარ არ გავვრცდებაო... მარხავადაო.

ეხლა, ეწყინა ი კაცსა, ეხლა, ეგრე რად მითხრა დედამაო. გამწაჩებულს. ადგა, წავიდა.

ბევრ ხალხ-ხოყანა, ბევრ სოფელ იყვის მაშინა იქა, აფშოს. ეხლა კი ორ-სამ კომლია არი. მთელ ქვეყანა წავიდა იმის საცეხნე-ლადა და.. არ არი, არ არი ბალდი.

ჩემ დედამაც იქ დავიდოდის. დედიმის გაზდილი ვარ მე, დედმამან კი არა მყვანდეს. რო მოვიდის, ვკითხოდით, რო რა ჰქენით დღესაო, რო იარეთო.

— არაფერ არ არისო, დავდით ტყეშიაო, ფოთოლ აღარ იყვის, ჩამოსულ იყვის ა შამოდგომაზე. წყალშიაო... იქნებ ან წყალმ წაიღოო, იყოს სადაო, იქნებ ან ტყის ნადირთ სად შაქამესო, გავიგოთ რაიო... ვერ გავიგეთ, ვერ გავიგეთო. დავსხედითო ერთ დღესაო, იუბნ ერთხელა და ოცდაათამდინ კაც-დედაკაც ვიყვენითო და წილი ვხყარეთო, რო აბა ე წილ რას გვეტყვისო (წილს უფრო მართალს ეძახან, მკითხავზედაც მეტიაო ისი); წილი ვხყარეთო, რო მკვდარიო აბა თუ ცოცხალივ და სამჯერ ვხყარეთო და სამჯერავ ცოცხალ ამოიდავ, არ არი მკვდარიო. სად არი ი ცოცხალი, რა იქერსო, რა აყენებსო, რა აცოცხლებს იმ ბალღს.

— არა, შვილო, წავიდა ის დღეებიცა და... დაანებეს თავი... ხალხმაცა... ყველას საქმე მჰქონდა. აი ერთ კვირას კი სუ ისრე იარა მთელ ქვეყანამა — ქალმა, კაცმ.

დაანებეს თავი ი დედ-მამათაცა და...

დადაუდიან და ტიროდიან, იმაების ბრალითაო ჩვენცა ეტირითო.

— იქნება ხუთისიც იყვ, არა, დიდა იყო. აი ეს სალომეს დროთა რაიმ იქნებოდა. ეხლა ეს ყინჩა გამამყვება რო გავიყოლებდი. კიდევ იზიდება, რო ძროხებთან გამიყოლეო. მაგრამ ჰქვა კი არა აქვ იმთენი, რო თავისთავს მაუაროს, წავალის, ან უგონთ სა წავა, ან წყალთან წავა, ან რაღაცას... ი და... მემრე სავაჟო უფრო ეშმაკი. მემრე რო ველარა გაიგეს და... რა მკითხავენთან დადიოდენ.

ზოგო იმას გვეტყვისო, კვესურებმ მასკრეს თავიო, ყუწის ძირში არი ჩადებულიო, ზოგი იმასო, წყალიმ... ზოგიო იმას გვეობნებაო ტყვედ წაიყვანესო. აბა რად უნდოდა კვესურსა იმათ... აი იმეებმ დაალონეს სრულა. ი მკითხავებმ უფრო გადარივნეს აი დედ-მამან-.

მემრე აი მთიულეთს სადამ დედაკაცებ მიდენილიყვნენ. აიმათად წეელები სანთელიდ იმას ეთქვა, რო იმის მამასაო, იმ ბალღის მამასაო... ლაშარის ჯვარია (დაილოცოს!) იმ აფშოსა, ლაშარის ჯვრობითა ლოცულობენ. ექ ხო არის, ე ფშავსა და რქითა ხყავის წაღებული, წაყუანილი. იქ არ შაიძლება, რო ხე მაშკრან, ი ხატთ ახლოსა. იმით დაცულია, სუ მუხიანია ისეთი რო... ი კაცი, ბალღის მამა, ეშმაკ კაც იყო. კიოთ რაად უნდოდა მასალადა, ი მუხებმ ეჭრა იქა და... წაიღებდა ალბათ შინ.

— მართლა, მამა. მუხებ უჭრაო, თქვიან, იქაო, ხატთანავ. იმის მიზეზიაო, ი მკითხავს ის ეთქვ. იმისგან კი მოკვლეს ი ბალღი, თორო აღარცვინ არ ეძებდა იმას. ერთხენაც იქნებოდ მოკვდებოდა, აბა იქ რა გააძლებინებდა ბალღს. იმის მიზეზიაო, სასიკვდილოდაო არ გაიმეტაო იმითაო, რო, მაგითაო უფრო დავსტანჯავ იმ კაცსავ. ისეც იქნებოდ. ი დაკარგვა უფრო ძნელ იყო, სინამდინ სიკვდილი. ახლა იმის ძებნა. სასიკვდილოდ არ გაიმეტაო, ეგრე უფრო დავსტანჯაო და... ვადით არიო. საფარველი აქვ დადებულიო, ზედა მცვივა ხალხიო, მაგრამაო ვერა მხედვენო. იქ არიო, მაგრამ ვერა მხედვენო. იმთონ ხოყანა ეძებსო იმ ბალღსაო და ე სამ დღეს უყურეთო და აჩქამდებაო, თავად აჩქამდება ისიო და... გაიგონებს ვინაო და ისეც ექნ: თივის მგულელებებს გეეგონა. ესრე ჩამოდის წყალი იქ, აი ემ ჩემ შვილებმ რაკი არ იციან. გაღმითისაკ ი თივის მგულელებლები, გამოღმით ე ჩრდილშია-დ'... ეს კიდენ განივრად არი (არავის ჭალაზე უჩვენებს), რალაც ვიწრო კეობა არის ის უფრო, იქით გავიგონეთო, ნინოო, იმას რაიმ იძახდავ. ხან ისი ვთქვითო, ეშმაკ თუ იძახისო.

— როგორ არ იცოდენ. როგორ არ იცოდენ, მაგრამ აღარცვის არ ეჯერებოდა, თუ აჩქამდებოდა-დ' ან ცოცხალ სადამ იყო-დ' ან... წამოსულიყვნენ. ეთქვა ი კაცისადა-დ'... ის კი მენცა ვნახე, ი კაცი, რო... საღამოდა იყო, მზებძანებანი, რო თოფ ეკიდა მჯარზედა და ჩეეფარა: ი... მაშინავ გავიგე, ი თოფ... სადამ მივავ, ბალღისა საძებნელად თუ მივაჟ.

წასულიყო. იმ ღამეს ე ტყეშია მდგარიყო. მეორე დღეს საცა

იმ ზაფხულს მთაშია ხყვანდენ ი ცოლშვილნი, იქ ეველო თავის ქონ-
ში იქ ეველო და... ვიარეო, სუ დავიარე იქიურობაო, იქ არსად არ
იბადებოდა, რა ტყეშია რა ველშია. აი საღამო რო იქნაო, უნდა
წამოვსულიყაო, მამედინა ნინოო, ბაღისივ.

— ი დედას ექვივნა იმისასა, ნინო. ი ბებიას დედას ეძახდის
ი ბაღლი-დ' ი დედას ნინოს თუ ეძახდის, იმით იძახდა ნინოვ.

კაცო, ჩავიარე ი საითაც მომედინაო. ვიარე, ვიარე, მე იქ ვე-
რაი ვნახეო და... თან პირჯვარს ვისახაო, რო ეშმაკ თუ არიო, აი ეშ-
მაკიო და ის მალონებსო, მატყუებსო. კიდენ წამოედ, უნდა წამო-
იდეო, კიდენ მამედინა მეორედა, კიდევ წავედ იქა, საითაც მომე-
დინაო. აბა! იქ არა იბადებო. დავკე მემრეო და, აი მესამედ რო
აჩქამდა, ვნახე ე ბაღლიო. ხან ისი ვთქვი, ეშმაკ ირ იყოსო. ჯე-
რაო კი ვეროდის მიუღდეო, მაგრამ არა! ჩემ შვილსა მგავისო
და... გვერდალ იყო, რაზედაც მოიღოდაო. აი ზემოთა კელასაო
მიწაზე აბჯინებდაო და ი ქვემოთა კელაშიაო ბატარა ხე ეჭირაო და
იძას მაიბჯენდა მითამაო. მივედო, დავითოო უძახეო, დავითო ექ-
ვივნა,

— ჰაო, — ვერ აჩქამდაო, ბატარად ძლიე აჩქამდაო.

— ბიჭო, რამ წამოგიყვანა აქაო.

— რამაო და, ნინომაო. ნინოც აქა მყაო და ბებოცაო.

— აბა საღა გყვანაო, რადარ მეცა ვხედაო.

— კიო, აქ არიანო. — თან ვერ ამბობდა, ველარა ჩქამობდაო.

— ბიჭო, არ მოგშივდაო პურიო და...

— კი მამშივდავ.

პურ მეღვის გულაშიაო, რო სად შეხვდევო... იქნება მართლა
სად იყოსო. ავიკიდე მემრეო, წამოიყვანე შინისისაკაო. ვკითხო-
დიო, აქავ მოყვებიანა ი დედა-ბებონიო-დ' — აქავაო. აი სოფელს
რო მოვჯარდიოთ, ვკითხეო, აქავ არიანო და — აღარ არიან აქაო.

აბა რა იყო, სუყველამ ისი თქვა, ი რაც ეფარა, ანგელოზ იყო
თუ ეშმაკ იყო, ის მამყვებოდა, ის ეჩვენებოდა თავის დედადა. იძას
რო დედად არა მჩვენებოყო, ... ან გულ გაუსკდებოდა ბაღლსა,, რამ-
თვენკან ან ნადირს შადვარდებოდა, რამთვენკან ან წყალსა, ან კლდე-
სა, ან ჭევსა. ვერც გაილიდა უღედოდა. ალბათ... ხალხმ კი ეგრე გა-
ნაირკვა და აბა რა ვიცი, შვილო. აი ეგ იყო დაკარგვა-დ' ეგ ამ-
ბავი. ემაებს რა უამბე წინ-წინა და სუ დაცეტდენ. მემრე დედიძასა
პკითხავდის ესე, მართალიაო, დედიძმაო.

— მე და ჩემ ძმა ხო სულ იქ დავიზარდენით.

— მართალიაო, აბა მამ ტყუილი რად გვინდავ.
დიდებოდა ვიყვნოდით მაშინა.
აი ეგ იყო, შვილო, სხვა არა იყვ.

42

თხილიან

12. მაშარის ამბავი და ჯეესურაის მოკვლა

ამანათადა მდგარა, წიკლაური... ემაგ მაშარასა და... ა ჯიკვიანთ
კაცს დაუყენებავ. ერთ ქობ-კოკან მიუციან იმას, ოლომც მანდ გაგ-
ვიშვიო და... დამდგარა ის ჯეესური, რა ვიცი, კაცისმკვლელ იქნე-
ბოდა, ან ქურდობაზე იქნებოდა მოკვეთილი. რაღაც დამნაშავე იქ-
ნებოდა თავის სოფელშია. იმას კიდე სხვა მაუყვანავ, იმას კიდე
სხვა მაუყვანავ და ... ამასობაში გაკეთებულა სოფელი მაგ მაშარას.

კაცო, თურმე ჩხუბი, რამე, მკვლელობა... აი, ქუთხში... ეგ ხო
ჩვენი ყოფილა წინაო... მკვლელობაზედ არი ეგ ადგილიც... მაგ აფ-
შოსა ყოფილან ეგ მკვდლურები, ჰო და ხაზეინს შამაჰკდომია ღამე..
გაგზავნა აფშოს წავიდა ი ბიჭი ტანთგამოსაცვლელად რაღაცა და ...
ეხლა მაიფიქრა, ღამე რო წავიდა, რო... საღამოზე მიდის და... ხა-
ზეინს ცეცხლი უნთავ, ხორცსა მხარშავს, კაცო და ძაღლები ეტე-
ვება, ეტევება, ეტევება... რავე, სად ედგომოდა, ის კი არ ვიცი, მაგ
მაშარის თავ სადმე იქნებოდა ეგ ამბავი. კაცო, დაუტატნა, დაუტა-
ტნა, დაუტატნა... კაცო, ოთხით მოდის, დათვია, თან ესრის ძაღ-
ლებს.

აბა, ქართული თოფი იქნებოდა, ჰო, ი... მაშინ შამაზანაი კი არა
და... ბერდენკაიც არ იქნებოდა იმ საუკუნეებში. ეს ქართული თო-
ფი წაპაუწია, ეს... დაუტატნა და ... გავარდა თოფი-დ' ამაში კაც-
მა კი დაიღრიალ. აი მივიდა, მივიდა კაცო და მწყემსია, კაცო. გაგ-
ზავნეს მაშინვე კაცი. მაასწვრეს. მაუსწვრა ცოცხალს მშობლებმა,
საგვარეულომა. უთხრა, რო ამათი ბრალი არაფერი არ არი, მე
ჩემი თავი თვითონ მოვკვალ. ხაზეინს დავაშინებო და მე ჩემი თა-
ვი... აბა... აქეთ, იქითა. რჯული, დავი-ღარაბა. მერე აბა მოვ-
თანხმდეთო და... ერთი ადგილისი პატარა კუთხე სადმე მოგვე-
ციოთო, უთხრეს. აბა, მაშინ ადგილზე ერთმანეთი უჭამავ და... ჩამ-
დგარან. ეგ მკვდლურები მანდ მაშინ არიან დამდგრები.

— თქვენ მაშარაზე მკითხავდით ჰო და მე კიდენ სხვაგან წა-
ვედი.

ჰო და... ეს წიკლაური... კოცილობა, მტრობა, არ ვიცი.: ჩვენ მოკლულ კიდენ მეტი გამოიდა. ჩემ ბალობაში იყო რჯული საბოლოოდ ორწყალში. ჰო და არ ვიცი ათ-ათი თუმანი კიდევ წაიღეს ჩვენიდანა, კომლზედა, ნიკალის ფული. ეხლა გაუდიოდა მაგათ იმაზე, რო ჩვენ მამა-პაპის ძვალმა თქვაო, რო იმდენია მამკვდარიო.

... კარგი. რალა იქნება და ვერა მყარიან, ვერა მყარიან. მემრე წავიდა, ერთ ფოცხვერათ კაცი ყოფილა, გიორგი ქვივნილა. ზანდუკელი ყოფილა კიდე, რავი, რა ქვივნილა იმ კაცსა, მანდ, უინვანში. იმისთვი გამაურთომ ერთი ოცი ცხენოსანი ყაზახი. მაურეკავ აი მაშარისას, იქითაზე ამაუელავ. იმაში თურმე პირებს იბანენ ეს ყაზახები. ცხენებზეთ გადმოხტენ, იმაში არიან გაგძერებულები და უთხრეს იმ ფოცხვერათ კაცსა, რო აბა წადი, გადაირეკ. აი... ორმოცი ქედილაი მიუტავ, რალაცა ი ზანდუკელიზდ.

ა ... იშიშვლეს ვმლები ამ კვესურებმა და გამაუდგენ ამ კაცს იმაშიგა. რა გზა არი, რა ადგილია. აბა აღარც ი ყაზახებს მაუნდა მეტი და...

ინაში იმ გორობაზედა ყოფილა სახლები, სულა, ი შაყოლება. 'თურმელა' გადმააქევევენ ი გოდრებსა, ბავშვებსა დასცემენ შტაკებსა. რაც დაჯოცეს, დაჯოცეს, რაც არა — გარეკეს მანდიდან და ... მააშორეს, მანდიდან ეს კვესურები.

ადგენ,... მერე ჩავარდა მტრობა, მტრობა, მტრობა, მტრობა. ბალობა თქვაო, რო მეო მაშარელია მქვიანო. თან-თან, თან-თან თან-თან და ... აი ფული, რალაცა, რჯული, ანგარიშობა.

მამაჩემი ვომსა ყოფილა დასთაა აქით წასული. აქაც... ყოფილა, ჰო, მირინაულჩრა მყოლია საქონი. აქა... დედა მყოლია და, ი დედა... ჰო, აბა ვის ჩააბარებდა ი ძროხებს. დედაჩემ იქა ყოფილა, მირინაულჩრი, ძროხებთან, ზამთარში. აი, ქრისტიშობისთვე ყოფილა თუ იანვარი. ჰოდა ... ეს მამაშჩემი... ეს დედაც იქ წასულა, ეს დედაც იქა მყავ, რა თქმა უნდა, ი... ბუჯათ სვიმონი აღალ მამიდაშვილი იყო ჩემი, შენ შეიძლება ვერც კი იცოდნ.

იმ დამეს იქ... რა ვიცი, ხინკალი, პური, არაყი... დრო უტარებავ. მეორე დღეს უთქვამ დედისთვი, რო წამოდი, წავიდეთ და იმ დას უთქომ კიდევა, მბაო, არაყები მაქე გამოსაცდელი-დ... ჩვენ ეხლა მოსაკითხით ვემზადებით. მე ვყოფილვარ მაშინ მგონია... არა, ჩემი და ყოფილა, მართაი... მოსაკითხით ვემზადებით.

დილაზედ ადგენ, მალეც ადგა მამაჩემი. ბერდენკაი ჰქონია, ყაზახის ბერდენკაი. ერთი დამკრა კოქს, მალლა, საჯსოვრად დარჩე-

ბაო. წინანდელ სკამებ იყვის, აი სუყველა კი ვერ აკეთებდა იმეებსა, აი კიღობანივით შაყრილები. სამი იმას დაფკრა ხანჯარი, რო ... ესაც საჯსოვრად დარჩებო და წამოვიდა. დალიეს კიდეცა. ი ქობს არ მალუცადა, ცხვაკნით ისესხეს არაყი ჩემ მამიდამად' მამიდაის ქმარმ. ჰოდა ჩამოიდა, კომისიბირსა და... დედაშჩემის დედიდაშჩი-ლი იყო (ი დუქანს კი მოესწარ მენაცა, ჰო, იმ კაცსაც. მერე კახეთში გადასახლდა ის კაცი, აი... ისა... წიწქანანთ ცერში. იქით დაიჭირეს, ოცდახუთი წელი მისცეს მერე ციხემ), დაუძახა ამ პეტრემ, რო მოდი, მოდი, სიბეო (ის პეტრე და ის დედაშჩემი დათა-შვილები იყვნენ, ჰო, მე მამის ცნობა კი არა მაქვ) წამოლიო, წუხელათ ვიქეიფე, სიბეო და თავებ მოირჩინოთო. არაო, მენაც წუხელაც ვიქეიფე და ეხლაც... მოდი, მოდი, მოდიო. მიაბრუნა კაცი. აი ეგრეა თავის დღე-წერა. დაიწყეს, დაიწყეს, დაიწყეს და მამაშჩემს აღარც სახლი აგონდება თურმე, როცა სასმელს გეემებება... თურმე აი მირინაულჩი ხუთი კალოს ხოვი აქვ კალოში დასანიავი, საკალოო. დაუწყეს/სმა, დაუწყეს, დაუწყეს და მერე ამაში თოფის სროლაც გაიმართა. ერთ კვესურიც მოიდა, ეს ბასილთ თათარაი. მამასახლისია მაშინ, ნიკალაის დროს. ამაში ეს კვესურიც თოფს ესრის. შტიკის ბერდენკაი აქვ. მამაშჩემს ყაზახის ბერდენკაი აქვ. მამაშჩემა რასაც ესროლა ყველაფერი... თოფის წვერზე მასწერეს ქალაღი, კვერცხი დადგეს, აბაზიანი მიაკრეს, სუყველაფერი აიღო და ის კვესურმა ვერ გააქარა.

ამ კვესურმა თქვა; რო ეგეთა თოფ რო მექნებოდავ, პატალიონ ჯარს დაეაბრუნებდივ.

ახლა მამაშჩემმა უთხრა კიდეცა, რო ამ თოფის სიმტყუენ-სიმატლესაო მაშინ გაიგებთო, მაშარას რო წამოხვეალთო. თურმე ყოველწელს ედავებოდენ, მოლიოდენ. თოფები თურმე ეკიდა ზედ მჯარზედა და ისე ზენავდენ ემაგ მაშარას. აიმაში მიიწ-მიიწიეს ერთ-მანეთისაკე, ჩემო კარგო, კიდეც, რა თქმა უნდა, წარტყამდ-წამაარტყამდენ ერთი-მეორეს. თურმე, რავი, გააშველეს. ეხლა, გააშველ-გამააშველეს. მამაშჩემი ადგა. წამოიდა. იმ კვესურმა იკითხა რო კვესურა რა იქნაო. კვესურაი ქვიენილა მამაშჩემსაცა, ჰო. ი მედუქ-ნემ უთხრა, ი პეტრეს მოჯამაგირემა, რო კვესურაიო წელანავ წავიდაო. მახყვა მართლა, ნათოენია, ნაყაპყი ახალი და მახყვება და მართლა კაცის ნავალია. იარა, იარა და ვანჭეურას რო გამოვკდებთ, იმაში დაჯდა ეს კაცი და ყალიონიც... დააყარა თამაქო, პირში დაიჭირა და არცა. დეეძინა კაცსა. ესეთ... ყალიონიც პირში უქე-

რავ, ის თოფიც გვერდზე უძე, ხაფანგი კაბალახშია შეკრული, ჭ ბიჭურის ახალუხი. და ხყვანდა მაგას, იქავა ცოცხალივ არი, ყვარელში არის ის დედაკაცი, მა ბიჭურის და. მოიდა ეს ქევსური, დაუძახა, ვერ დააწონა. კარგა წაიარა. ი თურმე გაღმითაით აი, ყვირილის შვილებ რო არიან, მაგის დედ-მამან უყურებენ. ბინდია რადა, საქონყურება. ვერ დააწონა, წააცილდა. კიდენ მობრუნდა, უძახა და რო არა და... კაცი, კაცი... გონი არა აქვ, რა. მიაყოლ ეს ხანჯარი და შვიდი დაარტყა აქ კისერშიგ. რავი, არ თუ უჭრიდა იმ ციცას, და მერე გაუგდო ესე ა ყელშია. შამშულან და შამბ არი ეხლაც ჰო, იქ და იქ გადაუგდავ წყალშია და წამოსულა, თოფიც წამაუღავ და პატრონტაშიცა. მერე ჭუთაშიით გაღმაუყვანავ ისი. აარდაირია, ჰო, იმას... არ ვიცი, შვიდმეტი თუ ოციწელი მიუცავ ციმბირი.

და მოსულა ისიცა. აი, ათას ცხრაას ჩვიდმეტში რო არეულობა მოხვდა, მაშინის არი მოსული ის მამაშჩემის მკვლელი. ჭერ მანდ იყო, საქვირეშია. მემრე მანდით, რა ვიცი, მეც ცოტა წამოიზარდე, ის მამიდაშვილებიც მკარსა მჭერდენ. ის ერთი კვირა ვეძებენით იქა, ჰო უყარაულეთ. იქ კაცი გვყვანდა ნათესაეი და აღარ მოიდა იქა. მერე წავიდა და სუ მათხიკა მანდიდან თეთრწყლებზედა და იქ დაირჩვა. ორი ქალი ხყვანდა, ისენიც ზორველამ დაუჯოცა. დასათხოვრებ დაუჯოცა ისეებიც. სხვა იყო კიდე მოთავე ჩენი, აქ ვინც მამყვებოდა საკლავით, კურეტით. იმას შვილი ჭლექმა მაუკლა, რძალიც ჭლექმა მაუკლა, თიონაც ჭლექმა მოკლა. დედაკაც დარჩებოდა, ის კი მოკვდებოდა აქამდე. ა, ეგრე იყო მამაშჩემის... ყოფილა, ზო თორი მე...

თხილიანა

13. გარა თურმანაული

გაბადლოურ კაც ყოფილა, შუაფხოელ კაცი ლაშარსა და იმას შაუყვედრებავის გარა თურმანაულისად: „აქ რა დიდი გულით მოხვედლო, რა მაისტის ცხვარ-ძროხა მაიტანეო“ და ამას ჩააშქრია გულში. ჩააშქრია გულში, შაუყრავ ლაშქარი და წასულა ქისტეთში. გიორგიწმიდელ ქევსური შაუსყიდავ პირიქით: თუო მაისტს გამატეხინებო, ადგილს მე მოგცემო და... შენაო, ადგილს მოგცემო, უთქვია და შენაო მოჯანო, უვექობის გულსთვინაო, ვექში არ შა-

გვიდენო, ჰო და მიწავ დაათესე ისევო, მოჯანო და მიწავ დაათესე ისევო. ამ კაცსაც ეგრე გაუკეთებია ამ კვესურსა. მემრე წასულა და ქისტის ხყოლია იმ კვესურს ძმობილი და მუშ უყრაის, ტყეში ყოფილა, თოფი ხეზე მიუყუდებავის და ხყრის ი მუშსა და ეპარა, ეპარა ეს კვესური ამ ქისტსა, ძმობილსა, ჰო და მივიდა, მივიდა და ილიაში შამოუყარა კვლები და შაფრინდა ეს ქისტი, შაშინდა კაცო და ოჰ, ძმობილო, რად შამარცხვინეო, კაცო, როგორ შავშინდიო. რამ მოგიყვანა, რა გავიქირდა რო აქ მოხვე ეხლაო. ღმერთმანი, ესე ესე არისო, ჯალაბაურებ რო გადამეკიდნენო, მე აღარ მეცხოვრება აქაო და გარა თურმანაულთან უნდა წავიდეო, თუ მაისტს გამატეხინებო და მოდი, ჩემო ძმობილო, მიშველე ეგ მაისტი გავატეხინოთო, ამ კვესურმ უთხრა.

ამ ქისტმა უთხრა, მაისტელმა, ოჰ ძმობილო, ძალიან მაგარი საქმე არისო, მაგრამ რა გიყვა, ძან ხათრი მაქვ შენიო. ეგ საცოდ-ვაშადლო საქმეა, მაგრამ ვიკისრებ შენის გულისთვინაო. ჰო და, გასწავლიო. ერთი ობოლ-ქვრივი რძალი მყავისო, მაგის ძროხებს გასწავლიო და ერთად ნუ გასწირავთო ამ ძროხებსო, რო გაარეკავთო, ხო მთელ უნდა გაარეკოთო ცხვარ-ძროხაო. ერთი იქ გაწირეთ, ერთი იქა, ერთი იქაო და დანარჩენს, რა თქმა უნდა, გაარეკავთო, რო გამაურეკავის საქონელი... ხუთშაბათს თენებაზე დაძსცემიან. გამაურეკავის საქონელი და მათურის თავს ყოფილა ბოლო და ქეჩი აქ გამოსულა აი, მათურკევეში, აი დაბლა, იმოდენა ცხვარ-ძროხა გამაურეკია.

და ლაშარ დაუკოცია ჯარები. იქ უნდა მიერეკა ჯერა და მემრე ჯარი გაიყოფდა, რაც დარჩებოდა.

ქისტანს ატირდა ბებერიო,
ჯარით სად მსხვალ გარაო,
ქისტით მივდივარ ბებერიო,
ვარდანამ დაიბარაო,
მე-დ' ვარდან უნდა შავიბნეთ,
უნდა იქეხნოს ცაშაო,
გვერდ უნდა გადაიქციოს
ვარდანის ციხის ქვაშაო,
ცრემლით პირ უნდა იბანოს
შუქი ვარდანის ღაშაო.

ეგ იყო, რა, ეგ მახყვებოდა, ეგ ლექსი.

მუქო

14. მეკვლე, გოგა, ბერაკა

წელწად დილასა წინაღლით დაეპატიებდით... მეკვლეს ვეძახდით. მოიდოდა მეკვლე და მანამ შინ ჩამოიდოდა, კვერს გამოუტანდით. ცალ გვერდზე ესე სწორი იყო და ცალ გვერდზე დაქრელებული იყო. სამჯერ ის უნდა შამეეგორნა სახშია. ი კრელები სამჯერავ მაღლა რო ექნებოდა, კაი მეკვლე იყო ისი და იმ წელში კარგა იცხორებდა ის კაცი. თუ პირქვე გადაიქცეოდა და — ვერ იქნებოდა კარგა. იმას მათუტანდენ თაფლ-ერბოსა, ხილსა, ერთ მუქა ბამბასა, ჩაუდებდენ უბეშია.

— ის მეკვლე იტყოდა, რო შამოვდგი, ფეკიო, გწყალობდესთ ღმერთით, ფეკი ჩემით, კვალი ანგელოზისათ, დიდი გიმატებიათო — დიდი გიმატოთ ახალმა წელმა, ახალმა წლის გამოცვლამა, კაცითა, საქონითა, ცხოვრებითა, თავის ნათესავ-მოკეთეებითათო.

— აგრე შენ, შენიანადაო, — მასპინძელ ეტყოდა — მრავალს დაესწართა ახალწელ-აღდგომა-ამაღლებებსათო, რა ვიცი, მიულოცავდა კიდეც.

— ახლ არჩევდენ, კაი გულის ვინ არიო, მეშურნე არ იყოსო, ამარჩევდენ, იმას დააპატიებდენ წინაღლითავა. მერე მეორე დღეს მათუიდოდა.

— ერთი დღე კი იყო წელიწადი, ეხლაც ერთი დღე არ არია და ქეიფობა კიდე ხან ორ კვირამდე ყო. ქეიფობდენ წელწადშია, ყველიერშია, დადიოდენ, თავისუფალი ხალხი იყო. ბერაკა იცოდენ კიდეცა.

— აგე ის... მარხვა იცოდენ თქვენშია, დიდი მარხვა?

დიდმარხვა რო მაჩარდებოდა, ერთი-ორი დღელა იქნებოდა კსნილი, მაშინ შაიყრებოდა ჭეილობა, ახალგაზრდობა. ერთი ზუთი-ექვსი, ცხრა-ათი. იმათ ექნებოდა სტვირი, საზანდარი. ოდა, წავიდოდენ სოფელში. არაყს ჩაისხამდენ ტიკში. კვერცხებისათვი წაიღებდენ კიდეცა კალათებს და დადიოდენ სოფლებში. სტვირი-ხქონდის, საზანდარივით არი ი სტვირიცა, რომ მის კმას აქით, აგე ა იქ გაიგონებდი. ჰოდა, ზოგი... კურდღლის ყურები მჭქონდა აკრული, ზოგი შავად იყო შაღებილი, ჩაფარი ვარო. მოვიდოდეს შენ სახლის კარებზე, თუ შენ გექნებოდა, არაყს გაუტანდი, დააღენებდი, თუ არ გექნებოდა, იმათა მჭქონდა, ისინი დაგაღენებდენ.

იქ დაუკრავდენ სტვირსა, იქ ითამაშებდენ, იქიდავებდენ, იხუმრებდენ. მერე ახლა სხვასთან მივიდოდენ, ახლა სხვასთან.

აქიდან, აი ემ სოფლებიდანა, ჩვენთანა ოც კაც გადმოიდა შარა-კვეშია და იქიდან კიდევა ჩარგალში გადავიდა ის ოცი კაცი. მესტვირე მხყვანდა და დადიოდენ.

— ფეკით დადიოდენ გან მანქანით დადიოდენ. მივიდოდენ საღლაც სოფელში, იქნებოდა სახლი და დარჩებოდენ, აბა იმათ... ოც კაცის ლოგინი ვის ექნებოდა. იმღერებდენ, იქეიფებდენ. კვერცხებს აიღებდენ, რაღაცა ერბოს აიღებდენ. საცა იქეიფებდენ, იქ ჭამდენ, სვამდენ. — იცოდენ ნიკალაის დროსა, მაგათაო რო ჩაჯოცონ ერთუთიო სამართალ არა აქო. ჩხუბი მადიოდა, ... რო შამხვდებოდენ ერთურთსა, ზოგჯერა.

— ჭონეები ბალლები დადიოდენ, ჩონგურს უკრავდენ. პატარა ბალლები მოიდიან, დადგიან კარებზედა და გაუტანდიან კვერცხებსა, ერბოსა, ან ხინკლებ, რა ექნებოდა. ა ემაგეებსა ვარ მამსწვრალი.

არტანი

15. ქისტების ამბავი

ერთი თვე ამეშია, კეხისგორს ყარაულადა, ერთი თვე ბორბალოზედა ვჰყოფილვარ. ქისტები არ მოგვწყვეტებია. ოლონდ მათურაში ვიყავ მენ ჭარში, სალდათადა. და ზამთარ იყო, მანამ თოვლი აშრებოდა, იქით გადმოსულიყვნენ ქისტები და ერთ მეკომურ იყო, ხალიკას ეიახდენ იმ მეკომურსა, ერთ ორმოც-სამოც ცხვარი ხყოლიყო. ფშაველ იყო. ორმოცამდენ ძროხაც ხყოლიყო. [გაყენებული] ხყოლიყო, მთა, დიდი მთა არი ბოროლა, ბოროლაჲ. იმ მთაზე ეთიბა. გომურიც იქა მჰქონიყო, საბძელიც იქა ჰქონიყო და საქონიც იქ ეკვება. ჩვენ მათურაში ვიყავით ჭარისკაცები, სოფელში. ვამბობდით, ჯერ მთა ისევ შაკრულია. გადმოსულიყვნენ ი მთებითა და გეერეკა იმათ ძროხები. ის კაცი დეეჭირა და თან წეეყოლა, ი ძროხები ერეკვინა. ი ცოლი, იმ კაცისი, გამოსულიყო და რომლები ხართო. ერთმ მაუარა ძროხებსავე, ცხვრები გეერეკა სხვებსა. მეებრუნა თოფი, ესროლა და ემ ადგილას ორივე მეჭი გეეჭვრიტა ტყვიას. ენახვა ქალსა, თავის დედა ისე ჩაქეუულიყო და გამოქცეულიყო. იქ მოიდა მათურაშია და ველარა ლაპა-

რაკობდა. ჰა, დავაცალეთ, ჰა, აი წყალი, აი რამე და მოსურვილ-
და და გვითხრა, რომა დედა მამიკლესო. მამაჩემი წაიყვანესო,
საქონიც გარეკესო. აბა ამ შტაბს ვეცენით. ტყვია-წამალ პული-
მიოტი ქვონდა. ერთ მთაზე პულიმიოტი წავიდა, წაიღო ორ კაცმა.
ჩვენ კიდე პირდაპირ გამაუღდეგით. დავეწინით ისე, რო თოფი
აწევდა რა. სტრაენიკმ გვითხრა, რო... ერთ ღრანტე იყო, წყლის გა-
მოღრატული, რო ნაგზაურია და მემრე წყალ გამაღრანტავს. იმის
პირზე დავდეგით, რო ვინიცობა არის, სროლა იყოს, ამ ღრანტეში
გადავცვივით. კერკად მოიქცენით, რა. იმ მთა... ღუზ მთაზე, მინ-
დორია კაცო. ერთ ზალზ ვესროლეთ. იქით პულიმიოტმ დაიწყო
კაკანი დაჟ რა ვიცო, ტყვია მიდიოდა იქ თუ არა იმეებთანა, შორ
იყვ. როგორც აი იქ მთიდანა აე ემ მთაზე ესრიდეს. ერთ ზალზ
ვესროლეთ და ეგ იყო და ეგე. თურმე ამ მთაზედაც ქისტებია, აქეთ
მთა იყო, აქათაც ქისტებია და ძროხები ცოტეებმ გარეკეს. რო-
გორც გავარდა ი ჩვენი ზალზი, დადგა ტყრიალი და ისეთ ბუქ დადგა
ჩენთანა რო... კაცო არავინ დავიქრენით. გადავცვივით იმ ღრან-
ტეშია და გადმოღის მიწა, ტყვიანის მოთხრილ მიწა, რო... ვინ
ამახეღნებდა. ი საქონელ გაჩერდა, ი ტყვია რო ვესროლეთ, გაიქ-
ცა, ვინცა მრეკავდა, გაიქცნენ. საქონელ დადგა, მაგრამ ჩვენ რო
იქ ჩავსხედით, ველარ ამოვხედეთ. როცა ამოვხედეთ იქ აღარაფერ
აღარ იყო. გეერეკა. ის პულიმიოტიც ვერ აწევდა ხეირიანადა,
ჩვენც ვერა ვესროლეთ. დაჟრეს და გარეკეს. წავედით მერე. რა-
ზედაც ვადარეკეს ი საქონელი, გადავედით იქამდენა... როგორც
იყო. არც ბევრებ ვიყავით, კაცო. იმ ღროს ერთ თექვსმეტი ჯა-
რისკაცი ვიყავით. ი კაცი გეეშვა, მემრ შაგვეყარა წინა, მოდიოდ.
ნუ, ნუ, ნუ წახვალთო გვითხრა. ხალხია იმდენი, რო მაგათ დედაც...
თითო არ შამხედება ნილაგაო. წაასხან, გარეკონო. არა, ნუ წახ-
ვალთ, მაგეებს ვერაფერს ვერ დააკლებთო.

და პირდაპირ ხახაბოში ჩავიდა ი საქონელი. ვხედავდით, ღურ-
ბინდი ქვონდა და ზედ სოფელზე გაავლიეს.

მარტო მაშინ უყურე ქისტებს. ისეთ მამაძაღლები ყოფილა ეგე-
ნი, ჩვენგრე ვერ ვიზამდით, რასაც აქ ესენი შერებოდენ. სუ ახა-
ლოხიანეები ი მთაზედა, სუ წითელ ახალოხი კი ეცვა, ერთ-
ნაირი. სუ ახალოხიანებს და მარტო პატრონტაშები, სხვა
არაფერი არა აქონდა. ისეთ ცივ იყო, ისეთ ცივ იყო რო
ჩვენ, კაცო, ჩაცმულები ძლივ ავედით იქა. მაშ, აბა ი რო იბძვიან,

მუშაობენ, იბქიან, მირბიან, მორბიან. მერე წავედით. საათაც გვესრიდენ. აქითაც გვესრიდენ, იქითაც გვესრიდენ, აი ფეხს ვერ აუქცევდო, იმოდენა გილძ იყო. სუ თათრის თოფის გილძ იყო. მაშინა ვნახე ეგენი.

ლიმო

16. ჯარიდან გამოპარვა

მენშევიკებმა ... ნიკლაიმ წამიყვანა ჯარში. იმას გიამბობ, აბა, ცხვა რა გიამბო. ნიკლაიმ წამიყვანა ჯარში. თვრამეტის წლისა ვიყავ. ყარსში... იქ წამიყვანეს, იქ ჩვენებურებიც იყო. სამ ნაბორად იყო: ლურჯბილეთიანიო, თეთრბილეთიანიო, ეგრე ახალ სალდათიო. ესენი ვიყავით და ... ამ სოფლიდანა ... ბათირი, თევდორე. ჰო, ოთხნი შავიყარენით იქა.

... კუბ იყო, დუღდა, კაცო, თითონა. მაგრამა, რაში დააყენებ იმ წყალსა, რო გაცივდეს, ცხელს ხომ არ დააღვე. ქეთლ ვიყიდე, ერთ ლამეს ვიკმარე და მეორე დღეს მამპარეს. ე, ყოველდღე სად ვიყიდო, კაცო. შავწუხდით უწყლობით უფრო და თან ავადობა. თუ აუდუღებელს დააღვედი, ავადობა იყო. ვთქვი, გავიპარები. მარტოკა გავიპარო. ხან ერთს ვეხვეწე, ხან — მეორეს, ხან — მესამეს, ხან — მეოთხეს. და ვერავინ... საით წავიდეთო. მაგი პატრონი დედაც, აღმოსავლეთიდან მოედი და წავალ ეგრე, მზეს გავჰყვები.

მერე ერთ მთიულ გამამყვა. მღეთელი, მთიული. იმას არ ვიცნობდი. მიტო ექვივნა და წამოედით. წამოედით და, რა ვიცი, სად ვიარეთ; ეგ ველარ ვიცი. ხან ყურძენ ვიპარეთ, მაგ დასავლეთისაკე სადმეა გადმოუდით, ხან ყურძენ ვიპარეთ, ხან პურ ვითხოვილეთ, ხან დღეც ვიარეთ, ღამე სუ ვიარეთ. ვიარეთ, ვიარეთ და ვიარეთ. გაჭირდა. და იქ რო მოედით, ზესტაფონში მოედით, აქ, რა ვიცი მე, ზესტაფონი თუ აქ ახლოა, არ ვიციოდი, შორსავა გვეგონავ თავი. კაცო, იმან ყურძენს დაუწყო ყიდულობა. სტანციამი მივალთ, ბილეთებ ავიღოთ, როგორც იქნებოდა, გაგვიჭირდა სიარულნი. ბილეთებ ავიღოთ და ისე წავიდეთ. მე ბილეთ უნდა ვიყიდო და ის ყურძენსა ყიდულობს. დაიჭირა ყარაულმა. ჰო, ეს შენ ამხანაგია, მენცა მამთოკეს. ჰა, ხან ფულ ვაძლიე, ხან რამე, ხან რამე. ერთ კაცს ექვს მანათ ვაძლიე. ექვს მანეთი ორ ცხვარ იყო. ექვს მანეთ ვაძლიე, ოღონდ ე კაც დაგვაშორეო. ერთ ემსიგძე ლულა მქონდა, ლევორ-

ველ ეკიდა, ... ხან შაუმღერა, ხანა და ვერ მოგვაშორა. გაგვრეკა და მიგვრეკა იმაში, რა მქვია კახარმასთან. დაღამდა კიდეცა, რალა, იმაობაში. დაწოლილი ყოფილიყო, რა ვიცი რა კაც იქნებოდეს, უფროს იყო, რა იყო, ის გააღვიძა, დაურახუნა ი კარები. დაუბახა. გამოვიდა, ვინა ხართო. უთხარ, მუშები ვართ. სემინდის სარჩევნელად ვიყავით აქა დაჟ. ჰოტ! მამაძაღლო! ესეო, ისეო, აქ... თვალბეში გეტყობა რაცა ხართ. თქვენ აფუჭებთ საქმესაო, ესეო, ისეო, გარეკეო, უთხრა, შაყარე მავან ოთახშიო, კახარმის ოთახშიო, შაყარეო და თავადაც იქ დაუდევო. გათენდება, მე მაუვლიო. შაგვყარა იქა. ისე ყოფილიყო ის კარები, რო, რო მოჯარა შიგითაი, გადაკეტა, რაზა დაადვა. დავიძინეთ, ჰო, რალაცა ნარ ყოფილიყო, ტახტივითა. თქვენ მანდ დაწვებითო და თავადაც კრამიტ მიიღვა იქა, მიიძინა.

მენცა, გაბოროტებულსა, დამძინებია და ისეე გულმა გამომალვიძა. ხვრინავენ, ჩემ ამხანაგიცა და ის კაციც. გამოაღვიძე ამხანაგი, უთხარ, მოდი მაგას... შენ თუნდა ნუ მამეშველები, წაუჭირებ ყელშია მანამ კელს არ მოაშორებ, გულ რო წაუა, კარებ გავაღოთ და წავიდეთ.

შიგით იწვა მაშ, კაცო, ჩვენკე, შიგით იწვა. კარებ იყო ისე, გარეთათ არა მქონდა, შიგითაით ჰქონდა საკეტაეა. როგორ იყო, რა ვიცი, რად იყო ესე. ვერა, არაო. მე რაც უნდა მიყვანო, იმან თქვა, არა, ვერაო. გამიჭირდა სიარულიცაო. რაც გინდა მიყვანო. მაშ კარგი, მაიმძინარე თავიო, უთხარ. ამაძკრა ძალად ხვრინი. არ ეძინა. ამაძკრა ძალად ხვრინი იმ ამხანაგმა და ... იმან... ძინავს, წევს. სხვა არაფერი, ეხლა მე იმას რო ყელში წაუჭირო და ან დაეზნიდო ან რამე, ის ამხანაგ იქა მრჩება და მეცოდება, იმას დამტანჯავენ. თორო მენ წამოალ და მარტო ლეორველ მოვპარო. ე ლეორველ მოვპარო და ამ აკოშკიდან გადავჭვრინდები. ვერ მოვპარე. ზედ ეღვა აი ლულაზე. ამას რო პარვა დაუწყო, აი გამეღვიძოს... ვერ მოვპარე დაჟ, დავიჯადე... ისე მივეპარე, ჰო, ისენ დავიჯადე, ბათინკებ მეცვა. წამოედლი და ვნახე ერთ ფანჯარა. სუ დალურსმნული ყოფილიყო, ჩარჩოში იყო რამეები. ლუსმრის თავები ეტყობოდა, კელითა ვზომავდი. ამი პატრონის დედაც... ფიქვე, არ არი, ხელათ გადავლეწავ. ხოლოთ, გადავჭვრინდები და სად გადავჭვრინდები, ბნელა არი. შორსა ვარ, ახლოსა ვარ, არ ვიცი. ან რას დავეცემი. ბნელა. ბნელში გადავჭვრინდები, მაგრამ რას დეეცემი, სად დეეცემი. ჩავიცვი ის ბათინკები, გავიმაგრე კარგა.

წავაველე წინ-წინ იმ რამკასა, შამოიკეცე კელით ეს მარცხენა ფე-
ჯი, ვხვარ და გრიალ გადაიტანა, გადმოვხტი მენცა, ზოგ ნატეხებ
მემრე დამეცა, ამავე ნატეხებს თან გადმოვხყევ. მეორე სართულ-
ში არ იყო, რა ვიცი, ისრე ძნელი. გადმოვფრინდი და წამოვდი გა-
მოიქე და ვთქვი, რომ ე, იქნება ყარაულს წავადგე აქ! გაქცეული
დაც, კომოსტო ყოფილიყო, გადავძვერ,.. ჩავაწვიდინე კელი, წავ-
ძვერი კომოსტოებშია. გამაიყვანა ი ჩემ ამხანაგ იმანა, ახლო
იყო, მამდიოდა ლაპარაკი. ავინებს ლანძღავს; რა გვარ იყო,ო,
აკითხავდა. არ ეობნებოდა. იცოდა. იცოდა ჩემ გვარი-დ' არ ეობ-
ნებოდა. არ ვიცი, ესლა მოეწიე გზაშიავ. მე კიდე ვფიქრობ, ე,
უთხარ, რას მიქამს, გვარ იცოდეს თუნდა მამა-პაპას იცნობდეს.

და წამოვდი მერე. წამოვდი, მოვდი აქა. დედ-მამა... მამა მკვდა-
რი მყვანდა, მალევე მომიკვდა, დედალა მყვანდა. ძროხები მყვანდა,
სახლი არა მქონდა. ი ძროხებ უნდა დამეყიდა, სახლ გამეკეთა. დე-
და კოკლი მყვანდა, მოხუცი იყო. უთხარ, მოდი ცხვას დაუბათ
ე ძროხები. ერთი ორი, სამი, რომ არ გაგვითავდეს და დანარჩენებ
გავყიდით. თოთხმეტ სულ ძროხა იყო. არაო, რომ მოკვდესო,
ტყავსაც არავინ მამიტანსო. გავყიდით, ფულს კიდე მოიკმაზებო.
დავყიდეთ. თოთხმეტ სულ ძროხა, ათამდენ მოზვრები, გამოქნილ
კარებ იყო უღელი. რაც შამიდგა ფული ოცდაათოთხმეტი თუ ოც-
დაათორმეტ თუმან, რა ათ მანათი იქ გავიყოლე. დანარჩენ დედან
ჩავაბარე. რომ მოვდი, დედაშჩემს ყოილი შვირდა, ავად იყო ძან.
ვერა ვპკითხე, რა უყვა ფული. მეორე დღეს ენა აღარა მქონდა.
მოკვდა. ფული სულ არ მაგონდებოდა, მანამ არ მოკვდა. მემრე
დაუწყე ძებნა. აი ლოგინები, აი კედლებშია, აი რამეშია. დაიკარ-
გა, დაიკარგა. დაიკარგა ის ფული. დავრჩი აი ეგრე: არც სახლი,
არც კარი, არც ნათესავი ვინმე ჩემი, დავრჩი ეგრე, თითოვით. რად
ვიმსახურო, რად ვიმსახურო, ვიფიქრე, სუ ღებერტირობა მაგის დე-
დაც... არ მიუდგე, არ მიუდგე სამსახურს ნიკალაის დროს. მემრე
მენშევიკებ გამოჩნდა. ისევ მობილიზაცია მიწევდა. რა
ვქნა, არ ვიმსახურებ, მე გულშია მაქვ, რომ არ ვიმსახურო. რად ვიმ-
სახურო, რას ვემსახურო დედა არა მყავ, მამა არა მყავ, სახლი არა
მაქვ. არაფერი, აბა აბა, ბა ბა. ყოვი ვერ დაჯდება ჩემზე ვერაფერზე.

მობილიზაციამ მამიწია მენშევიკების დროსა. მათურიდან გა-
მოიპარე. იქ რომ... ქისტებს რომ ვესროლეთ, მემრე, გამოიპარე. აქ
ერთ დედაკაცს დაუბიზღებოვარ. მაზრის... სამაზრო იმე იყო, ამე
ექვივანა, კარაპეტაის შვილი იყო, ერწოვლი კაცი. თიანეთში იმან

შადგინა გვარდია. დიდ კაც იყო. ერთი ამხანიგ სხვა ხყოლია. წამოსულან. ჩამსხდომიან და, სამკლად ვიყავ. მე არ ვიძალეობოდი, კაცო. ტყეში ხო არ ვიქნებოდი სრულა. სოფელში ვიყავ. ის გვარდიის შამადგენელი წამოსულა და... უცემავე, ჩვენებურებისთვი უცემავე. გადაკეცოლ ლაგმით უცემავე. სუ თავ-პირ დახეთქილი ძქონდა. სად არიო, გვასწავლე, მასწავლეო. წამოუყვანავ იმ კაცებსა ის კაცი და რაზედაც მე გამოივლი ყანაშიით რო წამოალ, ჩამსხდომიან. ესენ ყანაშია მსხდარან, ი ჩვენებურები, სისხლიანები. ის კარაპეტაის შვილი მეძღუმოვი იყო გვარად. ემაგ ერწოში სომხები ყოფილან... ის ყანის პირში ჩამჯდარა. ერთ თათრის თოჟ უჭერავ. აილე კელებით. მე თქვი, მეხუმრება ვინამავ, დეზერტარ რო ვარო, ხუმრობით მითო მაშინებს. არ უგდე ყური. აილე კელები შენი დედაო დაჟ ... ბიჟო, დედა რო შამაგინა, მემრელა ... თათრის სავაზნე ემეია, თოჟ უჭერავ ჩემჟე. აილე კელებით. რა გინდა კაცო, კელები... აი, ა, ა. ავილე. მოიდა — რა გვარი ხარო. ბალღიაშვილი ვარ გვარადა და გორთამაშვილი ვარო, უთხარ. არ უთხარ თავის გვარი რა ვიცი, რამ რა წამამაგონა. უთხარ, რა ბედენაა, დაჭერილი ვარ, იცოდეს გვარი, რა გინდა.

დაუძახა იმეებსა, ადგენ ყანაშიათა ე სისხლიან კაცები, მოიღენ.

— რა გვარიო. — ბალღიაშვილიო.

— შე ასეთო, შე ისეთო, რად მატყუებო. ა კონტახი მკრა ერთი, ორი. — წადი გზაზეო. მე [ვიაარე] წამოე გზაზე, მეტი რა გზა მაქვ და ერთიც ამ კისერშია მკრა კონტახი.

— კაცო ჩემ ნაკაზენიას... ამ გზაში ხომ არ უნდა მაჯღეინო, გზაშია, კაცო. მე მამელის ნაკაზენია ხო, ამას მამთხოენ პასუხს. შენ დამიბირე, გემორჩილები. უ, შენი დედაო, შენ მაგთენ ლაპარაკის ნებას ვინ გაძლევსო. მამიღირა ი თოფი. ამოუკარ კელი და ი თავის კელჩი ნაჭერ თოფი აქ შამააწყდა და გაგორდა. ჰო, მეც ჭანიანი ვიყავ, კაცო. გაგორდა. გაგორვა იმისი და ი თოჯი მე დამრჩა კელჩი იმისი. დავარტყი და ი კონტახიც მატყდა ი თოფსა. დავარტყი მეორე, მესამე და წავიდა კაცი, მოკვდა. კაცო, მემეშვილნენ ისენი, ი ჩვენებურები. მემეშვილნენ იმასა. აღარ მამღევენ უფლებასა რომ კიდევ რამე დავხკრა, ან მო!ჰკლა, ან რალაცა და გდავ ეგრე მკვდარი. ბოლოს ის თოფი შამტაცეს, მამცვიღენ. თოფიც იმათ მივაგდე, ვკარ კელი. დავავლე თმაზე კელი იმ კაცსა და ერთ რიყის ქვა ძირიდან ამ სახეშიაც ამოვჭკარ. ავილე მე-

რე და დავაკეხე ი თავი მაგრა და დარჩა კედარი. მე მეგონა ნართლ მოკვდაო, თორო მოვხვლავდი. ბედენა არ იყო ჩემთვინა, თუნდა ნოკალი, თუნდა არა, ბედენა კი აღარ იყო. შემდეგ გავიქე, გავარდი, ტყე იყო, იქა. ზიდეს წყალი. ხან ქუდითა, ხან კალთითა. ასტეა, რა ჩააღინეს. იქით გამოვხედავ მე. იმანა სცემა და ისევ იმან რველებოდენ. იმანა სცემა, მაშ, კაცო, სუ დახეთქილ თავ-პირი მქონდა. გამაგონეს, მიაგონეს. წამაიყვანეს. ის გატეხილ თოფიც წამაიღეს. კონტახი აღარა მქონდა. ხეტარი აი ზატორის წინლა მქონდა. მერე აღარ გამოვჩნდი, ვიყავ ტყეში. აქ ვერკველზე ერთ კაც იყო, მდიდარი კაცი. კაი ჰატოსანი და კაი თავ-ენიანი კაცი. იმანა ვშველე მკასა. ვერ მიცნობდა. ვატყუებდი ოსა ვარო.

...და ისენი დაიჭირეს. სან-სამი თვე გაათავეს იმათა ციხეში. რო. ის რო მკვლავდა ამ კაცსაო, რად არ ეშველებოდითო. ეშველებოდნენ, მაგრამ როგორღა შეეშველებოდენ მეტადა. მე ხო ვერ ნაკვლავდენ, არა? მეზობლებ იყენენ, როგორ მამკვლავდენ. დამიჭერდენ კიდევ და ვერ მიმორჩილებდენ. მაინც დაიჭირეს. მთავრობამ დაიჭირა. მენშევიკებღს მთავრობა იყო. მე კიდევ ავდეგ და მთათუშეთში წავედ, მოვრიგდები ვისაო. ვერ მოვრიგდი. შამოდგომა იყო, წასული იყო დრო. ყველას მწყემსი ხყო, ყველას ესეაო, ყველას ისეაო. წამოვედ იქიდან. წამოელ და, კაცო, რა არი ჩემ მეშველი. სოფელში ვერ გამოვჩნდები. ერთ დღეს რო პური ვონ მაქმიოს, მეორე დღეს აღარ მაქმევს. ვარ დაღონებაში. თან ვერიდები, არ დამიჭირონ, ვიმალები. ავდეგი და კვესურებში ყაჩაღებ ვიცოდი, წავედი და იმეებს გაუამხანიგდი. გაუამხანიგდი და კაცო, არ მამწონ, არ მამწონ. კვესური ძალიან ის არი, ცუდია. დაუნანებელია. გაცარცვის დროსაც ცუდად ექცეოდენ, გაცარცვაშია. იმ ერთმა, ფოსტა არიო, ფოსტა მააქვისავე, გზაში მაშინანს დაუდევით, გავაჩერეთ. არა. რა ფოსტა, არაფერ არ იყო. თოფებ დავკრათო. ერთ ... წიქა ექვივანა, კინწათ ჩაღზის შვილ იყვ. არა აქვ ფული, ფულსა მთხოვდა. არა აქვ ფული. შეიძლება რო არა მქონდეს, რადა მკვლავ, მაშაბაღღსა. განა მეორე დღეს ისევ ვაჩნდება და გაცოცხლდება, რადა მკვლავ. ან რა უყო, ხო ჩხუბსაც ვერ დაუწყებ. ეჰ, მემრე გავაკეთე კვესურთან საქმე, რომ ქისტებში უნდა მივსულიყავ შვილადა ჯარეგაში. უშვილო კაც-დედაკაციანო. ი კვესურ მიობნებოდა. ქისტურ არ ვიცი. ზოგს მე განწავლიო, ზოგს იქ ისწავლიო თითონავ. ისენიო... კიდევ გაუ-

ხარდებათ. ერთ კვირას რო კადემა, იქ უნდა წავსულიყავ შვილად.

მერე, რალაც ემ ბარისაკოში, კაცო, ქაქუა ექვივინა. ერთ ქალი ი ამხანაგმა მე მაჩუქა, ნადობი. იქ ჩამორღი ხანდახან. და ერთ ისეთ ღროს ჩამოედ, რო... ეგენი ... ბიჭო არ წავა ქალთან, ქალი უნდა წავიდეს ბიჭთან. სულხანეურის კალოში დავდივარ რო ი ქალმა მნახოს. იცის რო იქ დავპწევები კალოშია და იქ ნამივა.

ამ ხანაბოშია ქისტებს გაუტეხავ პოსტი, კევსურებსა და ქისტებსა. ოთხ ჯარსკაც მაუკლავ, ჯორებ, წაუსხამ. თუ რაჲ იყო, აუკიდებავ, ჩიხაოში თუ რაჲ იყო სუმთელი წაულავ. იქ-ს გულისთვინ ჯარებ გადმოსულა. წამოსულა კევსურეთისაკა. მანდ მთავრობა არ იყო მაშინა. მთავრობა არ მიდიოდა. მენშევერების მთავრობა... არ გაუვლავ კევსურეთზე. მემრე აი ესენი ... ქაქუცა რო არა, რა უცო, ესენიც შეიძლება არ წავიდოდენ იქა. ქაქუცამ და-აქყარა... კევსურებში ...

კაცო, ის ქალი რო წავიდა, მე ის ნაბადი კარგა გავიგე სიგბეზედა და დავიძინე. ესე რო მეორედა ყიოდა ქათმები. კარგა მაგრა დამძინებია და დილაზე გათენებულა და მძინავ... კალოზე. კაცო, ცხენების ფრუტუნმა... და იქ ჩექმიან კაცების ფეკის ჩქამზე გამომეღვიძა. ამოვხედე, რასა ვხედავ, ჯარია. მიდიან, მოდიან, ერთმანეთში ლაპარაკობენ ჯარისკაცები. ეს დუშეთის მილიცია. ეს თიანეთის მილიცია ყოფილა კიდე.

ე, ვთქვი, რომა. მანამ წიხლის კვრით გამომაღვიძებენ, ადღე თითონა. ეს თოფი (თოფი მქონდა), პატრონტაში ამ ნაბადს ავაყოლე. შავედ სულხანეურის სახლშია დაჟ, კიდობან იყო, კარში როგორც კი შავე და ი კიდობანზე შავდე ი ნაბადნ. მითომ ცარიელა ნაბადია. თოფი და პატრონტაშიც შიგ იყო. შამოაყოლე თვალი ... ის იყო, სახლი, კაცო ... თიანეთის მილიცია. იქ ბევრებ ვიცან. მკვლევდენ და ვერ მიცნეს. ერთმა მიცნო. ბერაკაშვილია, დავითო. მიცნო და არა თქვა. გამამცილდა დაჟ... აქ რას აკეთებო, მართო ის მითხრა.

გავედ, იმ ჯარზე ზედ გავიარე, როგორც უბრალო კევსური ვარ და გავცილდი და წავედ მუცოხაკა. მუცოში ამხანიგებთან უნდა მივიდე. გზაზე ორი კაცი მოდის ცხენებით. მათგელავებენ ცხენებსა. ეტყობა, რო მთავრობის კაცებია. ეგრე გავიქცე მთაზედა — სად გავიქცევი იმ პირალმა, ტიტველა მთა არი. ყველა გაი-

გებს, რო მირბი, კაი კაცი არა ხარ. უკვენ მოვბრუნდე, მხედავენ, რააჯ მიბრუნდა, იტყვიან. წინ შევეყარო ...

მირიაშვილი ყოფილა, მილიციონერი დაჟ ი კომისერ გამცილ-
და და მისრიაშვილმა მიაბრუნა ცხენი. — ვინა ხარო. მე უთხარ, თა-
ვად არ ვიცი ვინა ვარ. — მობრუნდიო, კომისერს უთხრა. ეს კა-
ციო არც კევსურიაო, რას აკეთებს აქაო. კი არ მიცნობდა მე
ისი. წიწნო იერზე.

— ვინა ხარ, რა გვარი ხარ.

— უთხარო.

— აბა შახსენი ცხენს თოკი. შახსენეს — შამიკრეს კელები.
ჩამიყვანეს, იქავ მიმიყვანეს სულხანეურის სახლში. მიმიყვანეს
იქავა. ეჰ, ეხლა რა არი, ბრავნიკებ არა არი, ეხლა ტეტეს ეძახიან,
რალაცას ეძახიან. ბრავნიკს ვეძახდით. აქ მედვა, პატარა იყო. ათს
ისრიდა. ნავანსა მჯობდა. ის მაქ. ამოიკრავ კელსა, ეს ორი კაცია,
დავაწყობ აქვე. მაგრამ დამნაშავე არაფრისი ვარ, მაგი დედა ვატარ-
რე. მიჰერენ და თავ ვერ გავიმართლო მე? აქ კაცებ დავკოცო
და უარეს ცუდი ვქნა. შავიკავე თავი. წამიყვანეს. ბრავნიკი
აქა მაქვ. რალაც ჭიბეში დანა მქონდა, მტყელ ტარები ჰქონდა. ამის-
დამისვეს კელი, ვერ გაიგეს. დანაც ჭიბეში მიძე. შამიკრეს კელე-
ბი და აქ თითონ კარგა წავიდენ, მიმიყვანა, ი კომისერმა უთხრა,
ეს კაცი მალაროსკარში მიიყვანეთ, ოთხთა. ორი ჭარისკაცი გამომა-
ყოლა, ორი მილიციონერი.

კაცო, კომის ძირს მოელით და დუქანი ჰქონდა, პეტრე ექვიენა
ი მედუქნეს, კომელ პეტრეო, იცოლიან. უთხარი ყარაულებსა,
ოთხნია. კაცო, პური მშვიან, სადილობაა, კი არა, შუადლე გადა-
სულია.

— პური მშვიან, პური ვჰამოთ, კაცო, ფული მაქ და მაჰმიეთ პუ-
რი, კაცო.

— ვჰამოთო.

შევედით დუქანშია. კერძებ მოატანიე იმათთვისაცა და თავის-
თვისაცა. მე უთხარ ერთ კელადა ღვინოც დავლიოთ. დავლიოთო.
დავლიეთ, პური ვჰჰამეთ და ადგენენ, წავიდეთო. მოდი ერთ კელა-
დაიც დავლიოთო, არაო. აბა ის ერთ კელადაშიითა მე რა შამხვდე-
ბოდა იმდენი რო მე ან მთვრალი ვჰყოფილიყავ ან რამე. კაცო ინო
არი ენანდა, იმ ინოს მთას რო გაუსწორდით, სოფელსა, ცხენმა
ჩამკრა ფეკი აქ და, ხადიაშვილი ყოფილა ერთ ფშაველი, მილიციო-
ნერი, ფშაველი, ჩემი ნაცია კაცი, გიორგი ექვიენა. ჯერ ცოცხალ

იქნება ისი. ჰოდაც, უთხარ, ნელა ავლიე ეგ ცხენი, კაცო, ავლიე ნელ-ნელა, შე კაი კაცო, ფეკზე მამიჯებს, მაგდებ ზედა. შეიძლება რო მე მილიციონერ ვიყო და შენ ტუსალიო, რად ჩამადენ ეგრეო.

— შენი დედა კი ... ო — მითხრა, — შენ მაგთენ ლაპარაკის ნება ხო არა გაქო. შოლტი ეკიდა და მამიქნია, დამარტყა. მეორეც დამარტყა. ვაგინებ. ი სხვები ეგრე დგანან და გვიყურებენ. დავაველე ერთ ქვას კელი ამ რიყეზედა დაგ, ამ ცხენზე ნაჯდომს ბრავანი. ჩამოარდა თოფი ცალკე, ის კაცი ცალკე. ჩამოარდა დაგ, თითქოს ველარა ჩუჩუნებდა წინ-წინა. მემრე დაწყეო კლაქნვა: მკარი, ვაი მკარი. მე თოფს დავაველე კელი დაგ, უნდა დამეკრა. დაეპკრავდი. პატრონაიკ შიგ იყო, ვიცოდი, ერთი კიდეც ვისროლე. დავხარე, დავხარე, დავხარე და დავსხლიტე. კუროკნ ხო აღვილია გადმოყენება. კუროკნებდა ყოფილიყო, ი გადმოვპკარ ბერა თითი დაგ დავსხლიტე დაგ აცლა ი ხაღიაშვილსა, აცლა. ვავიბენით, ჰაი აქათ, ჰაი იქით, კაცო რაად მოკლა, ან რად მოგვკლავ. თქვენ სისხლს თქვენ შაგასხამთო უთხარ, რადა მცემთო. არცა ნცემის, ხოლოთ ერთმა, გავარდა განზე, თოფ უნდა დეეკრა ჩემთვის. ი ცხენს მოეფარ. გაქინძულები ვიყავით თოფზე, ი თოფზედავ ვიბძოდი, ვერ მართომდენ. ვერ მართომდენ იმ თოფსა, სამნ. ერთი ეგრე ეწეოდა, მეორე ეგრე ეწეოდა, მე ვსარგებლობდი იმით. თორე ჯანით ნიადაგა მკობდენ. და გაბედული კაცი ღონიერიც არი ღონიერია თავგანწირულ კაცი. ახში შავრიგდით. მე უთხარ, აი ემ გზაზე ვივლი, თუ მირტყამთ, შაგაკვდებით. აჰ, აღარცარაი, მითამ არაფერი. ხოლოთ იმან ი რო მოიფარე ი სხვები და ვერ დამკრა ტყვიანი, მემრე ეგრე მამიქნია, ჯოხივით და ამხანიგს დაძკრა და მემრე ეგრე წამისვა მენა, ამხანიგს ხო დაძკრა, ეგრე წამისვა და გამიჭრა თავი მუშკამ ცოტაადა, ბევრად კი არა.

მიმიყვანეს და შამავდეს მალაროსკარის კანცელარიაში. ისე ის კანცელარია სახლადა ყოფილიყო. ბუნარი ძქონდა. აი ბუნარიცა სუ გამამწვარ იყო აგურისა, ი თავ ბუნხისა. ერთ წილ რო მეკრა იმ აგურებსა, ი კედელს დამწვარ დაფანტულებს ისე ვპკრავდი, რო გავარდნილიყო. კაი გული მქონდა, არ ნეშინოდა.

ავიდენ და უთხარეს, რო აქ ხაღიაშვილს ქვა დაძკრა, ესრე იყო ესრე იყო. კომისერს მავსენეს, მალლა. მალლა იყო კომისერი. ამ კომისერმაც გააჩქამა ფეკი. ვთქვი, აქ ჩამამივარდება ახლა, ცემას დამიწყებს ე კომისერი. მაგის დედაც... მაგასაც კელ უქცოვ.

ნუ ვეცემანები მანამ ცოცხალი ვარ და მამკვლენ — მამკლან. აქ რა დედა ანტირდება თუ მამა. აი, თათრულ შინლებს არ ეძახდნენა, გძელი. ის მეცვა. გავიჯადე და მოვსალთავდი. რო ცემა დამაწყოს, მოსალთავებული ვარ — ვეცა. შიგითაც შამახყვა ყარაულებ, მილიციონერები. ნაგრამ ერთალია რო ვეცა, ხო ავაგლეჯ რაღაცას. როგორ თუ ვერა, ან ყურს მოაგლეჯ, ან ცხვირს. ვეცა, ვეცადო. მოემზადე და მივიხურე, მიეწევე. მამაგონდა, რო — მანამ ის ჩამოა — აქ მე ისა მქონდა, გავოკაწრული. მოვიფხაჭე, დავიკვლიე — სისხლია. კიდე, კიდევე და გავიღინე სისხლი თავებირზე წავსვი. დავწევე კიდევა. ალებენ ი კარებსა. მე იმას ვისომ კიდევა. არ ვიცი ბევრ წაეისვი თუ ცოტა, გამაალეს ის კარები, შამოიდა ე კომისერი, მათრაც მაუმზადებავ ი კომისერსა. აბა, ბალღიაშვილო. ადე. არ წამოვხედე, არ მოვხედე. არ მომეშვა, ბალღიაშვილო, ადე, ადეო. არ გავაგონე. მოვიდა დაჯ ჩამავლო კელი მკლავზედა. ფეჯზე უნდა ჩამყუდოს და დამარტყას. დამიწყოს ცემა და ი მკლავზე რო ჩამავლო კელი. წამოვდეგ, გამოვგლიჯე ი კელი გელშითა და უთხარ, გადი, თორე დედას... აკოშვიდან გადავხყრი შენ კორცსავ. გადი მიბრუნდი, წადი, გადი აქედანო. წამოიდა უკან ეს კომისერი. შუათანა კაც იყო, ჩაიბნაია იყო გვარადა. ძმა ხყოლიყო აქა, რაიონის კომისერი ყოფილიყო. უმცროსი ძმა რაიონის კომისერი იყო, უფროსი ძმა — მასრის. კაცო, წამოიდა უკან ეს კომისერი, დამკვლია, დამკვლია და დაბრუნდა უკან.

— გიცემავთო, ჭკვაზეა გადარეულიო. არავ, — ეფიცებიან — არავ. როგორ არაო, უთხრა. გამობრუნდეს, გამოკეტეს კარები.

ხო, ამ ცემასაც გადავჩრი, ვამბობ და ამალამ გავარდები.

დაღამდა. დაღამდა და ფშავლის ქალია არ ვიცი, ხიწვაის ქალიაო, რა ვიცი, იმის ... მაიტანა და იმ კანცელარიის წინა, ზეებ იდგა, იმ ზეების ქვეშ ფშავლებ დასხა და ასმევს. კაცო, იქითაც ლამფა უნთავ, იმათაც ლამფა უდგას წინ, აი ბოლის ლამფაჲ. არაყსა სნენ. უყურებ, ჩემ ამხანაგი, ერთ ჩემ ამხანაგი, ქვენაით ამოჩნდა. მარტო ხანჯარი არტყავ. ჭვესური. არც თოფი, არც იარაღი, არაფერი. ამოჩნდა და მოდის. თურმე ისენი წამოსულან, მე უნდა გამიშვან. თუ რაჲე იქნება, გახვეტონ, წაიღონ იქა, მენც გამიშვან. მე რო გავეშვი იმ ღამეს, იმ ხალღიაშვილს ვიპოვნიდი და როგორც უნდოდა, იმას გაუმასპინძლდებოდი. და ის გამაუგზავნავ, გიორგი ექვიენა, კინწათ ჩალხის შვილ იყო. გამაუგზავნავ: გაიგე, ან ყარაულ რამდენი ხყავ, ან როგორ არი, ან რა, ან ცხვა ძალები,

რა ძალა არი მაგ მალაროსკარში. მილიციონერ რამდენ იქნება, რაზე რამდენ იქნება, ან როგორ არი მანდ საქმე ეგ ყველა გავიგე შენა და მოდი ხიწვაის ნასახლარში, იქ ვიქნებით. ის მოგზავნილი ყოფილა. დაპატიჯეს იმათა, მოდიო, კევსურო არაყ დალიეო. — არა მადლობთო. — მოდიო, კაცო, მოდიო, მოდი ერთ არაყი...

მიბრუნდა. თურმე იფიქრა, რო ერთ არაყს დაველე, უფრო კაი გულად ვიქნები. ხო უნდა წავიდე დაჟ წავალ მემრე ამხანიგებთან. პირობა აქე. კაცო, დააწია ი ერთმა ჩოვის კალთაზედა. დაჯე კევსურო, დაჯეო, ისიც დაჯდა. უფიქრებაჟ, ემ მეორესაც რო დაველე, მემრე ავდგები. ვხედაჟ, კაცო, ვიცნობ, ამხანიგია ჩემი. რა ვიცი, რა როგორ იქნება, თორო იქით უშველდი მე. და ამაარა მეორე კევსურმა. რძალი ყოფილიყო იმისი, მე ქალ მეგონა, ქალი მოხყვება გვერდზედა. საარაყე ქობ უკიდაჟ ჭორსა ერთჟ, მეორკას ზარფუში და მოდის ისიც მალაროსაკ, პირალმა. გამასცილდა იმ ფშავლებსა და იმეებს. ეძახეს არაყ დალიეო, არ დალია, არ მიბრუნდა. ი ჩემ ყარაულ, რომელრეა დგა და გადის-გამოდის ი საბქოს წინ, იმას ... გაიქოთხა იქითა. იმათ კი ვერა ვხედაჟ და ი ჭორსა ვხედაჟ, იქავა დგა, ისენი ლაპარაკობენ. ი ჭორი კიდეჟ იქ არი. მივხვდი, რო ლაპარაკობენ. რა ვქნა, ვეღარ მოაჯერქე ვერაფერი. დაუძახო, კაცო, ადე. გაიქე, აქ მე რას მეტყვიან, რად ეძახი. ეინ იყო, რო გაიქცა, ხო დამიდგინღება. არა და იქ იმისას რასამ ეობნება, იმ ჩემ ამხანიგისასა, ის კაცი რო ეუბნება ი ყარაულსა, იმისას რასამ ეობნება. აზრით მივხვდი, მე არც ლაპარაკ მამდიოდა, ისე იყვენენ. ხოლოთ გავიგე აზრითა, რო იმისას რასამ ეობნება. ი ცხენაც მიეთარა ი კედელს, ჭორი. მერე მივიდენ, ამ კაცს... დაიქირეს, შამახსნეს ხანჯარი და შამაგდეს ჩემთან.

— ბიჭო, მანდ რა მიიტანეო, უთხარ, საით მოხვედო, სად იყო.

— ესე იყო. ესეო, კაცო წამოედითო.

იმ... ხალიაშვილი რო ჩამოაგდე, ვეღარა ვთქვი ეგ აღარ მაგონდა, იმის ცხენი, თოფ რო დავხარე, დავხარე და დავხარე, კელებ გვიდა და ი ხო ვერ გაუსწორე, დავსხლიტე და როგორც გავარდა ის თოფა, ის ცხენი წამოტრიალდა, ახლო მქონდა ი მკერდი ცხენსა, ცეცხლ თუ რამე მაძვდა იმ ცხენსა, ამ არაგვის ქალაზე გაფხოვდა. ეს ჩერქეზული უნაგირი. ეს ნაბადი კობტა, ეს კარგი ფშაური ცხენი გავარდა. შამაყრია იმათა. იმათ შამაყრია. სულხანაურს უთქომ, მაგ ცხენს ადგილს მივცეჟ მე. დაუჭერაჟ. მოდიან კაცო დდე, დდეჟე მოდიან. მაშ არ ეშინიან იმათ. თქვენ დამიცა-

დეთ ჩარგალში. გოგოთურიშვილი ლუკა ექვიენა, გოგოთურიშვილი. იმ ლუკასთან შვიდ კასრა ერბო მქონდა შანახილი, ენდობოდენ, მიძობილებულეები მყვანდა ისენი ლუკას. და ი სულხანაურს ეთქვა. ლუკასთან მაჰიცადეთ თქვენაო. ცხენს დავაბინავებ და ნოვალ იქაო. ლუკასთანო. წამოსულან, ლუკასთან მისულან, ჩარგალში. ლუკას უთქომ, რო აი ჯორცი მაქო. შაწვიათო. აი არაყი და ნე ქალაში მსხალ დავბერტყე დღესა, იმ მსხალს ამოიტან. ცხენი შეუქმანავ და წასულა, მსხალ უნდა ამოიტანოს. კარებისაჲ რა ზა დაუდევ. აქაო დღე არიო და არავინ მოიდესო. ეს ჯორკელ ბეწინტური. ეს იმედაი, მამუკაის შვილი, ეს წიქაი, ეს გიორგი, ეს ნე შაგყარეს, დაიჭრეს ისენიც. დაიჭრეს, იმ კაცს გამეექცია ცხენი. გამეექცადა იმ ღამეს. დადგა ღამე, წაართვი, წაართვი, წაართვი და ი გიორგიმ მოთხრა, რო ისეებ რო მოდიანო, ამეებმ გარეეს საითაჲო და გზაში დაჯოცენო, ჩაუსხდებიანო და დაჯოცენო.

— ე რა ვიცით, რა იქნება, გიორგი, დააჯა. ჩვენც მოგვიმატეს ყარაულები, იმ ბუხარს ვეღარ გავანგრევთ. უკვენავ დაუდგა ორი კაცი, ორ კაც წინ დაგვიყენეს. ვეღარც ი ბუხარ გავანგრეით და...

— რაც იქნება, იქნება, გიორგი, უთხარ.

გათენდა დილა, ძმაო, და ეს ამხანიგები, ერთმანეთს გადამბულები, იქ მორეკეს. შამოიდა ი კომისერი ჩვენთან და გვითხრა. ოღონდ ნურაფერს გააბედავთ თქვენა, ნურაფერს გააბედავთ. მე ასე, ისე, ცოლი, შვილი, რამე, ჩემ მილიციონებულ უნდა გაგრეკათო. მე თქვენ საქმეზე ძალიან ვეცდები და გამოგრეკავთო. ხოლოთ ნურაფერს გააბედავთ. გამოგვიტანა, ორ ჯელადა არაყ შამოგვიტანა, ხინკალი სამხრად, ვაჭშმად კეცეულაი, რა ვიცი.

იმ დღეს იქ დავრჩით, იქ გავათენეთ. მეორე დღეს გამოგვრეკა. კანუნიო, გვითხრა, მოდიო ჯელებს შაგიკრავთო. შაგვიკარო, უთხარით, შაგვიკარო. გამოგვრეკა, თიანეთში გადმოგვრეკა. თიანეთში გადმოგვრეკა და რა, მართლა ვხედავთ, რო ჩვენ საქმეზე ზრუნავს ეს კაცი და გვშველის. თიანეთში, რა გინდა, შე კაი კაცო სეჩკა ხო უნდა გვქონდეს, გაცვარტულები რო გამააცხადებენ რო გამცვარცეს. კაცო, თიანეთ არ იციან ამ ჯეესურებმა, ვინ დაადებს ჯელს. რვაჭერ უნდა გვქონიყო სეჩკა და მერე თუნდაც რო სავსე ყოფილიყო გაცვარტულებით, არა, ჩვენთან აღარ მოუშვებდენ არავის. მესამედ რო ქვონდა სეჩკა, მე დამაღვა ჯელი ერთ დედაკაცმა. საფლავბაღლი, კაცო, ბებერი დედაკაცი იყო. ამანაო, კა-

ცო, ჩემ სახლში დაკლავ ჩემ ცხვარიო-დ' ჩემ სახლშიავ მოხარშავ, მეორე დღესავ ემაგ შინელში გაყოვ ჯელიო და წამოიდავ, ჯორციო გაავსო გუდაო და წამაილოო. კომისერია იქ, კომისერს ეუბნება. კომისერმა, კაცო, მოიდა და თითონ გამიქსნა...

— ჰოო, რა ნიშანი აქვ შენ შინელსაო, კომისერმ უთხრა.

— შეილოო, ჩემი შეილისთვი მინდოდა, გადავაკეთებინე ეგ შინელიო, შავი სატინა სარჩული დაუდეო.

— შავი სატინა სარჩული უძე?

— ჰო, შინ არის გადაკეთებული ეგ შინელიო.

ფაფრიჩნი შინელია, კაცო.

— მეორე ნიშანიო, დედილოო — უთხრა ი კომისერმა.

რაიონის კომისერ იყო. ი ჩაჩიბაია ჩვენ საქმეზე ქალაქში წავიდა. მართლა უვლიდა ჩვენ საქმეს, კაცო.

— ბოლო აქო, წელთანამდი გაყოფილ ბოლოო და ერთ მჯარე-ზედაო ლილები აკერია შეიდიო. პატარა ლილებიაო და არწივები ახატია გარედან, როგორც მიკრული — ეგრეო.

ჰო, ე მეორე ნიშანიც რო უთხრა ი დედაკაცმა, მოიდა, ი კომისერმა გამიქსნა ეს... შაკრული მქონდა, კაცო, დილა იყო, ციოდა. გამიქსნა, გადასწია — თეთრ ტილოს სარჩულ უძე. მოდი, დედილო, ერთ დამჰკვლიევ. ეგ არი სატინაო?

— არა, შეილოვ.

— აბა მობრუნდიო, მითხრა.

მოვბრუნდი, მოუბრუნე ზურგი, შამტაცა ეს კალთაი შინლისნ. გამოთვალა, ერთი თვრამეტ-ცხრამეტ რაღაც ლილ გამოთვალა..

— ეგ არი არწივებიან ლილები, უთხრა, დედილოო.

— არა შეილო.

გაუშვა კალთაი და მაჰკიდა კელი ი ბებერს...

ლიმო

17. კბოების დაკარგვა

...მეძახის ეს დედაშჩემი, მეძახის, მეძახის: ქალო, სადა ხარ, რა უყავ კბუებზ. ვინ აჩქამდება, მეშინიან, მოიდა, მჰკითხა მამამა-რო ... ისაო ... არ არიანო, არცად არიო?

— არაო.

— აბა ახლა მე წავალო — უთხრა. ახლა ეს მამა მეძახის, მეძა-

ხის. ქალო სადა ხარ, რა უყავ ცბუები. არა. არა ვჩქამობ. მეგრე ჩემამაც ... რო მოიდა შინა დაყ — არ არი ცბოები და არც ბალლი!

მეგრე უთხრა ჩემ დედამა, რო იქნებ ან აქტივდა რაიო, იმ საცოდავსაო. ან დარჩა სადღაცაო, ანაო ...

— რა ამაქტივდებოდა იმ არგასადღელსაო, ალბათო დაკარგა ის ცბოებიო, თავად აქ სადნე იქნება დამალულიო.

— ნეტა რა ვქქნა — ვიძახი, — კაცო, ესლა რო მამკელოს აქაც, რა უნდა ვქნა.

მეგრე ჩემ დედას უთხრა, მაიტაო ის კელისლამფაიო, კაცო, აქ სადნე ხო არ იქნება, მოვებზნიო. მაუტანა ის კელისლამფა დაყ შამოიდა. შამანთო იქ, კარგა შუქი შამოდგა იმ ამეში, კოდში.

— ვამბე, რალა ვქნა.

— აი, ეს არგასადღელი, ექა ყოფილიაო, ე კოდში შამძქვრალაო. რო გ-თხარო, აქ სად იქნებაო. გამოდქერ მანდითაო, მითხრა.

— არაო, მცემო.

— არა გცემო, გამოდქერო.

გამოდქერ დაყ აბაო, ი ცბოები სად დამქკარგეო. უთხარ, კოპალანის თავზედა მყვანდაო და იქ დამეკარგენო, ვამსწავლე კარგათა. გამოდქერო, არა გცემო, მითხრა. მივედ, შავედ სახლშია. ჩემ დედამ მითხრა, პური ჭამეო, ქალოო.

არა მშოინო, უთხარ. რას არა მშოიდა, ქალო, მთელი დღე ცბოებში ნაშყოფი. ვერა ვშქამე ის პურიცა, დავსწევ ლოგინშია მშიერი დაყ ახლა ეს ჩემამა წავიდა კიდევ, ისევ ლამფა წაილო, საძებნელადა. არა მძინავ, კაცო, ვწევარ, მაგრამ არა მძინავ დარდისაგანა. მგელმა რო დაჭამოს, რალა უყო, მამკლვენ მენცა.

წავიდა, ეძებნა, ეძებნა, მოიდა მერე დაყ აბა, მკითხა ჩემ დედამა, რო არ არიანო? არაო, არ არიანო. ვინ იცის, დილასაც დაკარგა და ტყუისო ექა-დ' ექ დავქკარგე ემ სალამოზედაო. ვინ იცის, სად დაკარგა, მაგ არგასადღელმა, აბა, ვინ იცის. მე კი სინართლე უთხარ. აბა, რა იქნება. ეს მამაჩემიც დაწვა, დაიძინა და დილაზე, ცოტა რო თენება დეეტყვა, წავიდა ისევ საძებნელათა. დაუქელავ ეს ცბოები სუყველა და მაურეკავ კარებზე. შამოიდა. ისევ დილა არი, ჯერ მზე არ მოსულა დაყ რო გავიგე რო დაუქელავის ცბოები, ავდეგ მენც გახარებული დაყ პურის შიმშილიც მამინ გავიგე, ყველაფერი: აბა, ერთ გულდა მქონდა, ცბოს გულდა, ბეწვიან გულდა. ჩავიგდე ეს პური შიგა, წამოიკიდე გულდა ზურგზედა და მამიდის ეს ცბუებზ. გამოიდა ეს ჩემამა და მითხრა, რო აბაო,

ე კბოებ აღარ დაჰქარგო შენა, ემაგეებს კარგა მაუარეო, თორო ეხლა ხო არა გცემეო, მემრე ცემით წელს მოგწყვეტო და არც სახლში შამოგიშეებ, არც პურს გაქმეო. რა იქნება, წაველ, გავრეკე ეს კბოებო დაყ ვმწყემსობ ისე, რო პატა რო ცოტა დამცილდეს, წაეალ მოაბრუნებ, ვარ ერთ დალონებაში, ერთ მწუხარებაში. ეგ დავამთავრო.

არტანი

18. წერა-კითხვის სწავლა

— წერა-კითხვა, კიდე... ბოჩოლებში დაყ... ძროხებში...

— არავინა, არავინა. კალენდრის ფურცლებმ. პატარა კალენდრებ იყო ძველად, ცოტა. ეს... ე გელის ოდენებ რალაცა დაყ იმეებში ეწერა, ხო, სუ თითოს თითო ფურცელზე თვეების სახელი. ეს მარტიო, ეს ისი, ისიო, ჩამოყოლება დაყ... ეხლა ის ცალკე რო სწერავის სათაურადა, ყოფილა ეს მარტი, სახელი. მარტის თვისა ყოფილა ის სახელი და ... ეხლა ხო სხვა თვეებს ეძახიან რალაცეებს. ეხლა, რო დავაკვირდები იმას, დავაკვირდები, მინდა, რო გავიგო ეს ოთხ-ხუთ ასო რა არი დაყ ჩამოვთვალე თვეების სახელები. პირადად ხო ვიცი მარტი, აპრილი, რალაც. ჩამოვთვალე. ჩამოვთვალე დაყ ეს მარტი გამამივიდა. ამ მარტზე გამოვცადე ეს ასოებმ. ჰო, ესე გავიგე, რო მარტია, მარტია ეს ასოები. იქიდან ი წშირებში გადაველ კიდე. ახლა იმ ასოებს ჩავხედნებ, ახლა იქ გადავალ. ისეთ წვალებაში ვარ, ისე. ისე, რალა გითხრა. აი ეგრე ვწვალობ და გავიგე, როგორც იქნებოდა, ეს ბექდურ ნაწერი.

ახლა კიდე ამაზე ვსწვალობ, რო ეს ჯელნაწერი არ ვიცი, ვერ ვიცი, რა ასოებია, ენას ვერა ვცნობ. ჩემი უმფროსი ძმა ძროხებში დადიოდა შირაქში. იქ დაუდიოდა ძროხები დაყ ...

— როგორ არ იყო. ლიშოში იყო ერთი მარტო. აქ არ იყო, არტანში, ლიშოში იყო. ჩემი ძმა იქ დადიოდა, რომენიც მე მამიკედა, იქ დადიოდა. გამაიყვანეს მეოთხეშიითა და დავლუპეთ ბალდი.

— რასა ვლაპარაკობდი? კიდეც დამავიწყდა.

— და იმ ჩემ უფროს ძმამ მაიწერა წერილი. ისაო, მრავალს მოკითხვას მოგაცხენებთო, ჩემო დედმამანოო, როგორა ხართო. ეხლა მამაჩემი კითხულობს იმასა და მე კიდე უყურებ, იქა ვდგევარ დაყ უყურებ. ეხლა როგორც იმ ჩემამამ წაიკითხა, როგორა ხართო

ჩემო დედ-მამანო, მრავალ მოკითხვას მოგაკსენებთო, რო წაიკითხა ესეები, ხა რომენს წაიკითხავ, ხა რომენს სიტყვას ვიტყვი, ხან რომენს სიტყვას ვიტყვი, რომენს გამამივალის სწორათა. ეგრე ვსწვალობ. ეს კელნაწერიც გავიგე. როგორც იქნებოდა. ეგრე წვალებითა და გავიგე სუყველა ასოები, კელნაწერიცა, ის ცხვაცა და შემეძლო წაიკითხვა.

არტანი

19. შეილის ამბავი

— ის კიდენ მალალ-მალალ კაცი იყო, საშუალო ხნის კაც იქნებოდა. გოგია მქვიანო. თქვა, თბილისელი ვარო. რო შამოიდა კარებში, გაჩერდა დაჟ იქით, სურათს დაუწყო ყურება. დადგა, კარგა ზანი დააშტერდა, დააკვირდა და მკითხა, რო ეს სურათებით თქვენი ოჯახისა არიანო თუ ვილაც ნათესავებიაო, ვინ არიანო.

— შეილებია ჩემიო. უთხარ, ეგენიო.

— სად არიან ამჟამადო.

— აღარცად არ არიანო, უთხარ, ფრონტზე იყვნენ და აღარ არიანო.

— როგორ გაიგეთ ამბავიო.

— აი ესე, ესე, ესე, ესე.

— რამდენი ხანიაო, რო გაიგეთო.

— აი ემა-დ' ემ თვეში, ემა-დ' ემ თვეში, ჩამაუთვალე ყველაფერი.

— მამო, ეხლო სინამდვილე იცითო, რო ეგრე მფიქრობთო, რო აღარცად არ არიანო. იქნებ ან პლენში არიანო, ან რალაცაო.

— არაო, უთხარ, არაო. ისე გავიგეთ ამბავი ყველაფერიო. დევეშებითაცაო, ისეო, სუ ყველაფერი სინამდვილეო და ზარჯებოც გადავდელი გვაქო. არც ველოდებით არაფერი და ამ კაცმა ერთი უცბად მათუვა ცრემლები და ამილო ცხვირსაცოცი და წაიწმიდა ცრემლები. დავაკვირდი და დედიო, მითხრა, მე იმიტო გაგიფრთხილდო, რო იქნება არაფერი იციანო და ისე ველოდებოდენ შეილებსაო. იქნებ არაფერი იცოდენო, მენ იმიტო გაგიფრთხილდო და არ გოთხარო, თორო ამ სურათს რო შევხედეო, აი ესე დამიდგა, ესე დამიდგა ამის სახეო. ეს ჩემთან იყოო, დედიო, მითხრა, ჩემთანო. დაბანაკებულე ვიყავითო და ისეთ დროს მალლიდან დაგვარ-

ტყესო. მე მიმედ დაჭრილ დავრჩიო. ძალიან მიმედაო, რო არ-
ცა მქონდა ჩემი თავის იმედო, თუ მე სიკვდილს გადავრჩებოდიო.
თბილისელი ვარო, თბ-ლისშია ვცხოვრობო, გოგია მქვიანო და გვა-
რი დამავიწყდა და არ დავიწერე არც მაშინ, მე ბეჩაემა და ეგრე კი
დამავიწყდა, სახელ კი დამავსონდა. ესაო ჩემთან დაილუპაო, მაშინ
დაილუპაო, როცა მალლიდან დაგვარტყესო და იქ დაილუპაო და
უფროსმა უთხრა ლიოტიჩისაო, რო ესეო წაიღეთ და დაასაფლავე-
თო, ამის ეგრე დარჩენა არ შეიძლებაო. წაიღეთო და რალაც ად-
გილი თქვა, იქ დაასაფლავეთო, ესეო ნუ დაატოვებთო ეგრეო, არ
შეიძლება ეგრე დატოვებო, გმირულად მებრძოლიაო, ცოლვა არიო,
ეგრე ნუ დატოვებთო. წაიღო ლიოტიჩემაო და რა ვიციო, აბაო.

ისე ცრემლებ წაიწმიდა, იმოდენა იტირა, იმოდენა იტირა, ღმერ-
თმა დიდი დღე მისცეს. მთაში მიდიოდა ზოოტენიკი ვარო.

აი ეგრე იყო, იმ კაცმა მილაპარაკა. მაინც ხო სინამდვილე
ვიცოდით, მაინცა, მაგრამ იმან კიდევ მილაპარაკა, რო აი ესე იყო,
ესე იყო. ვიბრძოდითო, ძალიან დიდ უბედურებაში გავაარეთო.
მოკლეთ ეგრე დარჩა მსხვერპლი იქაო, როგორც ივრას რაყეზე
ქვა არიო. აი, ბოლოს ეგრე დაგვემართაო, რო ის დაილუპაო და
მე დავრჩიო. როგორი გულკეთილი იყოო, ცოლ-შვილი გაშიწყ-
დესო, თუ მე ის დამავიწყდეს ჩემ სიცოცხლის მანძილზედაო. რამ-
დენჯერ შესანდობარიც დამიღვეიაო. გვეტყოდაო, ბრძოლაში რო
ვიქნებოდითო, ნუ გეშინიანთ, ბიჭებო, ნუ გეშინიანთო. ვიბრძოლოთ
სისხლის წვეთამდეო. მე ფშაველი ვარ, არ მეშინიანო. ნუ გეშინ-
იანთ, ნუ გეშინიანთ, ნუ გაგიტყდებთ გულიო. ვიბრძოლოთ,
ჩვენი სამშობლოსათვის ვიბრძოლოთო, გვეტყოდაო. როგორი გულ-
კეთილი იყოო, როგორი კაცთმოყვარე იყოო, მე ის არ დამავიწყ-
დებაო. იტირა, იტირა. ღმერთმა აცოცხლოს თავისი ცოლ-შვილით.

— თუ არ მიუბნავ შენთვი, ქალო, რუსულანმ აკითხვინა, ჩემ
რძალმა, ციჯანასა. ეხლაო, ეთქო. მე ყველაფერს დაწვრილებით ვერ
გეტყვიო და გოგია მოდისო, გოგიაო. აი გოგია მოდისო, ჯარში ნამ-
ყოფიო და ყველაფერს გილაპარაკებს იმის ამბავსაო. მე ვერ გე-
ტყვი ყველაფერს დაწვრილებითაო. აი, გოგია მოდისო და ის
გეტყვისო. ქალო, ვაიმე დედავ, ემაგან გამაცეტა კიდევ. იმ კაც-
მა რო ლაპარაკ დამიწყვა და სახელი ვკითხე, გოგია მქვიანო,
მითხრა, გავცეტიდი, ქალო, გადავირიე. გოგია მოდისო, აი გო-
გიაო, ჯარში ნამყოფიო და გილაპარაკებს იმის ამბავსაო, აი იმ
ბიჭის ამბავსაო, სურათი აქქონდა რუსულანსა და...

— იმისმა ამოწყვეტაა, მე კიდევ უთხარ. გოგია ... რა გოგია, რის გოგიაო. ქალო, სადა, როდის, მერამდენე წელსა. მკითხავებისა არაა მწამ. შენ კარგა იცი, მე მკითხავეთან არც კი ვყოფილვარ და ემაგან კი გაშაცეტა, იმ სიტყვამ, რომ იმ კაცმ თქვა, გოგია მქვიანო.

არტანი

20. ქურდების ამბავი

— სამ ბატკან იყო. ისეთ მოსუქებულეებში. აქა მყვანდა, ცბოებთან. აი. ცბოებთან იყვნენ დაჩვეულები და ემანდ საძოვრებზე იყვნენ. გუშინისწინა, აი, ემა ზეითაი გაქრა ისე. დაიკარგა.

— არა, ის ერთია. მაროსია ისი. ა, მაროსია ისი, არ ეშვება ცბოსა და ის კი არ დაკარგულა. ესენი კი დაიკარგა.

გუშინ თიანეთის ვილაყეები ... მანქანა ... ამ გვეზე შაიარა. მთიდან კიდევ რალაც გოქებ გამეერევა და ისენ მანქანით მიუღიოდა. არ არი ის იმათ იქითა. ის ნამდვილად იმათ ჩაყარეს მანქანაში ემა ზეითა. ნახეს ჩაყარეს და წაიყვანეს, ქალო. არც ყორან აჩქამებულა, არც ბურდლი, არც რამე იმათი, აბა, ბა, ბა. ი სამ-სამ ისე როგორ დაიკარგა რომ არაფერ ნიშანი არცა არი. ნამდვილად იმათ ჩაყარეს მანქანაში. გარყვნილები... აი, მოგვივიდოდენ ახლო პურის გულისთვი. დაიჭირეს და წაიყვანეს, ქალო. ეძებენ გამწარებულეები-დ' რას იპოვიან, იმათ გარეკილია ისი. თუნდა ჩავიდენ, აბა რალას გამაძრჩებთან ან დაძკლავდენ, ან გამძკიდდენ, ან რალაცას უქმოდენ. სამ იყო, სამი და ისე გასუქებულეები, ისე კარგები. გასაპარსავეები ისევა, ქალო, გააქრეს კელდაცელ.

— ჭერ აი ქედელეებს რა ექნა, ქალო, ჩვენ ღორებისთინა შენ კი გაიგე ის ამბავი თუ არ გაიგე? სამ წელია იმის შემდეგა. მაშინ ეგ ალიათ ნინო იმაში დადიოდა, კოლექტივის ცბოებში. ეგრე დაუღიოდა, აი ზემოთაისაკა, აი ადგილის დედა როა, იმ მჯარეზე დაუღიოდა. იმას მეესწვრა. ერთი ჩვენი ტახი დეეკლა. მეორე კიდევ ქეშკათი, მანქანით მოსულეებსა ძროხების ჩამოსარეკავადა. ალრქულიანობა იყო მაშინა და ის ძროხები იქ მიუღიოდა, მანქანებით გადაუღიოდა. იმ მჯარესა ხყვანდა, აი ბუჭყინტის მჯარესა, ძროხებ იზეებსა და მანდიდან ელოდებოდენ, რომ ჩამორეკონ და მანქანით

გავრეკოთო. რავი, აღარ გადმაუვიდა თუ კი გადმაუვიდა, ის კი აღარ მავსონს.

ისენ იყვენენ, გარყვნილებ იყვენენ ის ღორები, მაგათიც, ჩვენაცა. თითო-თითო დეეკლა ისენი აიმ წნორიანში, ემაგ ზეით რო წნორიანია, იქ დეეკლა ისენი ორივეა. მისულეყო ეს ნინო. ღორის ჭყვილ გეგონა, ღორისი და მისულეყო. რა ანბავია, მისულეყო. ეს ღორებ დაკლულებია ეს ორი დაჟ ფაშ-ნაწლაევიც იქ სადღაც მიეწყვა. ეს ღორები კიდე მანქანაზე უნდა დაუღვან დაჟ წაიღონ. შამოდგომა იყო, მიდიოდა უკვე მთიდან საქონი. მიესწრავე ამ ნინოსა. რად დაჯოცეთ ე ღორებო, უთქვამ.

— შენებიაო?

— ჩეშებია, მაშ ვისებიაო.

— აბა, ნუ გვიჩვილებო და გადაგივლითო ეხლავე ფულაო, ნუ გვიჩვილებო.

— აბა, უთქვამ ამ ნინოსა, სამოც-სამოც მანეთ ჰიღირს.

ამღგარან, ეს ასოც მანეთ მიუყრეფ-მაუყრეფავ, მიუცავ ამ ნინოსად. მაგან ის არ გაავსენა. ჩვენ კიდე ვეძებთ. წინ-წინ იმასა ვკითხეთ, ხო არცა გაიგონე ღორის ჭყვილი აქაო, მგელმა ხო არ წაქაშაო.

— ანაფენ ან გამიგონავ, ანა, აქ ღონის ჭყვიონ ან გაგონინა.

ახლა მეორე დღეს იმის დედა იყო კიდევ ჯბობებშია, ის არ წამოსულეყო და იმასა ვკითხე კიდევა. რას ეძებო, ჰო, მკითხა და -- ქალო, ტახ დაგვეკარაო. ის კი ვერ ვიცოდი, თუ ქენიკაა: ცარგული ზყვანდა. თურმე მაგათაც დაკარგული ხყვანდა მეორე.

— ტახი დაგვეკარგა, ქალო, იმას ვეძებო.

— იპ, ე მონადირეებ მახკლავდენ, მონადირეები — მითხრა იმანა. — აი მონადირეებ დაწანწალებენ, ვითომ ნადირსა ეხკოცოთ, ეგენ მახკლავდენ, ეგეებ მახკლავდენ და ეგებ წაიღებდენ ე გასუქებულ რო იყო, მითხრა. აღარცრა. დავანებეთ თავი მერე ძებნასა. ორი დღე ვეძებეთ, დავანებეთ თავი. ჰო, ნიადამ თავ გავანებეთ, ჯერ მითხრა, რო ეგეებ არიანო, ემანდ შენ გასწვრივო, ემანდ მურყნის ქვეშაო ფაშ-ნაწლაეებ ეყარაო, ძალმ მამაქვლეინაო. ძალლ მივიდა იქაო. ემა მურყნის ქვეშ ეყარაო ფაშ-ნაწლაეებო. აბა ვის ჩაყრილებ იქნებაო ესეებო, მონადირეების ჩაყრილებიაო, მითხრა მართამა. კარგი, აბა, ვნახეთ ნიშან-გერში და დაკლულებია, აბა რას მოვძებნით, რას მოვკელავთ, დავანებეთ თავიან.

მემრე, იმ ზამთარშია, აქედან ვინ წავიდა, ეგ ველარ ვიცი, ქალო, კოლექტივის საქონშია იქ, შირაქში. ამ ჩვენ სოფელელ იყო თუ ქვემოსოფელელ იყო, ეგ აღარ მაქსონ, ბიჭი, ვილაცა. იმან მაიტანა იქიდან ამბავი, რო ჩამოვიდა, რო ქედელმა ბიჭმა თქვაო, რო ესე, ესე, ორი ღორი მოვკალითო. მოგვასწვრაო მეგბოემო, კოლექტივის მეკბოე ქალმაო, მოგვასწვრაო და სუ ჭიბეებ დაგვიფხიკა. დავკალითო და უთხარიო, ნუ გვიჩივლებ ოლომცაო და რას აფასებო... და სამოც-სამოც მანეთებ მომეცითო. სუ ჭიბეებ დავიფხიკეთო, გზის ფულიც აღარ დაგვრჩაო და მივეციო ასოც მანეთიო ი ქალსაო და წამოიღეთ ი ღორები კიდეთო. შარჩა, შარჩა ი ფული. შალიყო ტრაბახობდა, ქეშიკათი, არ შავარჩენო, განოართვამო. არც არა იმან გამართვა, არც არა ჩვენ. ისეთ-ისეთ საკაბეებ იყიდულა ნინუამა, რალა გითხრა. მაწ! არა, ისა იმაზე მწყინს, განა იმათ ფულის გამორთმა მწყინს, გამართოს, რად უნდა შადრჩენილიყო, მაგრამ ... ქურდებს ეგრე უნდა, მაგრამა, რალა გვაძებნინა, კაცო. იტყოდა მაინც, მე ვნახე, დაკლეს. კარგი, თუნდა ფულის მოცემა არ ეთქვა, აჰაჰ. მე ვნახე რო იმათ დაკლეს და წაიღეს. ეთქვა ეგ მაინცა.

— იმაზე ვამბობ ქალო, ზოგი საჭიბვიროდ არი. აი, ეს შოფრები ისე არიან გაგერშილები, რო საცა რას დაინახავენ გზა-გზის-პირებში, საქონელია თუ რა ...

შარშან კიდენა მანდიდან გადმორეკილ ბოჩოლები, აი სოფლისი, მოდიან გზაზე. სალამოხანია და მე კიდე ხიზანანთ აქათ ღობის პირშია, გზის ძირზე, იქა ვარ ღობესთანა. დიდი მსხალი ზოა მანდა. წიღზე რო გავკლებით, იქა ვზივარ, ვერა მხედვენ. გზაში მანქანა არი გაჩერებული, წყალს აქათა. მანქანა არი გაჩერებული გზაშია დაყ... ერთი სამ-ოთხნია, გზაშია დგანან, რალაცას ეხვევიან, რა ვი, ხან მიტრიალდებიან, ხან მოტრიალდებიან. შიგ გზაში მანქანა არი გაჩერებული. ერთ ბოჩოლა მანქანის უკან არი. სახლისკენ მოდიან და ი მანქანამ შაჩერა. მიიხედ-მიიხედა ჭერ იმ ერთმა კაცმა, მემრე მივიდა დაყ ზედ ფეკზე სწვდა ი ბოჩოლასა, სტაცა ფეკი. ი ბოჩოლა კიდე, კაი ღონიერ ბოჩოლა იყო, დიდი, მაუძვრა კელიდან, მაუძრო ი ფეკი და გეჰქცა. კიდე მეორეზე გამაუდგა დაყ ... ვთქვი, ეგ მამაძალი...

— რად დაადევ, რალაცა ხარ, გიყი ხარ, სულელი ხარ, მა ბოჩოლას რად დაადევ. მამშორდი მა ბოჩოლებსაო, — დაუქყვიელე

იქიდან. მოტრიალდენ იქითი, დაქოქეს ი მანქანა და წავიდენ. მე რო არ შავსწრებოყავ იქა, ბოჩოლას ჩააგდებდენ ი მანქანამო. წავიდოდენ.

არტანი

21. გელა

ერთ დედაკაცი მდგარა და ბალები მპყოლია .მასა ორრ. გავიდენ ეხლა, ან საქონ იქნებოდა, ან სალამოზედ იქნებოდა... დილოთ და მოცვივდენ ეს ლეკები სამნი, დამქრეს ი ბალებს თავები, დაყარეს იქა და დაიქცნეს. პირდაპირ ჩლილია იმ ქუშგვერს პირდაპირა, იმ ჩდილში ნასახლარია. ი ნასახლართან რო გავიდენ, რა ამბავია. ფშველებოო, ხო არა ცუდ მამხვდაო, დაუძახეს... ლეკებმა. აბა, შაიარაღა ხალხიცა, ვინც იქნებოდენ, გამაუდგენ დაყ ... ერთი პაპაშჩემის მამა ყოფილა, ტორიკელას ეძახდენ იმ ჩემ პაპასა. იმის მამა ყოფილა, გელაი ქვიენილა და ე მუტლები არა მქონია, კვიშტავებზ. რავი, რარიგ მუტლებ ექნებოდა, თურმე გაქცეულ ცხენს დაიჭერდა. ირემს ეწეოდა, ისეთ ყოჩად მუტლი მქონია. გაქცეულა ისი წინა, წასულა და ვერკველს ვეძახით, ა პირიქით არი ის ადგილი. ი ვერკველზე გადასულან ი ლეკები და დამსხდარან პირთაქვე. რო ხალხ როდის მიეწევა, უნდა დაისვენონ. მიძარებია ის მგელამ ი ლეკებსა და დაუკრავ ბელადისად თოფზ. ის ორნი კი დაქცეულან, აბა ფისტენიანა თოფებით... როდის გაავსებდა იმას. ის აუჭრავ და რო გადმობრუნდაო და გვერდზე მობრუნდაო, შამაპტინაო და ყვითელ კბილებ უჩნდაო და დაუკრავ მეორე და მაუკლავ. იმისთვინა ...

სამკლავე მქონია, ჭაჭვის პერანგი, ნარჯვენაიცი მაუჭრავ და წამაუკლავ. აი გორზე რო გამამყდარა ისი, მაშინლა აჩენილა ხალხი ჩვენებურებზ. წინ შამაყრია, მიუტანავ ის მვარი. ის ჭაჭვის პერანგი და ის სამკლავე, ა ექ გასაკეთები რკინა. ა ეგ ამბავი ყოფილა. ეგ კი ღაქთავრდ.

არტანი

22. მელორე და ლეკი

ერთ მელორე წასულა კიდევ, ღორებშია ყოფილა. ლეკებ ძალიან დაღენ-ლან წინავა სამტროდ. დაუჭერავ ის მელორე, ლეკებ შაყრიან. სანია თუ ოთხნი, რა ვიცი და დაუჭერავ ი მელორე და შაუკონავ. დაუგდავ იქ და ერთ ყარაულ დაუყენებავ, ისივ თავის ამხანაგზ. ი სხვებ წასულან, კიდევ უნდა დაიჭირონ ვინმე და წაიყვანონ. აღაროდის მოსულან და მამშიებია პური ი ლეკს ძალიანა. გაუქსნავ ი მელორის გუდა და ი გუდაში კორცი დებულა ღორისი და პური. ველარ თუ გაიძლო მშიერმა. რა ვიცი, ესლა ი წერა-მწერელიც თუ არი. უთქომ, კელფექს გაგიქსნი შენაო, ი მელორისადა და შენ ჩემ ხანჯარს მოგცემო და მე კიდენ პურს დაუწყებ ავლევასაო და მითხარო, ჭამელა შე რჭულძაღლოო, არ ჭამელაო, -- მე ვატყვივ. — ჭამელა შე რჭულძაღლოვ, არ ჭამელაო და მემარეო. მესამედა თუ მეოთხედ რო მეტყვივ, მემრე ვშჰამო და ხატ აღარ დამიშლის იმასავ... ჩვენ ხატ გვიშლისო ღორის კორცის ჭამასავ.

მაუღდავ ი კისერში, მაუგდებიინებავ თავი იმ ლეკისადა დაჟ აბა, აიღებდა თავისებსა, ი თოფ იარაღი-დ' წასულა, გაქცეულ.

აი ეგეებ იუბნიან შვილო, აბა მე კი ... რასა ვარ მამსწერალი.

23. ნატყვევრის ნამბობი

ერთ დედაკაცი კიდევა ... რძალ-დედამთილნი ყოფილან და ორ ბალლი ხყოლია იმათა. ი კაც კი არ თუ იყო შინა. მოსულან ლეკები და წაუხსნიან ი დედა-შვილები. ი ბებერი შინ გაუწირავ, დედამთილზ. წაუყვანავ. ტიტველა ამასწვადესო აკავანშიითაო და ეგრე გადაიკიდესო მყარზედავ. ვეხვეწენო, ი დედაკაცმა თქვისო, მამეცით მე ვავლევეო და არა მამცესო. მიუყვანავ თავის სახლშია. ი, სამ ძმანი ყოფილან, ი დედაკაცი და ი ბალლ. უჭმევაავ, უსმევაავ, რავი რას აჭმევედენ, გაუსუქებავ ი ბატარაი, ძუძუმწოვარაი ისე მაგრა, რო კარქა.

ერთი დროა და მაიტანეს ვარცლი, აი ფშაურ ვარცლ იჭნებოდა, რავი რა იქნებოდა საჩეჩლებზ, ჩამაჟიდეს ი ბალლი, ხკრავს ერთი საჩეჩელს [გაგუბუსტიაკლებ], ახლა მეორე, ახლა ისე, ისე მოკლეს, ისე მოკლეს, გაადინეს სისხლიო, იუბნიან თორე მე კი

რა ვიცი. მემრე ჩამაულავ ი ბალლი, დაუყუწავ, ჩაუყრავ ქობშია და მახუხარშავ. თურმე უთხრეს ი დედასა, რო ჭაპევე შენცაო. მი-
აწვადეს ფერცხლის ძვალი ემოდენნ. წაილო პირისაქად' რას შემ-
ჭაპს შვილის კორცსა, დაექანა და ჩაეგდო საყელოში. ისენ რა
იმას უგდებენ ყურსა, ჭამეს ის კორცი, სისხლი, ცხვა სუ ერთ-
ურთშია. დაწვენ ეგრე, გაიშალეს ლოგინი, დაწვენ. აბა ე დედა-
კაცს ცეცხლ ედება, ძმაო, აღარაფერ... თურმე ადგა, ჯერ ერთ
კვალი ნახა, მეორე, მესამე კვალი, შაატყვა, რო ეს მაგრა გაწკრისო.
ი ბაღლ ეხვევა, დედი ნუ, ჩვენ რაით დაგვეკოცენ, დედი ნუ და
აბა, არ უგდო ყური და გააჩუმა. მაჭრა სამსავ თავებო, იმ დედა-
კაცმა იმ ლეკებსა. ფულიან პარკ ეკიდაო და ერთ მჯიღ ი ბაღლს
ჩაუყარეო და ერთ თავად ჩავიყარეო. წამოსულან ღამე. უღლავ,
უღლავ, უღლავ და არა დცოდნია ი დედაკაცსა საქრისტიანოსაქ მი-
დის თუ ი ლეკების მკაროზედა. იარა, იარა და რო დაიწყო, ცის
ნაპირ დაიძრა და... აბა კახეთსა ხო ბარდა იცის, მაცვლისა. ი ბარ-
დის ქვეშ შამძვრალა, დამალულა, ი ბაღლიც იქ დაუმალავ. უთქვამ,
არ ამჩქამდე. გათენებულა თუ არა, დამდგარა ერთ უღავი-უღუვი,
ერთ ვაი-ვაგლახი ამ ლეკებისა. თურმე მოდიან ჯარები და ი რო
შაიარესო იმეებმაო, მემრე ძაღლმ შამაიარაო და ი ჩვენ რაზედაც
შავცვერით, იქ დაუწყო სუნთვაო, იუბნის იმ დედაკაცმაო. ვამმე,
ვთქვი, ეხლა კი მოგვეკლვენო. გაიქცა ისიცა წავიდა. იარეს იმ
დღეს, სუ იბძოლესო. დალაქებულა მემრე და ამდგარა ე დედაკა-
ცი და არ იცის სად მიდის. მოგვევიდა პური მენცა-დ' ე ბაღლსა-
ცაო და ველარც ვხედავდი, ველარც მუტლებსა ვკმარობდიო.

ვიარეთ, ვიარეთ, ვიარეთ, ვიარეთო და ერთ გორზე გამოედო-
თო ღამე, გავხედენო და ცეცხლი ბეუტნობსო. ი ბაღლს უთხა-
რო, დაჯე შენ აქო, შვილოო და წავალ მენაო და იქნებაო ქრისტიან
იყოსო, პურს გამოართომო. ველარცა ვხედავდი ჯერ მენაო და
ბაღლს სუ გადაუწყდა, სუ კელით ვავლევდიო. მივედო, დავპკე-
ლიეო და ლეკ იყოო.

ბეჩავ გურჯოო, მითხრაო, შენა გურჯ ეტყობიო. პურიც მამ-
ცაო, გზაც მასწავლაო, მზეს გაყეო, მითხრაო, მზეს გაყეო და მი-
გიყვანს შენ ქვეყანაშიო. ღმერთმა უშველოს, მოედ აქავაო.

არტანი

24. კაფია

ფშავლები სხედან, ქეიფობენ. კარგა შამთვრლებია. გამაიარა ფშავლის ქალმა. გძელ კაბა, გძელ თმანი. ლამაზი. სხეებ ზურგითა სხედან, ერთ ფშაველმ მაძკრა თვალი, რო მოდის ეს ქალი. შაუმღერნა მეორეს:

წმინდა გიორგის ვაფერე
ექ რო ქალმ ჩამაიარაო.

მეორემ შაუმღერნა კიდევ:

მაშ იმ ქალმ მოგცას წყალობა

წმინდა გიორგიმ კი არაო!

ისევ პირველმა შაუმღერნა:

თუ ღამე არი, კი მომცას

და თუ დღე არი, კი — არაო.

არტანი

25

ე, რა უჭირს მემცხვარეებსა,

შინაურებსა მგონაო.

მემცხვარეებსამ მიმგვარა

შინაურების ცოლაო.

თეთრავეა

შირაჰი

26

— ბოჭკები ქვონდა, კაცო, აი ბაჩონკები. ავჭკიდებდით ცხენს, ვირსა და იმით ამოიტანდით აი წყაროზეით. აქ წყაროებია აქ გაყოლებმა. ზოლოთ წყაროები რანაირი, პირველი ხარისხის წყაროები.

— ოო, ნეტი... მთაშიაც არ არი ეგეთა წყლები, არა, არ არი.

— თელისწყალი, მაყვლისწყალი, რუსის წყალი, ჩინარი.

— ჰო, ცოლი გყავს? მყოფი და აიქ გავლამ სხვისა მყოფი.
ქონდა წყალი. ზოლოთ წავიდოდენ, მარტოა ვერც წავიდოდენ. ერთი ორ-სამნი, ან კაცა რა იქნებოდა იქ.

ქვემო ჭელი

27. ქედელი შარაყვევლების საუბარი

— ისე ვიცოდით, ჩვენა, შვილო. რო ჩალაფობა რო პერსა შკამდა, ლამით, აი ვაწმამს ვეძახით ჩვენა, ისენ რო პურსაა შკამდენ. დაიძინებდენ კაცები, ბალები. რა ვიცი, უნდა დამსხდარიყვენით, დაგვენთო ცეცხლი, ცეცხლის შუქზე, არც ლამფა იყო მაშინ, სად იყო. ელექტრონს რა უნდოდა იქა. ჭერ ეგრე უბრალო, აი კელის ბოლიანი ლამფა გვედგის ეგრე და იმასაც ჩაეაქრობდით, ცეცხლის შუქზე ვასთავდით. ტარი, აი ტარს ვეძახდით, კელის ტარი, იმას დავავსებდით, ერთს მაინც, ორს. მეგრე ნივსწებოლი ეგრე ხან იმაზედვე, საგარეხელას ვეძახდით, ი ტარს რაზედაც ვატრიალებდით, იმაზე მივდებდით თავს. ჰოდა, რო ქათამი შამყოფლებდა. რა იყო ჩვენი საათი, ჩვენ საათ ის იყო, საათ სად გვენახა, მამალ რო შამყოფლებდა, ის საათ იყო. უნდა ავმდგარიყვენით, ან კალო გვექნებოდა გასალეწი, ან მთვარიანი ლამე იქნებოდა, წასვლა გვინდოდა. ტვირთს ავიკიდებდით ზურგზე, თივას ან ძნასა, ძნას ვეძახდით, აი ყანა რო მაიმკება, ჰო და მოგვექონდა ზურგით. მამ. აიმ წვალებაში ვიყვენით ჩვენ, სუ აიმ წვალებაში.

ჩვენ რად გვინდოდა... არც ხატობა ვიცოდით, არც დღეობა ვიცოდით, არც ქორწილ ვიცოდით, არც ისა, რა მქვიან. ხარჯი, რავიცი, ხარჯს ვეძახდით ჩვენა.

— ბოსტანი... გავაკეთდით, შვილო, რა ბოსტანი, ლობიო და კარტობილი. ჩენ რა ამეს დავთესავდით, მწვანალებსა თუ...

— ჩვენ თავისთვინ. არა, რასა ვყიდდით. იმდენა სად იყო რო გავვეყიდა.

ექსოვდით... ფარდაგებს ვეძახდით იმას. ექსოვდით აი ფარდაგებსა. იმასა ექსოვდით კიდევ... წმინდად ვასთავდით და შალსა, შალსა ექსოვდით საშალვარედა, საჩოვედა. შალი, ზო. ყლის შალი. ყდაზე მოქსოვილიაო, ვიცოდით ის შალიც... ჰო, ჰო ტოლი, ტოლს ვეძახდით.

— აი დედაკაც მარტუა არი იქა, იმას ალონებენ ისეები, ნეტა-
მიშველებოდა ვინა.

— რა დედაკაცი?

— ეთერი.

— რას აკეთებს?

— ა იქ. აი, ჯღუთათ კარზედ არი. მოკრიფეთ, კაცო, მოკრი-
ფეთ. გაფუქდა ის საარაყე იქა. მიეშველენით ვინა, კაცო.

— ჰოდა, აი მაგ დღეში ვიყენით, შვილო, ღარიბობაში, ბე-
ჩაობაში, მე ისეთა ამეში ამოიზარდე, რო ჩემ დედ-მამასა ერთად-
ერთი ძროხა მყვანდა, საწველი, ერთადერთი, მაშინ, როცა უნდა
ყოფილიყო ან ათი, ან ოცი საწველი ძროხა და იმასთან კიდე
წვრილ-მანი ჯარები და ბოჩოლები, რა ვიცი, ათასი რამ. მაგრამ.
აი ამოიზარდე აისითა, აი ამ დღეში.

— იმით ვამბობ რო ეგრე უნდა... ქმარეული... ესენი კარგა
იყვნენ. ცხოვრობდენ, ამათ არა უქარდა. ეს იქით წამოსულია, ცხო-
ვრებაშიით.

— მე ცხოვრებაშიით წამოელ, განა ესენ რო იყვნენ. ისრე ვიყ-
ვენით ჩვენ. ჩვენ ვლულდით და გადმოვდიოდით, იმდენა ცხოვრება
გვქონდა, იმდენა საქონი გვეყვანდა. საქონი გვეყვანდა თორო სხვა
არაფერი — არც ჩვენ.

— ვეჭამდით, ბიჭო, ვყიდდით, რაც სახში გვიწოდოდა, სახში
სტოვებდენ და რაც არა — აღულებდენ ერბოსა, გაანსებდენ ქვეკ-
რებსა, ტაგნებს ეძახიან, აი, აიმ კასრებსა. იმას შაინანაჯდენ საზამ-
თროლა. ერთ ჯერზე პურს არა ვეჭამდით ჩვენა, რო ერბო არ
გვეჭამა. უჯორცოდ ჩვენ პურს არ შევეჭამდით.

— იქ როცა მივედ, ამათასა, მაშინ დავეკლავდით ჯარსა. ჯარ-
თან კიდევ ერთ ორ ცხვარსა, სამს, საზამთროლა. საარაყე ქობში
ჩავჯებდით ჯორცსა.

— არა, არა ი სასამხთოე სხვა იყო. სამხთოს ვეძახდით ჩვენ
იმას. სამხთოსთვინა დაკლაო, ხარი დაკლაო, ძროხა დაკლაო. ისეც
კი იცოდენ, ისე დაამკლავდენ. არ იქნებოდა, რო ჩვენ ზამთარში
ორი ძროხა არ დაგვეკლა და ის არ გვეჭამა.

— გამოვჭკრიდით... რბილის ჯორცი. ჩავდებდით, ან ბოჭკა
გვექნებოდა ან ქობი. საარაყე ქობი ვიცოდით ჩვენ. საარაყე ქობი
გვქონდა დიდი დაც სხვა არაში ჩაიდებოდა იმოდენა ჯორცი. იმაში
ჩავდებდით. დაეყრიდით მარილსა. ცივია, აბა ზამთარში ხო
ცივია, ჯორცი არ გაფუქდება. ვილებდით რამდენიც გვინდოდა,

ყველა შაბათ საღამოსა ხინკალი, ხინკალი .. და ამოიღებდით გორცს, დავკაფავდით ცულით, საკაფელას რა ედვა იქ, დავკაფავდით ცულითა, მერე იმას შევანელებდით, როგორც ვიცოდით. მოახვევდით იმასა, ვჭამდით, ან სტუმარი მოგვივიდოდა, გინდ სტუმარი არ მოგვსულიყო, მაინც თავად გავაკეთებდით.

— ე, დაილოცოს ღმერთი, ახლაც განა კი არა მწამ. მაგრამ... ეხლა, ... იმას ხო მოვლა უნდა, იმას ხო დრო უნდა.

— არაფერი. არა, საშალვარე, საჩოკე.

— საკაცო... ის ჯევესურული იყო ეგვენ რასაც ეძახდენ. ის ჯევესურულია, ის ჩვენთან არ არის.

— არა, მკერვალი ხო იქნებოდა, კაცო.

— საჩოკე წალმ-უკულმ იქსოებოდა და საშალვარე კიდენ წალმშ. აი, ერთ გორგალი ეს არი, მეორე გორგალი ეს არი. ეს არი წალმე დაძახილი, ერთ გორგალ კიდე უკულმა იძახებოდა, რა ვიცი. იმას წალმა-უკულმედ რო ვაკეთებდით, აი ესრე ვაკეთებდით. მემრე ჩამოვხქსავდით იმასა. ეს წალმე, ეს უკულმე ამ შუაზე, ეს წალმე. ესევე უკულმე და ის გამოდიოდა... ჩამოვხქსავდით მაულ. ის გამოდიოდა წალმ-ულუკმართად. ახ, რად არ არი, რად არ მაქე ნაქერი შანახილი, რამდენად საჭიროა.

ქვემო ქელი

28. მარიამის საუბარი

— ვის მაქონდა და ვინც დადიოდენ. აი იქ რო ჰყვანდა ყარაულად ხალხი, იმეებს მაქქონდა ის ამბავი. აი, ის ჩემ კაციც ნამყოფ იყო, იქა, კაცო. ხო. კაცო, ესეც იქ ნამყოფ იყო. მოკლვით არავი მაუკლავ, რა ვიცი მენა. ერთი ჯარიც გაიტაცეს ერთხენა, გასტაცეს ჩვენ მეზობელსა. დააგდებინეს ისრივ ისი. მთაშიითი. აი სამთოდ რო დადიოდა ხალხი, იქიდან გაიტაცეს.

— ერთი, ერთი. აი ბასილთ რო ვიტყვით, იმის ჯარ წაიყვანეს.

— არა, არა, ლეკიანთ ბასილი, ბეჟანის შვილი. იმა... ვანოს ძმისი. გააშვებინებს ისრივა, სანამდე წაიყვანდენ შორადა.

— ხალხმა, ხალხმა გააშვებინა. სოფელი გაიქცა და გააშვებინეს. ჯმა დავარდა, აბა ჯარი წაიყვანეს, გაიტაცესო.

— არ ვიცი, აბა რა ვიცი მენა, კაცო, რამთენი წელია, განა კი მაჯსონ.

— არა, კაცო. არა, რა გათხოილ. ეს კი მაქსონ კარგადა, რომ ის... ნიადაგ, კაცო, რას არ იქნება.

— ოცდასამ წლისა ქმართან ვიყავ მენა, კაცო. ოცდასამ წლისას იქ რაღა მედვა. აი, ცამეტ-თოთხმეტის წლისი-ოთ რა ვიყავ, მაშინა. როცა ის ამბებ იყო.

— იქიურ... იმ კეობანე იდგა ის სოფელიცა, კაცო, იქიურია, მა რა. ახლოსა.

— აბა კიდევა მკითხეთ, რაღასა მკითხავთ, ეხლა თუ რა ვიცი გეტყვით, თუ არა და, აბა, რაღა უნდა გითხრათ.

— კაცო, როცა არა ვიცი... ტყუილად რა გიამბოთ, რა გილაპარაკოთ, როცა არაფერ ვიცი.

— აი ფშურ ლექსები რამე უთხარი, ისენ უნდა ამათ, აი, წიგნებ რო იყო აქა ი ფშავლების დაწერილი, ისენ არაფერ იცი?

— არა ვიცი. აბა ჩემ გაკეთებულ საქმელს არაფერ არა სჭამდა. აბა რად მინდა რო ვილაპარაკო ისი.

— ჰო, ისენ კი შკამდენ, მა რას იქმოდენ. აბა კარგს ვინ: გაუკეთებდა. ხაჭოერბოს გავაკეთებდი, კვერცხ-ერბოს გავაკეთებდი.

— ჭერ ხაქოს დავსთლიდით, აი დამბალ ხაქოსა, მემრე ერბოს ჩავდებდი, იმ ერბოს გავადნობდი, მემრე ხაქოს ჩავყრიდი და იმას წამოადულებდი და ხაჭოერბო გაკეთდებოდა. კვერცხებსაც ისრე უქმოდნი: დავსტეხდი კვერცხებსა, ერბოში ჩავასხამდი და წამოადულებდი და კვერცხ-ერბო იყო... ზაფხულშია და ზამთარში კიდენ კორკი, ან ცხვარს დავხკლავდით, ან ძროხას დავხკლავდითო და ისი გვქონდა.

— ჰო, მაშა, კაცო.

— ვაკეთებთ ეხლაცა, თუ კი გვექნება, მაგრამ აღარა ვვაქვ. აბა რას ვაკეთებთ.

— ყვავ-ს, იმთენ... მაგრამ იმთენ არა ყვავ, რო დავჰკლათ.

— თუ რას ვამზადებთ, აი ეშმაკებს ვაკმევთ ეხლა.

— აი ეგეთ ჭრელ კაბებს ვიყიდით, როგორიც შენ გაცვავ, ჩვენცა და ცოტას მოვპეწიანდებით, აბა, რად გვინდა.

ესრე მაღსვლია ჩემ დედ-მამათა. ისთა უგუნური ყოფილან წინანდელნი, რო ხის კილია, არაგვია, ქვეყნიერებას აქცევს, ისეთია, არაგვში კაცი არ შაივალება, არც ცხენი. იქ კიდებია, წინავ ფიცრისებ იყო, ხის კიდები და ეხლა რა ვიცი. მისჯარებიან ამ კილსა და ჭერ ქვენათ მოსულა დიდ მასკვლავისოდენა აპოდენი შუქიანი ბურღლუნი და ჩავარდნილა იმათ სწორად იქ წყალშია, ჩამქრალა. უვლავ, უვლავ, ამაულავ ტიკები, დაუღიდებავ სასმლითა. მემრე წასულან. ახლა ზენათ მოსულა ერთი სუ ნაკვერჩხალსავით შუქი და ჩავარდნილა ი კილის ზემოთ იმ არაგვშია. კილენ დამღვარან და დაუწყავ ჩემ დედასა, დამჯღარა. რო ფეკს აღარ გადავდგამ, უთქომ ი ჩემ მამისადა, ეს რა ამბავია, ეს ნაბურწკლებ აქ მოღისო. დედი, დედი, თურმე ი ჩემი ძმა ეუზნება. რა არი აგე ისო, ცეცხლი რო მოღისო. ჰო და ჩემ მამას აულავ ეს მათრავი, ერთ ორიოდ უქირებავ ამ ჩემ დედისადა. წასულა ხალხი და მან მუ აქ დავრჩეო, ახლა ხალხ მიღისო. აუყენებავ ეს ჩემ დედა, შაუცღუნავ, გაუცღუნავ დაჯ გატეხილ ი კილი და ჩავარდნილა ცხენი. ბალღი. გადაფრენილა ეს ჩემ დედა, გაღმ გადაფრენილა, კლდესა სცემია და ეს ფეკ სუ შაულეწავ. ჰოდა ა ხალხ დასცემია და ი ჩემ დედა კი ამაუყვანავ და ვერც ცხენ მაუქველავ და ვერც არა ხურჯინი... მაუქველავ კი მემრე, ხო, მაუქველავ.

ეჰ, საწყალთ, ა ისითა ბეჩავთ მცურავან ამაუყვანიან. აუშვიოთო, უთქომ ი მცურავსა ე დედაკაციო, მაგანაო ჩემთან იაროსო. მისულა ი კაცი და ისეთი ყოფილა ი კაცი შვილო, რო იქავ სანთლებ დაუკეთებინებავ მამაჩემისადა და რამიცა ჩავარდა, შიგ იმაში დაუნთავ სანთლები, დაუწერავ იმ კაცს პირჯვარი, მუცლებ მაუყრია, პირჯვარ დაუწერავ მიწაზე, ამღგარა და ორ ცხვირ დაუცემინებავ. არ მინდაო, უთქვამ, ძებნაო, აი დღის სავალზედ არიო. უვლავ, უვლავ დაჯ, რა ვიცი, არაგვი, სადღაცა თქვიან, წყალს, სხვა წყალს უერთლება. დიდ ტბა ყოფილა. მისულან ისენი, მამა-შვილნი ყო-

ფილან ორნივ მცურაენი და დატიტვლნულან, იქ რო მისლან და დაუწერავ პირჯვარ იმ კაცსა და დაუცინტავებავის. აქ არიო, უთქომ, აღარ მინდაო. ჩასულა რამდენიმე ხანა, ჩაუცომ, ტყაენის ემეები აქქონია, რავი, აი დიდებ ემეებ დაიკრესო, ჯოხებიო, სუ აიმიო იყო სავსეო, თქვის ჩემ დედამა, აი კაულეებო ესხა ზედაჲ. მოსადებელ რკინის ტოტებივ. ჯოხებზე. ჩავიდენ ერთხელო, ეტებნეს, ვერ იპოვნესო. მეორედ ჩავიდენო დაჲ .რო ანოვიდენო, ვაუჯავრდენო, ი ჩემ მამას გაუჯავრდომიან: რატო არ გკეობნებო. ლაშანიო რა ჰქონდაო, ისიო არა გვენებდება ჩვენაო. და რა გოციო ი ჩემ მამას უთქომ, მჯარშიაო შუქი აქონდაო. მზეზე რო დავიჭერდითო, იქო თეთრი ჰქონდაო მარჯვენა მჯარშიაო და მზეს რო მიუპყრობდითო, იმაშიო დილივითაო შუქი გადიოდაო და სხვაკანაო გრილოს აყოლებდაო. ა ისეთაი ყოფილა. ჰო დაჲ მემრე დაუნთებინებაჲ ისეჲ სანთლები და შახევეწნია ის კაცი. მუკლები უყრია, მომეცო, უფალოო, დამანებეო. ჩასულა დაჲ ამაუყვანავ. მარჯვენა ფევი აქქონდა ჩავარდნილიო, ჩემ დედამა თქვის. ამოარდა მალაო ის ტოტიანი ხეო, მიეგება ხალხიო და მემრ მამაშვილ ამოიდენო. ა ისეთა ამბავშია ყოფილან.

აბა ეგ არ სალაპარაკო არი, ან რად ვის უნდა ნეტავ.

ჰო და, ა ისეთა ამბავ იყო. რა იყო ყვარა-ბაჩალის მცხოვრებელი. აი ყვარა ისეთა იყო, რო ორ ძმან ჩამოყარა ზოგმა ყვარადანა. დაიკოცნეს თიობა წასულნი, მოხეთქილან მთები და წამაუღიან ორ ძმები. მე მაკსონ, ჩემ დედა-მამანიც იქ წავიდენ, აი როცა ისენ ზოემ ჩამოყარანა. კვოებში დავდიოდი მაშინა, ისითა ვიყავ. ჰო დაჲ, ა ისეთა ადგილებში იყო წინავ ხალხი და ისითა ადგილებში იზღებოდა. ა იმათზე ისითა ლექსია გაკეთებული იმ ძმათხელა რო... აღარ მაკსონ, ვერ ვიუბნებ კარგა.

ლაფანყური

43. ხარება-გოგიათ ამბები

მაკსონ მამ. ხარება და გოგია რო მოიდენ, მოსულიყვენენ აჲ, ჩემ ძმას ეთქვა რო ... ჩვენ ბოჩოლა გვინდაო, იმათ ეთქვა, ხარება-გოგიათა და ჩვენ მოგცემთო, იმ ჩემ ძმას ეთქვა. მისულიყვენენ დაჲ, არაო, ჩვენ უფულოდ არ გვინდაო, დეეგდო. მე ჟულს არ ვამოგართომთო. მოსულიყვენენ დაჲ მაშინა ბოჩოლაი ღირდა ორ მანა-

თი. ორ მანათზე ზეით არ იყო კბო მაშინ. იმათა ხუთ მანათი დე-
ეგლო იქა დაე წეეყვანა ი ბოჩოლაჲ. ჩვენა, აო გადილავებას ვე-
ძახდით, აი დილით გაუშეებდით დაე იგრე, რო მოსადილდებოდა.
იმ დროს მოვრეკავდით და მოვსწველავდით.

ჩვენ ძროხებს გაგვაყოლეს. მივდივარ მენა დაე მიმყავ ი ძრო-
ხა, გამამპარვია ბინისაკა, მიმყავ დაე რალაცას შეეწვადა ძროხა
დაე .. ესე მოსულიყვნენ ი კაცები და ძროხა გარყვნელ იყო ძალიან
კელზე. ავიხედე და იცინოდენ. ჩვენ პატარა და არი არაო, ერთმა
მეორეს უთხრა. ი ხარება-გოგიანი მანდა ყოფილიყვნენ, საცა ცეცხლ
დაანთეს და ან საცა ხორც მოხარშეს. იმ ჭინაისადა დეეძახა, რო
აბოინეებ გამოგვიგზავნოსო, მოგვიტანოსო. მოიდა დაე, კელში
უჭერავ ესე. ჩემი ძმა კარებში იჯდა. მოიდა დაე მაუტანა იმასა.
მე რად მინდაო, უთხრა, წაილე, აგე მიუტანევე. შაშინდა, შაშინ-
და ის კაცი, სუ მიწის ფერ დეედვა. და წავიდა, რას იზამდა რო
არ წავიდოდა. ჩემ მამა იმათან ყოფილიყო. მისულა, მიუტანავ
დაე, ჩემ მამა კიდე ისეთ ბეჩავ კაც იყო, დაინანებდა სუყველას ისე.
პო დაე მითო მკარ უჭირა, ი ჭინას დეეკმარა ისევა. და იმ გოგიას
ეთქვა, წადი აქედანაო, მე შენი დედაო, კრა კელი, ლპოტაში გა-
დაგაგლო, არ აამღვრეო. რას ეფარები მაგასაო, არ ვიციო, ეგ რაც
არაო.

ი ხარებაიცი მინახავ, გოგიაიცი და იგრე ახლოთ კი უფრო
სოლიყო იყო და ზალიყო იყო, ისენი. ისენ მოდიოდენ უფრო
ბინაში. ის ხარება-გოგიანი არ მიენდობოდენ ბინასა, ისენი გარე-
გარედ იყვნენ მაინცა. ი ჩემ ძმასთან კი შინაურულად იყვნენ.

— სოლიყო, ზალიყო, აქვსენტა დაე უტრუხუნეს ეძახდენ, რა
ვიცი სახელი რა ექვივანა, ის არ ვიცი და ერთი კიდე ბუზალაქე
იყო, არც იმის სახელ ვიცი, რავი, სურათებიც კი იყო, მემრე სუ-
რათები მჰქონდა, იქ იყო გამოკრული, იმეში, თელავში.

ისენი, ეს დრო რო მოიდა, მაშინ გამამყელანეს იმათ სურა-
თები, რო ამ დროს მოჩივრებ იყვნენ ისენ, ის ნიკალაის დრო არ
უნდოდა. მაშ ი რულოციონერებ იყვნენ ისენი, იმით დადიოდენ
ისრბ. რა ვიცი, სხვებიც იქნებოდენ, რა თქმა უნდა, მაგრამ, ისენ კი
იყვნენ, რავი რამთენ კაც იყო, ცხრა კაც იყო თუ შეიდ იყო, რა
ვი ეგრე რალაც კი იყვნენ ისენი, ისენ დადიოდენ, ისენი ... ემკ-
რობოდენ ამ დროსა და ი ნიკალაის დრო არ უნდოდ.

ჩვენ მარტო მაშინა, როცა ისენ დადიოდენ, აქ საზამთროდ
მოვდიოდით და საზაფხულოდ ისევე ბაჩალში მივდიოდით. მე პატა-

რა ვიყავ. მაშინა, ეგრე თერთმეტ-თორმეტის წლასა, რა ვიც-
ისე. შემრე. როცა ისენი დაჯოცეს, ისენი აი მალრანში დაჯოცეს
ისენი. დაჟ ფშავლებიც მაძყვენეს მე მგონავ, ერთი. ერთი კი მარ-
თლა მაძყვა ფშაველიო. იმათი სურათიც მაიტანეს: ცხვარიც ება.
ცეცხლზე ქობ ედგა, ზედადგარი ედგა დაჟ, ის იყო გადაღებული
იმათ სურათი. და ისინი, იმ ხარებას — თვითონ დეეკრა თავისთავის-
თვანა: მაგათ არ მოეკლებიო, ნაგან დეეკრა. გოგია კი იმათ
ნოკლეს. ეგრე თქვიან, ჰო, თორო მე მაშინ... თითქოს მაშინა...
ააააა მძლივ ვიქნებოდი, როგორც აი ისენ დაჯოცეს. აი, იმა-
თი ... მერე ბოლოს... დიდი სახელი გამაიტანეს ისევა დაჟ... რაკი
ან დროს მოჩივრებ იყვენეს. იმათ უნდოდა ეს მთავრობა და ნიკა-
ლაის დრო არ უნდოდა, ნიკალაის მთავრობა. იმით დადიოდენ
ისენი ისრე.

— არ ვიცი მენ, აი, ცოტა-მატა რაიმ იყო, რა ვიცი, აბა არ
ნაქსონ მე ისეები.

ხარება და გოგიაო
რაც მოგვივა, მოგვილაო.

ის კი იყო ისე, ისე იყო იმათ ლექსშია

ხარება ეობნებოდა,
აქ დაბალი ღობეაო,
ბუღმურებიც აქ არი.
ყურძენიც აქა აჯობაო.

აი, ქართულა ლექსია. ი ჩვენებურ კი არ არი. ჩვენ ხალხმ-
სხვანაირ გამოთქმა იცის და ისეებ კახურად...

ისენ თუ კახებ იყვენენ. ის ხარებაი ყო, მამა იმერელი აძყვან-
და, დედა თუშნ. იმის ძმა იყო, სვიმონ ექვიენა და ჯიბუტობა იყო-
დეს: არათანაში იყო და იმანა, იმ ხარება გოგიათ რო დაადევდენ.
ნახევარზე ციხეშია აყვანდა ი ჯიბუტი.

— გამანებეთ თავიო, ეთქვა, კაცო, გამანებეთ თავიო, წადით,
მაშორდით აქაურობასაო, ეს არი, გამიჭირდა, აღარ შამიძლიანო,
ნე მაგათ კელში მაგდებთო და თქვენ ეგრე დადიხართო.

— შენ ის უთხარ — იმათ ეთქვა რო — ჩვენ საცა ვართო, და
მოიდენ, იქ მოიდენო. ეთქვა მემრე. გაგვიძევო, გაგვიძელე წი-
ნაო. გაგიძღვებითო. ისიც წამოსულიყო.

კრიახშია ყოფილიყვენენ, შაქრიანის კრიახში. წამოსულა დაჟ
გამაძღგომიან ისენი უკან. თურმე მიდიან და ისენი კიდევა მავან

ადგილას ვიქნებითო, ეთქვა. მავან ადგილას ი კლდის თავზე იქ ვიქნებითო. გამოვიდნო. იმ პრისტავსა წითელ ახალოხ ეცვაო დაჲ ი ცხენები ხო ი კრიახში ვერ ამოვიდოდა, ცხენები დაბლა დე-ეწირა დაჲ გაჰაჰყოლიან. თურმე გადადგა ხარებაჲ ამ კლდის თავზედა და დაუძახა რო მაგ წითელახალოხას მეეშვიო. თავის ძმოსად დეეძახა, მაჰშორდი, მაგას ნუ ეფარებო. მიბრუნდება ეს ჯიბუტი წინა, მოჰყვება ისი, მობრუნდება მოჰყვება. (...) თურმე მისცეს ზალბი მალლიდანა და ეგრე ესროდენ მალლითა. ეს ჯიბუტი ხან იქით, ხან აქეთა და აბა გაბრუნვილან ეს კაცები, წაქცეულიყო ის პრისტავი, მკარი დეეკრა, ი მკარიც გამეეგდებინა. აგეო ეთქვა მემრე, წადითო, კაცო, აგე დაიჭირეთო. რა ვქნა, ან თქვენ რა გითხრათ, რა გიყოთო და ან კიდევ იმათო. გამაუშვეს ი კაცი, ჰემრე აღარ დაიჭირეს.

ლაფანყური

44. ყაჩაღების ამბავი

ემა გრეჰის აქათ დაგვიხვდენ, თვრაჰეტნ დაგვაქუჩნეს. გაგადეს ტანისამოსი. მენ არ დამაწვინეს, სუყველა დააწვინეს პირქვა. მე არ დამაწვინეს. რაკი მოხუც ვიყავ იმით არ თუ დამაწვინეს. ეგრე ვიჭექე. მემრე მონადირეებ მოდენილიყვენ გზაზედა და რა ვიცი, როგორ გაიგეს ეხლა იმეებმა, ... დატყვრა თოფები. მონადირეებმ ესროლეს იმეებსა, ა იმეებმაც ესროლეს და ავღეგით ჩვენა თავს ვეშველენით. ზოგ სად გაიქცა, ზოგ სად, ზოგ სადა. ქორ რო ქათამს დეეცემა და დააწიოკებს ა ისრე ვქენით.

— დაიქცნენ ბიჭო მაშინავა. ცხენები ყვანდა. ი ბარგი რაც გაგვადეს ტანისამოსი, ფეჯისამოსი, ისი სუ ჩააბარგეს ხურჯინებშია. ცხვაკან სადამა მზიდავდიან ეგე, იმასა ვერა ვხედავდი მენა. ი ცხენები დააბეს. ჩვენები, კაცო, ჩვენები. ზოგს მახვალეს უხლა, აღვირები წაჰაჰყარეს. ჩემ ცხენა და ერთ აქიურ კაც იყო. რო ცხენ გაწირეს ეგრე, რო არ წაჰაჰყარეს აღვირები, აღბათ წასაღებად გააჰზადეს. ცხვათ, აი თვრაჰეტთა, სუ დახვადეს ტანისამოსი. სუ ჩააბარგეს ხურჯინში და რაკი ... ი ცხენებ კი ველარ წაართვეს. ის ბარგი კი ... აბა ყაჩაღ იმის ყაჩაღია, მგელსა მგავის. ი ხურჯინები კი წეელო, რო დაიქცნენ, ი ცხენებ კი დაგვრჩა

ისევ, რო დაიქცენენ. სროლა მაუვდა. პო წამოედით, მა რას ვქ-
მოდით, ბიჭო.

— ლეკებ შამოგვიცვიედენ კიდევ სახშია. აქ, აქ, სახში, თა-
ვის სახში.

ეხლა პურსა ვშჰამდით მე და ჩემ ქმარშვილი. სახშია ვსხედ-
ვართ, ღამე არი და შამოიდა ერთ კაცი, კაცი, იარალი აქვ, პატ-
რონტაში აქვ, ესრეცა აქვ, ესრეც. მე მელიცივნელ მეგონა. ალ-
ბათ მელიცივნელებ დადიანო, ვთქვი. ახლა მეორე შამოიდა, ახლა
ბესამე შამოიდა. ქალი ხყოლიყო იმათ ამხანიგი, ის არ შამოიდა
სახშია. არ მინახავ მე ის ქალი. დასხდენ იქა, დაიჭადეს ფეკებსა.
პური ჰამეს. ჩვენ პურსა ვჰამთ, პო, იმ დროს შამოიდნეს, ჩვენც
პურსა ვჰამდით და ეხლა ... მხალი ხო თქვენც იცით, ისი გვექონდა
მოხარშული, იმასა ვშჰამდით. უთხართ, ლორის ქონიანია ეგეო,
არა ჰამეს ის კია და ... ეგრე პური კი ჰამეს. ი სამნი ხო იქ იყ-
ნეს ეხლა და სამნი კიდე ეგრე სოფელისადა ყოფილიძენენ მოცე-
მულები და მემრე ისეებიც იქ მოიდენ. არაფერ არ წაიდეს, მარ-
ტო ფევისამოს ჩაიცვეს ჩემის კაცისი და ადგენ მემრე, იმ დღეს
გამოაცხე პური და ჩააწყეს ლამაზადა გულაშია, ორ გულა გაავსეს.
ჯავრობდენ, მსხვილ პურები გცოდნიაო, არ ჩაუდიოდა გულაშია.
აიკიდეს ი გულები და წავიდენ. არა, არაფერ არ წაულავ, ეგრე ძა-
ლით არ აბა, ბა, ბა. რად მინდა ცოდვა. დაჯოცნეს მეორეს კვირას
ეგრე სუყველებ, ექვსნიც.

ეს ლეკი კი იმას ლაპარაკობდა, მოხუც კაც იყო, რო დაგვეცნეს
ჩვენავ, მთავრობა დაგვეცაო, სახლები დაგვიწვესო, მე გამოიქეო
და ქალ დამელუპაო და ერთ ქალიდა დამრჩაო არ დასარჩენიო და
ის ქალიო თან გამამყვაო. ი ქალ კი არ მინახავ მენა, პო, კარზე
ყოფილიყო. არ მინახავ მენა, არ შამოიდა სახშია.

— რავიც აქიურებმ დაჯოცეს ა ექ მთაშია ისეები.

— არ, არ, ადგეს თავად ამაიდეს. ეხლა რო გვნახეს, რაში-
თაც ვილებდით ჩვენა, პურ მაუტანეთ ჩვენა-დ' რაშიითაც ამოი-
ლეთ, კი თუ გვნახნეს. თავად ადგეს, თავად ამაიდეს. იმის მეტ არა
წაულავ.

45. ლაფაყნურს ჩამოსვლა

... წამოიდა ბარგი, ურმები, სამი ურემი და გამაძყვენ ბი-
ჭები. დავრჩით მე და ჩემი კაცი და ჩემი ქალი იქა ისრივა. მერე,
მეორე დღეს წამუედით. მუედით, გადმუედით ... რა გადმუედით,

თიანეთის პირდაპირ რო ჩამოედით, რალაცა კაცები გამაუჩნდენ
ი ჩემ კაცსა და მოდი აქა, მოდი აქაო, ძველი ანგარიში უნდა გაას-
წოროო. სად მიდინხარო. ვამე, რალა ვქნა, ვთქვი რაი რა მქონ-
და დახარჯული, ეხლა ე ძროხებსაც გამოგვართომს ერთს მინც
რატო არ ამბობს.

— აბა! თქვენ გაიარეთ. ემანდ ხილებია. ვიორგობის თვეა,
გაიგე, თოვნას ურევს და ჯანლია. შუშანიკაის ბალლი მტანავ და
თამარი ჩვენი და მესამე მე ვარ. გამოიარეთ ი ხილებთან, მართლა
ხილები ყოფილიყო. ვატრიალეთ ეს ღორები, ძროხები. არ იბადე-
ბა კაცი. ცალკე ცოტა ღლეა. ცალკე ნისლი დაეცა და კარგა
თოვნა დაიწყო.

— ბიჭო, უთხარ, შეილო. ხო ამბობ რო მე კახეთ ნამყოფი
ვარო წავიდეთ, კაცო, შახვეტილაში მინც ჩავიდეთ. რა უყვა
ან ღორებსა, ან ძროხებსა. ან თქვენ რა გიყვით, შენც არაფრის შნო
არა გაქვ, პატარაი ხარ, თამარმა რა ჭნას.

— წავიდეთ, შეინდიანზე წავიდეთ, დიდ გზაზე ნუ წავალთ.

— მაგის პატრონი გამსწყდესო, უთხარ, შეინდიანი იყოს, ხუნ-
წიანი იყოს, წავიდეთ კიაო, რო შახვეტილაში ჩავიდეთო. იქნება
სადმე ღობეებს შუაზე მიეკუარო ე საქონელი, ეს ღორებიო. წა-
მოედით. ვიარეთ, ვიარეთ იმ შეინდიანზედა, ჩამოედით, ვიცი რო
შახვეტილია, ჩამოედით.

ერთი დიდი ხეა, გავხედე ი ქალაზედა და კაი დიდი ხეა. უთ-
ხარ ი ბაღლებსა, რო მე წავალ ეხლა დაჟ იმ დიდის ხის ქვეშა
მარგილებს დავაკეთებ, რამდენი ძროხა არი დაჟ ... ცეცხლს დაეან-
იებ, შეშას მივიტან ცხენს დავაბამ და მოხვალთ თქვენცა.

წავე. წინა-წინა მარგილები დავაკეთე, ცხენი დავაბი, დავანთე
ცეცხლი. მაქ მოლოდინი კაცისი და არ იბადება. ფულცი ზედა
აქ. მოიდენ. დავაბი ძროხები. დავანთე კა ცეცხლი, დავსვენე ი
ბაღლები, ფეკისამოსი დაურე, ჩავაკმეინე ისევა, დავაწვიენენ.
მე კიდენა დაჟ, ი ცხენი საცა არი, იქ მიველ და ევლზე, იმაზე
დავენაბრე და ისე დამეძინა და ... გამამეღვიძა და ... ი კელიც ჩა-
მივარდა, ი თავიც ჩამივარდა. გამამეღვიძა, დიდი, შავსილი მთვა-
რეა, ლიპლიპებს. ი ნისლიც წავიდა. გზაშია ვართ. ძალლია, მკ-
ყეფს. ვამბობ მოა, კაცო, ე ძალლის ჯმასაც იცნობს, ესეც ყვაე,
კაი რამად. მოიბრუნე თავი და, აბა, არ იბადება ცხენი. ავიღე,
ავშარაი აქ წამოყრილი. ოსებმა თუ მამპარეს. აბა ეს ბაღლებიც
იქ, ეს დამბული ძროხებიც. წაველ, წაველ ტყისკე იქით, ხეობა-

შია. თურმე ჩვენი მეურმეები ყოფილიყვნეს. ეთქვა ი ბაღისა-
და. ლევანსადა, რა თქვენი ძალაია, ბიჭო, აბა წავიდეთ, გადა-
ვიაროთ. ლევანი მიჯავრობდა. მიველ და, რასა ვნახავდი, მივრ-
ბივარ მამულეშია. ლიპლიბებს მამულეებში მთვარე. აბა, ცხენი
ვერსადა ვნახე. მიველ და იქ ერთი ორმო ყოფილა, სანაჯშირე იყო
თუ რაი რა იყო, მიველ და ვეცი ამ ორმოშია. ამოვხედე და მასკე-
ლავები ლიპლიბებს და რა თქმა უნდა მთვარეცა მჭრის. ეხლა რა-
გორლა ვქნა, რალა ვქნა. დამდის სისხლი თავპირზე, მუცლებზე.
ამუებლატები, დამწვარია — ჩავარდები. ამუებლატები ... საქონი
დარჩა იქა, ბაღლები დარჩა, ცხენი დაკარგული, კაცი დაკარგუ-
ლი. აბა, როგორც იქნებოდა, ერთი ბოძოლა რალაც შამჩვდა. არ
მეეგლიჯა ძირშით, იმას წავავლე კელი და როგორც იქნებოდა
დავატანე ძალა მუცლებსა და როგორც იქნებოდა ამოელ. წამოელ
ისივ ცხენის საძებნელადა და ცეცხლი დაჩნდა ზემოთა, ქვემოთ
წავსულვარ, ავიარე სწორეზედა, ჩავიარე. დაუძახე იმ ბაღსა
რო, ადე დავითო, ცხენი გვყავ დაკარგული, შვილო, ადე, ეგრე
წადი ალაზნისაკე და მე მანდ რო ჩამოელი, ზვინები იყო ჩალა-
თივისი, იქნება იქ როგორმე წავიდა. ი ბაღი ალაზნისაკე წა-
ვიდა, მე იმ ზვინებისაკე წაველ. მიველ დაგ ო, ცხენი მოგველე.
ცხენი იქ არი, გამძღარა და დამდგარა. დაუწყე ძახილი, მოდი
აქ არიო. მოიდა ი ბაღი, გამოვგლიჯეთ ი თივა-ჩალა. დავიწყე
ტვირთზედა, მივიტანე, დაუყარეთ ი საქონს. დავაძლეთ და მემ-
რე აბა შვილო, ჩაიციეთ, ცხენს შავკჳმანებ და წავიდეთ შვილო,
აგე ურმებს დავეწიოთ, ჭირნახული გვაქვ დაკარგული. არ იბადე-
ბა კაცი, სად არი. წავედიო, ავჭკიდეთ, წამოედით. ის მეურმეები-
ცა, ამდგარან, ჩვენი ისენი ყოფილან და წასულან. ვიარეთ, უნდა
წავიდეთ ლაფანყურისას...

... უთხარ, ეგეთია ჩვენი საქმე და სად არი წისქვილიო. ოი,
თქვე საწყლებოო, ზევით არი წისქვილებიო. აი ეხლა ტყის ნა-
პირზე ამოთენდებოო და ეგრე შაყოლეთ ძროხები და ღორები და
ნათიბი ტყე არიო, ნასიმიწდრებიოო, დააძლეთო, გათენდებოო და
ახვალთო და გახვალთო. ბნელაში ვერ გახვალთო. ისე უყავით.
შაყოლეთ და მართლა გათენდა, იქ რო ავედით.

ა, გამოვკედით ამ ალაზნასა, ვიარეთ, ვიარეთ ქვემო ალენის
ბოლოშია გამაუშვავ კი ურმები დაგ, მივედით ჩვენაც. ა, მოგვე-
გებნენ, აბა, კაცი რა უყავ.

— კაცი გუშინავ დავქარგეთ, რა ვი, კაცი არ გვინახავ.

— ოი შე საწყალო. შე საწყალო. რო ვითხარო, რა თქვენი ძაღლის კმა არიო, გადავიდეთ და არ გამამყე შენაო, გაუჯავრდა ი ლევანსა.

აბა შეგვამეთ პური. რაღა იქნებოდა დაჲ, წაიღეთო, თქვეს ეხლაო დაჲ. არა გაგვიფუტდაო. არა გაეტუნეთო, არავინ გაგვცვარცაო, ყველა სუ ისე უკლებლად მოგვაქეო.

ვიარეთ მერე დაჲ ართანაში რო მოედით, საქონის მოდენის დროა და უთხრეს იოსებსა, რო შენი წადი, ე დიაც-ყმაწვილი და ეს საქონი ალაგას მილალე დაჲ ხალხი გამორეკე, ფარნები წამოიღე, აქამდე ჩამოტანილი ვეში, არა გაგვიფუტდა და არ შავგარცხენოთ, ესეები მილალე ადგილას.

წამოედით ჩვენა და მოვხვდით ერთ კუნელაიანს, ერთ ხუთ-ყურაიანს. ეს ლორები, ეს ძროხები, ეს ხურჩინები, დგე ერთი გლაჯი-გლუჯი. წავიდა იოსები წინაწინა და ... ე, მიბრუნდით, კაცო, მიბრუნდით, ნახხაური შამოგვინახევებავ, ავრეულვართო. აიმე, დაიწყეს მგლებმა ყმუილი, დაიწყო ამ ქალმა ღრიალი,

— ვამე, დავიქამენ ღორებსაცა და ძროხებსაცა, ე, რაღა ვქნათ, ! დედავ.

— არა, დედა გენაცვალოს, დარჩება კიდენა.

მოიდა იოსები დაჲ ჩამოედით, საყარაულოზე ჩამოედით პირდაპირ. საყარაულოზე ასწავლეს, რო აი ესე წადი კაცო, ესე წადი, აქამდე სოფელში მიხვიდოდი, ლაფანყურში. წამოედით და მოედით ფერმაზედა. ფერმაზე წავიდა იოსები და უთხრა, რო ესე წადი, ესრეო და ვიარეთ, ვიარეთ მოედით და მივედით გაბრათას.

დაკარგულია კაცი, არ იბადება. ფულიც ზედა აქ, ორმოცდაათ-ათი თუმანი უნდა მივსცეთ ურემზედა. თითო ურემზე. მოიდენ და ლეო და ღმერთმა გაანათლოს, იოსებო გამოგვეყენენ. არახიჯეთ ოთახი გექონდა ნათქომი, მოცემული. გამაძაყვენ იმ ბარგსა, გადმიიღეს, დაალაგეს, დაწმინდეს ი ოთახი, შატანეს სუყველა თავის ადგილას. დაკარგულია კაცი, არ იბადება. უთხარ იოსებსა: ჩაკუწე ე გორცი, ჩაყარეო დაჲ, პური ვაჭმიოთო და რაღა ვქნა. ეხლა ფული საით ვიშოვნო რაღა უნდა ვქნა.

ჩაყარა ი გორცი და წავე მე. წავე იქიდან. წავალო, უთხარ, ვერა ვძლებო. გამოჩნდა. ტყავნი კი ეცენეს. ა დაგლანტოს ჩემის მამის სალოცავმა. გაპუწვნილია ი ტყავი, დალოწოებული, ტყავი-ტიუბი მაძქონდა ი ტყავს.

- აბა, როგორ მოხველო, ფული ზედავა გაქო?
- ჰო, ზედავა მაქ ფული, არავინ გამცარცვა, არავინ...
- თქვენ როგორ იარეთ. :
- კარგადაო, უთხარ, ვერ გაიგეო, შენ მითამ იქ იყავო. აჰა, დამთავრდა ეხლა.

ლაფანყური

II. ლექსიკონი

ამ ლექსიკონს აქვს ერთი პრაქტიკული დანიშნულება: ზელი შეუწყოს მკითხველს აქ დართული ტექსტების სწორად გაგებაში. ამიტომაა, რომ სალექსიკონო სტატიები ხშირად არასრულია: მათში მოცემულია სიტყვათა მხოლოდ ის მნიშვნელობები, რაც მათ აქვს მოცემულ კონტექსტში. განსამარტავი ერთეულები ამოკრებილია მხოლოდ წინამდებარე ტექსტებიდან და დოკუმენტაციაც მხოლოდ აქედანაა მოხმობილი.

თუმცა იშვიათად, მაგრამ ზოგჯერ მაინც სალექსიკონო ფორმად გატანილია სიტყვაფორმა, რაც არ მოხდებოდა იმ შემთხვევაში, თუ მკაცრად დავიცავდით რაიმე ლექსიკოგრაფიულ პრინციპს. ეს გარემოებაც კონტექსტის უკეთ გაგების მიზნითაა გამართლებული.

ა

აბლატება სადმე შემალღებულზე ან მალღ რაიმეზე აფორთხება, ძლივს ასეა. „ავეებლატოდი, მერკი დავქლოდი“.

ავღვევა-ჩავღვევა აყვანა-ჩაყვანა. აქ გარას (იხ.) აწვევა-დაწვევა იქსელს მალღ აქვე გაგდებული, რაითაც ავეველევთჩავეველევთ“.

აღაო სალუდე დაფქული, საგანგებო ტექნოლოგიით მომზადებული. „აღაოს ეძახდენ, იმას გააკეთებდენ“.

ამათა ამათი, ამათი ოჯახის წარმომადგენელი. „შვილ შვილიშვილ იწება, როგორც აქ აი აქათა არი“

ამანათი თემს ან გეარს შეხიზნებელი უტხო თემის კაცი „ამანათადა მდგარა, წიკლაური... ემაგ მაშარასა“.

ამოთქმა თქმა, წამოცდენა. „ერთ ბეწ-

ვისოდენ სიტყვას არ ამაიტყოდა ცუდს“.

ამოკრა (ხერინისა) ამოშევა ხერინისა. „ამამაკრა ძალად ხერინი“.

ამოწვდა ამოძრობა. „ტიტველა ამასწვდადესო აკვანშიითაო“.

ამოხედნება ამოხედვა, „ეინ ამამხედნებდა!“

ამოკხნა დართული ნართის ტარებიდან გორგლებად ამოხვევა. „მატულუნდა დავხეჩოთ, მემრე ჩავასთეთ, ამოეხესნით მემრე იმასა“.

არა არაფერი. „სხვა არაში ჩაიდებოდა იმოდენა კორცი“.

არგასაადელი. წყევლის ფორმა — არგასაზრდელი. „რა ამტკივდებოდა იმ არგასაადელსაო“.

ახაველა შიმლეობა აქდომა (იხ.) ზნნი-
სა. ეს, რაზედაც უნდა ავლეს. ასეთებ
ვეღვა გოდრები, ასაკელები კიბი-
თაჲ.

აქთაისაც აქეთ მხარეს „იქითაისაც
აონს წყალი, აქათაისაც კილენ
სხვა წყალ შოდის“.

აქითა აქედან. „აქითაც გაგაგო-
ნებჲ. კაცო აქითაცა“.

ალარაად ალარაფრისთვის — „ალა-
რაად ვამოსადევი კაცი ვარ“.

ბ

ბაკი შემოღობილი საქონლის სადგო-
მი. „ბაკიცა მქონდა“.

ბატარა პატარა. „თედუთი მენა ბა-
ტარაი მუყანდის“.

ბატარაად ცოტათი. „ბატარაად
ძლივ აჩქამდაო“.

ბატკანი აქ ბატკნების ფარა „ბატ-
კან კილენ შთაში გალალ“.

ბაჟოტი ბაჟუი. „როგორც წყლიდან
ბაჟოტიო... იქითა მქარებუ გადა-
სულა ღამჲ“.

ბელ-მწერელი სვე-ბედი, იღბალი. „ვთ
ჩემო ბედომ წერელოო, თქვა“.

ბერაკა ბერიკა, ბერიკაზე მავალი.

„ბერაკა იცოდენ კილევა“.

ბეჩავი სუსტი, განუვითარებელი.

„ბეჩავ იყვ, ბეჩავი ეზარდე“.

ბეჭო ქსლის საქსოვის საგანი. „მემრე
ბეჭით უნდა გაბეჭო“.

ბ

გაბეჭვა ქსლის ქსოვისას ბეჭით (იხ.)
ნაქსოვის ჩაქერკვა. „გაბეჭევეთ...
ჩაბეჭევეთ აი ესრე ექსოვეთ“.

გაბოროტებული დანადგლიანებული,
გადარდიანებული. „მენცა, გაბორო-
ტებულსა, დამინებია“.

გაგუბუსტიავება ჰაერში გაბურთავება,
გაკორიალება ცოცხალი არსებისა.

ალარცრა მეტი არაფერი. „ალარც-
რასა, გამოვკრიდით მემრე“.

აყვანა აქ გარას აწევა. „აყყყანთ
გარას“.

აჩაჩა ხის გუთნის სახეობაა. „აჩა-
ჩას ვეძახდით, იმითა ეკნავდით“.

აჩქამება ხმის ამოღება, დახმაურება.
„თავად აჩქამდებთ ისიო“.

ახალაშენება მოჩანაგება, არევა, დანა-
გვიანება. „დაყარა-მოყარა რაიმ კილევ
დაახალშენ ისივთი სახლი“.

ბნელობა უმთვარო, ბნელდამეებიანი
პერიოდი. „თან არი ბნელობაო,
უთხარ, რო ვის რა გეკვიროსთ...“

ბოლის ღამფა კრაქი. „ბოლის
ღამფა უნთავ“.

ბოძოლა ბუჩქის ერთი ფეხი. „ერთი
ბოძოლა რაღაც შამხვდა, არ შეეგ-
ლიჯა ძირშით“.

ბუუნტომა კიაფი, ოღნავ რომ ანა-
თებს რაღაც. „გაგებდენო და ცეცხლი
ბუუნტობსო“.

ბუნდრად გაურკვეველად. „თოფი გა-
ვარდა, ბუნდრად არის ვინტოკის
ჩქამიო“.

ბურდღუნი შუქის მსხვილი ბღღვრია-
ლა წერტილი. „მოსულა დიდ მასკე-
ლავისოდენა შუქიანი ბურდღუნი
და ჩავარდნილა იქ წყალშია“.

„ხკრავს ერთი საჩეჩელას, გაგუბუს-
ტიავედებ“.

გაბურჩებული თმაწვერმოზრდილი და
გაბურჩგული. „წასულა... აი გა-
ბურჩებული, გაუბედურებული, ჰო-
რებს ვინ გააპარსვინებდა იქ“.

გაგერშილი დაგეშილი, რაიმეს კეთე-

ბანი დახლოვებული. „ეს შოფრები ისე არიან გაგერშილები, რო...“
გაგორვა წაქცევა. „ქელჩი ნაქერი თოფი აქ შამააწყდა და გაგორდა. გაგორდა იმისი და ითოფი მე დამრჩა“.

გაგულსებული გულმოცემული, გათამამებული „იმის გაგულსებული, ერთ მწყემს წეესხა ცხვარი საძოვარხედ“.

გაგძერებული გაფანტულები; მისეულები. „ცხენბზით გადმოხტენ, იმაში არიან გაგძერებული“.

გადასევა გადაკიდება, საშვილს რომ არ მისცემს. „ეს რაღა გადაამესია, ეს რაღა არიო“.

გადაუგონებელი სიბერისაგან მებნერებადაკარგული, განსჯისა და აზროვნების უნარს მოკლებული. „გადაუგონებელი ილა არი, დედაკაც ას წელს არი მიღწეული“.

გადაწვევბა ძლიერ დაღლა, მოწყვეტა. „ბაღლს სუ გადაუწყდა, სუ ქელით ვავლევდიო“.

გადახიზლვა გადაგვარება ავსულის ზემოქმედებით, მოშხამვა, მოწამლევა.

..... საქონ გადაიხიზლბაო; ან არ მიიწველება, ან მოკვდება, ან ფეკ მამსტყდება“.

გადილაება ძროხის გადაყვანა ცალქერად წველაზე დილით მოძოვების შემდეგ. „ჩვენა გადოლაებას ვეძახით, დილით გაუშვებდით და იგრე. რო მოსადილებოდა, იმ დროს მოვრეკავდით და მოვსწველავდით“.

გავლევა გატარება. „ზედ სოფელზე გაავლიეს“.

გაკეთება (ხორბლისა) — ხორბლის ვარჩევა, საბოლოოდ გასუფთავება. „ცხრილით გაეაკეთებდით ხორბალსა“.

გამბა გაბბა. აქ გაუთავებელი სმა. „გამაწიქმს აღარც სახლი აგონდება თურმე, როცა სასმელს გეემბება“.

გამკაცრება ახალი გარდაცვლილისთ-

ვის წეს-რიგის დადევნება, წესისამებრ დაწვენა. „ის დედაკაც მისულიყო და იმას, როგორც წეს იყო, ისე დევეწინა, ის გეემბკაცრა იმას“.

გამოგონება გარძნობაზე მოყვანა; გონზე მოყვანა. „გამაგონეს, მამაგონეს“.

გამოვლევა გამოტარება, ერთი ადგილიდან მეორეზე წაყვანა. „მამკილა ქელი, მითამ უნდა გამოავლიოც“.

გამოლაღვა გამორეკვა. „გამოულალავ დედა-შვილთ ელორები“.

გამოსვლა აქ გალიება, გამოჯეჯილება. „...გამოდიოდა, გამოყივდებოდა ის პური“.

გამოლრანტვა გახრამვა. „ნაზაურიალა მემრე წყალ გამაღლრანტავს“.

გამოლრანტული გახრამული. „წყლის გამოღრანტული იყო“.

გამოყივება გალიება. გამოჯეჯილება „გამოყივდებოდა მემრე ის პური“.

გამოკლიმა გაღმიდან გამოღმა გამოსვლა „აი გორზე რო გამამქღარა ისი, მამინლა აჩენილა ხალხი“.

გამწერელჩვილება გაბუჩაება, გასაწყლება, ღირსების დაკარგვა. „სუ ვეჩხუბებოდი, ჩემო შვილო, ნუ გამწერელჩვილებდით ეგრეთ, ნუ სტირიო“.

გაუწვნილი დასველებული, დამბალი. „გაუწვილა იტყავი, დალოწობული“.

გარა ქსელში ვასაყრელი მრგვალი ხე. დაახლოებით ექვსი-შვიდი სმ დიამეტრის სისქისა და მეტრონახევარი სიგრძისა „ამაზე კიდევ პატარა გარეები ირი“.

გარაის საყვანელა მოხრილი ხეა გარას (იხ.) ასაწვევ-დასაწვივად. „ესე მოკულ რაღაც არი, გარაის საყვანელი იქვიან“.

გარიგება გადაწყვეტა, დაპირება რამესი. „გაურიგებაც თათრებსა წახდენა ქედებისაო“.

გარყვნილი ხელზე მიჩვეული, მოშინა-
ურებული. - გ ა რ ყ ვ ნ ი ლ ე ბ ი ე ყ -
ნენ ის ღორები-.

გასახედნები გასახედავი: თვალით რომ
ჩანს, ისეთი. - ეგრე ჩვენ ვიყვენით და
ეგრე ვალმა ის იყო, გასახედნებო.

გაფონება მოშვება რაიმე დაქიმულისა.
აქ რო შივისება, ის უნდა გავაფონოთ.

გაფხოვება სირბილით გაქრა, გაეარ-
დნა. - ცეცხლ თუ რამე მახვდა იმ
ცხენსა, ამ არავის ქალაზე გაფხოვ-
და.

გაქინძულეობა გაბმულეობი, ერთიმეო-
რეს ხელდახელ წაკიდებულეობი. „გა-
ქინძულეობი ვიყავით თოფზე“.

გაჩქამება გახმაურება. „ამ კომისერ-
მაც გააჩქამა ფეიქ“.

გაჩურჩნა გატოვება, ამოძრავება. „არ
გაჩურჩნილა ისი“.

გაცეტება გაკვირვებისაგან გაოჯნება.
„მაგან გაშაცეტა კიდევ“.

გაწირვა დატოვება. „ერთად ნუ
გაწირავთ ამ ძროხებსო“.

გახედნება გახედვა, თვალთვალი.
„გახედნოდვი, აი ქისტებ გადმოდიო-
დნისა ეხის თავზედავ“.

გახვევა აქ ცხემლაზე (იხ.) ნართის
დახვევა. „იმას გავახვევთ, გა-
ვძვრნთ“.

ღ

ღაბმა ძროხის ანაბრება გარკვეული
ვადით, ხშირად საზამთროდ. ნამატი და
ნაწველის გარკვეული ნაწილი ამნაბ-
რებლისაა „ცხვას დაუბათე ძრო-
ხები“.

ღაგება ნაბდის მოთელვის დასაწყისი
პროცესი, მატყლის დაფენა, სანამ
თელვას შეუღებოდნენ/ „წაბადაც
ვაკეთებდით, გარეცხილ მატლს გამოვპ-
ჩენდით, მემრე დავაგებდით“.

ღაგელისავეება დაელვება, მოშენ-

გაქედნა ვალმა გაყენა. „აუყენება
ეს ჩემ დედა, გაუქედნავ და
გატეხილა ქიდი“.

გაძლომა ვასვლა ერთი ნაპირიდან მე-
ორებზე. „ვალმით გუჭქდარიყო
ბაწარაულასა და შაბრუნებულოყო“.

გერში დაკარგული საქონლის რაიმე
ნაწილი. „უნახეთ ნიშან-გერში და და-
ლულეობია“.

გვერდის გადაქცევა კალოში ლეწვის
ღროს ძნის გადაბრუნება. „გვერდს
გადაუქცევდით, მერე მეორე
გვერდზე გაიღწებოდა“.

გოგა საახალწლო რიტუალური ნამ-
ცხვარი, რომელიც მეკვლემ უნდა შეა-
გოროს ხოლმე ოჯახში შესვლისას. გო-
გა წალმა დადგება თუ უკულმა, იმაზე
დამოკიდებული ოჯახის იღბლიანობა იმ
წელსა.

გონთ წესიერად კვიანად. „რა ვიცი
მენ ესლა, ხან გონთა ვლაპარაკობ,
ხან უგონთა ვლაპარაკობ“.

გონობა ფიქრი რაიმეს გასახე-
ნებლად. „ლარ მაქსონ, ვგონობ,
ველარ მოიგონე“.

გორველა ქარბორბალა „ისევ იქ გაგ-
ზავნეს, გორველა ამოუშო, ამო-
არდა წისკვილი...“

ტიობრივად გამოჩენა და ისევ მიმალვა.
„ბალკუმის წინ დაგელისავდა ეს
ხარება“.

დადგომა დაყარაულება. „თავადაც
იქ დაუდეგო“.

დადიდება ღვთაების სადიდებლის
თქმა, დამწყალობნება. „ამულავ ტი-
კები, დაუდიდებავ სასმლითა“.

დაზეზება დაბმული პირუტყვის ამ-
ვეება. „დამაზეზე მეო, გაიქადე,
ე შენ ტანისამოს მე ჩაეიცივ“.

დაზიარება შრომის ორგანიზაციის გარკვეული ფორმაა. რომელიმე პირი გარკვეული ვადით ჩაიბარებს ვისიმე პირუტყვს (თხვს, ცხვარს, ძროხას) მოსავლელად იმ პირობით, რომ ნაშაბის გარკვეული ნაწილი მისი იქნება. „გემრე კიდენ თხვბი, და იზიარა მამაჩემმა“.

დათავება სულის ამოსვლა, სიკვდილი. „მუცუში რა ამაუყვანავის, უკვე დათავებულა ის კაცი“.

დაძვება დაკეპვა. „ქორცს და მკეფდენ“.

დაკეხება მიწაზე ღარტყვევინება. „ავილე მერე და დაეკეხენ ითავი მაგრა“.

დაკვლევა კარგად, ყურადღებით შეხედვა, ათვლიერ-ჩათვლიერება. „წამოიდა უჯან ეს კომისერი, დამკვლია, დამკვლია და დაბრუნდა“.

დაკიდება ჩამოკიდება, რომ აღარ მოეშება. „დეეკიდა ღელა, რომ წამოდი, შეილო, რას აკეთებ, რას შახედავ მაგა ლომიათა“.

დალოწობული ლორწოსებურად გადაქეუელი: „გაბუწვნილია ი ტყავი, და ლოწობული, ტყავი-ტყუპი მამაქონდა ი ტყავსა“.

დამბრმალი დაბრმავებული „დამბრმალი ვარ, დაყრეებული“.

დანდობა დაზოგვა, შებრალება. „მაინც არ მოგეშვები, ცოცხალს არ დაგინდობო“.

დაროქება რაიმე მღვრიე სითხის დამირწვერება. „ნაცარს მოადუღებდით. ის დაიროქებოდა, მერე დაწმინდდებოდა“.

დარჩენიება რჩევა, უპირატესობის მიცემა. „მაშინ ვერც მპირდებოდენ, და ეხლა სხვა დაიარჩენიეს ჩემ თავსა“.

დასხლეთა ჩახმახისათვის თითის გამოკერა. („თოფი) დავხარე, დავხარე და დაევსლიტი“.

დატანება დაცემა, დათვლება. აქ მო-

ტაცება. „მენ წავალ, იმ ბატყანს დავეტანებო“.

დატატნება 1. სიბნელეში, ან ზოგადად ცუდი ხილვადობის დროს რაიმე გაჩრევა, 2. მიზანში ამოღება. „დაუტატნა, დაუტატნა და ... გავარდა თოფი-ღ“ ამაში კაცმა კი დაიღრიალა“.

დაფერადვა შეღებვა. „გამოჩრევა უნდა, ჩასთვა უნდა, დამახვა, დაფერადვა“.

დაფერება დამსგავსება. „წინწერისას დამფერებიაო, დაიწვას მაგის ეამ-კარიო“.

დაფოქრატება დაბოშება, დალაღება, დახალვათება, მოშუება. „გავაყრუინებთ იმ სოლებსა-ღ, დაფოქრატებია ისი“.

დაქანება გაქანება, რაიმეს რომ გააქანებთ „დაექანა და ჩაეგლო საუელოში“.

დაქუჩება შეკრება, ერთად თავიერთად „ფშავლის კაც-ღედაკაცებ როცა დაქუჩდებოდა, ეპიტატურებს გადამაქრადენ“.

დაღონება შეწუხება. „ვართ ერთ ღაღონებაში, ერთ მწუხარებაში“.

დაღრეჭა (ცხენისა) ლაგმის ძლიერი მონევით შეყენება. „უფროსმა ცხენი დაღრიჭა“.

დაუშლება გაჩერება. „ზოგ კი დეეყუდებდა, დაიყურებს იმის ლაპარაკს“.

დაუშრება მოსმენა „ზოგ კი დეეყუდებდა, დაიყურებს იმის ლაპარაკსა-ღ...“

დაშვენა ქსლის საქსოვად მოშხადების ერთი ეტპაია, საშვერის გაკეთება. „იმას დაეშვენიდით, იმას ვეძახდით დაშვენას“.

დაშოშმანება დაწყნარება, დამშვიდება „დაშოშმანდეს ის ძმებიც“.

დაჩეგრილი დაჩაგრული. „ფშავის ქევი დაჩეგრილი ჰყვანდა ქისტებს“.

დაჩვენება მონახულება. სტუმრობა. „ვიდეო სამ უაგეჩვენებით, ნუ დამოიწყებთ სწორებო“.

დაცდა ახალ საცხოვრებელ ადგილზე კლიმატს რომ ვერ შეეგუება. „ევ აღგილი სცდიდა ხალხსა“.

დაცინტავენა ცხვირის დაცემინება. „დაუნერავ პირკვარი იმ კაცსა და დაცინტავენ ბაეის“.

დაჩახვა ნართის დაგრება ორ-სამ წერად. მატყლს ჩავსთავთ, მემრე დაცებახთ...“

დაწიკობა აცივლება, აწივლება. „ვაიო, დაიწიკოიანი მიძინარებმ“.

დაწონვა შებეღვა, ვინმესთვის გაბედვა. „ვერ დამწონა, წააცილდა“.

დაქელვა პონა ბევრისა (მოქელვა — ერთის პონა) „დაუტელავ ეს ქბობე სუეველა“.

„ღმა რძის მიცემა. არ მიდგამს რჩეს არ მაძლევს. „დღე არ მიდგამს და ... დამეკი მიდგამს“. „ემასა უჯობავ, ემ ფურსა, მაგრამ არ მიდგამს“.

დედაკაცი ცოლი. „იმ ჩემ კაცსაც ... წინა დედაკაც მაძკელომიყო“.

დედიდაშვილი დეიდაშვილი „დედაშვილის დედიდაშვილი იყო“.

დიდა დიდი, მოზრდილი. „ე იოსებ დიდა იყვის და ის ცოტაი, რაც ქალ შინა მყავ“.

დი-დიღებ მოზრდილები. „დი-დიღებ იყენენ“.

დროთა ხნისა, ასაკისა. „რავი რადროთა იქნებოდა“.

დუზ შიშველი, მოსწორებულ ზედაპირიანი. „დუზ მთაზე მინდორია“.

დღე-წერა განგების მიერ დაწერილი ხეღარი. „აი ეგრეა თავის დღე-წერა“.

2

ელვა მები. „პეტრეს ბიძიცი ელვამ მოკლა თრიალეთზე“.

ერთუთი ერთიმორე. „მაგათო რო ჩაკოტონ ერთუთიო, სამართალ არა აქო“.

ერთფერი ერთნაირი, მსგავსი. „ერთფერნი ვართ, ბებერნი“.

ესეთაობა ამგვარი რამეები. „ჩვენ სოფელში არ მაშქდარა ესეთაობა“
ესრე ასე. „აი ესრე ვქსოვთ“.

ესრიკე აქეთ მხარეს „აი ესრიკეა, აი, თიანეთის ზეთი არი, ესრიკე“.

ესი გამოქვაბული. „ამოჯდა ესის ძირშია, სადაც რო მოსაფარია“.

ეჭიბი ვაჟის მეგობარი ქორწილში. „ერთ ეჭიბ იქნებ, ერთ კაცი დაჯ მეორე — მეჯვარე“.

ვარშავი მდარე ვერცხლი; აქ ვაზნა იგულისხმება. „პირში ჩაუღვა ვარშავი, სისხლისა კენიტე ძვალია“.

3

ვერაზული თრთელი „მთას ვერაზული მაძკიდა, მწყემსო აპყარე ცხვარია“.

ველაროდის დაგვიანებით, არა დროზე. „კი თუ დავიწყდა ი ბაღლი, ეე-ღაროდის თუ მიგონა“.

ვეჭი ეჭვი. „უთქვია, შენაო მოკანო, უეჭკობის გულისთენარ, ეიჭში არ შავივიდნო“.

ვინ ვინმე. „ერთ დღეს რო პური ვინ მაქმიოს, მეორე დღეს აღარ მაქმევს“.

ვინამ ვინმე, ვილაკა. „მე ვთქვი, მე-
ხუმრება ვინამავე“.

ვლევა ტარება. „ნელა ავლიე ეგ
ცხენი“.

ზ

ზარფუში არყის გამოსახდელი ქვაბის
თავსახური. „საარაყე ქობ უკიდავ ჭორ-
სა ერთკ, მეორკის ზარფუში და
მოდის“.

ზენ ზევით, „ხო მაინც იქ დაზღით,
ზენაო, თივობაო“.

ზენაით ზემოთა მხრიდან. „ახლა
ზენაით მოსულა ერთი სუ ნაკვერ-
ჩხალსავით შუქი“.

ზესიძე ჩასიძებული. „შენ ჩვენთან
მოდის ზესიძედა“.

ზვარა დეკელის პირველი ხბო. რო-
მელიც აუცილებლად უნდა დაიკლას
ხატის სახელზე; „იმას ღაჰკვლავლით,
ზეარას ვეძახდით, წავიყვანლით ხატ-
ში დაჰკვლავლით“.

ზილილი საითმე გაჰყვა. „კიდეც იზი-
ლებდა. რო ძროხებთან გაჰყოლო“.

ზოკან ზოგან. („ზოვი) ზოკან
მშრალიც არიო“.

თ

თავაღმა ზევით, მთის მხარეს. „ერთ
ბიძაშვილი და ის კაცი წასულიყვენ
თავაღმა“.

თავ-ენიანი ქვიანი და ენამეტყველი.
„თი თავ-ენიანი კაცი იყო“.

თავ-თავად ცალ-ცალკე, „წელზე გადა-
მჯრიდეს და თავ-თავად ამაკიდებ-
დეს“.

თავის მორჩენა ნაბახუსევზე კიჟა
არაყით, ან რაიმე სხვა სასმლით გა-
მოსულა. „წუხებლათ ვიქეიფე, სიძეო და
თავებ მოძრჩინოთო“.

თავს გადმოჩენა ქსლის ქსოვის მიყ-
ვანა იმ დონემდის, რომ ნაქსოვი ზედა
ლვილს (იხ.) გადმოსცდეს. „თავს
გადმააჩინათ ვიცოდით, იმოდენ-
ნა მოქსოვაო“.

თავშავა ერთი ჭურა ყვავილა, სამ-
ლებროში ხმარობენ. „თავშავა ვი-
ცოდით, აი ე ტყეში არი ბალახი“.

თარეში მეკობრული ლაშქრობისას
პირველად დამკვი. „გამაარჩევენ თა-
რეშისა/ ყველაში გამოცდილსაო“.

თასურა ვერცხლის სასმისი ხატში.
„თასურებების პარკვასაო ხევეწა
ეჭობ, ჩემი ფიქრითაო“.

თეკა მწყემსის ზედა ტანსაცმელია,
ნაბღისაგან შეკერილი. „წამოდგა
თეკიანი, /ცხვარს შამაველო თვა-
ლია“.

თივობ თივის მოხატანად. თივაზე
„ხო მაინც იქ დაზღით ზენაო, თი-
ვობაო“.

თიკვი ქსოვილის პატარა ნაკერი.
„ქვალისა ჩავდებდით თიკვიში“.

თოხლი ნახევარი წლის ცხვარი;
ბატანაჲ. პირველი გაპარსვის შემდეგ.
„სუ ცხვირხვიტლიან დავალისო, რო-
გორც რო თოხლი ხანჩანალო“.

თხოილობა თხოვა, მათხოვრობა. „ხან
ყურძენ ვიპარეთ, ხან პურ ვითხო-
ილეთ“.

თხორი საქსლე ნართი. თხოვებს
იტყვიან თხოვის გორგლებზე. „ამო-
ახვევდით იმ თხოვებს“.

იაქსარი მთიელთა წარმართული
 ღვთაება. „იაქსარის ხატობა არი“.
 იმათას იმათსა, მათს სახლში. „იმ
 ღას იყო ორ წელიწადს“.
 იმთონი იმდენი. „იმთონ ხო-
 ყანა ეძებსო იმ ბაღლსაო“.
 იმით იმითომ. იმის გამო. „იქ კი მო-
 ღლოდენ, იმით მიუღიოდა აქით,
 გომეწრითა. ცხვანითა ყარაულეები“.

კ

კაქაჩუნა 1. რკინის მოკული საგა-
 ნა. კერის სახსრეკად იხმარება. „რკი-
 ნის კაქაჩუნა მექირა კელშია“;
 2. მოკული ხე, გარას (იხ.) — ასაწვე-
 დასაწვეი (იხ. გარასის საყვანელა).
 კანი ცხრილის ცხავის, საცრის (ზოგ-
 ჯერ დოღისაც) ნაწილი, ხის ქერქის ან
 შერქნისა. „ცაცხვის ქერქის საყანე,
 თხილის ყაყატო და ეგ იყო“.
 კაფია პატარა ლექსი, შაირი.
 კაფიაობა ლექსით შეჯიბრი. „ეს ფშა-
 ველები რო დაითერებოდენ, დაი-
 წყებდენ კაფიაობას, პო და ან
 ერთი აჯობებდა, ან შერეე“.
 კაც-ღედაკანი ცოლ-ქმარი. „უშვილო
 კაც-ღედაკანიო“.
 კაცი თავის ქმარზე იტყვიან. „მემრნ
 ი კაცმ გამიეთა ი წყლის ჭარა“.
 კეცეულაი ქადა. „შამოგვიტანა ...
 ვაქშაჲ კეცეულაი“.
 კვიშტავი მუხლის თავი. „ე მეტლები
 არა მქონია, კევიშტავეები“.
 კვლევა ძებნა. „მე კიღენ პურს და-
 უწევებ კვლევასაო“.

იქითაისკ იქით მხარეს. „იქითაი-
 სკ აონის წყალი, აქათაისკ კიღენ
 სხვა წყალ მოღის“.
 იქ რა უძე იქ რა ონდა, რა ესაქმება.
 „ოცდასამ წლისა ქმართან ვიყავ მენა,
 კაცო, ოცდა სამ წლისას იქ რაღა
 მეღევა“.

კიღენ ისევე, კიღევ, „ვეღარ ვიცი კი-
 ღენ ვინამ არიან ჩემის ხნისა“.
 კითუ ალბათ. „კითუ დაევიწყდა
 ი ბაღლი, ვეღაროდის თუ მაიგონა“.
 კითხულობა კითხვა (წიგნისა). „რო
 იკითხულობდენ, ყურს დაუგ-
 ღებ, მომღის, მე კი ერთ ასო არ ვი-
 ცი“.
 კიოთ ალბათ, დასტურ, ნამდვილად.
 „კიოთ საღ შავხვდებით ჩვენც კაი
 ქალსაე“.
 კმავება ყოფნა, საკმარისობა. „მე-
 ორ-მესამე წელიწადს კიღენა კვმა-
 ობდა ის ერბო“.
 კოღვა დაკოღვა, ნესტარის კერა.
 „ორიოდ ფუტკარმ მიკოღაო“.
 კომახი ფეხის კოჭი. „ერთკან აი ექ
 აქე კომახში ჩასმული“.
 კორტაბაზა გორახი. „ერთ კაცსა თავ
 გაუტეხეს მიწის კორტაბაზაით“.
 კრაველი ბატკნის მატყლი, „ოქროს
 კრაველ სასხე იმასაე“.
 კრებად კრებულად, ერთნაირად. „უნ-
 და წახვიდეთო სუ კრებად, რაც ხალ-
 ხი ხართო“.

ლ

ლაშხი ბაწრის ღვედი, რომლითაც
 ჭარა აბრუნება ჭარის ტარს. „ამ ალაგას
 უბია ი ლაშხი და აქ საწინდიია
 დაბეულო“.

ლაშნი პირი. „და გასაფხეკელის
 კამითაო ყველას შავ ლაშნი მსხი-
 ანო“.
 ლვლი ტოლის (იხ.) ან ფარდაგის

საქსოვი ღვიმის (ყდანი იხ.) ზედა და ქვედა ხეები. „იმაში კიდენა ლეილს გაუგდებდით“.

ლოპო ლორწო, ლორწოვანი მასა ხის ქერქა და მერქანს შორის. „გაზაფხულზე, როცა ლოპო შაუა ხესა, მაშინ ეურება ქერქი“.

მ

მამისახლი ქალისთვის მშობლების სახლელი. „მამისახლი სუ გამითავდა“.

მამის ცოლი დედინაცვალი. „როგორ ცული ყოვილა მამის ცოლი გერებისათვის“.

მამსწვრალი შესწრებული, მოწმე, თვითმხილველი. „აი ემაგებსა ვარ მამსწვრალი“.

მარტულად მარტო. განცალკევებით. „მარტულად რო ეცხოვრობდი ჩემი სახლი იყო იმათ ბედე“.

მარჯვალე მპანკალი, ვაფის მიერ ქალის სათხოვნელად გაგზავნილი შუამავალი. „მარჯვალე მიხყება ი ქალია მთხოვართ“.

მგულელები მკრფაეები, ამბარგებლები (შდრ. აგულეზა-ამბარგება) „... თივის მგულელებს გეეგონა“.

მზებანეზანი მზის ჩასვლის ხანი. „სალამოლა იყო, მზებანეზანი“.

მთხოვრები ქალის ხელის სათხოვნელად მოსული ხალხი „ის მთხოვრები ხყვანდენ მოსულეები“.

მიგვრა მიყვანა ვინმესთან. „მემცხერაგებსამ მიგვარა შინაურების ცოლაო“.

მიზეზის მიღგომა სალოცავს რომ შეუძლია დაამიზეზოს, მოითხოვოს სათანადო სამსახური. „მიზეზ უღებება ამ ხალხს იქიურ ხატისი“.

მითო ვითომ. „ხუმრობით მითო მანივნებს“.

ლუქად 1. წყვილად, ლუწად. „(ბბოს) რთხის კვირისას არა მაკლავდიან, ლუქად არ ვარგავ“; 2. ჭგუჯად, ერთბაშად, „ლუქად გაცოვდა, ბევრ თოვებ გაცოვდა“.

მიკოხვა კორახებითა და ქვებით გაღენა. „მიკოხნა ი ბაყაყნი ისროკავად, ჩავიდეს იქავ“.

მილაღვა მირეკვა. „საკლავებს მილაღვენ, დააჯოცენ“...

მიფრენა ხარბად მიფარღნა. „მიფრენიე ვარ და ი ძუძუ მაშიწოვავ“.

მიჭარვა მიხურვა, მიკეტვა (კარისა, სარკმლისა). „მიუჭარვე კარები, მიუკეტე კარები“.

მენ მე. „მენ უთხარი, განაკი დაუმაღე“.

მენდომე მსურველი. „გამამიჩნდა მენდომეო, გამიცვალა ქალზედაოდ-წამოველი“.

მეშველი მშველელი. „წამოვლ და, კაცო, რა არი ჩემ მეშველი“.

მეშურნე შურიანი, ავგულა. „კაი გულის ვინ არიო, მეშურნე არ იყო-სო“.

მეჭვარე საქორწილო ცერემონიალის დროს გარკვეული მოვალეობის პირი, ხელისმომკიდე. „ერთ ეჯიბ იქნება, ერთ კაცი და მეორე — მეჭვარე“.

მოარული მოსიარულე. „ჩემზე უარესი მოარული და არი ისიც“.

მოღება გადატ. დარტყმა, მორტყმა. „მაუღეავ ი კისერში, მაუღდები-ნებაე თავი იმ ლეკისადა“.

მოღენა გაგონება ხმისა. „ჩაეიარე საითაც მომეღინაო, ნინოო“.

მოთვე მოსისხლუ. ვისაც ვისიმე თა-
ვი კმარებდა. სხვა იყო კიდე მო-
თავე ჩემი, აქ ვინც მიმყვებოდა საყ-
ლავით“.

მოკარგვა დაკარგვა (რამდენიმესი, არა
ერთ-სა). „მითხრა ი პაპამა, არ მოგა-
კარგე ვინებსო შეილებსავე“.

მოკაული მოჭრილი. „ესე მოკაულ
რალაც არი“.

მოკიდება გადასვლა, დაწყება. ერთი
ლანდმფიტი რომ იცვლება მეორით.
„იმ ბეწინათ სახლიუკვენ მამუ-
ლებ იყო და ცოტა ტყიანს შეეკი-
დებოდა მემრე“.

მომარჯვება სიხალოვეს მოსვლა. „ნა-
ბაღს ააწია და გაახედა ი ქისტებსა,
რო მამმარჯვდენო“.

მორიგება მოქაბაგირედ დადგომა.
„მოათუშეთში წავედ, მოვრიგდები
ვისაო“.

მოხალთავეება ზედმეტი ტვირთის, ან
ხელის შემწელი ტანსაცმლისაგან გან-
თავისუფლება. „(შინელი) გაეიქადე და
მოვსალთავედი“.

მოხალთავეებული შემსუბუქებული,
ტვირთისაგან განთავისუფლებული:
„რო ცემა დამიწყოს, მოსალთა-
ვებულვი ვარ — ვეცა“.

მოყვანა აქ გარას ჩამოწევისა. „ახ-
ლა მოიყვანთ გარასა“.

მოყრა გახდომა, გაზრდა. „მაიყარა
საცოლები“.

მოჩივარი აქ მოსარჩლე. „ამ დროის

მოჩივრებ იყვნენ ისენ, ის ნი-
კალის დრო არ უნდოდა“.

მოწყვეტება თავს დადგომა, შეხვედრა.

„ქისტები არ მოგვეწყვეტებია“.

მოხვევა ხინკლის შეყვრა, ცომში
ხორცის გახვევის თავისებური პროცე-
სია. „მამზელდენ ცომსა-ღ“ ჩაედენ-
დენ გულს, მამხვევდენ, მამხარ-
შაედენ და ...“

მოკლობა მოხდომა რაიმე ამბისა. „ეს
კოლექტივი რო არ მოქდა, უჩინ-
ლად გავიდენ“.

მოკელვა პოვნა. „ებლა რო მამ-
კელოს აქაც, რა უნდა ვქნა“.

მოჭარება მოახლოება, მიღობა.
„აი სოფელს რო მოვჭარდითო.
ვკითხო, აქვე არიანო და — აღარ
არიან აქაო“.

მოჭარვა მოხურვა, მოკეტვა. „კარე-
ბი რო მოჭარა“.

მყოფება ცოცხლება, დარჩენა. „რა
ვიცი, ღმერთმა ამყოფნეს“.

მჩენლები მატყლის მჩენელთა ნაღი.
„მჩენლები არაად გვიწოდოდა ჩვენ“.

მწერელი ბედის გამგებელი, განგება.
„ალბათ ჩემ მწერელმ ეგრე და-
მიწერა“.

მწერელჩილი საწყალი, საბრალე,
უსუსური. „ჩემზე ბეჩავი არც ვინ არი
ამ ქვეყანაზე, ჩემზე მწერელჩი-
ლი, უცოდელ“.

მჭილი მუქა. „ფულიან პარკ ეკი-
დაო და ერთ მჭილ ი ბაღს ჩაუყა-
რეო და ერ თავად ჩაეყარეო“.

6

ნამურწყალი ნაპერწყალი. „რა ამ-
ბავია, ეს ნამურწყლებ აქ მო-
დისო“.

ნაგზაური მითოვებული გზა. „ნაგ-
ზაური და მემრე წყალ გამაღორან-
ტავს“.

ნაზოვარი ადგილი, რაზედაც ზევემა

ჩაიარა. აქ თვით ზევევი. „აი ნაზო-
ვარზე წამოსულიყო ი დამწვარი“.

ნამკული კალოზე მარცვლის განიკე-
ბისა და დაცხაების შემდეგ დარჩენი-
ლი ნარჩენი. „ნამკული იმდენ
არაფერი იყო“.

ნამრგალი ნარგენი. „შენდ ნამრ-
გალ იყო დედაო“.

ნათარი დაფარცხული ყანა. „მიუძღვა ი ნათარი ში ა დაჯ დაუწყეს კრება იმ კიანჭველებში“.

ნაქარი ნამქერი, ქარის მიერ მოტანილი თოვლი. „ლამაზიცა მკაც ნაღობიო. როგორც უმტვერო ნაქარიო“.

ნაქერქალი ხის ქერქი. „ხეს ავპყრით ნაქერქალსა“.

ნაქნარი ნამოქმედარი. „გუშინ საღამოს მიაშბესო გურასაულის ნაქნარიო“.

ნაყაპეი ცოტათი ნათონი. „ნათონია, ნაყაპეი ახალი“.

ნაყიღობა ნაყიდი ადგილ-მამული. „იმ ნაყიდობაში ვცხოვრობდით“.

ნაცართვალი ნაცარტუტა, წყალში მოღუღებული ნაცარი; უსაქნობის ღროს სარეცხ საშუალებად იხმარებოდა. „ნაცართვალას ვეძახდით ჩვენ იმასა, ნაცარწმინდა იციან ეხლა“.

ნაცარწმინდა იხ. ნაცართვალი.

ნაწილი სხეულის, ნეშტის ნაწილი, წმინდა ნაწილად მიჩნეული (იხ. ნაწილი. ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი). „ვერ გაიმარჯვებთ, თუ გარის ნაწილ არ გაიღეთ“.

ნაწილიანი წმინდა ცხოველია, გრძნეულთა თვისებებიც მიეწერება. „ნაწილიან ბატკანია“.

ნაქამი (წყლის) — წყალი რო მიწას

გახრამავს. „ი წყლის ნაქამშია, იქ ზოგეი მძვრალა რააჯამ მელაჟე“.

ნახვეწი ხის ქურქელი. ხვეწით გაკეთებული. „ცხენებს დასწყვიტეთო წელებიო კახეთს ნახვეწის ზიღვითაო“.

ნაქოვლარი ნაფუძარი. ნასახლარი. „ბევრ ნაქოვლარ კი არის იქაც“.

ნელობამდე გვიანობამდე. ცოტახნის წინ. „ნელობამდე ცოცხალიყო“.

ნეფიონი ნეფე თავისი მყარიონით. „... ეჯობ-მეკვარენ მოიღუნო, ნეფიონ მოიღუნო“.

ნიადაგ რა თქმა უნდა. „ოთო არ შახვლება ნიადაგაო“.

ნიადაგ რალა თქმა უნდა (მღრ. ნიადაგ) „პო, ხიი დამ, თუ გაეანებეთ“.

ნიშან-გერში იხ. გერში.

ნიში 1. სალოცავ ადგილზე გაკეთებული პატარა ქვის ყორე; 2. ახალ ადგილზე გადატანილი საპლოცველო, რომელიც მოქმედებს და ფუნქციონირებს ძირითადის პარალელურად. ნიშის წაღება ახალ ადგილზე ზღება რომელიმე თემის მოახლეობის მიგრაციის შემთხვევაში. „სერობას ეძახიან, მაღლა მთაში არ იერთ ნიშ გაკეთებულა“.

ნოტო ცხვრის ფარის ნაწილი, პატარა ჯგუფი. „პატარა ნოტოანი მყავ, ჭარებში მიღვა ცხვარია“.

მ

-ოთ აღბათ, ნამღვილად. „ამეტ-თოთხმეტის წლის ი-ოთ რა ვიყავ, მამინა. როცა ის ამებ იყო“.

ორშიანი შინაქსოვი შალის სახეო-

ბაა, ორი საშევრით (იხ.) იქსოვება. „ორშიანი ქსელიც ვიციო, ორ საშევარს ჩაუღებდით“.

ორწვერა ორწვერად ამოხვეული ნართი. „ორწვერაჲს ამოვხვსნით“.

პ

პატარიკა კნ. პატარა. „პატარიკა კი იყო დათიკა“.

პარის მოკეთება ნაქსოვის ბოლო შემოვლა; ტოლის პარის ისე ვამაგრება,

რომ არ დაიშალოს. „მეგრე იმას პირს
მაუკეთებდით“.

პირშითი მზვარე, მზის გული „პირ-
შითია ჩვენ ალაგი“.

უ

უამ-კარი ყოფა, გზა-კვალი. „წინწე-
რისას დადფერებიაო, დაიწვას მაგის
უამ-კარიო“.

უამკრება ვისიმე კეთილდღეობაზე
ზარუნა პრაქტიკულადაც. „აი ამისა-

გან მცხოვრებელ ვიყავო, ეს მაქიმ-
კრებდაო“.

ულავი-ულუვი ხმაური, ყრიაშული,
„ჯათენებულთ თუ არა, დამდგარა ერთ
ულავი-ულუვი“.

რ

რაადამ რატომღაც. „იქ ზოვეში მძვრა-
ლა რაადამ მელაივ“.

რადარ რატომ არ. „ქალო, რა-
დარ შინ გამაილი, რას გამევეცილე მაგ
ემშაკი-იულათა“.

რაით როგორმე, ვაი თუ, საფიქრე-
ბელია. „აისივ რაით მოგვივათა“.

რაქი განა, „აი ემ შვილებმ რაქი
არ იცინან“...

რამდენად რამდენად. „რად არ მაქვ
ნაქერ შანახილი, რამდენად სა-
ქირაო“.

რარგა როგორ, რა რიგად. „როდი-
სევ დაფარულ ამეში საით მოკრიფოს“.

რარგად როგორ, რანაირად. „რა-
რიგად წახვალო, უთხარ, რარი-
გადაო“.

რარიგადლა როგორდა, რანაირადლა.

„რარიგადლა უნდა ვქნათო ჩე-
ნაო“.

რახამა რალაცაქ „ტანისამოსებს
რახამა რეცხდა“.

რა უძე რა უნდა, რა ესაქმება. „ოც-
დასამ წლისა ქმართან ვიყავ მენა, კა-
ცო. ოცდასამ წლისას იქ რალა
მელევა“.

რეფიე დამახინჯ. რეფიე. „ეს კი
ძნელ მოსათმენია რეფიე ჟორ-
დანისაო“.

რომენი რომელი. „რომენი ც
უფრ კი კორცია, იმის ხინჯალ უფრ
კარგია“.

რორცა როცა. „რორცა კვლებო-
და, მაშინ დაუბარებავ“...

რჭული ხალხური სასამართლო
ფშავ-ხევსურეთში. „ჩემ ბალღობაში იყო
რჭული საბოლოოდ ორწყალში“.

ს

საბერებლად შედგომა სიბერეში შეს-
ვლა. „საბერებლად რო შევე-
დეგ, აქ წამოვიდი“.

საგონებელი საფიქრალი, სანატრელი.
„სიზმარში საგონებელნო, კარგე-
ბო, განა ყროლებო“.

საგრეხელა ხის პატარა ნაქერია, შუ-
აში ამოღრმავებული, ხშირად მოჩუ-
ქურთმებული, რაშიც თითისტარს აბ-

რუნებენ. „საგრეხელას ვე-
ძახდით იტარს რაზედაც ვატრიალებ-
დით“.

სად სადმე „გათენდა-დ' ისივ აი ნა-
ზოვარზე წასულყოთ ი დამწვარი. რო
იქნება იყოს სადაო, ჩნდესო“.

სადამ სადლაცა; როდისლაც. „ოცში
იყო, თუ ოცდაერთში იყო. იმ წლებ-
ში სადამ იყო“.

სავაჟო ბავშვი ბიჭი, „ს ა ე ა ე ო უ ფ-
რო ე შ მა კ ი“.

საზღვაო ცხემლაზე (იხ.) შებმული
ბაწარი, რომელმაც ბეჭვის დროს უნ-
და დაიცვას თხორი (იხ.) დაწვევებისა-
გან. „ი ბეჭს რო ვსცემდით, ის დაიგ-
ლიჭებოდა, ი საზღვაო თუ არ
ეწნებოდა“.

სათაო საპატიო ჭილო, ნადავლის
გამოყოფისას ზედმეტად ნარგენი წილი.
ომში გამორჩეული გარჯისათვის ან წინ
მისვლისათვის. „ს ა თ ა ო ს რ ა დ არ
გაძლევენ ვერცხლიან უნაგირსაო“.

საით საიდან. „ს ა ი თ მ ი ო დ ა ე ხ ლ ა
ე ს ა ე ა ო“.

სათამ საიდანაც, როგორღაც. „ამ-
ებებ გაიგეს სა ი თ ა მ ა ო“.

საითაც საიდანაც. „ისეთა ცხოვრება
ქვონდა ჩვენა, სა ი თ ა ე მ ე წ ა მ ო ე დ“.

საკაფელა ხორცის საყები მანქანა.
„ს ა ე ა ფ ე ლ ა ს რ ა ე დ ვ ა ი ჟ“.

საღუდე ლუდის მოსახარში ქვაბი.
„ს ა ლ უ დ ე ქ ო ბ ი ჰ ქ ო ნ დ ი ა, ი მ ა შ ი
ჩააყენებდენ“.

სამ საღაღ. „ჩვენ კიდენ მთაზე
ს ა მ ვ ი ე ვ ე ნ ი თ ყ ა რ ა უ ლ ა დ“.

სამთოდ მთაში, ზაფხულში საქონლის
გასაყებად. „ს ა მ თ ო დ ი ჰ ა ე მ ე ვ-
ლი ო დ ი თ ყ ა ფ ა რ შ ი“.

სამთოდ ხიარული ზაფხულში საქონ-
ლის გასაყებად მთაში წასვლა. „ს ა მ-
თ ო დ რ ო დ ა დ ი ო დ ა ხ ა ლ ხ ი, ი ჰ ი დ ა ნ
გ ა ი ტ ა ე ც ე ს“.

სამკლავე ჭაქვის მკლავსაფარი, ომში
სახზარი. „ს ა მ კ ლ ა ე ე მ ქ ო ნ ი ა“.

სამწვერა სამწვერად ამოხვეული ნარ-
თი. „ამოხეხსნით სამწვერასა“.

სამხლო საღმრთო, ხეთის სახელზე
გაწეული ხარჯი დიდი სუფრის სახით.
საკლავითა და ლუდის მოხარშვით. „ს ა-
ე რ თ ო ს ა მ ხ ლ ო უ ნ დ ა გ ა დ ა ი კ ა ლ ო-
თ ო“.

სარეცხი დედათა წესი. „მეორე კვი-
რას შაჰივლებსო, წაწალო, ს ა რ ე ც ხ ჰ
გ ა მ წ ი რ ა ო“.

სარიდი სახალი, გადამდები სნეულე-
ბა. „ა ი, ს ა რ ი დ ი რ ა ი მ ი ყ ო, ა რ ვ ი ც ი,
ტ რ ი ჲ ი ა ო“.

საფერკე საჭდომი ცხენი. „ერთ
ს ა თ ე რ კ ე ლ უ რ ჯ ც ხ ე ნ ხ ე ვ ა ნ დ ა“.

საქონურება საღამოხანი, საქონლის
ღებინავეების დრო. „ბინდია, რაღა,
ს ა ქ ო ნ უ რ ე ბ ა“.

საყუჩი სათვალთვალ საფარი. ჩა-
საფრებული ადგილი. „იქ გაუკეთებავ
ს ა ყ უ ჩ ი“.

საშალი ცხრილის კანის დასახვრეტი
ხელსაწყო. „ს ა ვ რ ე ტ ი რ ე ი ნ ა ი ყ ო. ს ა-
შ ა ლ ი“.

საშევარი 1. ჩვეულებრივ თხორზე
(იხ.) სქელი ნართია, საშეერის გარაზე
ეხვევა და ქსლის დოლების ასაწევე-და-
საწევი საშუალებაა. „ს ყ შ ე ვ ა რ ი
გ ე ქ ო ნ დ ა კ ი დ ე, თ ხ ო რ ი, პ ა ტ ა რ ა თ ხ ო-
რ ა ი“.

2. საშევარი ზოგჯერ საშეერის
გარასაც ჰქვია. „ორშიანი ქსელიც ვი-
ცი თ, ო რ ს ა შ ე ვ ა რ ს ჩ ა უ ლ ე ბ თ“.

საშეერის გარა გარა (იხ.) რომელ-
ზედაც საშევარი (იხ.) ეხვევა.

საცოდვამადლო საქმე საქმე, რომე-
ლიც შეიძლება მის ჩამდენს ცოდვად
ჩათვალოს. - ეგ სა ც ო დ ვ ა მ ა დ ლ ო
ს ა ქ მ ე ა. მ ა ვ რ ა მ ვ ი ყ ი ს რ ე ბ შ ე ნ ის გ უ ლ ის-
თ ე ნ ა ო“.

საძირ-ვირკალი ძროხის დასაბმელი
ძოწეობილობა. შედგება ორი ნაწილი-
საგან. 1. ვ ი რ კ ა ლ ი, ხ ის მ ო ხ რ ი-
ღ ი რ კ ა ლ ა. რომელიც ძროხას უშუა-
ლოდ ყელზე ედება და 2. სა ძ ი რ ი,
დაკრებილი წნელი, რითაც დაბმულია
ძროხა „ს ა მ ი - ო თ ი ხ ე ვ ა ნ ო ძ რ ო ხ ა ნ ი ო
ს ა ძ ი რ - ვ ი რ კ ლ ი თ ა მ ბ ი ა ნ ო“.

საწველავი მეწველი ცხერის ფარა.
- დააყენა თავ-თავისა დგილას, ს ა წ-
ე ლ ა ე ს ა წ ე ვ ლ ა ე ვ ა დ, ბ ა ტ კ ა ნ კ ი დ ე ნ
მ თ ა შ ი ვ ა ლ ა“.

სახ-კარობა სახლის მშენებლობა.
„ს ა ხ - კ ა რ ო ბ ა ს მ ა უ ნ დ ი თ“.

ხახნი სახლ-კარი. „ჩემ? სახნი...
იმით რა დაშლიდა“.

ხაჯდური სატანი. საქმელზე მისაყო-
ლებელი. „პურიც მათუტანავ და პურის
საქდურიცა“.

ხენი საშანელი. „ქმა მეტაჯ სენი
ჩქვბია. საელლო, საზიზლარია“.

ხერობა რელიგიური დღესასწაულია
ფნავში. „ხერობას ეძახიან, მად-
ლა მთაში არი ერთ ნიშ გაკეთებული“.

ხვე ხვიარა მცენარეა, რომლის ყვავი-
ლიც იხმარება ლუდის შინაწარმოება-
ში. „უსვეოლ კი ლუდ არ ილუ-
ღვზად“ არც გამოდგებოდ“.

ხთვა მატყლის დართვა. „ცეცხლის
მეჭხე ვასთავდით“.

ხიუროლე სიყუდე, ცული საქმე. „ან
სიყროლე მოქდებოდა სოფლად,
ან რა მოქდებოდა, აი ჩაქოლვა იყო-
ღენ“.

ხოლი საქსოვი დანადგარის „ყდანი“
ღეტალი. „ამას სოლები აქვ აქა-იქ
გაყრილი. ლვილებს“.

ხრევა სროლა. „აემ მთაზე ესრი-
დეს“.

ხუ მთლიანად. „ერთ ქალის ლექს ვი-
ცი და სუ არ ვიცი“.

ხწვეა რწვეა. „ან აკავანს გადავას-
წევ ვი-გადმოვასწევ დი“.

ხხვკან ხხვგან. „ვილაცა რალაცა
ჯააშვებდა სხვაკანა“...

ტ

ტაგანი ზის კასრი, 7-8 ლიტრის ტევა-
დობისა. იხმარება ძროხის საწველად ან
ერბოს შესანახად. „ადუღებენ ერბოსა,
გაასვებენ ქვევრებსა, ტაგანებს მძა-
ხიან. აი, იმ კასრებსა“.

ტარი თითისტარი, მატყლის დასარ-

თავი. „ოა უკირთ შინაურებსაო სხედან,
ტარებსა მთლიანო“.

ტოლი შინაქსოვი შალი. „ყდაზე
მოქსოილაო ვიცოდით ის შალიც...
ტოლს ვეძახდი“.

ტუტა იგულისხმება ნაცარტუტა.
„ტუტა კიდე იყო ნაცრისი“.

უ

უბნობა მოყოლა, მოთხრობა რაიმე
ამზისა. „თუ არ მიუბნავ შენთვის,
ქალო“.

უგონთ უკუუო, უადგილოდ. „ხან
იქნება უგონთაც“ რა გამოუჩიო
სიტყვები“.

უთავშაო უშნო, უზარიფათო. „ჩემ
მზლი უთავშაო ვაც იყო. ბეჩავ
კაცი“.

უკულმართა ტარის (იხ.) უკულმა ტრი-
ალთ ჯართული ნართი. „ნახევარს
წალმართაად დაეძახდით, ნახევარს
უკულმართადაა“.

უცოდარი უსწავლელო, გაუნათლებე-
ლი, უცოდარ ღედაკაცი დავერ-
დი“.

უცოდელი იხ. უცოდარი. „ჩემ-
ზე ბეჩავი არც ვინ არი ამ ქვეყანაზე,
ჩემზე მწერელჩვილი, უცოდელი“.

ფ

ფარტენა დასართავად გამზადებული
მატყლის ფთილა. „მატყლ უნდა დავ-

ჩემოთ, მემრე ფარტენა გაავკე-
თოთ“.

ფერება მიმსგავსება. „წმინდა გიორგის ვაჟერე, ექრა ქალმ ნამაარა“. ფერცხალი ნეკნი. „მოაწეაღეს ფერცხლის ძვალი“. ფექის ადგილი მიწის სავარგულზე

იტყვიან: სანაე-სათესი ღა საოვარი. იმიტ იყო ცელი, რო ფექის ადგილი არ იყო“. ფთა ფრთა, წისქვილის ბორბლის დეტალი. „საცა ი ფთებ უკეთდება, იმას წყალ მაზღის“.

ქ

ქალი ქალიშვილი. „ჩემ შვილია, ჩემ ქალი, ხო“.

ქალობა გასათხოვრობა, ქალიშვილობა. „აბა მე ქალობას საღ გავიზარდე, საღ ვიყავ“.

ქართველი იგულისხმება ბარელი, არა მთიელი. „ქვერით კიდენ ქართველები აკეთებდენ“.

ქერშველი ხორბლის ჯიშია. ქერს ჰგავს, ქერქიანია, ქერქი ადვილად სცივია და შერე სვილს (ჰეავს) წააგავს. „სუ მამორდება ი ქერქი და ი წმინდა ბურიეთით დარჩება სრულა, ქერშველის არის“.

ქვემოთაიხაკ ქვემოთა მხარეს. „ქვიშვილი ვე არი, აი ქვემოთაიხაკ რო დგაო“.

ქვივნება რქმევა. „იმის მამა ყოფილა, გელია ქვივნილა“.

ქიჩ (ქიჩები) ყდებში (იხ.) ჩარქობილი დაქდული ხეები. „იყო კიდე დაქვრტილი ვსენი საქიჩედა“.

ქობთაჟა ქვაბებისკენ. „ქალი გაგზავნეს ქობთაჟა, ნაბიჯი აქვია ჩქარიო“.

ქოთი ქოთ-ქოთი, ბევრი ლაბარაკი. „ელა ამოდენა ქოთშია ფულს იძლევიო“.

ღ

ღვიღინი კაშკაში, ბრწყინეა. „ღვიღინებს რალაა წყალში“. ღონება წუხება. „ეშმაკ თუ არიო და

ის მაღონებსო. მატყუებსო“. ღრანტე ხრამი. „ერთ ღრანტე იყო“.

ყ

ყაყა ოღნავ რომ დათოვს. „თოვლიც რაიმ იყო მოსული, ყაყა ბატარაი“.

